ნინო ღამბაშიძე

ქართული სალხური და საეკლესიო დღესასწაულები

საკითხავნი ყმაწვილთათვის

24

„ციცინათელა“

თბილისი - 2011

უაკ (UDC) 72 (479.22) (082)
კ 825

წიგნში საუბარია ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულების, წეს-ჩვეულებების წარმოშობაზე, დანიშნულებაზე, მათი აღნიშვნის წესებზე. გამოცემას ერთვის მცირე ცნობარი, რომელშიც განმარტებულია ზოგიერთი ტერმინისა და სახელწოდების მნიშვნელობა.

რედაქტორი
მირიან ხუციშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

შინარედაქტორი
ნათელა ჯოლოხავა

რედაქტორ-გამომცემელი აკაკი ბრეგაძე

საგამომცემლო საბჭო: ნაზი ჯანანაშვილი, თამა საბანაძე, ნინო ანჩაბაძე, დავით ბრეგაძე, გიორგი ბრეგაძე, კონსტანტინე ბრეგაძე

მხატვარ-დიზაინერი ილნარ გორელიშვილი
ოპერატორი ნათელა ტალახაძე

© „ციცინათელა“ 2011 წ.

ISSN 1987-5681
ISBN 978-99940-801-0-6 (მრავალტომეული)
ISBN 978-9941-9175-2-3 (XXIV ტ.)

წინათქმა

ქართული ხალხური და საეკლესიო კალენდარი ჩვენი ერის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციიდან იღებს სათავეს და იმავდროულად ასახავს მას. ტრადიციის მსგავსად კალენდარში შემავალი ხალხური დღესასწაულები ცოცხალი ფენომენია, რომელიც წარსულს აწმყოს გავლით მომავალთან აკავშირებს. დღესასწაულები ტრადიციის მსგავსად ოდესღაც დაიბადნენ, განვითარდნენ და მომავალშიც გარკვეულ სახეს მიიღებენ, ან სულაც, შესაძლოა, გაქრნენ. ამ ხანგრძლივ და რთულ გზაზე ბევრი რამ მივიწყებას მიეცა, ბევრმაც სახე იცვალა ან გაქრა, რომ მის ადგილას სხვა რამ აღმოცენებულიყო. კალენდარში შემავალი წლიური დღესასწაულები ქართველების რელიგიურ შეხედულებებს, მათ სამეურნეო თუ სოციალურ კულტურას ასახავენ და ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ეროვნული თვითშეგნება, ტრადიცია კი იმავდროულად მსოფლიო კულტურის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი და კუთვნილებაა.

საქართველოში დროის კალენდარულ აღრიცხვას დიდი ისტორია აქვს. იგი სათავეს წინაქრისტიანულ ხანაში იღებს. მიაჩნიათ, რომ ძველ ქართულ წინაქრისტიანულ კალენდარს თავდაპირველად მთვარის ბაბილონურ-სემური სისტემა დაედო საფუძვლად, ხოლო შემდეგ მთელი წინა აზიის ქვეყნების მსგავსად მზის მოძრავი წელიწადი. რომაელთა პოლიტიკურ-კულტურული გავლენის შედეგად მზის მოძრავი წელიწადი შეიცვალა უძრავით. გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიაობა (მარტისა და სექტემბრის დღეღამტოლობა), თვეების დასაწყისი ზოდიაქოთა რკალთან იყო დაკავშირებული. თვეთა რომაულ სახელწოდებებს, რომლებიც შემდგომში ზოგადქრისტიანულად იქცა, წინ უსწრებდა ძველქართული ტერმინები: ახალწლისა, სთუელისა, ტირის-

დენისა და სხვა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ თვეების უმრავ-ლესობას იმ წმინდანის სახელი დაერქვა, ვისი დღესასწაულიც მოცე-მულ თვეში იმართებოდა. მაგალითად: ივანობისთვე (ანუ იოანე ნათ-ლისმცემლის თვე - ივნისი), კვირიკობისთვე (დიდმოწამეთა კვირიკესა და ივლიტეს თვე - ივლისი), მარიამობისთვე (აგვისტო), ენკენია (სექ-ტემბერი), გიორგობისთვე (ნოემბერი), ქრისტეშობის თვე (დეკემბერი) და სხვ.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე აღმოსავლური ტი-პის უძრავი წელიწადი არსებობდა, წლის ათვლა კი 6 აგვისტოდან იწყებოდა. თვე შედგებოდა 30 დღისაგან. აგვისტოს წელიწადი VII საუკუნემდე შემორჩა.

ქრისტიანობამ საქართველოში შემოიტანა ბიზანტიური ანუ სექტემბრის წელიწადი. X საუკუნემდე იგი ერთადერთი სამოქალაქო კალენდარი იყო. ინდიქტურ ანუ სექტემბრის წელიწადთან ერთად მარტის წელიწადიც თანაარსებობდა. მარტის წელიწადმა X საუკუ-ნის შუა ხანებამდე იარსება. X საუკუნეში შემოვიდა იანვრის წელი-წადი, რომელმაც ფეხი მოიკიდა XIV საუკუნეში. ქრისტიანულ სა-ქართველოში სამოქალაქოს გვერდით არსებობდა საეკლესიო წელიწა-დი: X საუკუნის შუა ხანებამდე აღმოსავლური ტიპის ჰეორტოლო-გიური (საეკლესიო), შემდგომ კი სექტემბრის წელიწადი. აგვისტოსა და მარტის წელიწადთან ერთად სექტემბრის წელიწადი X საუკუნის ნახევრამდე იყო სამოქალაქო, შემდგომ კი იქცა ბიზანტიური ტიპის საეკლესიო წელიწადად.

ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ კალენდარს საეკლესიო ჰეორტოლო-გიური კალენდარი უდევს საფუძვლად, თუმცა მასში წინაქრისტიან-ული წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენებიცაა შემორჩენილი. სხვა ხალხების ხალხური კალენდრის მსგავსად იგი სინკრეტული ხასიათისაა ანუ წინაქრისტიანული და ქრისტიანული შერწყმულია ერთმანეთში.

თვალსაჩინოა წელიწადის დაყოფის უძველესი პრინციპი: დაყოფა ორ სეზონად - ზამთრის და ზაფხულის ექვსთვიან პერიოდებად. ქარ-თულ ხალხურ კალენდარში გამოიყოფა მიწათმოქმედებასთან, მესა-ქონლეობასთან, წინაქრისტიანულ ღვთაებებთან და სალოცავებთან დაკავშირებული დღესასწაულები, რომლებსაც სინკრეტული ხასიათი

აქვთ ანუ კავშირი აქვთ ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებთან, წმინდანებთან.

საქართველოში მრავალი დღესასწაულია, მაგრამ ჩვენს წიგნში ყველა მათგანზე ვერ ვისაუბრებთ. საქართველოში მრავალი ეთნოგრაფიული კუთხეა. კალენდარულ ხალხურ დღესასწაულებზე საუბრისას შევეცადეთ, ყველა მათგანის თავისებურება გაგვეთვალისწინებინა. ამის მიუხედავად, შესაძლოა წიგნში ვერ იპოვოთ ცნობები, თუ როგორ აღნიშნავდნენ ამა თუ იმ დღესასწაულს ზოგიერთ კუთხეში. ამის მიზეზი არის ის, რომ საჭირო მასალა ან აღარ არსებობს, ან მისი მოპოვება ვერ ხერხდება. ასევე, წიგნში, მისი შეზღუდული მოცულობის გამო, ვერ შევიდა ყველა ის ლიტერატურა, რომელიც მუშაობის დროს გამოვიყენეთ, განსაკუთრებით საველე ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც მრავალი წლის მუშაობის მანძილზე შეაგროვეს ქართველმა ეთნოგრაფებმა და ეთნოლოგებმა: ალი დავითიანმა, მიხეილ კედელაძემ, თამარ მამალაძემ, თალიკო თოფურიამ, გივი ელიავამ, ვახტანგ სუდაძემ, ჯულიეტა რუხაძემ, ნუნუ მინდაძემ, დალი გიორგაძემ და სხვებმა.

დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ეთნოლოგებს: ხათუნა იოსელიანს, გოგი გოცირიძეს, დავით ჭითანავას, ირმა კვაშილავას წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.

ნინო ღამგაშიძე

აგუნა/ანგურას გადაძახება

<u>აგუნას</u> სახელთან დაკავშირებული რიტუალი – აგუნას გადაძახება - **დასავლეთ საქართველოს** სხვადასხვა კუთხეში **ახალ ფელს**, აგრეთვე ნათლისღებას ან დიდ ხუთშაბათს სრულდებოდა. აგუნა მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველი ქართული, წინაქრისტიანული ღვთაება უნდა ყოფილიყო. მას ვენახის მფარველობას და ყურძნის უხვ მოსავალს შესთხოვდნენ.

<u>**გურიაში**</u> ახალი წლის პირველ დღეს, როდესაც ოჯახში გარეშე მეკვლე უკვე ნამყოფი და სადილი დასრულებული იყო, ოჯახის უფროსი იღებდა ღორის მოხარშულ თავს და საახალწლო რიტუალურ პურებს შორის ერთ-ერთს, რომელიც ვაზისთვის ცხვებოდა და რომელსაც **აგუნას პური** ეწოდებოდა, ვენახში ან მარანში მიდიოდა, ღორის თავს საწნახელს ან სხვა რაიმე საგანს არტყამდა და მთელი ხმით იძახდა: „აგუნა, აგუნა, ჩამოიარე, ჩვენს მამულს ამოტენა (აიყვანდა ხელში ყმაწვილს) მტევნები, სხვის მამულს ჩხერგი და ფურცლები“.

შემდეგ ოჯახის უფროსი ვენახს ულოცავდა. აგუნას პურს, რომელიც ვენახის სიუხვისთვის იყო განკუთვნილი, ვაზთან გადაამტვრევდა ან მის რქაზე დაკიდებდა. საღამოს, მთელ ოჯახს, რომელსაც წინ ოჯახის უფროსი მიუძღოდა და ხელში ანთებული სანთლები ეჭირა, მოხარშული ღორის თავი და ხაჭაპური შეჰქონდა მარანში ან მიდიოდა იქ, სადაც საწნახელი იდგა. ოჯახის უფროსი იღებდა ნაჯახს ან

თოხს და ყუით გადაყირავებულ საწნახელს ურტყამდა, თან ხმამაღლა იძახდა: „აგუნა, აგუნა ჩამეიარე, ჩეიარე ბახვი, ასკანა, ჩვენს ვენახს უხვი ყურძენი, სხვის ვენახს უხვი ფურცელი“.

<u>რაჭა-ლეჩხუმში</u> აგუნას ანგურას უწოდებენ. ლეჩხუმში, ახალწლის პირველ დღეს, გარეშე მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსი ვენახში ჩადიოდა და ხმამაღლა იძახდა: „აგუნამ ჩამეიარა, ჩვენი მამული ჩეიარა, წივი მეიტეხა, ღვინის ღვარი ააყენა: ისხა, ისხა, ისხა გამოღმა ყურძენი, გაღმა ფურცელი“.

მსგავსი რიტუალები <u>რაჭაში</u> დიდ ხუთშაბათსაც იმართებოდა. ამ დროს ვენახის ახლოს, ბავშვები კოკონს ანთებდნენ, სამჯერ შემოურბენდნენ კოკონს და ვენახს, თან რკინის საგნებს ერთმანეთს ურტყამდნენ და იძახდნენ: ანგურა, ანგურა, ღმერთო, დაიფარე ჩვენი ვენახი სეტყვისაგან, დაიფარე ჩვენი მამული, მოგვეცი ბუჯირში ტახის თავი და ვენახში მსხვილი მარცვალიო.

ათენგენობა

ხალხური დღესასწაული ათენგენობა ივლისის შუა რიცხვებიდან აღინიშნება. ამ დღესასწაულის სახელწოდება ირაკლიოპოლის ეპისკოპოსს, ბერძენ მღვდელმოწამე ათინოგენს უკავშირდება. ეკლესია მას 16/29* ივლისს მოიხსენიებს.

წმ. ათინოგენი IV საუკუნეში, დაახლოებით 311 წ. ქრისტიანთა დევნისას, თავის ათ მოწაფესთან ერთად, ქალაქ სებასტიაში აწამეს. წმ. ათინოგენი კარგად იყო ცნობილი სასწაულებითა და ეშმაკების განდევნის უნარით. ერთ დღესაც იგი შეიპყრეს და ქალაქ სებასტიაში წაიყვანეს. როდესაც წმ. ათინოგენი და ბადრაგი სებასტიას მიუახლოვდნენ, წმინდანმა ითხოვა, წყაროსთან შეჩერებულიყვნენ. აქ წმ. ათინოგენთან იმ მოსამართლის ცოლი მივიდა, რომელსაც იგი უნდა გაესამართლებინა. ქალმა კარგად იცოდა წმ. ათინოგენის სასწაულების ამბავი, იცოდა, როგორ ანთავისუფლებდა ადამიანებს დემონებისაგან, და უთხრა: „მე ვიცი

---

* ორი რიცხვი მიანიშნებს თარიღს ძველი და ახალი კალენდრის მიხედვით. აქაც და შემდგომაც მარცხნივ მითითებულია თარიღი ძველი სტილით, მარჯვნივ - ახალი სტილით.

შენი კეთილმორწმუნეობისა და სიწმინდის შესახებ, ვიცი, რომ შენ ემსახურები ქრისტეს, რომელიც თუ გულმხურვალედ შესთხოვ, შეისმენს შენს თხოვნას. ამიტომ გევედრები, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ეშმაკებისაგან განმიკურნო, სამაგიეროდ ჭმარს ვეტყვი, სასჯელისაგან განმათავისუფლოს“. წმ. ათინოგენი თავის მხრივ შეჰპირდა ქალს, რომ ილოცებდა, მხოლოდ სთხოვა: ხელი არ შეუშალო ჭმარს ჩანაფიქრის აღსრულებაში, არ გამანთავისუფლოს სასჯელისაგან, რადგან ამ გზით უფრო ადრე მივალ ღმერთთან და შენს შვილსაც ასე უფრო დავეხმარებიო.

ათინოგენი საკერპოსთან გაასამართლეს. მან არ უარყო ქრისტიანობა. მოსამართლემაც ბრძანა, დიდი კოცონი დაენთოთ და წმინდანი ზედ დაეწვათ. იმ დროს კოცონთან კეთილმორწმუნე, წარჩინებული, მდიდარი ქალბატონი ევსევია იდგა, რომელიც წმ. ათინოგენს მუხლებში ჩაუვარდა და შეევედრა, უფლისთვის ეთხოვა, მისთვის ცოდვები მიეტევებინა. წმ. ათინოგენი დაჰპირდა, რომ თხოვნას შეუსრულებდა, თუ იგი სიკვდილის შემდეგ მის გვამს დაუნაწევრებლად გადაასვენებდა მცირე სამლოცველოში, რომელიც თავად მან ააშენა და რომელშიც რამდენიმე წმინდანი დაასვენა.

წმინდანმა დიდხანს ილოცა, შევიდა ცეცხლში და ამგვარად მიაბარა სული ღმერთს.

ევსევიამ წმინდანის ნეშტი მოსამართლისგან გამოითხოვა და მსახურების დახმარებით შეასრულა მღვდელმთავრის თხოვნა. მათ დაუზიანებელი სხეული ნელსაცხებლებიან სამოსში გაახვიეს, დადეს ჯორზე და სამლოცველოსაკენ გაემართნენ. გზაზე ყველგან, სადაც ჯორმა შეისვენა, მოგვიანებით ეკლესია ააგეს. ევსევიას კი წმ. ათინოგენი სიზმარში ეჩვენა და უთხრა, რაკი პირობა შეასრულე, ღმერთმა ცოდვები მოგიტევაო.

ათენგენა/ათენგენობა/ათნიგენობა/ათანაგობა <u>აღმოსავლეთ საქართველოს</u> მთაში (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ხევი) ახალი წლის დარი დიდი დღესასწაულია და ივლისში აღინიშნება. ახალი წლისაგან განსხვავებით მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღდგომიდან 99-100 დღიდან, პეტრე-პავლობის მომდევნო დღეებიდან ან 13 (26) ივლისიდან ერთი კვირის განმავლობაში, ივლისის პირველი შაბათიდან ორშაბათამდე, ანდა ამაღლებიდან მეშვიდე კვირას იდღესასწაულება.

ათენგენობა მთელი ხევსურეთის სალოცავებისათვის მთავარი დღესასწაულია და ყველა სალოცავში აღინიშნება, მაგრამ უპირატესობა დიდ ხატებს ენიჭებათ. aთენგენობის დადგომამდე ორი კვირით ადრე ხატის მსახურები ხატში მიდიოდნენ და წმინდობდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი გარიდებულები იყვნენ ოჯახს და გარე სამყაროს, რათა ცოდვებისაგან თავი დაეცვათ, სუფთად ეცხოვრათ, როგორც ბერებს, ყოველდღე ბანაობდნენ, მსუბუქ ხელსაქმეს ასრულებდნენ, ისეთს, რომლის დროსაც ოფლი არ გამოუვიდოდათ (წნავდნენ თოკებს, საბელს...), ადუღებდნენ ლუდს და ემზადებოდნენ დღესასწაულისათვის. მათ სოფლიდან უგზავნიდნენ საკვლევს: ხინკალს, კეცეულებს (რიტუალური პურები), ხორცს და სხვ. საკვლევს განსაკუთრებით ახალ ხელოსანს უგზავნიდნენ.

ხელოსანი ხატის მსახურია. იგი იმის მიხედვით, თუ რას დაავალებდნენ, სხვადასხვა საქმეს ასრულებდა, მაგალითად: საკლავის დაკვლის დროს ხუცესს ეხმარებოდა, უვლიდა ხატის განძს და სხვა. ხელოსანი ძველი ქართული ტერმინია და მეფის ბრძანების და კანონის აღმსრულებელ, სხვადასხვა თანამდებობის პირს ნიშნავს. <u>ალმოსავლეთ საქართველოს</u> მთაში ეს ტერმინი ხატის მსახურის მნიშვნელობით შემორჩა.

ხელოსანი საკვლევის ყველა გამომგზავნელს იმახსოვრებდა და დღეობის ბოლოს ლუდით მოიკითხავდა ანუ ლუდს მიართმევდა. ზოგ ხატს დიასახლისი ჰყავდა. ასეთ ხატებში დიასახლისს ბოჭოლები, მოსანთოები (რიტუალური პურები) მიჰქონდა, ხატში სხვადასხვა ადგილას სანთლებს ანთებდა, ადუღებდა ხავიწს (ქადის გული, რომელიც ერბოში მოშუშული ფქვილისაგან კეთდება), აცხობდა ქადას. ხატში ერბოს მიტანა სხვადასხვა დღეობაზე სხვადასხვა დასტურს (ხუცესის თანაშემწეს) ევალებოდა, წელწადს (ე.ი. ახალ წელს) და ათენგენობას კი ყველას უნდა მიეტანა.

სადღესასწაულო სამზადისი ხატის დარბაზშიც მიმდინარეობდა. დარბაზი არის სალოცავის მთავარი ოთახი, სადაც ხატის მსახურები ძირითად რიტუალებს ასრულებენ, ადიდებენ და ევედრებიან ღმერთს, წმინდანებს, ცოდვების მიტევებას სთხოვენ. ხელოსანი გაბანვის შემდეგ დროშას ააბამდა (თუ მას დროშა ებარა), პირჯვარს გადაი-

წერდა, ხატს ახსენებდა, აბმული დროშის ზარის ხმაზე დარბაზს შემოუვლიდა და ღამისთევის წესის შესრულებას იწყებდა. დარბაზის შემოვლის შემდეგ მედროშე ხელოსანი დასტურ-ხუცესებთან ერთად ხატს გარედან შემოუვლიდა.

ამის შემდეგ ხატის მსახურები ისევ ხატში შედიოდნენ, სადაც ყველა დადგენილი წესი სრულდებოდა. ამ დღისთვის მოხარშულ ლუდიან კოდთან ანთებდნენ სანთლებს, ტაბლაზე აწყობდნენ რიტუალურ პურებს. დასტური ხუცესს კოდზე გადაფარებული ფარდაგის გადახდას სთხოვდა. ხუცესი მივიდოდა კოდთან, მოხსნიდა შემოჭერილ თოკს, გადახდიდა გადაფარებულ ფარდაგს, ლუდს ქაფქირით მოხდიდა ჭიჭს (ლუდის ზედნადები) და იქვე, მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში, ე.წ. ბაკანში ჩადებდა. ამოიღებდა ლუდს და განსაკუთრებულ ქვაბში, საწდეში, ჩაასხამდა. ამის შემდეგ ხუცესი ლუდით ავსებდა ერთ თასს, მიდიოდა რიტუალურ პურებიან ტაბლასთან, სამი სანთლისგან გრეხდა ერთს, აკრავდა ტაბლას, ცალკე ერთ სანთელს კი კოდს, რის შემდეგაც იწყებდა კოდის კურთხევას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი (ამბობდა იმ სალოცავის სახელს, სადაც კოდის კურთხევა სრულდებოდა). შენ სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიხმარი ეს კოდ-საფუარი, სადიდებელი. შენ (ასახელებდა ამ სალოცავის ყმებს), მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიხმარი. შენდ დღეობა, რიგის ყენება არ დაუკლავა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ამინ, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს-დღესინდელსა, ძალს ღთისას, ძალს კვირაისას, დიდება-დ გამარჯვება შენდა (სალოცავის სახელს იტყოდა). ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძლიერას, ამ კოდ-საფუარზე და სადიდებელზე. ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველვა, რგება, ხოიშნობა შენ მეხვეწურთ. გეძახან (ასახელებდა ხატის ყმებს), გეხვეწებიან. შაიხვეწნიდი, რასაც მხარზედა, გულზე გიძახებდან, იმ მხარ, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობას გეთხოვებოდან, გაშჩენს ღმერთს დაუთხოიდი. წინაპირად კაცის მეხვეწურნი კაცსა კას დროს მაუმატიდი, ღონე-ქონეს მაუმატიდი, შენ ზღვენთა დიდებათ მაემატების. ველთ ვინ

გავიდოდას შენ მეხვეწურთ (ამბობდა გვარს) ყუდროშიით, ბედსა, დავლათს შენს ახსენებდას, შენ ბედი, დავლათი დაახმარიდი. შორს მყოფ ახლო დაუხვდიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი. სხვა ხთის ნაბდებ თუ რა უწყრებოდას, უმრუდდებოდას, მადლი დაუთხოვიდი, სხვასთან უშუიდი, თაოდ უშველიდი, თაოდ გულწაღმა, პირწაღმ დაუბრუნდიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისგან გამაშობილნი, ხორციელთ ბეგრევდან ყალანს იღებდან, შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მაჰკერძებ. ეკერძებოდას, ნებით ახდივიდი, ნების ბაგარი გაატანივიდი, სხო ყუდრო-შარა გაასწავლიდი, იხვივნიდი, შენ მეხვეწურნი, იხვეწნიდი ავის დღისად, ლაღის მტრისად, საზიანოს საქმისად, ჩემგან რაც დიდებას, ხსენებას გაკლდებოდას (ხატის სახელი), შენს წყალობას მაუმატიდი. შენ (წარმოთქვამდა ყმების სახელებს) კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, მშველელი, მლხენელი, მხოიშნებელი, წაღმამდეგიც ხარ. შველდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარევდი, გამარჯვებას შენსა, შენის გამჩენის ხთისას“.

ხუცესი ჯერ დაამწყალობნებდა, დალოცავდა ყმებს ანუ სალოცავის მრევლს და შემდეგ დანარჩენებს. ამის შემდეგ ხუცესი კვლავ იტყოდა დიდების სიტყვებს ანუ გაადიდებდა, ე.ი. ადიდებდა სალოცავს და დალოცვას ამ სიტყვებით დაასრულებდა: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურს წყალობა“.

ჯერ ხუცესი დალევდა ლუდს, შემდეგ - დანარჩენები. ღამისთევის წესის შესრულება რომ მორჩებოდა, ჯვარიონი სუფრასთან სხდებოდა. მათ ორი დასტური ემსახურებოდა.

დილით სრულდებოდა წესი, რომელსაც ჟამისწირვა ეწოდება. ჟამისწირვისთვის დარბაზში წინასწარ აწყობდნენ ლუდიან თასებს, ერთი სახუცო კოჭობი (ესეც თასია, მხოლოდ ხუცობისთვის განკუთვნილი), რიტუალურ პურებს, სანთლებს. ხუცესი ზემოთ აღწერილი წესის მსგავსად იხუცებდა, რის შემდეგაც შეუდგებოდა ჟამისწირვის ხუცობას. ამ წესის შესრულების შემდეგ ხატში მოდიოდნენ მეზღვნეები ანუ ისინი, ვისაც საკლავი მიჰყავდა შესაწირად.

ძველად მთის სალოცავებში ბარიდან ადიოდნენ მეკულუხეები ანუ ისინი, ვისაც ბარიდან ღვინო აჰქონდა. არხოტის, გუდანის, იახსრის ჯვრებს (ხატებს) ვენახი ჰქონდათ ახმეტაში და დღეობაში იქიდან

მიუდიოდათ ღვინო. მეზღვნეებს ღვინით, ლუდით, არყით უმასპინძლ-დებოდნენ. საკლავი ჩვეულებრივ იკვლებოდა. ხუცესი პირით აღმოსავ-ლეთისაკენ დადგებოდა და საკლავსაც ამგვარად დააყენებდა. ცხვარს სან-თლით ბალანს ჯვრის ფორმით შეუტუსავდნენ. წვრილი საკლავის (ცხვა-რი, ჭედილა...) ტყავი და ხორცი ხატში რჩებოდა, კურატისა (დაუკო-დავი ხარი) შუაზე იყოფოდა. შეწირული ფული ხატის ხარჯს ხმარდე-ბოდა. ხატში ჯარობა იმართებოდა ანუ ცეკვა, სიმღერა და ქეიფი.

ათენგენობა <u>ფშავეთში</u> დიდი დღესასწაულია. იგი სერობა, საღ-მურთობასთან ერთად საზაფხულო დღეობათა ციკლის საერთო სა-ხელწოდებაა, პეტრე-პავლობის მომდევნო კვირას იწყება, ერთი თვე გრძელდება და ფშავის ყველა სათემო დღეობას მოიცავს.

<u>თუშეთში</u>, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა კუთხეებში, ათენგენობა (ათნიგენობები) ახალწლის მსგავსად დიდი დღესასწაული იყო. თუშეთში ათნიგენობები ორ ნაწილად იყოფო-და. ერთი ნაწილი ივლისის ნახევარში იმართებოდა, მეორე დამოკი-დებული იყო აღდგომასა და საერთო სათუშო დღეობა ლაშარობა-ზე. თუ აღდგომასა და ლაშარობას შორის 14 კვირა იყო, სასოფლო დღეობები ლაშარობის წინა და მომდევნო პერიოდში იმართებოდა. თუ აღდგომა ადრე იყო, ათნიგენობები ორი კვირა გრძელდებოდა, თუ გვიან - მაშინ ერთი თვის განმავლობაში, რადგანაც პირველი და მეორე რიგის დღეობებს შორის ორკვირიანი ინტერვალი იყო. მსახ-ურება ყველგან ერთნაირად სრულდებოდა. მხოლოდ გართობასთან დაკავშირებული წესები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ამ დღეობას ყველა სოფელი საკუთარ ხატში იხდიდა. ლუდს, პურს, საკლავს დღეობისათვის სოფელი ზიარად კრებდა.

ათნიგენობების დროს ცხვარში მხოლოდ ხნიერი კაცები რჩებო-დნენ, ახალგაზრდები სოფელში ბრუნდებოდნენ. თუშეთში ამ დღეობაში სრულდებოდა ბავშვის ხატში მიბარების წესი, რის შემ-დეგაც იგი ხატის ყმა ხდებოდა და შეეძლო სახატო რიტუალებში მიეღო მონაწილეობა.

<u>ხევში</u> ათენგენობა 16(29) ივლისს იმართებოდა. სოფლებში: ახალციხეში, ართხმოში და ქოსელთაში მას ღალანგურობა-ხეთანობას ეძახდნენ.

<u>რაჭაში</u>, სოფელ გლოლის დასავლეთით, ტყეში, წმ. გიორგის პატარა ეკლესია ყოფილა. იგი შხელის სახელით იყო ცნობილი. შემოდგომას, ნოემბერში აქ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომელსაც ხალხი ათენგენობას უწოდებდა.

ალავერდობა

ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, წმინდა იოსები, საქართველოში VI საუკუნეში მოვიდა. თავის მასწავლებელ წმინდა იოანე ზედაზნელთან ერთად მცირე ხნით ზედაზენზე მოღვაწეობდა. ზეგარდმო მითითებით იგი გაემართა კახეთში, დაემკვიდრა მდინარე ალაზნის ჭალაში გაუვალ, დაუსახლებელ, უნაყოფო ადგილას და ფარულ, მძიმე ბერულ ცხოვრებას შეუდგა. ამბა იოსების მოღვაწეობა დიდხანს არ დარჩენილა დაფარული. ერთხელაც, მრავალ თანმხლებ პირთან ერთად მონადირე დიდებული თავზე წაადგა მლოცველ ბერს. ამბა იოსებით მოხიბლული და მისი მადლიანი სიტყვით მოქცეული დიდებული წმინდა მამასთან დარჩა, გახდა ბერი და მასთან ერთად დაიწყო ბერული ცხოვრება. ამ ამბავმა წმინდა მამას ძალიან გაუთქვა სახელი. მალე ეს წმინდა ადგილი და მონასტერი ბერებით აივსო.

ალავერდის ტაძარი
სამხრეთი ფასადი

წმ. იოსები <u>კახეთში</u> დაუღალავად ქადაგებდა ქრისტიანობას. მის ქადაგებას თან სასწაულები ახლდა. წმ. იოსები სასწაულებს იესო ქრისტეს იმ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილით აღასრულებდა, რომელსაც ბავშვობიდან თან ატარებდა. ეს იმ ჯვრის ნაწილი იყო, რომელზედაც იესო გააკრეს. მოსახლეობაში მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად წმ. იოსებმა კატეხიზმო დაწერა და ყველა ღვთისმსახურს დაურიგა.

მლოცველთა ჩარდახიანი ურემი ალავერდის ტაძრის გალავანთან

კახეთის მოქცევის შემდეგ ამბა იოსები მონასტრის ერთ-ერთ სენაკში დაეყუდა, სადაც კიდევაც აღესრულა. იგი იმ ტაძარში დაკრძალეს, რომელიც დიდებულმა ააშენა. ის სასწაულები, რომლებიც თან სდევდა წმინდა იოსების ქადაგებას თუ მოღვაწეობას, მისი გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმ. იოსების ხსენების დღედ 28(15) სექტემბერი დააწესა.

გადმოცემის მიხედვით ალავერდის პირველი მცირე ტაძარი წმინდა გიორგის სახელზე წმინდა იოსებ ალავერდელმა და მის მიერ მოქცეულმა დიდებულმა ააშენეს. XI საუკუნეში კვირიკე III დიდმა ალავერდის დიდი ტაძარი ააგო. XVI საუკუნეში ლევან კახთა მეფემ იერუსალიმიდან ძელი ცხოველის ნაწილი (ანუ იმ ჯვრის ნაწილი, რომელზედაც იესო ქრისტე გააკრეს) ჩამოიტანა, რის შემდეგაც აქ ჯვართამაღლების სახელზე დაარსდა ალავერდობის მთავარი დღესასწაული. XVIII საუკუნეში ალავერდობას წმინდა ქეთევანის ხსენებაც დაუკავშირდა.

ალავერდობის დღესასწაულზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, დაახლოებით 15.000–20.000 კაცი. დღესასწაული აღინიშნებოდა ღამისთევით. ამ ქრისტიანულ დღესასწაულში ქართველების გვერდით მონაწილეობდნენ: სომეხი გრიგორიანები, ლეკები, დიდოელები, ოსები, ქისტები, კახეთში ჩასახლებული თათრები.

ალავერდობაზე უძველესი დროიდან დამკვიდრებულა ბაზრობა. XIX ს-ში აქ მთავრობის გეგმის მიხედვით აშენებდნენ დუქნებს, ალავერდის გარშემო არსებული მოედანი დაყოფილი იყო ქუჩებად, სადაც სხვადასხვა საქონლით მოვაჭრეებს საკუთარი ადგილები ჰქონდათ. ახლომახლო სოფლების სამამასახლისოებიდან თითო კაცს ირჩევდნენ წესრიგის დასაცავად. ბაზრობაზე თუშებს გასაყიდად ჩითები, ყველი, კარაქი ჩამოჰქონდათ, ფშავლებს - იარაღი, ნაბადი, ქეჩა; ხევსურებს საქონელი ჩამოჰყავდათ; სომხებს მოჰქონდათ ტკბილეული, ტყავის ჩექმები, თბილი ტანსაცმელი და ა. შ. საქონელი ნაღდ ფულზე იყიდებოდა ან იცვლებოდა.

ალავერდობას მიჰყავდათ: ცხვარი, დეკეული. აუცილებელი შესაწირი მამალი იყო. მლოცველები ალავერდში წინა დღეს, ღამისთევით მიდიოდნენ. ტაძართან სანთლებს ანთებდნენ და გარს უვლიდნენ სალოცავს დაჩოქილები. ანთებდნენ კოკონებს, შლიდნენ სუფრას. ქალებმა იავ-ნანას სიმღერა და მასთან დაკავშირებული წესის შესრულება იცოდნენ.

დილით თეთრებში შემოსილი ქალები, რომლებსაც მონა ქალებს ეძახდნენ, ტაძართან იყრიდნენ თავს. მონა ქალები იმიტომ ერქვათ, რომ ისინი ღმერთის, წმინდანების მსახურები იყვნენ. ხალხის აზრით ისინი ღმერთმა, წმინდანმა აირჩია თავის მსახურებად. მონა ქალებთან ერთად სხვა მლოცველებიც ტაძრის მთავარ შესასვლელთან დგებოდნენ, შემდეგ ხელიხელჩაკიდებულები გარშემო უვლიდნენ ტაძარს, თან ღვთის სადიდებელს მღეროდნენ. მლოცველები ტაძარს გარშემო ძაფსაც ახვევდნენ. ტაძარს სამჯერ რომ შემოუვლიდნენ, კვლავ მის შესასვლელთან შეჩერდებოდნენ და მონა ქალები იავნანას სიმღერით სარიტუალო ცეკვას - ფერხულს ასრულებდნენ.

ალავერდობის დღესასწაული მისთვის ნიშანდობლივი რიტუალით მთავრდებოდა. ალავერდის ეზოში სოფლებიდან – ზემო და ქვემო

ალვანიდან და ლალისყურიდან 200-300 ცხენოსანი თუში იკრიბებოდა და ომში დაღუპულთა სულებისათვის დალაის სიმღერით სამჯერ გარს უვლიდა ტაძარს.

ზოგჯერ თუშები ალავერდობის დასასრულს ტრიალ მინდორზე უბრალოდ აჭენებდნენ ცხენებს. ფიქრობენ, რომ „დალაის“ სიმღერით ტაძრის სამჯერ შემოვლის წესი იმ თუში მეომრების ხსოვნას უნდა უკავშირდებოდეს, რომლებმაც 1659 წელს ბახტრიონის ბრძოლაში ისახელეს თავი, მტრის მიერ ციხესიმაგრედ და საჯინიბოდ ქცეული ალავერდის ტაძარი სხვა ქართველებთან ერთად საბოლოოდ გაათავისუფლეს.

ამაღლება

ამაღლება თორმეტ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს შორის ერთ-ერთია, მოძრავია და აღდგომიდან მე-40 დღეს, ხუთშაბათს იდღესასწაულება.

აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში იესო ქრისტე მოციქულებს ეცხადებოდა და სარწმუნოებასა და ქრისტიანულ სწავლებაში აძლიერებდა. მეორმოცე დღეს კი მოციქულების თვალწინ ელეონის ანუ ზეთისხილის მთიდან ხორციელად ზეცაში ამაღლდა. ამაღლების წინ მოწაფეები აკურთხა და მოუწოდა ქრისტიანობა ექადაგათ და გაევრცელებინათ.

ამ დღეს მთელ საქართველოში აღნიშნავდნენ.

<u>სვანეთში</u> ანღლობს ანუ ამაღლებას მამაკაცები ტყეში მიდიოდნენ, რათა სახვნელის (სახნავი იარაღები: გუთანი, აჩაჩა...) ნაწილების გამოსათლელად ხე მოეჭრათ. ამ დღეს განსაკუთრებით ბერარს ანუ კავის იმ ნაწილს თლიდნენ, რომელზედაც რკინის სახნისი უნდა ჩამოცმულიყო. რკინის სახნისს ხნული გაჰყავდა, ბერარი კი დახნულს აბრუნებდა.

დილით სახლში ასევე მოჰქონდათ რიყის წვრილი კენჭები, ასკილის წნელი, არყის ხის ხშირფოთლიანი შტო. ყველაფერ ამას სახლში ნათლისღებას ნაკურთხ ტირიფის ტოტებს უმატებდნენ და შუაგულ ყანაში, განსაკუთრებით სადაც ხორბალი ეთესათ, კენჭებს

მოწიწებით დაყრიდნენ. ტოტებს იქვე დაასობდნენ. რიყის წვრილი კენჭები მარცვლეულს განასახიერებდა, ასკილის წკნელი - ხორბლის ღეროს სიმაღლეს, ტირიფი - ჯეჯილის სიმაღლეს, ხშირფოთლიანი ტოტი - მარცვლით დახუნძლულ თავთავს. ამ დღეს სახლის მარჯვენა სარკმელზე სანთელს ანთებდნენ, აცხობდნენ რიტუალურ პურებს, ახსენებდნენ ჯვარ ანღლაბაშს ანუ ამაღლების ჯვარს და ლოცულობდნენ. ამაღლება დღეს ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღევლინებოდა.

ძველად საქმის დაწყების წინ მთვარეს აქცევდნენ ყურადღებას, ვინაიდან მთვარე გავლენას ახდენს დედამიწაზე, ისევე, როგორც სხვა ციური სხეულები. მაგალითად, ხეს მთვარის განსაზღვრულ ფაზაზე ჭრიდნენ, რომ იგი არ გაფუჭებულიყო. ამაღლება დღე „კარგ მთვარეს“, ანუ სასარგებლო დღეებს მიეკუთვნებოდა, როდესაც მსუბუქი საქმის კეთება სასარგებლოდაც მიაჩნდათ. მხოლოდ ხარებისთვის ულელის დადგმა, საზიდარში შებმა, მიწის დამუშავება არ შეიძლებოდა.

<u>სვანეთში</u> წლის განმავლობაში მთვარის ყველაზე კარგ დღეებად ხარება და ამაღლება მიაჩნდათ. ამ მხრივ ამაღლება სვანებისთვის ხარებას უტოლდებოდა.

<u>რაჭაში</u> ამ დღეს მხოლოდ უქმობდნენ.

<u>ლეჩხუმში</u> ამაღლება დიდი უქმე იყო. დილით ადრე ოჯახის უფროსი სახლიდან უბრად გავიდოდა, ვერხვის რაც შეიძლება გრძელ ტოტს მოიტანდა და შუა კალოზე დაასობდა. ასეთ ტოტს სახუნდურს ეძახდნენ. სახუნდურს კალოობისას ბზისა და ხორბლის გასაცალკავებლად იყენებდნენ. სახუნდურის აღმართვის შემდეგ დიასახლისი ეზოს ხვეტდა, სახლს ასუფთავებდა, ხელს იბანდა და პურს ზელდა. პურის ზელას რომ მორჩებოდა, ლობიოს ჩაადგამდა, ბავშვებს კი წვრილფეხა შინაური საქონელი, თუ ფრინველი აუცილებლად მინდორში უნდა გაერეკათ და სადილობამდე იქ ჰყოლოდათ. წასვლისას დედა შვილებს ავალებდა, შინ თხილის ორი დაჭრელებული წნელი და ასკილის ორი ტოტი მოეტანათ. სახლში დაბრუნებისას ერთი ბავშვი, რომელსაც ტოტები ეჭირა, ყველას უსწრებდა, ჭიშკრის შუაში სიგრძეზე მათ ორ წყებად დებდა. ამასობაში დანარჩენი ბავშვები საქონელს მორეკავდნენ და ამ ასკილის ტოტებზე გადაატარებდნენ. გადაივლიდა თუ არა ტოტებზე საქონელი, ბავშვები ტოტებს

ორივე მხარეს ჩაარჭობდნენ და შესძახებდნენ: „ამაღლების გამჩენო ძალა, ჩვენი საქონელი დეიფარე ნადირისაგან, ყოველ მავნებლისაგან.“ დედა სახლიდან ბავშვებს საამაღლობო საქონლის ტაბლას (რიტუალური პური) გამოუტანდა, აგრეთვე ჭიქით ღვინოს, ნაკვერჩხალს, ჩაკმეულ სანთელს და ყველაფერ ამას ჭიშკართან დებდა. ერთი ბავშვი ტაბლას ხელში იღებდა და იტყოდა: „ღმერთო, დეიფარე ჩვენი საქონელი ნადირისაგან, სახადისაგან.“ ტაბლას ბავშვები ჭამდნენ, ღვინოს კი ის ბავშვი სვამდა, რომელმაც ლოცვა თქვა. ამის შემდეგ ყველა სახლში შევიდოდა. დიასახლისი ნაკვერჩხალზე სანთელს კერიასთან ჩააკმევდა, სამ საოჯახო ტაბლას (ლობიანებს), ერთ ჭიქა ღვინოს წალმა შეატრიალებდა, დაილოცებოდა და საამაღლობო სუფრა იშლებოდა. სუფრაზე რიტუალური პურები: საოჯახო და საქონლის ტაბლა უნდა ყოფილიყო. ამ დღეს ღმერთს საქონლისა და ოჯახის კარგად ყოფნას შესთხოვდნენ.

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში, ამაღლებამდე, მორწმუნეები ერთმანეთს „ქრისტე აღდგათი“ ესალმებიან. ძველადაც ასე იყო.

<u>სამეგრელოში</u> ზოგან ამ დღეს სკის, ფუტკრის ლოცვა იცოდნენ და ჯგერაგუნას (წმ. გიორგის) ფუტკრის გამრავლებას შესთხოვდნენ. აცხობდნენ ხაჭაპურს, რომელშიც უხვად დებდნენ ყველს, რათა ფუტკარი გამრავლებულიყო. ამ დღისთვის საგანგებოდ იჭერდნენ თევზს, კლავდენ თიკანს. ხალხის რწმენით თხა მალე მრავლდება, თევზი ბევრ ქვირითს ყრის.

ოჯახის უფროსს სკასთან თიკნის ხორცი, თევზი, ხაჭაპური, ღვინო მიჰქონდა. სკასთან დაიჩოქებდა და ფუტკრის გამრავლების წმინდანს (როგორც ხალხს მიაჩნდა), წმ. გიორგი-ჯგერაგუნას წყალობას შესთხოვდა. ოჯახის შემდეგ სკასთან დაჯდებოდა, ხაჭაპურს, თევზს შეჭამდა და ღვინოს დალევდა. მორჩენილი შესაწირის სახლში შეტანა არ შეიძლებოდა. მას იქვე სკასთან, ხეზე ჰკიდებდა და ცარიელი კალათით მოჰქონდათ შინ. ამ დღეს ცდილობდნენ, გული არაფერზე არ მოსვლოდათ.

<u>გურიაში</u> ამაღლებას დიდი სტუმრიანობა და დღესასწაული იცოდნენ. ვინც ამაღლებას ეკლესიაში აღნიშნავდა, განსაკუთრებით ბევრი

სტუმარი ჰყავდა. მაგალითად, ამაღლებას სტუმრები ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლს მისდიოდა, რადგანაც ამაღლებას ამ ეკლესიაში დღესასწაულობდნენ.

ჯავახეთში, სოფელ სირგვში (ახლა ნასოფლარია) არის ე. წ. ამაღლების ჯვარი, იგივე ამაღლების სვეტი. ესაა მაღალი ქვის სვეტი, რომელსაც ქვის ჯვარი და ქვისავე გალავანი ჰქონდა. ხალხის რწმენით ამაღლების ჯვარი სირგვის მიდამოს „ყარაული“ იყო. ხალხური გადმოცემით სირგვის მინდორზე, ამაღლების სვეტთან, თამარ მეფეს გამოუვლია, ჯვარი გადაუსახავს და უთქვამს: „ამის პური ულევი იყოსო.“ ხალხის თქმით, სწორედ ამიტომ იძლეოდა აქაური დიკა (ხორბლის ჯიში) ორმაგ მოსავალს, ამ მიდამოს ყანები ამიტომ იყო სეტყვისგან დაცული. ხალხი ამაღლების ჯვარს უხვ მოსავალს, ოჯახისა და საქონლის სიმრავლეს, ჯანმრთელობას შესთხოვდა. სვეტთან სალოცავად ხალხი აღდგომიდან მე-40 დღეს, ამაღლებას მიდიოდა.

ამაღლებას სოფელ ღრელში (მეხეთი) ეკლესიასთან დაკლული საკლავი ხალხს ამაღლების ნასაყდრალზე მიჰქონდა, სადაც რამდენიმე მამაკაცი ატყავებდა და ყველაფერს, რაც საერთო პურობისთვის იყო საჭირო, ამზადებდა. მანამ ჩამოივლიდნენ სოფელს, პურს, ყველს, მწვანილს, კვერცხებს, ჯამ-ჭურჭელს აგროვებდნენ. ითხოვდნენ ათ ორყურა ქვაბს, რაშიც ხორცს ხარშავდნენ. ნაშუადღევს ყველაფერი მზად იყო. ხალხი ამაღლების ნასაყდრალისკენ მიდიოდა. იმართებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში, ბაზრობა, სადაც მხოლოდ ხილი და სასმელი იყიდებოდა. სუფრასთან ხალხი უფროს-უმცროსობით სხდებოდა.

სუფრას აუცილებლად მღვდელი აკურთხებდა. ილოცებდა, იტყოდა მამო ჩვენოს, კერძიან ქვაბებს ჯვარს გადასახავდა და იწყებოდა პურობა. ამის შემდეგ სუფრის რომელიმე წევრი დგებოდა და თამადას ასახელებდა. დანარჩენები ფეხზე დგებოდნენ და თამადას ლოცავდნენ. თავის მხრივ თამადაც ამბობდა საერთო სადღეგრძელოს.

ხალხის რწმენით ამაღლება დღეს აუცილებლად უნდა გაწვიმებულიყო, ვინაიდან ნათესებს წვიმა ესაჭიროებოდა. მზის ჩასვლის შემდეგ ხალხი შინ ბრუნდებოდა.

ქართლში, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ცხვარს დაკლავდა და ტაბლას დადგამდა (მიცვალებულისათვის სუფრას გაშლიდა).

სუფრას სახლშიც შლიდნენ და სასაფლაოზეც. სასაფლაოზე კელაპ-ტარს ანთებდნენ და საკმეველსაც აკმევდნენ. ხატში ქადა-სანთლის და საკლავის გარდა, თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ, სანთლის კაკლებიც მიჰქონდათ. ამ დღეს სამკურნალო მიზნით ქალები ყვავ-ილებს კრეფდნენ, რომლებსაც ხმარობდნენ, როგორც ნედლს (ახლად მოკრეფილს), ასევე ახმობდნენ და მთელი წლისთვის ინახავდნენ. ამაღლებას იყო უქმე, რომლის გატეხვას ერიდებოდნენ: თუ გავტე-ხეთ, გვავნებსო, ბარაქა აღარ გვექნებაო. ბოსტნების, ყანების, ნა-თესების ავი თვალისგან დასაცავად მიწაში ასკილისა და თხილის რაც შეიძლება გრძელ ტოტებს არჭობდნენ. ამბობდნენ: აი, ამ სიმაღ-ლე გაიზარდოს ყანაო. კანგაცლილ თელას ტოტს კი საქონლის ჯანმ-რთელობისთვის არჭობდნენ. ზოგან კაცები თხილის ტოტს შუაზე ჭრიდნენ, ნაჭრევში ნახშირებს დებდნენ და ჯვაროს უკეთებდნენ, ყა-ნებს, ბაღებს, მინდვრებს ავი თვალი არ „მიუდგესო“ (არ ეცესო).

<u>კახეთში</u> ამაღლებას ზოგან ხის „შეშინებაც“ იცოდნენ. ხესთან ცეცხლს დაანთებდნენ, ნაჯახს მოუღერებდნენ და ეტყოდნენ: მოისხი, თორემ მოგჭრიო.

<u>მთიულეთში</u> ბავშვს, სანამ ამაღლებას ხატში არ გაიყვანდნენ, არც ხორცს აჭმევდნენ, არც თმას კრეჭდნენ. თუ სამ წლამდე ამაღ-ლებას ხატში ბავშვის გაყვანას ვერ შეძლებდნენ, თმას სახლში „ააჭ-რიდნენ“, ცოტა ფუულს თავზე შემოავლებდნენ და, როდესაც ხატში მის გაყვანას მოახერხებდნენ, ფუულს თან წაიღებდნენ. ჩვეულებრივ ბავშვს თმას დეკანოზი აჭრიდა. ფუულს ხატს სწირავდნენ, თმას დე-კანოზი აიღებდა, ბავშვს დალოცავდა და მოჭრილ თმას დაიტოვებ-და. ხატში რიტუალური პურები მიჰქონდათ, მიჰყავდათ საკლავიც.

<u>ხევში</u> ამაღლებას ძირითადად სოფელ კარკუჩაში აღნიშნავდნენ. გადიოდნენ ხატში. სხვაგან უქმობდნენ. თუმცა ძველად სოფელ ფხელშეშიც სცოდნიათ ეს დღეობა.

<u>ხევსურეთში</u> ამაღლება ერთი ან რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ამ დღეს ხატში ყველას თავისი ბატკანი უნდა მიეყვანა.

ზოგიერთ ხატში ამ დღეს ხელოსანი (ხატის მსახური) იცვლებო-და. იგი ჯერ ჭერხოში ერთი კვირა მოწმინდარობდა ანუ სუფთად ინახავდა თავს, როგორც ბერი, შემდეგ ორი კვირა ასევე იქცეოდა

ხატში და მხოლოდ ამის შემდეგ ჩადგებოდა სალოცავის სამსახურში. მსახურების დაწყების წინ ცხრაჯერ სხვადასხვა ადგილზე მდინარეში გაიბანებოდა. თუ ამაღლება რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ხელოსანი ყოველდღე იბანებოდა.

რიტუალური კვერები: ღამისსამთელო და ჟამსაწირი ერთ-ერთი დასტურის სახლში ცხვებოდა. მეზღვნეებს ანუ მლოცველებს სამსხვერპლო შესასწირი მიჰქონდათ. განსხვავებული წესი, რომელიც ამ დროს სრულდებოდა, ბავშვის ხატში მიბარების წესი იყო; ეს იყო ერთგვარი ნათლობა, რის შემდეგაც ბავშვი უკვე იმ ხატის ყმა ხდებოდა, სადაც მიაბარებდნენ. ამ წესის გარდა, ბავშვები ქრისტიანულადაც ინათლებოდნენ.

ამაღლება დღეს კიდევ ერთი წესი სრულდებოდა. თუ ქალს ცუდი სიზმრები აწუხებდა ან ჭკუიდან გადაცდებოდა, ხატში აკოჭინებდნენ. ანუ ხატის მსახური საამისოდ საგანგებო წესს აღასრულებდა.

<u>ფშავში</u>, სალოცავში ძველი დასტურები ახლებით ამაღლებას იცვლებოდნენ. ახლებს მომდევნო წლის ამაღლებამდე უნდა ემსახურათ, თუმცა ლუდი ისევ ძველ დასტურებს უნდა ედუღებინათ და ხატის თას-განძი (სარიტუალო სასმისები) მათ უნდა გამოეტანათ და დაელაგებინათ. ასევე ხატში გამოსალოცი საკლავი მიეყვანათ, რათა გამოელოცათ ანუ ხატისადმი მსახურება ამ ბოლო რიტუალით დაესრულებინათ. ახალი დასტურები კი ხატში ერთ საკლავს, შესალოცავს კლავდნენ ნიშნად იმისა, რომ ისინი ხატის მსახურებას შეუდგნენ. მათი საკლავიც შესაბამისი თანმიმდევრობით იკვლებოდა: ჯერ ძველი დასტურების გამოსალოცი იკვლებოდა, შემდეგ კი ახლების შესალოცი (ანუ შესასვლელი). დასტურების შესვლაც და გამოსვლაც გარკვეული ლოცვით სრულდებოდა.

სამსხვერპლო საკლავს ერთი დასტური სასაკლაოზე გაიყვანდა, პირით აღმოსავლეთისკენ დააყენებდა. ხევისბერი, რომელსაც ხელში ხანჯალი ეჭირა, საკლავის მარცხენა მხარეს დადგებოდა და ნელი ხმით დიდების ლოცვას იტყოდა. დიდების დასრულების შემდეგ დასტური საკლავს ისე დაუჭერდა ოთხივე ფეხს, რომ იგი ზურგით მისკენ ყოფილიყო, პირით კი ხევისბერისკენ. ამის შემდეგ ხევისბერი ისევ იტყოდა: „შენ სასახელოდ იყოს (იტყოდა იმ სალოცავის სახელს,

სადაც იყვნენ, მაგალითად, „დიდო ლაღო იახსარო“) ეს სამსახური შემოწირული, შენთვის შემოუწირავ გადამდგომთ დასტურთა. შაიწირე, ნუ შეანანებ, სიხარულად გაუხადე“.

ამის შემდეგ ხევისბერი კლავდა საკლავს. გაიტანდა დაკლულ საკლავს იმ ადგილიდან და იმავე წესს ახალი დასტურების საკლავზე შეასრულებდა, მანამდე კი, იქ მყოფები ახალ დასტურებს დაამწყალობნებდნენ ანუ დალოცავდნენ: „გწყალობდესთ (მაგალითად, ლაღი იახსარი) გადამდგომთ დასტურთ, კვლავ უკეთესი გულით გიმსახუროსთ და შეგასრულებიოსთ თავისი სამსახური.“ ძველი და ახალი დასტურები დიდი მოწიწებით, ლოცვით და საალოცავისგან მადლის მოთხოვნით შედიოდნენ საკოდეში, ანთებდნენ სამ სანთელს და კოდზე აკრავდნენ. აქვე აწყობდნენ ახალი დასტურების მიერ მიტანილ რიტუალურ პურებს. ვერცხლის თასებში ასხამდნენ ლუდს და საწირავზე დებდნენ. ხუცესი, რომელთან ერთად ძველი და ახალი დასტურები ქუდმოხდილები იდგნენ, კვლავ იტყოდა დიდებას. ამის შემდეგ დასტურები ასხამდნენ ლუდს. ერთ თასს ხევისბერს მისცემდნენ, დანარჩენებს თვითონ დაიჭერდნენ. ხევისბერი ისევ დალოცავდა დასტურებს, დასტურები კი ერთმანეთს. ამის შემდეგ ხევისბერი რიტუალურ პურებს ჯვრის ფორმით გაჭრიდა და იტყოდა: „შენ სასახელოდ იყოს, ჩვენო სალოცაო მაგალითად, ლაღო იახსარო, ეს დაჭვრეთილი სეფისკვერიც (ანუ დასტურების მიერ მოტანილი რიტუალური პური) და ზედაშეც (ანუ სასმელი).“ ამის შემდეგ კვლავ ივსებოდა თასები. ხევისბერი მიცვალებულებს მოიხსენიებდა და შენდობას ეტყოდა. შესანდობარს სხვებიც შესვამდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა ლხინი, სიმღერა, დროსტარება, ლექსობა თუ ცეკვა. საღამოს ხალხი სალოცავს მადლს სთხოვდა, დასტურ-ხევისბრებს დალოცვას და შინ ბრუნდებოდა. დღეობის ბოლოს დასტურები ყველაფერს ასუფთავებდნენ და ხატის სხვა მსახურებთან ერთად სახლებში ბრუნდებოდნენ.

<u>თუშეთში</u> ამაღლება მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე იყო. ყველა ოჯახი სასაფლაოზე შლიდა სუფრას, ანთებდა სანთლებს და მიცვალებულს შენდობას ეტყოდა. ქერქგაცლილ არყის ხის პატარა რჩხას წითელ კვერცხებს, ვაშლებს და სხვა ხილს წამოაცმევდნენ, რთავდნენ ყვავილებით და ახალ მიცვალებულს თავთან ურჭობდნენ.

ახალი მიცვალებულის პატრონი დაუქორწინებელ ქალს ან ვაჟს საფლავის თავთან ბელტს ამოაჭრევინებდა. კოვზი, ქიტი და ერთი კოტორი ბელტის ამომჭრელს მიჰქონდა.

არმაზობა

ქართული საისტორიო წყაროს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნაწილში, „მოქცევაი ქართლისაიში“, მოთხრობილია წარმართული კერპის, არმაზისა და მისი დღესასწაულის შესახებ. არმაზის კერპისადმი მიძღვნილ დღესასწაულს ჩვენ პირობითად არმაზობა ვუწოდეთ.

არმაზციხე, რომლის ნაშთები დღემდეა მოღწეული, ქართველ წარმართ მეფეთა რეზიდენცია და რელიგიური ცენტრი იყო. მცხეთა ქ.შ. IV ს-ში ძლიერი ქალაქი იყო. მასზე მატიანეში ნათქვამია, რომ ეს ის ქალაქია: „სადაც ღმერთები ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. არმაზციხეში სამი მეომრის ქანდაკება იდგა. შუაში მდგომი მეომარი გამოირჩეოდა ზარდამცემი, პირქუში გამომეტყველებით და სპილენძისაგან იყო ჩამოსხმული. ტანზე ოქროს ჯაჭვის პერანგი ეცვა, თავზე ჩაბალახი ეხურა, თვალები ზურმუხტისა და ბივრიტის ჰქონდა, მოელვარე ხმალი ეჭირა, რომელიც მის ხელში მოძრაობდა. ეს იყო არმაზი, ვის დანახვაზე მეფე, დიდებულები, უბრალო ხალხი შიშისგან ძრწოდნენ. არმაზის მარჯვნივ ოქროს მეომარი იდგა, მარცხნივ კი - ვერცხლის. ქართლის მცხოვრებლებს ისინიც თავიანთ ღმერთებად მიაჩნდათ.

არმაზი ქართლის სამეფოს უზენაესი ღვთაება იყო, სტიქიათა (მზისა და წვიმის) გამგებელი.

როგორც ცნობილია, ქ.შ. IV ს-ში წმინდა ნინო იერუსალიმიდან ქართლის სამეფოში მოვიდა, რომ ენახა და ქრისტეს რჯულზე მოექცია ის ქვეყანა, სადაც უფლის კვართი იყო და დღემდე არის. ამისათვის გრძელი და ხიფათიანი გზა გამოიარა. ამ გზაზე წმ. ნინოს იესო ქრისტე გამოეცხადა, გააძხნევა და იმ საქმისთვის აკურთხა, რაც მიზნად ჰქონდა დასახული.

არმაზობის დღესასწაული 6 აგვისტოს (ძველი სტილით) იმართებოდა ხოლმე. წყარო ასე აღწერს არმაზობას: ამ დღეს უამრავი

ხალხი დაიძრა არმაზის კერპის თაყვანსაცემად და მისთვის მსხვერ-
პლის შესაწირად. არა მარტო მცხეთელები მოდიოდნენ, არამედ ყვე-
ლა, ვისაც დედაქალაქში შეეძლო მისვლა. გაისმა საყვირისა და „ძა-
ხილის“ ხმა. ხალხი შეგროვდა. მალე დედოფალი ნანაც გამოჩნდა.
ქუჩები ფერადი ქსოვილებითა და ფოთლებით იყო მოფენილი. ხალხი
მეფეს ადიდებდა. მეფეც გამოჩნდა. იგი არმაზის კერპისკენ გაემართა.
ხალხი უკან მიჰყვა. წყაროს თქმით: „მთები ხალხით და დროშებით
აივსო“. ამ ხალხს წმ. ნინოც გაჰყვა და კერპებთან ახლოს ნაპრალში
მოახერხა დამალვა. როდესაც დაინახა, როგორ ეთაყვანებოდნენ ხე-
ლით შექმნილ, უტყვ, უსულო კერპებს ქართლის მცხოვრებლები, შე-
შფოთდა, დაიწყო ლოცვა და ღმერთს ცრემლით ევედრებოდა, კერ-
პები დაექცია. გადმოცემის მიხედვით, ამ დროს მირიან მეფე არმაზს
მსხვერპლს სწირავდა; წმ. ნინოს ცრემლებიდან კი წყარო გაჩნდა,
რომელიც დღემდე არმაზის მთაზე მოედინება. ღმერთმა შეისმინა წმ.
ნინოს ლოცვა, საშინელი ქარბუქი და სეტყვა მოავლინა და სამივე
კერპი დალეწა.

მალე წმინდა მირიან მეფეც და ქართლის მოსახლეობაც მოინათ-
ლა, გაქრისტიანდა და წარმართული კერპები: არმაზი, გაცი და გაიმი
(ასე ერქვათ არმაზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მდგომ ქანდაკე-
ბებს) უარჰყო. არმაზობის დღესასწაულიც გაუქმდა და ნელ-ნელა და-
ვიწყებას მიეცა.

ატოცობა

ატოცის წმ. გიორგის სალოცავი ფრონეს ხეობის (ქართლი) ყვე-
ლაზე დიდი და ძლიერი სალოცავია. მისი სიძლიერე, როგორც ჩანს,
ატოცის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატიდან მომდინარეობს.
ატოცობას ქაშეთობასაც უწოდებდნენ. მისი დღესასწაული სექტემ-
ბრის ბოლო კვირას იწყებოდა და 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა.
ატოცობა ასევე 23 (6 მაისს) აპრილსაც აღინიშნებოდა. ხალხი ატო-
ცის წმ გიორგის სულით ავადმყოფების განკურნებას შესთხოვდა.
დღესასწაულზე სულით ავადმყოფები ატოცის წმ. გიორგიში მიყავ-

დათ. აქ მლოცველი ღამისთევით მიდიოდა, მიჰყავდათ საკლავი, შეესაწირი. დილით ვისაც შეთქმული ჰქონდა, კისერზე დადიანურის სახელით ცნობილ ხატის ჯაჭვს დაიდებდა და ეკლესიას სამჯერ მუხლმოდრეკილი შემოუვლიდა. სალოცავში მიდიოდნენ ქადაგებიც. მლოცველი კლავდა: კურატებს, ყოჩებს, აფრენდა მამლებს. ზოგიერთი მორწმუნე ეკლესიას ბამბის ძაფს შემოავლებდა ხოლმე. ამ ძაფს ღვთისმშობლის სარტყელს ეძახდნენ.

ატოცის წმ. გიორგისთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა. ერთ-ერთ ატოცობას, რომელიც გაზაფხულის გიორგობას იმართებოდა, საზარელი გველეშაპი გამოჩნდა, ეკლესიას შემოერტყა და კართან საკუთარი კუდი ჩაიდო პირში. როდესაც მლოცველი ეკლესიის კართან მივიდა, მან კუდი პირიდან გამოიღო და ხალხი ეკლესიაში შეუშვა, შემდეგ ისევ ჩაიდო. როდესაც ხალხი გამოდიოდა, ისევ გამოიღო კუდი პირიდან, მლოცველები გამოუშვა და კუდი კვლავ ჩაიდო პირში. გველეშაპი ლეგენდის მიხედვით ასე სამი დღე დარჩენილა ეკლესიაზე შემოხვეული, შემდეგ კი გაუჩინარებულა.

აღდგომა

აღდგომა უდიდესი და უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაულია. როგორც კარგადაა ცნობილი, იესო ქრისტე განკაცებული ღმერთია, რომელიც იშვა, დაიბადა, რათა თავის თავზე აეღო ჩვენი ცოდვები, საკუთარი ვნებით, ტანჯვით გამოესყიდა ისინი და სასუფეველში მარადიული სიცოცხლის შესაძლებლობა მოენიჭებინა ჩვენთვის. იესო ქრისტე ებრაელთა პასექის წინ, პარასკევ დღეს აცვეს ჯვარს, დაკრძალვიდან მესამე დღეს კი მკვდრეთით აღდგა, შემუსრა ჯოჯოხეთის კარი და მართალ სულებს სასუფევლისკენ გაუხსნა გზა. მანამდე კი მათაც, ვინც სასუფეველში ნეტარ ცხოვრებას იმსახურებდა, არ ჰქონდათ იქ მოხვედრის საშუალება.

<u>სვანეთში</u> აღდგომას ანუ თანაფს ყველა ოჯახი სულგუნით იხსნილებდა. სვანები დიდმარხვაში გასახსნილებლად პატარ-პატარა სულგუნებს აკეთებდნენ, თითოს თითო ადამიანისათვის. პირის გახსნის

შემდეგ ოჯახი დიდ ხუთშაბათს მონაწველი რძის ყველისაგან აცხობდა ხაჭაპურს, რომელიც მწველავ ქალს შესაწირად მიჰქონდა მაცხოვრის საყდარში. ხაჭაპური შინაური ცხოველის გასამრავლებლად და დასაცავად იწირებოდა. მისი ჭამა მხოლოდ ქალებს შეეძლოთ, ლოცვასაც ისინი ასრულებდნენ და ასე ილოცებდნენ: „მაცხოვარო, უფალო, სულდგმულები გაგვიმრავლე და მგელი ააცდინე“. დრო, რომელიც აღდგომას მოსდევდა, კარგ დროდ მიაჩნდათ, ბალახი ჩნდებაო და ზამთარში გამოსაკვებად გაბარებულ საქონელს ური ლილჩალის ანუ ურია მარხვის (დიდმარხვის) დასასრულს უკან იბრუნებდნენ. აღდგომა სვანებისთვის ზამთრიდან ზაფხულზე გარდამავალი დღე იყო. ამ დღეს მათთვის ბუნება იღვიძებდა და სიცოცხლე ძალებს იკრებდა. სოფელ ლახამულაში სვანები ზეცისკენ ძახილის წესს ასრულებდნენ. როდესაც აღდგომას ეკლესიაში ყველაფერი დასრულდებოდა და ხალხი ალიონზე ეზოში გამოვიდოდა, ყველაზე ძლიერი ხმის პატრონი მთელი ძალ-ღონით ზეცას ასძახებდა: „ქრისტე აღდგა! ეშმაკს გეწყინება, ანგელოზო გიხარია!“

<u>რაჭაშიც</u> აღდგომას იგივე წესები სრულდებოდა. ოჯახში, სუფრაზე ყველას 4-5 წითელი კვერცხი ეწყო. ვიდრე სადილად დასხდებოდნენ, უფროსი დიასახლისი აიღებდა საოჯახო განატეხს, ჭიქა ღვინოს, განატეხს წაღმა შეატრიალებდა და დაილოცებოდა (ამ დროს კედელზე ანთებული სანთელი იყო მიკრული): „აღდგომის ძალო და მადლო, კაი წელიწადი დაგვიყენე, ბევრი აღდგომა მოასწარი ყველა ჩვენიანს“. განატეხი ოჯახის ყველა წევრს უნაწილდებოდა. იგი სადილამდე უნდა შეეჭამათ. ამ დღეს ხალხს წითელი კვერცხები სახლშიც ჰქონდა და ეკლესიაშიც მიჰქონდა.

ძველად შაბათს, ადრე საღამოს ბავშვები ეკლესიაში ცისკრის ლოცვამდე ანუ განთიადამდე რეკავდნენ ზარს, რის შემდეგაც ყველა ერთმანეთს ულოცავდა, ერთმანეთს უცვლიდნენ წითელ კვერცხებს. იყო შეჯიბრი ანუ კვერცხებს ერთმანეთზე ურტყამდნენ, ვისი უფრო მაგარი გამოდგებოდა. შემდეგ ქალები და ბავშვები შინ ბრუნდებოდნენ, კაცები კი ჩამოსარიგს არიგებდნენ. ამ ჩამოსარიგში პასკაც შედიოდა, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შემოვიდა ჩვენში. საფლავზე სანთლებს ანთებდნენ და წითელ კვერცხებს დებდნენ. ამ

კვერცხებს ბავშვები აგროვებდნენ და მთელი დღე აგორებდნენ. იმართებოდა ცეკვები, ფერხულები, მღეროდნენ სააღდგომო სიმღერებს. სააღდგომო სიმღერები ამაღლებამდე იმღერებოდა.

<u>ლეჩხუმში</u> ეკლესიაში ცისკარზე დასასწრებად გამთენიისას მიდიოდნენ. მლოცველები ეკლესიის სასაფლაოზე თავიანთ მიცვალებულებს საფლავზე ერთ სანთელს „მკვდრის გულზე“ უნთებდნენ და წითელ კვერცხებს უგორებდნენ – „გაგვინათე ჩვენი მკვდარიო“. კვერცხებს ზოგი ტოვებდა, ზოგსაც შინ მიჰქონდა. შეიძლება ცისკარზე ვერ წასულიყვნენ, მაგრამ ოჯახში სუფრა აუცილებლად უნდა გაეშალათ. აცხობდნენ სამ ყველის გულიან სულის პურს, სუფრაზე ჰქონდათ, ხორცი, წითელი კვერცხები, ლავაშები. ანთებდნენ სანთლებს, ჭიქებს ღვინით ავსებდნენ. მიცვალებულებს ჯერ დიასახლისი „წაუდგამდა“ ღვინოს, შემდეგ ოჯახის უფროსი, დანარჩენი წევრები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გახსნილება. ცისკრისთვის ოჯახი „ჩამოსარიგს“ ამზადებდა და ხარებით ეკლესიაში მიჰქონდა. საფლავთან მომზადებულ სუფრაზე აწყობდნენ: გობებით შემწვარ და მოხარშულ ღორის ხორცს, მთლიანად შემწვარ ცხვარს, 7 ცალ სულის პურს, ღვინოს და სხვას. მაგიდის ყოველ კუთხეში თითო ანთებული სანთელი უნდა ყოფილიყო. სუფრას მღვდელი აკურთხებდა. ჭირისუფალი ცხვარს აჭრიდა, მღვდელი გულ-ღვიძლს დათლიდა, ოჯახის ყველა წევრს ურიგებდა და შენდობას ეტყოდა მიცვალებულებს, თავის წილ 3 სულის პურს, ცხვრის მარჯვენა ბეჭს, სათბილოს (დაკლული ხარის ან ძროხის თეძოსა და შუა წელს შორის არსებულ ნაწილს), ერთ ბოთლ ღვინოს მისცემდნენ, რის შემდეგაც მღვდელი სხვა სუფრასთან გადავიდოდა. როცა კურთხევა მოთავდებოდა, ჩამოსარიგი ცისკარზე მისულ მლოცველს ურიგდებოდა და ყველას უნდა შეხვედროდა, მიცვალებულის შესანდობარიც ყველას უნდა ეთქვა. ჩამოსარიგში შედიოდა: გობზე დაწყობილი ყველაფრის თითო ნაჭერი და ერთი ჭიქა ღვინო. დარჩენილი სანოვაგე ჭირისუფალს შინ მიჰქონდა.

ცისკრის ლოცვის შემდეგ ყველა საკუთარ სახლში ბრუნდებოდა. თურმე ძველად ეკლესიაში მისული ხალხი დიდ თემობას აწყობდა. ყველა სოფლიდან (მაგალითად, ორბეთის თემი) მოდიოდა ხალხი და სუფრასთან გვარეულობით სხდებოდა. ყველას თავიანთი პურ-ღვინო

მოჰქონდა. თითოეულ ოჯახს უნდა მიეტანა: ღორის ხორცი, 10-15 ლავაში, 3-5 ბოთლი ან ერთი თუნგი (ჩადიოდა 5 ბოთლი) ღვინო. ამ დღეს ერთმანეთთან მოსაკითხის გაგზავნა სცოდნიათ. ლხინი საღამომდე გრძელდებოდა. თუ რაიმე მორჩებოდათ, ყველა თავისას წაიღებდა.

<u>სამეგრელოში</u> აღდგომა დღესასწაულთა დღესასწაულად მიაჩნდათ. საღდგომო ღვთისმსახურება შუაღამეს იწყებოდა. მას უამრავი ხალხი ესწრებოდა. ზოგან ცხენით ეკლესიის ეზოში შესვლა იკრძალებოდა. ეკლესია, ეზო, სასაფლაოები სანთლებით იყო გაჩირაღდნებული. სასაფლაოზე წითელ კვერცხებს აგორებდნენ, რომლებსაც შემდეგ ახალგაზრდები იტაცებდნენ. ახალი მიცვალებულის პატრონს ეკლესიაში ელეგია მიჰქონდა ანუ ცხვრის, ღორის, საქონლისა და ფრინველის ხორცი, პასკა, კვერცხები. წირვის დამთავრების შემდეგ, ჯერ კიდევ გათენებამდე, მღვდელი გარეთ გამოდიოდა და ხალხს სამჯერ ულოცავდა. ამის შემდეგ მლოცველები, რომლებსაც ანთებული სანთლები ეჭირათ, პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდნენ. მნათეს ეკლესიიდან აღდგომის ხატი გამოჰქონდა და ხალხის წინ დგებოდა, მათ წინ კი - შემოსილი მღვდელი. მღვდელი მცირე ლოცვას აღავლენდა, რის შემდეგაც ყველა კირიელეისონის გალობით ტაძარს სამჯერ შემოუვლიდა. ბოლოს მნათე ხატს შეასვენებდა. მღვდელს და დიაკვანს ახალი მიცვალებულის ჭირისუფლები ელეგია-ტაბლის საკურთხებლად იწვევდნენ. კურთხევის შემდეგ ელეგიას ყველას უნაწილებდნენ. მღვდელს კურთხევაში ფულად გასამრჯელოსთან ერთად პასკას და ხორცის ნაჭრებს აძლევდნენ.

ელეგიასთან ხალხი ერთმანეთს კოცნითა და კვერცხების გაცვლით ულოცავდა აღდგომას. იმართებოდა კვერცხების „შერკინება“ ანუ კვერცხების ერთმანეთზე დარტყმა. ყველაზე საყვარელი გართობა არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში, წითელი კვერცხებით თამაში ანუ ბურთაობა ყოფილა. თამაშებს შორის თურმე მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ეს თამაში განსაკუთრებით სამეგრელოში ჰყვარებიათ. გარკვეული დროის შემდეგ „ქრისტე აღდგას“ გალობით ხალხი შინ ბრუნდებოდა. მოსახლეობა ამაღლებამდე „ქრისტე აღდგათი“ ესალმებოდა ერთმანეთს. ზოგან სამეგრელოში აღდგომას მუხის ამოგლეჯაც იცოდნენ.

გამაჰმადიანების მიუხედავად <u>აჭარაში</u> სააღდგომოდ კვერცხების წითლად შეღებვის წესი მაინც ყოფილა შემორჩენილი.

<u>გურიაში</u> ლიტანიობისას ყველა თითო კენჭს ისროდა და თან ამბობდა: „ვაი ურიას!“ წირვის შემდეგ ხალხი ერთმანეთს ულოცავდა და კვერცხებს უცვლიდა. ვისაც ეკლესიის ეზოში მიცვალებული ჰყავდა დაკრძალული, საფლავზე სანთელს ანთებდა და წითელ კვერცხებს დებდა, რომ ამგვარად მიცვალებულებიც აღდგომის თანამონაწილეებად გაეხადა. ძველად ამ კუთხეში წითელი კვერცხებით და ბატკნით იხსნილებდნენ. რაც შეეხება პასკას, ის ამ კუთხეში XIX საუკუნის 90-იან წლებში ახალი შესული ყოფილა. გახსნილების შემდეგ ცეკვა, სიმღერა, კრივი, ჭიდაობა იმართებოდა. ამგვარი თამაშობები მთელი გაზაფხული გრძელდებოდა.

<u>იმერეთში</u> ხალხი შაბათ საღამოს მიდიოდა ეკლესიაში. პირველი მამლის ყივილზე მოუხშირებდნენ ზარების რეკვას, ბუკით ძახილს. მებუკეებს მრევლში ირჩევდნენ და ბუკით მხოლოდ მათ უნდა მოეხმოთ ხალხი. ბუკის ხმა, რა შორსაც უნდა ყოფილიყო, ყველას აღვიძებდა. მეორე ან მესამე მამლის ყივილზე ყველა ეკლესიაში იქნებოდა. მღვდელი თავის მრევლს მოიკითხავდა. როდესაც დარწმუნდებოდა, ყველა ადგილზე იყო, აასვენებდა ჯვარს და ხატს. მღვდელი და მრევლი, რომლებსაც ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ, ზარისა და ბუკის ხმაზე სამჯერ შემოუვლიდნენ ტაძარს და მის დასავლეთ კედელთან დადგებოდნენ. მღვდელი მოუბრუნდებოდა ხალხს და ასე დალოცავდა: „დიდება ღმერთსა, სამებულ-დიდებულო ღმერთო და აღდგომაო ქრისტესო, შენ შეეწიე ჩვენს მეფეს, ხელმწიფეს, განაძლიერე მისი სამეფო და დაუმორჩილნე ყოველნი მტერნი და მებრძოლნი ქვეშე ფერხთა მისთა. ყოველ საქმეში უშველე და განაძლიერე“. ხალხი უპასუხებდა: „უშველე და განაძლიერე“. მღვდელი ასევე დალოცავდა მრევლს, თავადს, აზნაურს, გლეხს. მის დალოცვაზე ხალხი იმავეს პასუხობდა. ასევე დალოცავდნენ სხვა მრევლიდან მოყვანილ და სხვა მრევლში გათხოვილ ქალებს, ეკლესიისთვის შეწირულობის გამღებლებს. წირვის დამთავრების შემდეგ ეკლესიის გალავანში დასხდებოდნენ, გაიხსნილებდნენ, რის შემდეგაც სახლში წავიდოდნენ. ამ დღეს იცოდნენ სტუმრიანობა, დროსტარება და მხიარულება.

იმერეთში აღდგომას ბურთაობა სცოდნიათ. შეიყრებოდა დიდძალი ხალხი და ორად გაიყოფოდა. ვეებერთელა წითელ ბურთს ააგდებდნენ და რომელი მხარეც მას ხელთ იგდებდა, გამარჯვებულიც ის იყო. თურმე ამ გართობაში თავად მეფეებიც მონაწილეობდნენ. ძველად თბილისში, მას შემდეგ, რაც მეფე და დედოფალი ხორცით გაიხსნილებდა, იმართებოდა ასპარეზობა.

<u>მეხეთში</u> სააღდგომოდ აცხობდნენ ქადას, შაქარლამას და რძით შემზადებულ ნაზუქს. ზოგჯერ ნაზუქს კარაქსაც უკეთებდნენ, აცხობდნენ პასკას. ნაზუქის ფორმის ტკბილი შაქარლამა ყველაზე საპატივცემულო მისართმევი იყო. რა თქმა უნდა, სააღდგომოდ ღებავდნენ კვერცხებს. როგორც წესი, კვერცხები პარასკევს იღებებოდა. თუ რაღაცის გამო ეს ვერ მოხერხდებოდა, კვერცხის შეღებვა შაბათს მზის ჩასვლამდე უნდა მოესწროთ. კვერცხს ენდროსთან ერთად ხახვის ფურცლითაც ღებავდნენ. კვერცხს რომ არ ეკაკუნა, ქვაბს ძირში ხახვის ფურცელს ჩაუფენდნენ, ზოგჯერ ხახვის ფურცელს ჭინჭარსაც ურევდნენ, ახალ ჭინჭარს სასარგებლო თვისებები აქვსო. ხახვის და ჭინჭრის შემდეგ ქვაბში დანაყილ ენდროს და კვერცხებს დებდნენ და ხარშავდნენ. შემდეგ გადმოდგმულ ქვაბს დიდხანს ხელს არ ახლებდნენ, რომ კვერცხი კარგად შეღებილიყო. აღდგომას ერთმანეთს ასე ესალმებოდნენ: ქრისტე აღდგა! – იტყოდა ერთი. ჭეშმარიტად, მადლი მახარობელს, – პასუხობდა მეორე.

აღდგომას კვერცხს ერთმანეთს წვერით ურტყამდნენ, მეორე დღეს ბოლოთი დარტყმაც შეიძლებოდა. ვინც სხვას კვერცხს გაუტეხავდა, გამარჯვებულიც ის იყო და კვერცხიც მას რჩებოდა.

<u>აღმოსავლეთ საქართველოშიც</u> ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, ზიარებას იღებდა.

<u>ქართლში</u>, მცხოვრებთა გადმოცემით, აღდგომიდან ერთი კვეირის განმავლობაში სულ ზარების რეკვა ისმოდა.

<u>კახეთში</u> ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები საფლავზე გადიოდნენ, საფლავებზე კვერცხებს აგორებდნენ. ეკლესიაში პასკის კურთხევა იცოდნენ, სახლში კი აუცილებლად ღორი უნდა დაეკლათ. კლავდნენ ქათმებს, ინდაურს, მიცვალებულს უჭრიდნენ ზურგიელს, ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს და ქეიფობდნენ. აცხობდ-

ნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ. იცოდნენ კვერცხებით „თამაში“. ნათლიას კვერცხებს და კელაპტრებს უგზავნიდნენ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში, რაჭასა</u> და <u>მესხეთში</u> ჭონას (იხ. ჭონა) წესი სრულდებოდა.

<u>საინგილოში</u>, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საღამოობის სამზადისი წითელი პარასკევიდან იწყებოდა. კვირას მამლის ყივილზე მთელი ოჯახი იღვიძებდა და მარხვას ღორის ხორცით იხსნილებდა. ერთ ნამცეც ღორის ხორცს დაღეჭავდნენ, გადმოაფურთხებდნენ და იტყოდნენ: „ლეკო, დაგხეჩ!“ აღდგომა დღეს ამ სიტყვებს მაშინაც იმეორებდნენ, როდესაც ლეკს დაინახავდნენ. დილით გაღვიძებული ოჯახის ყველა წევრი ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამდა და სახლის აღმოსავლეთ კუთხესთან ანთებული სანთლებით დადგებოდა. იქვე სახსნილო საჭმელებიანი ხონჩა ედგათ. ოჯახის წევრები ღმერთს და ქურმუხის ტაძარს ეევედრებოდნენ: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო გახსნილებას მუდამ დაგვასწარი“. ამის შემდეგ კლავდნენ ყოჩს, ბატკანს ან ქათამს (ვარიას). ხონჩებზე სხვადასხვა სანოვაგეს აწყობდნენ და თავიანთ საგვარეულო სალოცავებში მიდიოდნენ. ეს სალოცავები ხშირად ნიშების მსგავსი ნაგებობები იყო. აქ ინგილოები სანთლებს ანთებდნენ, აკმევდნენ საკმეველს, კლავდნენ საკლავს და ლოცულობდნენ. სალოცავში ნათესავები ერთად სხდებოდნენ, სამხრობდნენ, რის შემდეგაც სახლში ბრუნდებოდნენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს აღდგომას ულოცავდნენ. ინგილოებს, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ქრისტე აღდგათი მისალმება არ სცოდნიათ. ისინი ერთმანეთს ასე ულოცავდნენ: გილოცავ გახსნილებას, – ეტყოდა ერთი. მეც გილოცავ, ღმერთმა მრავალ გახსნილებას დაგასწროს ყაუმ-ყარდაშით ანუ ნათესავებით, – პასუხობდა მეორე.

<u>მთიულეთში</u> მამაკაცები ხატში ღამეს ათევდნენ. იქვე იყვნენ ბავშვებიც, რომლებიც წინასწარ შეგროვებულ შეშას თენებისას ცეცხლს უკიდებდნენ იქ, სადაც დეკანოზი წითელ პარასკევს გამოსვენებულ ხატს მიასვენებდა.

თურმე ძველად სოფელ გოგნაურში ტაძართან მიწაში ქვევრები ყოფილა, სადაც თითოეული საგვარეულოს მიერ შემოწირული ღვინო ინახებოდა და მას ხატში არყის ნაცვლად სვამდნენ.

ხატის გამობრძანების შემდეგ დეკანოზი სამჯერ ხმამაღლა იტყოდა: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად! – პასუხობდა ხალხი, რის შემდეგაც ყველა გაიხსნილებდა და შინ დაბრუნდებოდა.

სახლში დიასახლისს სადილი ჰქონდა გამზადებული. კერძოდ: ფაფა, ერბო-ხალი (მოხალული ხორბლისგან დამზადებული კერძი) და ხმიადი (რიტუალური პური). სადილის შემდეგ 10 წლამდე გოგონები და მამაკაცები ხატში მიდიოდნენ. ხატში მიჰქონდათ სამი ჯამი ფაფა, ხმიადი და ერბო-ხალი. ხატში დეკანოზი მლოცველის ძღვენს დააწყობდა და სამჯერ იტყოდა: ქრისტე აღდგა! ამ დღეს ხატში საკლავის მიყვანაც იცოდნენ. მიიყვანდნენ ჭედილას ან ბერწ ნერბს (დედალ ცხვარს). ამ დღეს ყველა მეკომურს იმდენი სანთელი და სამწყალობნო მიჰქონდა ხატში, რამდენი ნიშიც იყო სოფელში. ხატში მისულები იწერდნენ პირჯვარს, სამჯერ მიწას ემთხვეოდნენ და იტყოდნენ: „დიდებულო ღმერთო, ქებულო და მადლიანო! ღმერთო, შენ ხარ ადამიანის გულთამხილავი, შენ ხარ გამჩენი ყველაფრის! ღმერთო, შენგანაა გაჩენილი ყველა ხორციელი, რჯულიანი და ურჯულო! ღმერთო, შენგან ხდება ყველაფერი ქვეყანაზე, ზამთარ-ზაფხული, წარღვნა და ქვეყნის აშენება, ყველა სურიალის (ანუ სულიერის) სიცოცხლე და სიკვდილი, ყველა ადამიანის ჯანმრთელობა და სისნეულე. ღმერთო, შენ უშველე შენს გაჩენილს. ღმერთო და დღევანდელი დღის მადლო, ქრისტე აღდგომის მადლო, დიდებულო და ტანჯულო იასოვ ქრისტევ, დიდებულო ჩვენო სალოცაო, თქვენ გვიშველეთ, თქვენი დავლათი დაგოხმარეთ, მრავალს ქრისტეს აღდგომას დაგოსწარით, მშვიდობით, სიხარულით, კარგა ყოფნით, თქვენთვის სადიდებლად და საქებრად, ჩვენ ხორციელნი ბრიყვნი და რეგვენნი ღირსნი არ ვართ თქვენს ქება-დიდების, თუ რაიმეს ვჩადიოდეთ თქვენთვის უსიამოვნოდ ჩვენს ჩვენის უცოდინარობით, ნუ შეგონანებთ ჩვენ რეგვენთ; ალლად მიიღე ჩვენი სამსახური ყოველთვის და ეს მოგვირთმევია, კვლავ-კიდენ მრავალ სხვას მოგართმევთ“. რამდენჯერმე გადაიწერდნენ პირჯვარს და კედელს მიაკრავდნენ სანთლებს. ჭრიდნენ სამწყალობნოს, ნაწილს ხატში ტოვებდნენ, დანარჩენი სახლში მიჰქონდათ.

ხატში მისულები სამწყალობნოს, სანთლებს, შესაწირავებს: თასს, ჯვარს, საპერანგეს და სხვას აძლევდნენ დეკანოზს, რომელიც მათ

ამწყალობნებდა: „ღმერთო დიდებულო, ღმერთო მადლიანო, ღმერთო და დღევანდელი დღისა მადლო, ქრისტე აღდგომის მადლო, დიდებულო (იტყოდნენ იმ ხატის სახელს სადაც იყვნენ) მოურთმევია შენთვის (იტყოდა შემწირავის სახელს) სანთელი და სმწყალობნო. სადიდებლად, უშველე, უმეშვლე, საწალმართოდ მოყარე, მიეცი მადლი და ბარაქა, მაგათ ნახნავ-ნათესს, ნაწველ-ნადღვებს, ხარის ქედს და კაცის მარჯვენას. თუ სნეული ჰყავდეს, ულხინე, მოურჩინე. თუ გასაზრდელი ჰყავდეს, გაუზარდე, კარგად, ბედნიერად დაუბერე, ხელი მოუმართე მაგათ ჯარში წასულს, მშვიდობით დაუბრუნე, მშვიდობით მაგათი ოჯახი დაახვედრე. ხელი მოუმართე აგრეთვე სამგზავროზე წასულს და მწყემსსაც. ნურაფერს გაუჭირვებ მაგათ მეკომურობას, საწალმართოდ მოყარე, ავი საქმე აშორე, კეთილ საქმეზე დაარიგე, იყმე, იმსახურე, შენთვის სადიდებლად, თავისთვის სარჩენად“.

ამის შემდეგ დეკანოზი რამდენჯერმე დროშას შეარხევდა და ზარს დარეკავდა. ყველას მიტანილ სანთელს ანთებდა და ყველას ლოცავდა.

დაკლული საკლავის ხორცს მზარეულები ამზადებდნენ. ამ ხორცის ნახევარს ხარშავდნენ, ნახევარს კი ინახავდნენ. ხორცი ყველას უნდა ეჭამა. ვისაც იმ წელს ვაჟი ჰყავდა შეძენილი, ხატში საწულო მიჰყავდა. საწულო იყო საკლავი, კერძოდ, ცხვარი ან ბოჩოლა. ახალგაზრდები დეკანოზს ე.წ. საბარჯო თასს მოსთხოვდნენ. მასში 1/2ლ არაყი ჩადიოდა. ვინც ამ თასს არ დაცლიდა და ისე დადგამდა, მას სოფელი იმ დღესვე ჯარიმად ხარს აკვლევინებდა. ამ დღეს სხვადასხვა სახის სამართლებრივი ხასიათის წესებიც სრულდებოდა.

<u>გუდამაყარში</u>, როდესაც ეკლესიები ჯერ არ იყო დანგრეული*, ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა და ზიარებას იღებდა. აღდგომა

---

* ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოში თავისი მმართველობის დამყარების შემდეგ მრავალი ეკლესია დანგრია და გადარჩენილი ტაძრების დიდ უმრავლესობაში წირვა-ლოცვა გააუქმა. ასევე მოხდა რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებშიც. მოგვიანებით, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახდა, საქართველოში მიტოვებული ეკლესიების დიდ ნაწილში ღვთისმსახურების აღდგენა დაიწყო. გაიხსნა მონასტრები. დღეს წირვა-ლოცვა არა მარტო ძველ ეკლესიებში აღევლინება, არამედ მრავალი ახალი ტაძარი აშენდა და შენდება.

დიდი დღესასწაული იყო და ბევრ სოფელში ხატში გადიოდნენ. ზოგ სოფელში ხატში მხოლოდ კაცები მიდიოდნენ. ლიტანიობა ღამე რომ თენდებოდა, დგებოდა აღდგომა.

<u>ხევში</u> ისევე, როგორც სხვაგან, ეკლესიიდან გამოსული ხალხი ერთმანეთს ულოცავდა: ქრისტე აღდგა! ხევში ბავშვები მარხვას ჩამოხსნიდნენ, ფეხს ამოკრავდნენ, ჯოხს დაჰკრავდნენ და იძახდნენ: მარხვა გაჩანჩალდაო, ხსნილი მე დამრჩაო, ყველ-ერბო მე დამრჩაო. მარხვა იყო ნაცრიანი პარკი, რომელსაც 7 ფრთა უკეთდებოდა და რომელსაც დიდმარხვის დაწყებისთანავე ჰკიდებდნენ ხოლმე ოჯახში. დიდმარხვის თითო კვირის გასვლის შემდეგ მარხვას თითო ფრთას აცლიდნენ. თუ ბავშვი სახსნილოს ჭამას მოინდომებდა, უფროსები მას მარხვით (ნაცრიანი პარკით) აშინებდნენ. მარხვის გახსნილება კვერცხით იცოდნენ. სააღდგომო სუფრაზე ჰქონდათ: გოჭი, ქადა, თეფშზე დათესილი ხორბალი ან ჯეჯილი, რომელშიც წითელი კვერცხები ეწყო.

ბავშვები სახლის გარეთ სათანადო ადგილს შეარჩევდნენ და აგორებდნენ კვერცხებს. ვინც თავის კვერცხს სხვისას მოარტყამდა, მოგებულიც ის რჩებოდა. ზოგიც რამდენიმე კვერცხს ერთად აწყობდა და გარკვეული მანძილიდან კვერცხს ესროდა. ძველად დაწყობილ კვერცხებს ისრებსაც ესროდნენ.

ზოგი აღდგომას ხატშიც გადიოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ხატი სტეფანწმინდის წმ. გიორგიც იყო. ხატში მისულ მლოცველებს დეკანოზი ხვდებოდა. მიჰყავდათ საკლავი: ხბო ან უფრო ხშირად ბატკანი. მიჰქონდათ ქადა-სანთელი, წითელი კვერცხები. ქადას მიუტანდნენ დეკანოზს. ის დაილოცებოდა, ქადას გაჭრიდა, ნახევარს თავისთვის იტოვებდა, მეორე ნახევარს პატრონს უბრუნებდა. დეკანოზი ანთებდა სანთელს, შეუტუსავდა საკლავს ბეწვს და კლავდა. საკლავის დაკვლისას დეკანოზი მლოცველის ოჯახს ღმერთს შეახვეწებდა. გადაიწერდა პირჯვარს, ჯვარს, რომელიც ხელში ეკავა, აკოცებდა, თან მუხლზე იდგა. ვისიც საკლავი იყო, იმ ოჯახის ბავშვს შუბლზე ჯვრის ფორმით სისხლს წაუსვამდა. საკლავის მხარს დეკანოზს აძლევდნენ. ხატში საგანგებო ყულაბა იყო, სადაც ფულს სწირავდნენ. როდესაც სუფრა იშლებოდა, წითელი კვერცხებიც იმ სუფრაზე მიჰქონდათ.

კვერცხებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ, ეთამაშებოდნენ. ხატიდან წითელი კვერცხების წამოღება არ შეიძლებოდა.

<u>ფშავ-ხევსურეთშიც</u> აღდგომას იმართებოდა ხატობები. ხატში აქაც ქადა-სანთელი მიჰქონდათ, მიჰყავდათ საკლავი, მხიარულობდნენ. მარხვას პურ-ყველით და შემდეგ ხორცით იხსნილებდნენ.

<u>ფშავში</u> მარხვის გახსნისას იახსრის სალოცავში ასე ამბობდნენ: „ღმერთო და ჩემო სალოცავო, ლაღო იახსარო, უშველე შენთა ყმათა და ბევრი აღდგომა და მარხვის გახსნა მშვიდობისა და კარგა ყოფნისა მიჰგვარე“.

<u>ხევსურეთში</u> აღდგომას ანუ ახვსებას, როგორც მას ხევსურები უწოდებდნენ, არხოტის თემში, ერთი გამორჩეული წესი სრულდებოდა. მას მარიამწმინდობას ეძახდნენ. ამ დღეს არხოტის ჯვარში სადღეობოდ ყველა ბავშვს ერთი ქუდი ხიფხოლა (მიწის ვაშლის მსგავსი მცენარის ტკბილი ძირი) და ორი ტყვია მიჰქონდა. მარიამწმინდობაში 14 წლის მოზარდები იღებდნენ მონაწილეობას. გურჯინას ანუ ჩალით გატენილი გოდორის დასამზადებლად წნელი ბავშვებს ტყიდან მოჰქონდათ. გურჯინას ბავშვებს რომელიმე უფროსი დაუწნავდა. ერთგან შეგროვილი ბავშვები წილისყრით დასტურებს ირჩევდნენ, რომლებსაც სალუდე ქვაბის მოტანა და შემოწირული ხინკლის, ქადისკვერების ჩასაწყობი ბაკნის მომზადება ევალებოდათ, ხელოსანს კი სათმეებდახვეული ხის ჯვრის მიტანა და მარიამწმინდობის წესების გაძღოლა. შეკრების ადგილზე, ერთ-ერთ ჭერხოში (ხევსურული სახლის ზედა სართული) მიიტანდნენ შეშას და ასადუღებლად შემოდგამდნენ ლუდს. ეს წესები საღამოს სრულდებოდა. სოფლიდან ბავშვებისთვის ერბოძღვენის მომტანი დაიძახებდა: „საკვლევ მამაქვს დამამწყალობნეთ!“ თუ დაინახავდნენ, დაძახება აღარ სჭირდებოდათ, თვითონ ამწყალობნებდნენ: „დედა მარიამო, შენ სწყალობდი ჩვენს მამკვლევს, მაგათ ხარსა, მაგათ ფურსა, გუთანსა, ხარის ნახნავსა, ფურის ნაწველს“.

ღამეს ბავშვები ხატში ათენებდნენ. თენებას რომ დაიწყებდა, გურჯინას მთაზე აიტანდნენ. ამ დროს ჯვარიონი (ხატის მსახურები, უფროსები) ჟამს სწირავდა. როგორც კი ბავშვებს ზარის რეკვის ხმა შემოესმებოდათ, გურჯინას (გოდორს) მაშინვე წაუკიდებდნენ ცეცხლს და მთიდან აგორებდნენ. ცეცხლმოკიდებულ გოდორს ბავშვები

ჭალამდე სირბილით ჩამოყვებოდნენ. რაც არ დაიწვებოდა, ქვებს აყრიდნენ და მარხავდნენ. თუ მაინც რაიმე დარჩებოდა, შეარისხებდნენ. ამის შემდეგ თავიანთ არჩეულ ჭერხოში მიდიოდნენ, დარჩენილ ლუდს, ბაკანსა და შეშას მარიამწმინდაში (სოფლის თავზე ქვით და ჯიხვის რქებით შემოღობილი ადგილია) მიიტანდნენ, აანთებდნენ ცეცხლს და შემოუსხდებოდნენ. სოფლის მცხოვრებლები გათენებიდანვე იწყებდნენ საკლავის მიყვანას. საკლავის მიმყვანებს ბავშვები იმ სიტყვებით ამწყალობნებდნენ (ლოცავდნენ), რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი. თანაც ყველა ერთად ყვიროდა. წასულ მეზღვნეებსაც, როდესაც ისინი სახლში ბრუნდებოდნენ, გარკვეულ მანძილამდე სულ ამწყალობნებდნენ. ვინც საკლავს არ მიიყვანდა, შერისხავდნენ. მთიდან იმ ფერის ქვას აგორებდნენ, რა ფერის საქონელიც ჰყავდა მას, ვინც საკვლევი არ მიიტანა. საბავშვო დღეობის ბოლოს ბავშვები დარჩენილ ხინკალს და კეცეულებს ინაწილებდნენ და სახლებში მიჰქონდათ. დასტურს ორით მეტი, ხოლო ხელოსანს სამით მეტი ხინკალი და კეცეულები ეძლეოდა. სოფელ ამღაში, სადაც მარიამწმინდის ნაცვლად თეთრი გიორგის სახელზე ლოცულობდნენ, ბავშვებს დროშაც ჰონდათ. ამ დღეობებში მხოლოდ ბიჭები მონაწილეობდნენ.

<u>თუშეთში</u> აღდგომას ახვსებას ეძახდნენ. აღდგომის წინა ღამეს ბავშვებმა აქაც მარხვის ჩატკეცა, ანუ მარხვის გოდრის დაგორება იცოდნენ. ძველ გოდორს პირუტყვის ბაგიდან აღებული ჩალით, თივით ავსებდნენ, თავს წნელებით უკრავდნენ, სოფლის გარეთ გაჰქონდათ, ცეცხლს უკიდებდნენ და აგორებდნენ. თან მისდევდნენ, ჯოხებს ურტყამდნენ, ბოლოს ქვებსაც უმატებდნენ და დასასრულს ამბობდნენ: „მარხვა ჩავტკეცეთო.“

აღდგომის მესამე კვირა

აღდგომის მესამე კვირას ეკლესია გვახსენებს იმ დღეს, როდესაც პირველად გვეხარა, პირველად შევიტყვეთ, რომ უფალი აღდგა. მოიხსენიებს იოსებ არიმათიელს და ნიკოდემოსს, რომლებიც უფლის დაფლვის თვითმხილველები იყვნენ, და მენელსაცხებლე დედებს, რომ-

ლებსაც არც ჯვარცმისას მიუტოვებიათ მაცხოვარი, არც დაფლვისას, როდესაც, მიუხედავად საშიშროებისა, გამთენიისას სურნელოვანი ნელსაცხებლებით მისი სხეულის ტრადიციული, ებრაული წესით გასაპატიოსნებლად საფლავთან მივიდნენ. მენელსაცხებლე დედები იყვნენ: მარიამ მაგდალინელი (ვისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და ვინც მცირერიცხოვან ქალთა შორის მოციქულად იწოდება), მარიამ კლეოპასი (წმ. იოსებ დამწინდველის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. მისი ვაჟი სიმონი იყო სამოცდაათ მოციქულთაგან ერთ-ერთი და იერუსალიმის მეორე ეპისკოპოსი წმ. იაკობის შემდეგ), სალომე (მოციქულების: წმ. იოანე ღვთისმეტყველის და წმ. იაკობ ზებედეს დედა), იოანნა, ლაზარეს დები მართა და მარიამი, სუსანა.

წმ. იოსებ არიმათიელი და ნიკოდემოსი შეძლებული ებრაელები, სინაგოგის, წევრები და იესო ქრისტეს ფარული მოწაფეები იყვნენ. ნიკოდემოსი, მას შემდეგ, რაც მან არ გაიზიარა იუდეველების გადაწყვეტილება, გააგდეს სინაგოგიდან. გადმოცემის მიხედვით, მან პირველმა დაწერა ყველაფერი ქრისტეს შესახებ.

იოსებ არიმათიელმა პილატესაგან ჯვარცმული ქრისტეს დაფლვის, დასაფლავების უფლება გამოითხოვა. მისთვის სუდარა შეიძინა, გარდამოხსნა ჯვრიდან, შეახვია სუდარაში და თავის კუთვნილ საფლავში დაასვენა, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი და ლოდით იკეტებოდა. გადმოცემის მიხედვით, იოსებ არიმათიელი დაატყვევეს და თხრილში ჩააგდეს, მაგრამ ღვთაებრივმა ძალამ იგი გაათავისუფლა და ამოიყვანა. გადმოცემის მიხედვით, ტყვეობის დროს მას თავად იესო ქრისტე ამხნევებდა. იოსებ არიმათიელი სამშობლოში, არიმათიაში დაბრუნებულა და ყველას უამბობდა ქრისტეს შესახებ.

აღდგომის მესამე კვირა საქართველოში თავდაპირველად, V-X საუკუნეების საეკლესიო კალენდრის მიხედვით, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი დღესასწაული იყო. იგი ხალხში ქაშვეთობის სახელითაცაა ცნობილი. როგორც ცნობილია, აღდგომის მესამე კვირა დღე მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი დღესასწაულიცაა (იხ. მცხეთისჯვრობა).

ხევში, სოფლებში: არშაში, სნოში, ცდოში, ქოსელთაში, კარკუჩაში ამ დღეს კვირარძლობას აღნიშნავდნენ.

მთხრობელთა თქმით, კვირარძლობის სახელობის ეკლესიაში სოფელ სნოში პატარძლები მიჰყავდათ. ხალხს უკვე უჭირს ამ დღის სწორი თარიღის დასახელება და ხშირად მას კვირაცხოვლობაში ურევს.

სოფელ კარკუჩაში კვირარძლის სალოცავს თვალის სინათლეს შესთხოვენ. ვისაც თვალები ტკივა, დაკლავს ციკანს და ილოცებს: „ღმერთო მოგვე თვალის სინათლე“.

სოფელ ცდოში ამ დღეს ყველაწმინდობას/ღვთისმშობლობასაც აღნიშნავენ. ცდოში მამას ახალგათხოვილი ქალიშვილის სახელზე ციკანი მიჰყავდა ხატში შესაწირად.

აღება

აღება მარხვის დაწყების წინა დღეს ჰქვია. ზოგჯერ მას დაურწყებასაც ეძახდნენ. ამ დღეს მორწმუნეები მარხვის წინ ბოლოჯერ იღებენ სახსნილო საკვებს.

<u>სვანეთში</u> დროს ახალწლიდან დიდმარხვამდე აღაბს უწოდებდნენ, **აღმოსავლეთ საქართველოში** წყალკურთხევიდან ხორციელის კვირამდე არსებულ დროის მონაკვეთს კი – აღებას.

<u>კახეთშიც</u>, როგორც სხვა კუთხეებში, მარხვის წინა დღეს აუცილებლად ხორცი უნდა ეჭამათ. სიტყვა აღებაში ხალხი ძირითადად დიდმარხვის წინა დღეს გულისხმობდა, ვინაიდან დიდმარხვა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან მარხვად მიაჩნდათ. თუმცა ყველა მარხვის წინა დღე აღება იყო.

ახალგაზრდებს დიდმარხვის აღება ღამეს სიზმარში საბედო რომ ენახათ, თავქვეშ დაკლული ქათმის ძვლებს ამოიდებდნენ.

<u>გუდამაყარში</u> ამ დღეს ძვლიანი ხორცი უნდა მოეხარშათ. ხორცს რომ შეჭამდნენ, 7 ძვალს წითელ ძაფს მოაბამდნენ, ბანზე შეაგდებდნენ და თან იტყოდნენ: „აბრამო! შევყრი შენსა ძვალსა, შემახვეწე შენ წილ ღმერთსა“.

<u>ხევში</u> დიდმარხვის წინა ღამეს, ყველიერის კვირას, აღებას ეძახდნენ. ზოგან სოფელმა ერთად შეყრა და ლხინი იცოდა.

ხევსურეთში აღება კვირა ხორციელს ემთხვეოდა, თუმცა აქ აღების სახელწოდებით ცალკე დღეობაც არსებობდა. ეს დღეობა ყველა ხატში არ იმართებოდა და ერთი ან რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ზოგ ხატში ამ დღეს ახალ დასტურებს ირჩევდნენ, რომლებიც თავიანთი მოვალეობის შესრულებას მხოლოდ გიორგობას იწყებდნენ. ერთი დასტური ჟამის წირვის შემდეგ, დილით თხას კლავდა. იმართებოდა ჯარი ანუ თავყრილობა და მხიარულება. სოფელში ყველა ხარშავდა ხორცს (ზოგან ეს წესი ახალწლის ან შობის ღამეს სრულდებოდა).

თქმულების მიხედვით ამ დღეს ერთ მდიდარ კაცს კარზე გლახა მისდგომია და საჭმელი უთხოვია. სახლის პატრონს ტყუილი უთქვამს, არაფერი გამაჩნიაო, და ხელცარიელი გაუშვია. იგივე გლახა ახლა ღარიბი ქალის კართან მისულა და მისთვისაც საჭმელი უთხოვია. შეწუხებულა მასპინძელი, არაფერი მაქვს შენი საკადრისიო, ქალამნები და ნაცრის კვერები მაქვს მხოლოდო. არა უშავსო, უთქვამს გლახას და სახლში შესულა. მოხდა საოცრება. მდიდრის ქონ-დუმა და თეთრი ფქვილის კვერები ღარიბ ქალს გასჩენია, მდიდარს კი – გაცვეთილი ქალამნები და ნაცრის კვერები. ეს ყველაფერი გლახას ტანსაცმელში გამოწყობილ ქრისტეს გაუკეთებიაო, – გვეუბნება თქმულება.

თუშეთში ამ დღეს მარხვას „შეიკრავდნენ“. ოჯახი ცალკე ან ახლო ბიძაშვილებთან ერთად მოხარშავდა ხინკალს და ამით დაიმარხვებდა. ზოგან სოფლის ჯარი იმართებოდა, ზოგან ფერხისას ჩაბმის გარეშე სახლში ვერავინ წავიდოდა.

ძველად ამ დღეს კუდიანების გასტუმრება იცოდნენ. საღამოს ბავშვები ამზადებდნენ ისრებს. ისარს წვერს ცოტათი ჩაუჭრიდნენ, შიგ ბუნიკის პატარა ნაჭერს ჩაურჭობდნენ და ბაწარს შემოახვევდნენ. შებინდებისას დედები ბავშვებს სანთელ-ზედაშეს და კოტრებს (რიტუალური კვერები) გარეთ გამოუტანდნენ. ბავშვები სოფლის ბოლოს გავიდოდნენ და მათივე დამზადებულ ისრებს ცეცხლს უკიდებდნენ და სოფლისკენ ისროდნენ, თან იძახდნენ: „ხიბალო კუდიანებო, კაკალო გულიანებო, თქვენამც გჩრიათ“. გადმოცემის მიხედვით, უფრო ადრე ამ ისრებს უფროსები ისროდნენ.

ახალი წელი

ყოველი დესასწაული სამზადისით იწყება. სადღესასწაულო სამზადისი თავად დღესასწაულის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ახალი წლისათვის ასეთი სამზადისი 31(13 იანვარს) დეკემბერს იწყება. საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ეს დღე ქრისტეშობის წარგზავნის, გასტუმრების, გაცილების დღეა.

<u>ძველო სვანეთში</u> 31(13.01) დეკემბერს ლიძიენალ ეწოდება, ხოლო <u>ზემო სვანეთში:</u> ჯეშხვამ, ეშხუამ, შუშხუამ. ამ დღეს სვანეთში აუცილებელი იყო ტყიდან მოჭრილი ხის სახლში მიტანა, ხის მოჭრის დროს მომავალი წლის ავკარგიანობაზე მკითხაობა, ასევე თხილის ტოტების, ხავსის, თეთრი ქვის სახლში მიტანა, დილის რიტუალური საუზმე, საიდუმლო ლოცვისას ჯგრაგის (წმ. გიორგის), დალისა და სხვათა ხსენება, მარცვლების რიტუალური ძებნა და მათი დათესვა, მეორე დღისთვის საახალწლო პურის გამოცხობა, საახალწლო ღორის – ლეზომახის, ლეკალანდის, ზომხას – დაკვლა, კუპატების დამზადება, ლალყაჯის წესის შესრულება, საახალწლო მისალოცის მომზადება და სხვა.

ლალყაჯი ნიშნავს აკრძალულს, დაფარულს და საოჯახო დღესასწაულების სამსხვერპლო ღორს, შესაწირს. ლალყაჯი იყო ან მთელი ღორი ან მისი თავი, ან ქვედა ყბა, მუცელი, შიგნეული, სისხლი, ძვლები და ჯაგარი. ღორის ან მისი ნაწილების დანახვა მას, ვინც ოჯახში საახალწლო კვერების გამოცხობას არ დასწრებია, სასტიკად ეკრძალებოდა.

<u>რაჭაში</u> 31 დეკემბერი კალანდობის სახელითაა ცნობილი. ამ დღეს ოჯახის ერთ წევრს ტყიდან სავსე მარხილით შეშა მოჰქონდა. შეშაზე დაწყობილი იყო ბაძგარი (მარადმწვანე ეკლიანი და კურკიანი მცენარე). შეშიან მარხილს ნათლისღებამდე პირით აღმოსავლეთისკენ ანუ წაღმა დგამდნენ. საღამოს იკვლებოდა საკალანდო ღორი. აცხობდნენ ერთ ღორის ქონიან განატეხს, ე.წ. ღორის სალოცვილს. ვახშმობამდე ბიჭს ან ოჯახის უფროსს ერთი ჭიქა ღვინო უნდა წაეღო საღორესთან და იქ ელოცა, წმინდა ბასილამ ამრავლოს ღორეებიო.

ნავახშმევს იწყებდნენ მეორე დღის სამკლოვიაროს სამზადისს. აკეთებდნენ ლერწის გვერგვს, აცხობდნენ ერთ დიდ ლობიან-ქონიან განატეხს. გვერგვზე დებდნენ: განატეხს, თაფლს, ვაშლს, თეთრ ფულს. ცხვებოდა სართვიანი ანუ გულიანი და ჩვეულებრივი პური სულადობის მიხედვით. მოხარშული ღორის შიგნეულს დებდნენ პურში და ერთ ჯვარსახიან განატეხს, ე.წ. სირის კუდს აცხობდნენ. ამ სირის კუდით ქალი ლოცულობდა. ეს რიტუალური პური მხოლოდ ქალებს უნაწილდებოდა.

გვერგვი იწნება ვაზის ექვსი მჭიდროდ გადაგრეხილი ლერწისაგან. მრგვალად მოკეცილი ლერწების გრეხილი ტირიფის წნელების საშუალებით ერთდება და მაგრდება. ამ რგოლს შიგნიდან თხილის ტოტების მომსხო ჯვარი აქვს დატანებული. ჯვრის ბოლოები რგოლის კიდეებშია გაყრილი და ნაწილობრივ გარეთაა გამოშვერილი. გამოშვერილ ტოტებზე წითელი ვაშლები მაგრდება, რომლებშიც ვერცხლის წვრილი ფული უნდა იყოს ჩარჭობილი. ვაზის რგოლის ზემოდან ეკლიანი მცენარის, ბაძგარის, ფოთლიანი ტოტები მაგრდება. გვერგვზე ზემოდან შუაში ჯვარგამოსახული საოჯახო ტაბლა იდება. თავის მხრივ, ტაბლაზე ჯამით თაფლს დებენ ან ვერცხლის წვრილ ფულს და შაქრის ნატეხებს აწყობენ.

<u>ლეჩხუმში</u> ახალწლის წინა დღეს კალანდა ეწოდება. ქალები უქმობდნენ. „ჩიტის აზვრამდე“ იკვლებოდა საკალანდო ღორი (ნეზვი). ნეზვი შეიძლება ნამზითვი ანუ მზითვში მოყოლილიც ყოფილიყო. ამ ღორის თავი ნათლისღებამდე სხვენში ეკიდა. კალანდობისთვის მამაკაცს მარხილით შეშა მოჰქონდა. შეშაზე ბაძგარის დიდი კონა იყო ხოლმე დაკრული. ბაძგარს ამაგრებდნენ: სახლზე, სახაბაზოზე, ბეღელზე, ნალიაზე, კალოზე, მიჰქონდათ ვენახში და ყანებში. ამ დღესვე აკეთებდნენ გვერგვს ან ჩიჩილაკს, უფრო გვერგვს. ცხვებოდა რიტუალური პური – საოჯახო ტაბლა. ტაბლაზე ფულს და ტკბილეულს დებდნენ და გვერგვზე ათავსებდნენ. კალანდა საღამოს ცხვებოდა 6 საოჯახო სალოცავი ტაბლა და მეშვიდე, უფრო დიდი, ღორის სალოცავი. ღორის სალოცავი ტაბლა, მოხარშული ღვიძლი და წყალი დიასახლისს საღორის კართან საღამომდე მიჰქონდა და ლოცულობდა: „ღმერთო, დეიფარე ჩვენი ღორები ფათერაკისაგან“;

აქცევდა წყალს, ღვიძლს ათლიდა ნაწილს, იქვე ჭამდა და სახლში ბრუნდებოდა. ღვიძლის პატარა-პატარა ნაჭრებს ოჯახის ყველა წევრს აჭმევდა, რის შემდეგაც საოჯახო ლოცვა იწყებოდა. პურებითა და ლობიანებით სავსე გობს დიასახლისი დაჩოქილი სამჯერ შეატრიალებდა კერიასთან და ოჯახს დალოცავდა. ნავახშმევს ოჯახის მოფეხე, მკლოვიარე ანუ მეკვლე გადიოდა საბძელში, სადაც ღამეს ათევდა და თან მიჰქონდა მომზადებული მისალოცი.

<u>სამეგრელოში</u> ახალი წლის ღამეს, ღეჯ-ხვამას (ღორის ლოცვა), როგორც მას სამეგრელოში ეძახდნენ, ოჯახის უფროსი აკეთებდა და კაზმავდა ჩიჩილაკს. ჩიჩილაკი ამგვარად მზადდებოდა: ტყიდან მოტანილ თხილის ტოტს ისე გადაჭრიდნენ, რომ სწორი ჯოხი გამოსულიყო. მეტი დრეკადობისათვის შეათბობდნენ ცეცხლზე და ერთი ბოლოდან მეორის მიმართულებით ისე თლიდნენ, რომ ტოტს ბევრი გრძელი ბურბუშელა დაკიდებოდა.

ჩიჩილაკს ჩაუჭრიდნენ წვერს და ზედ ორი გათლილი ჯოხისგან გაკეთებულ ჯვარს ჰორიზონტალურად ამაგრებდნენ და რთავდნენ: აბრეშუმის ნაჭრით, ვერცხლის ფულით, რიტუალური კვერებით, ხილით, ჩირით, კამფეტებით, ქარვით. ჩიჩილაკს მხოლოდ დასავლეთ საქართველოში აკეთებდნენ.

ახალი წლის წინა დღეს სამეგრელოში ახალწლის მისალოცს ამზადებდნენ და გობზე დებდნენ. ეს იყო სუროსა და თხილის ანუ „ხვიხვილის“/„კვიკვილის“ თაიგული.

<u>გურიაში</u> ახალწლის წინა დღეს შელოცვა, ცხემლის ჭრა ეწოდებოდა. ამ დღეს ცხემლის შეშას იმარაგებდნენ. 3-4 კვირა ასუქებდნენ ქათმებს, რათა ახალი წლისთვის დაეკლათ და მრგვლად მოეხარშათ. გათენებისას იკვლებოდა ღორი და ნაწილებად დაჭრილი იხარშებოდა. ამ დღეს ქალებისათვის საკვაკვავი (გოჭის ფეხიანი საწესო პური) ცხვებოდა. კეთდებოდა ჩიჩილაკი, ცხვებოდა საგანგებო პურები: ბოკელი ჩიჩილაკისთვის, 4 დიდი პური, ე. წ. საბასილობო.

<u>იმერეთში</u> ახალი წლის წინა დღეს კეთდებოდა ჩიჩილაკი. ამ დღეს სახლში მოჰქონდათ სხვადასხვაგვარი მარადმწვანე და კენკროვანი მცენარე. ყველაფერ ამას საახალწლო მისალოცთან ერთად გობზე აწყობდნენ. ძილის წინ, ყველა, დიდი თუ პატარა, თავქვეშ

ერთ ნაჭერ შაქარს იდებდა. ამავე დღეს მზადდებოდა ახალი წლის მისალოცი.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> 31 (13. 01) დეკემბერს ყველგან საახალწლო სამზადისი იწყებოდა. ოჯახის დიასახლისი რიტუალურ პურებს აცხობდა: ბედისკვერს ოჯახის ყველა წევრისთვის, კაცის ფორმის პურს - ბასილას, ვაჟებისთვის - სახრეს, ნამგალს, გუთანს, სახნისს, ჩეკს, ღულებს, სამკალ თითს, ხარისთვალას, ქალებისათვის - ჯარას, კრუხ-წიწილას, ქათმის კლანჭს. ასევე აცხობდნენ: ორმოებს, ღორის ძუძუებს, ძროხის ძუძუებს, ფრთიან ჩიტებს, პურებს ჭიისთვის, ვაზისთვის, მიცვალებულისთვის, ქათმის ფრჩხილს, ღულს — ახლად დაქორწინებული ვაჟისთვის, მევენახისთვის – ქვევრს და მაკრატელს. ამას გარდა, <u>ქართლში</u> ოჯახისთვის დიდი პური ცხვებოდა, ბიჭებისთვის – მკლავზე ჩამოსაცმელი კვერები. ეს კვერები მათ წყალკურთხევაზე თან უნდა წაელოთ და იქიდან მობრუნების შემდეგ ეჭამათ.

მთაში ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობდნენ ბედისკვერებს, ასევე: კაცთ პურს, ბედისკვერებს - ხარებისთვის, ძროხებისთვის, ცხვრებისთვის, წყლისთვის, ქათმებისთვის, სადღვებლისთვის, მეკვლისთვის, ბებერასთვის (საახალწლო მორი). ბებერას ბედისკვერი მთელ ოჯახს უნდა ეჭამა (მთიულეთ-გუდამაყარი). ზოგიც მეკვლისთვის განკუთვნილ საკვლელს ამ დღეს აცხობდა. ეს საკვლელი მხოლოდ ფიჩხზე უნდა გამომცხვარიყო. გამომცხვარ საკვლელს გულს მრგვლად ამოუღებდნენ, შიგ ერბოს და კვნიტ შაქარს ჩაუდებდნენ. ერბო და პური ბარაქაა, შაქარი კი – სიტკბოო (<u>ხევი</u>). <u>ხევსურეთში</u> სამეკვლეოს საგანგებო საჭრელებლებით აჭრელებდნენ. მასზე გამოსახული იყო: ჯვარი, კაცი, სახნისი, ძროხა, ცხენი, მარცვლეულის თავთავი და სხვა. <u>ფშავში</u> სამეკვლეოს გოგა ერქვა. ყველგან წესად ჰქონდათ რიტუალურ პურებზე მკითხაობა. თუ პური კარგად გამოცხვებოდა, ამოიწევდა ან კარგი ფერი ეჭნებოდა, მაშინ ეს სიკეთის მომასწავებელი იყო, თუ არა და – ცუდის.

ბარში ცხრილზე ან ტაბლაზე აწყობდნენ: წვრილ კვერცხებს, ცივად მოხარშულ დედალს, ინდაურს, ღორის თავს, ჩურჩხელას, გოზინაყს, ჩამიჩს, ვაშლს, ღვინოს, არაყს, ნაზუქს, რიტუალურ პურებს.

ქართლში დადგამდნენ წყლიან, ღვინიან, თაფლიან ჯამს, რომელშიც პურის დიდ ლუკმებს ჩაყრიდნენ. ამგვარად გამზადებულ საახალწლო სანოვაგეს ქართლში აბრამიანს უწოდებდნენ, ხოლო კახეთში საკვლევარს. როგორც ჩანს, ძველად აბრამიანს შაქრით, ღვინით და თაფლით აკეთებდნენ. ზოგჯერ აბრამიანზე ტყვიასაც დებდნენ.

საინგილოში, შუალამეს, როდესაც ყველას ეძინა, ოჯახის დიასახლისი ართავდა ბამბის ძაფს. ოჯახის უფროსი ფხიზლობდა და საუბრით ართობდა მეულლეს. როდესაც ძაფი დაირთვებოდა, ორივე ჩუმად, ოჯახის ყველა მძინარე ვაჟს მაჯაზე ძაფს შეაბამდა, რომელიც მათ სამი დღე უნდა ეტარებინათ. ახლად დართულ ძაფს ყველაფერს ახვევდნენ: დედაბოძს, ავეჯს, ჭურჭელს და სხვ., რათა ინგილოების რწმენით ღმერთს ისინი და მათი სარჩო-საბდებელი დაუზიანებელად, მთლიანად და დაურღვეველად შეენახა.

ამ დღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი ალმოსავლეთ საქართველოს მთაში თუ ბარში შეშის მოტანა იყო. იმის გარდა, რომ ოჯახს საწვავი შეშა უნდა მოემარაგებინა, ტყიდან რიტუალისთვის განკუთვნილი ხე უნდა მოეტანა. ქართლში ეს ხე მუხის უნდა ყოფილიყო და მას სათარი ერქვა.

მთიულეთში უღელი ხარით დიდი ხე, საახალწლო მოჰქონდათ, ცეცხლში დებდნენ და დიასახლისი აცხობდა ბედისკვერებს. ამას გარდა, ყველა ოჯახს უნდა მოეტანა ბებერად წოდებული ხე, რომელზეც მოგრეხილი ერთი ან ორი პატარა ნეკერი იყო შებმული და კარზე მიეყუდებინა.

ამ დღეს მთიულეთში საქონელს მაგრად დააბამდნენ, რომ არ აშვებულიყო, რადგან ხალხის რწმენით, თუ ასე არ გააკეთებდნენ, მომავალ წელს საქონელი ხრამში გადაიჩეხებოდა ან მგელი შეჭამდა.

გუდამაყარში ბებერა იფნის ხე იყო, რომელიც ისეთი სუფთა უნდა ყოფილიყო, რომ არც ერთი კაპი არ უნდა ჰქონოდა. ეს წესად ჰქონდათ ერწო-თიანეთშიც. მოტანილ საახალწლო მორს – ბებერას, სათარს – ცეცხლში ჩადებდნენ. სასურველი იყო, საახალწლო ცეცხლი დიდხანს არ ჩამქრალიყო.

მთაში ბებერასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო რიტუალი სრულდებოდა. გუდამაყარში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა

კუთხეებში, ხის ძელს ცეცხლში ჩადებდნენ. თუ ძელს ნაპერწკალი გავარდებოდა, ცუდის ნიშანი იყო, თუ კარგად დაიწვებოდა, სიკეთის მომასწავებელი. ცეცხლში ჩადების წინ ბებერას თავში, შუაში, ბოლოში ჯვარედინად თაფლს და ერბოს წაუსვამდნენ. ზოგი თაფლს და ერბოს ჯერ საკიდელს წაუსვამდა და შემდეგ ბებერას. ბებერაზე ბიჭს გადასვამდნენ. ბიჭს აუცილებლად უნდა გაეცინა. ამის შემდეგ იმართებოდა დიალოგი. უფრო ძველად კი, ბებერას შემოტანის შემდეგ, ოჯახის უფროსი დიასახლისთან მართავდა დიალოგს:

– ბერი მოდის ბერობითა!
ცხენ-აბჯარი ჩამაართვით,
წინაც მაეგებენითო.
– ბერი რას ბრძანებსო?
– კაციანობას, საქონიანობას, კარგა ყოფნასა და მხიარულობას.

<u>ერწო-თიანეთში</u> მცხოვრები ხევსურების ოჯახში დიასახლისი, კარგად რომ დაღამდებოდა, გარედან შემოიტანდა ბებერას და დაიძახებდა:

– მამიდიან ბებერანი!
– რას მაიძახიან? – დაუძახებდა ვინმე.
– ლხინსა, გახარებასა. ტომარანი მიკიდიან ლხინიანნი, თხილიანნი, ბევრსამც ახალ წელს ილოცავთ, მომილოცნია. მრავალი წელი გამაგეცვალასთა, მშვიდობისა, რგებისა, გახარებისა, ბედიან დავლათიანობისა. ქალისა დროზე გათხოვებისა, ვაჟისა ცოლის ადრე მოყვანისა. ბებერაზე გადამჯდარი ბავშვი თავის მხრივაც დაილოცებოდა: „ღმერთო, დალოცვილო, შენი მახვეწურნი ვართ. საქრისტიანოს დამაარსებელო, ბევრ წელწად-ქრისტე გვალოცვინე მშვიდობისი, რგებისი, გახარებისი. შენ ნუ დაღლევ ჩვენ სახლში, მაუმატე ბებერათ მამჭრელს, ბებერათ გამკეთებელს, ბებერათ მამყვანს, ბებერათ გადამჯდომს, პურსა, წულსა, სუყველას მაუმატე“.

<u>ხევში</u> ახალწლის ღამეს ბებერას ნაცვლად ახალგაზრდებს ასკილის ტოტები მოჰქონდათ, პატარა-პატარებად ჭრიდნენ და ყველგან აწყობდნენ: ბაგაში, ფქვილში, სიმინდში, სახლის ფანჯრებზე. ასკილის ტოტებს მახვილს ეძახდნენ, ასკილის დაწყობას კი დამახვილებას. ეს

ღამე დამახვილება ღამე, იგივე კუმეტი იყო. ზოგჯერ მახვილს ოჯახში მეკვლე დებდა ან ამაგრებდა. ზოგჯერ ასკილის ტოტებთან ერთად ნახშირსაც დებდნენ. ყოველივე ეს ეშმაკის, ავი სულების საწინააღმდეგოდ კეთდებოდა. ხევში ამ ღამეს ბავშვებმა ქანაობა (ციგაობა) იცოდნენ.

<u>ფშავ-ხევსურეთში,</u> ხოლო გამთენიისას <u>მთიულეთ-გუდამაყარში,</u> ამავე აღამეს ყველა ოჯახიდან ხატში მიდიოდა მეკვლე. <u>ფშავში</u> ხატში თითო ქადა, საწირავი და სანთელი მიჰქონდათ, იმდენი, რამდენიც მამაკაცი იყო ოჯახში. <u>მთიულეთში</u> წულის და კომლის სანთელი, ხავიწიანი ქადა, მოსალოცავები, პური, ყველი, სასმელი მიჰქონდათ, მიჰყავდათ საკლავი.

ხატში მისული მეკვლე ხატს მიესალმებოდა და შიგნით შევიდოდა. მასაც მიესალმებოდნენ: „მოხველ მშვიდობით, ბევრ ახალ წელსამც ილოცავ, ერთს ამასა, ათი ათას სხვასა, პურიანს, წულიანს, სახელსარგებლიანს“ (ხევსურეთი). მეკვლეები ღამეს ხატში ათენებდნენ.

<u>ხევში,</u> სოფელ გერგეტში, სადაც ხევის მთავარი სალოცავი გერგეტის სამებაა, ახალწლის წინა ღამეს განსაკუთრებული წესები სრულდებოდა. წმინდა სამებამ სოფელ გერგეტს ხევში განასაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭა. ქალის თხოვნაზე გერგეტელს ვერავინ ეტყოდა უარს. გერგეტელი ყველა სუფრაზე სასურველი სტუმარი იყო. ამ სოფლის გამორჩეულობა ახალწლის რიტუალშიც კარგად ჩანს. საღამოს წმ. სამების დეკანოზი სოფელ გერგეტში თავის ოჯახში გამოცხობილ ცხრეულებს (პურის ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა თხელი პურები, ან როგორც ხევში ეძახიან – პეპლები) ამაღლებული ადგილიდან გადაუყრიდა ხალხს და დალოცავდა. ცხრეულები ყველას თავიანთი ხარებისთვის უნდა ეჭმია – ხვნაში მუხლი ეჭნებათო. გერგეტელი და სტეფანწმინდელი დეკანოზები წმ. სამებაში ათენებდნენ ღამეს.

ვახშმისა და მეკვლეების ხატში გასტუმრების შემდეგ, ყველა ოჯახის კარი იკეტებოდა და ზღურბლზე გადაბიჯება შიგნიდან თუ გარედან იკრძალებოდა.

1/14 იანვარი, ახალი წელი, საეკლესიო კალენდრით იესო ქრისტეს წინადაცვეთის დღეა. ამავე დღეს ეკლესია წმინდა ბასილი დიდს, კესარია-კაბადოკიის ეპისკოპოსს მოიხსენიებს. წმ. ბასილი დიდი იგივე ბასილი კესარიელი 329 წ. კაბადოკიის ქალაქ კესარიაში დიდგვაროვანთა ოჯახში დაიბადა. მისი ბებია მამის მხრიდან, დიდი მაკრინე, დედა ემილია, მამა, რომელიც დიოკლეტიანეს დევნისას მოუკლავთ, პატარა მაკრინე, მისი და, თავად ბასილი, მისი ძმა გრიგოლ ნოსელი და პეტრე სებასტიელი ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. 358 წ. წმინდა ბასილი მოინათლა და აქედან დაიწყო მისი მოღვაწეობა, როგორც ქრისტიანი სასულიერო პირისა და საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებისა, რომელმაც სიცოცხლე დიდ მამად და ეპისკოპოსად დაასრულა და რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ლიტურგიის შექმნის, მონასტრების, სამონასტრო ცხოვრების დაფუძნების, წმინდა სამების გააზრების, თეოლოგიურად ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში. წმინდა ბასილი დიდი 49 წლის გარდაიცვალა.

<u>სვანეთში</u> ახალ წელს ზომხა (სიტყვა-სიტყვით ახალი წელი), კანდა, კალანდა ეწოდება. საახალწლო საუზმეს ხაციცი ჰქვია. განასხვავებდნენ: სახლის მეკვლეს, წყლის მეკვლეს და გარეშე მეკვლეს. ზოგან სახლის და წყლის მეკვლე ერთი და იგივე პირი იყო. ლეჩხუმის მსგავსად, ამ დღეს ხელის ახსნის (ლიშოშე) წესი იცოდნენ. 16 დღის მთვარის დადგომამდე პატარა ორმოში მარცვლეულს „თესავდნენ“.

კანდა ანუ ახალწლის საღამოს ბომბღა ლეთ (ბომბღა საღამო) ეწოდებოდა. ამ საღამოს ახალგაზრდობა შეგროვდებოდა (ზოგან ოჯახის წევრები) და ყველა მოსახლეს ჩამოუვლიდნენ. ეზოში შესვლისთანავე ორი ვაჟი მოსახლის კარზე მიყუდებულ ხულს (არყის ან მსხლის ხე) მხარზე შეიდებდა, მესამე ამ ხულზე მუცლით გადაეკიდებოდა და ისინი დანარჩენი ახალგაზრდების თანხლებით შედიოდნენ სახლში. სამჯერ შემოუვლიდნენ კერას, თან, სანამ კერას გარშემო უვლიდნენ, მღეროდნენ: „ბომბღა, ბომბღა, ბეღლის კარზე დატვირთული რიჩხ!...“ ხულზე გადაკიდებულ ვაჟს ყოველი მხრიდან ჩხვლეტდნენ და ჩქმეტდნენ, ის კი წიხლით იგერიებდა მათ. კერის გარშემო შემოვლის შემდეგ, ხულს მხრებიდან ჩამოიღებდნენ და ცეცხლს

შეუკეთებდნენ. მასპინძლის ოჯახის წევრები სტუმრებს არაყსა და წვრილ-წვრილ ლემზირებს (რიტუალურ პურებს) სთავაზობდნენ. ამ წესს „ხულის ლემზირის განაწილება“ ეწოდებოდა. რიტუალის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდები სხვა ოჯახში გადადიოდნენ იმავე რიტუალის შესასრულებლად.

<u>რაჭაში</u> შინაური კლოვიარე, იგივე მეკვლე, დილით, ოჯახის წევრების ადგომამდე გარეთ გადიოდა. ერთ ხელში მას განატეხიანი სამკლოვიარო გვერგვი ეკავა, მეორეში ღვინიანი დოქი. მკლოვიარეს კარს მას შემდეგ უღებდნენ, რაც ოჯახის წევრებს სამგზის დაარწმუნებდა, რომ ბარაქა, სიკეთე და ჯანმრთელობა მოჰქონდა. სამკლოვიარო განატეხს ნათლისღებამდე ინახავდნენ. მეკვლე ოჯახის ყველა წევრს „მიუმკლავებდა“ ანუ მიულოცავდა.

<u>ლეჩხუმში</u> ოჯახს გათენებამდე შინაური მოფეხე, იგივე მეკვლე მიადგებოდა. მეკვლეს ხელში ტაბლა ან გვერგვი ეჭირა. კართან სამჯერ უნდა ეთქვა: „მომაქვს თეთრი (ვერცხლის ფული) და ქონება“. მას მხოლოდ ამის შემდეგ გაუღებდნენ კარს. სახლში შემოსული მეკვლე პურის ან ღომის მარცვლებს მიმოაბნევდა, სამჯერ შემოუვლიდა კერას, შემდეგ ტაბლას კერაზე დადებდა, მუგუზალს შეუჩიჩხინებდა და დაილოცებოდა. ზოგჯერ ოჯახის უფროსი გარეშე მეკვლეს მოსვლამდე მამულში (ანუ ვენახში) ჩავიდოდა და ხმამაღლა დაიძახებდა: „აგუნამ ჩამეიარა ჩვენი მამული ჩეიარა, წივი მეიტეხა, ღვინის ღვარი ააყენა: ისხა, ისხა, ისხა... “. დილის საუზმეზე „ხელის აშვება“ იცოდნენ, ე.ი. ერთმანეთს რაიმეს აძლევდნენ: ფულს, ღვინოს, ვაშლს...კაცები ამ დღეს ლერწს მოსხლავდნენ - „დეიმთავრებსო“, უფროსი ქალი კი სამ პატარა კვერს, ე.წ. ხარების სალოცავს გამოაცხობდა.

<u>სამეგრელოში</u> ახალ წელს ახალ წანა, კალანდა ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის დიასახლისი ღორის ქონიან მჭადს, სადილის შემდეგ კი კირუ-კარუს აცხობდა. ეს რიტუალური პურები ყურძნის მტევანს, ხელის საფქვავის ქვას, ბარებს, ბეღელს, ღორს, კრუხს და სხვას გამოსახავდნენ. საღამო ხანს ოჯახის ყველა წევრი პურებით, სიმინდის მარცვლითა და სხვა რამით დატვირთულები და ჯოხებით შეიარაღებულები შედიოდნენ სარდაფში, ჩამწკრივდებოდნენ საწნახლის გასწვ-

რივ, ურტყამდნენ მას ჯოხებს და მღეროდნენ: „ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩქიმი მამული ხარგელია; შხვაში მამული ფურცელია“ (ჯუჯელია, ჯუ-ჯელია, ჩემი ვენახი დატვირთული, სხვის მამულში ფურცელი).

ამ დღეს კაკალზე მკითხაობა იცოდნენ. მეკვლე შინაურიც იყო და გარეშეც, რომელსაც მაკუჩხურს ეძახდნენ. ოჯახში ახალ წელს აუცილებლად უნდა ყოფილიყო სხვადასხვა მცენარე: სურო, თხილი და სხვა. მეკვლეს ოჯახის წევრები მას შემდეგ ულებდნენ კარს, რაც ზემოთ აღწერილ წესს შეასრულებდა.

<u>გურიაში</u> ახალ წელს კალანდა ეწოდებოდა. დილით კაცები გა-რეთ გადიოდნენ. ქალები სახლში ლოცულობდნენ. ღმერთს და ბასი-ლას შესთხოვდნენ, ახალ წელს მათთვის ბედნიერება მოეტანათ. ლო-ცვის შემდეგ კაცები ოჯახში ბრუნდებოდნენ. უფროსს მოჰქონდა ჩიჩილაკი, ხოლო ოჯახის ერთ-ერთ წევრს – ღომის მარცვლით სავსე ქოთანი. აქაც კარის გაღებასთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი წესი სრულდებოდა. კარს მანამ არ გააღებდნენ, სანამ არ დარწ-მუნდებოდნენ, რომ მოჰქონდათ წმ. ბასილას „მობრძანება“, „კაცთა მშვიდობა“, თეთრი (ვერცხლის ფული) და საქონელი მრავალი. ოჯახ-ში შესული კაცები სამჯერ უვლიდნენ ოთახს, მიმოაბნევდნენ ღომის მარცვლებს, შემდეგ იწყებდნენ ლოცვას. ცეცხლში მუგუზალს შეუ-ჩიჩხინებდნენ და შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს ულოცავდნენ. მოგვიანებით მოდიოდა გარეშე მეკვლე. სადილის შემდეგ გარეთ გადიოდნენ და ყრიდნენ თესლს. ამის შემდეგ სრულდებოდა ე.წ. აგუ-ნას რიტუალი (იხ. აგუნას გადაძახება).

<u>იმერეთში</u> ახალ წელს (კალანდას), დილით ადრე, შინაურ მეკვ-ლეს ოჯახში მისალოცი გობით შეჰქონდა. მას კარს მანამ არ გაუ-ღებდნენ, სანამ სამჯერ არ გაამეორებინებდნენ, რომ სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება მოჰქონდა. სახლში შესვლისას მეკვლე ღომს აბნევდა და ოჯახს ლოცავდა. დიასახლისი პურებს ღორის ქო-ნით აცხობდა და უნაწილებდა ოჯახის წევრებს. ვენახში იცოდნენ ღვინის წაღება, კლავდნენ ქათამს. გამომცხვარ მტევანს (რიტუალურ პურს) წაიღებდნენ და დაჰკიდებდნენ ვაზზე. საახალწლო სუფრის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი მოხარშული ღორის თავი იყო. ღორი შობას იკვლებოდა.

ახალ წელს სუფთა, ახალი ტანსაცმლით მოსილნი ხვდებოდნენ, ასუფთავებდნენ სახლს. ყველა ცდილობდა, განათხოვრებული საქონელი თუ ნივთი დაებრუნებინა, ახალ წელს მშვიდად და მხიარულად შეხვედროდა.

<u>მესხეთში</u> ახალ წელს დილით ადრე ოჯახის უფროსს ბელლიდან ხორბალი გამოჰქონდა, ვედროში ყრიდა, მდინარის ნაპირზე მიჰქონდა და ამბობდა: „წყალო და წყლის დედაო, ბრძენმა შემოგითვალაო, როგორც შენ ხარ ულეველი, ისე ჩვენი ოჯახი იყოს ულეველი“. ნახევარ ხორბალს წყალში ჩაყრიდა, მეორე ნახევარს წყალს დაასხამდა და სახლში წამოიღებდა. სახლში წყალს გადაწურავდა და იტყოდა – „ეს ბრძენმა გამოგიგზავნა“. მდინარის ნაპირზე სხვებზე ადრე ხორბლის მობნევა კარგი ნიშანი იყო. ყველაფერი ეს უბრალდ უნდა გაკეთებულიყო, ისე, რომ ოჯახის წევრებსაც არ გაეგოთ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოს</u> ბარში მეკვლეს სხვადასხვა რიტუალის შესრულება უხდებოდა. აქ მეკვლე სალოცავში არ გადიოდა. დილით საკვლეველს აბრამიანს, ანთებულ სანთლებს მიაკრავდა, აიღებდა და გარეთ გავიდოდა. ზოგჯერ საკვლეველს ორი კაცი აიღებდა ხელში (<u>კახეთი</u>). ერთი იტყოდა: „წავიდა ძველი წელი“, მეორე – „მოვიდა ახალი წელი“. ამ დროს ისროდნენ თოფს, თან ამბობდნენ: „ცუდი წელი წავიდეს, ახალი წელი მოვიდეს“. თოფების სროლით ავი სულების განდევნას ცდილობდნენ. მეკვლე მოივლიდა ყველა საეკლესიო ნაგებობას და ყველას და ყველაფერს მიუკვლევდა. ზოგი ხარს ზურგზე კვერცხს გადაატარებდა: ასე გაჭედილი, ასე სავსე იყავიო. <u>ემთიულეთში</u> წყლიდან მოტანილ ყინულს წაუსვამდნენ და ეტყოდნენ: ყინვა-სეტყვისგან ნურაფერი გევნება, მრავალ ახალ წელს დაესწარიო. <u>ქართლში</u> კვერცხებს ბოსელში შეაგორებდნენ. საქონელს წელზე გადაუსვამდნენ ხელს და ეტყოდნენ: ასე მთლიანად დაესწარ მრავალ ახალ წელსო. ყველას ჩამოუვლიდნენ და ბოლოს კვერცხებს იქვე, მთელი ღამის განმავლობაში დანთებულ ცეცხლში წვავდნენ და ჭამდნენ. ქალი შევიდოდა საქათმეში, შინაურ ფრინველს წყალს დაუსხამდა და ბლომად საკენკს დაუყრიდა, თან ეტყოდა: დამეზარდოს ამდენი ქათამი, იხვი, ბატი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ <u>კახეთში</u> ქათმის მეკვლე და გარეშე მეკვლე, რომელიც ახალწლის პირველ დღეს მოდიოდა, ერთი და იგივე

პიროვნება იყო. გარეშე მეკვლე რომ შემოვიდოდა, ხორბალს ან სიმინდს გადაუყრიდნენ და იტყოდნენ: ბევრი მაძღარი კრუხ-წიწილა გვეყოლებაო. არ შეიძლებოდა მეკვლე კოჭლი, ხეიბარი ყოფილიყო – წიწილებიც ისეთები გამოვლენო. მიაჩნდათ, რომ ქათმების გასამრავლებლად სიმინდისა და ხორბლის გადაყრა ოჯახისათვის კარგი იყო, მეკვლისთვის კი ზიანის მომტანი, ცოცხ-ცხელება იცისო. კრუხი საბუდარში რომ ჩამჯდარიყო, მეკვლეს ფეხმორთხმულს დასვამდნენ, გარშემო ხორბალს და სიმინდს შემოუყრიდნენ. ზოგჯერ ბავშვს დაისვამდნენ ფერხთით და ცერზე ხორბალს დააყრიდნენ – ბევრი წიწილა გვეყოლებაო.

<u>კახეთში</u> მღვდელი ახალწლის ღამეს ყველა ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა.

<u>საინგილოში</u> ახალ წელს, დილით ადრე, ოჯახის უფროსი წყალზე მიდიოდა, თან საკენკიანი აბგა და ჩაფი მიჰქონდა, ხელ-პირს დაიბანდა, ღმერთს ახსენებდა, დოქს აავსებდა, აბგის საკენკიან მხარეს წყალში ამოავლებდა, ცარიელში თხილის ყვავილიან ტოტებს ჩააწყობდა და სახლში ბრუნდებოდა. კართან ზემოთ მოყვანილი დიალოგი იმართებოდა, რის შემდეგაც მეკვლე შინ შედიოდა. თხილის ტოტებს თხილისა და ხორბლის შესანახ ყუთზე დებდა, საკენკს გადააბნევდა და რამდენჯერმე იტყოდა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურსა და სარჩო-საბადებელს“. შემდეგ მთელი ოჯახი კერას შემოუსხდებოდა. ოჯახის უფროსი სხვენზე წინა დღით შემოწყობილ ლარტახებს (კაკლის ტოტები) ჩამოიღებდა და ყველას დაურიგებდა. ჯერ თვითონ, ხოლო შემდეგ დანარჩენები ამ ლარტახებს კერას შეუტყლაშუნებდნენ. კაკლის კანი რომ დასკდებოდა, ტკაცანზე ოჯახის უფროსი იტყოდა: „ღმერთო გაგვამრავლე, ყველასფრით გაგვაბედნიერე“. ერთ ან ორ ლარტახს ისევ სხვენში ინახავდნენ.

გამზადებული ხონჩა ოჯახის წევრებს ოჯახის უფროსთან ერთად ვენახში ვაზის მისაკვლევად მიჰქონდათ. ერთ, ყველაზე კარგ ვაზთან დადგებოდნენ. ოჯახის უფროსი ვაზს გასხლავდა, ააგებდა, ჭიგოების ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობდა და ვაზის ძირში წითელ მამალს დაკლავდა. წითელ ფრთებს მოაგლეჯდა და ბამბის ძაფით ჭიგოზე და ვაზზე მიაკრავდა, თან ილოცებდა. ერთ ლუკმა

პურს თაფლში და ერბოში ამოაწობდა და შეჭამდა, თითო ასეთ ლუკმას სხვებსაც შეაჭმევდა; შემდეგ ყველანი დალევდნენ თითო ჭიქა ღვინოს და სახლში დაბრუნდებოდნენ. უკვლევდნენ ბოსელს. საქონლისთვის გამომცხვარ კვერს მასვე რქებზე გადაატეხავდნენ და შეაჭმევდნენ. სახლში მობრუნებულები თავიანთ ბედისკვერს ჭამდნენ და ელოდნენ გარეშე მეკვლეს.

მეკვლის მისვლის შემდეგ ოჯახის ერთ-ერთი წევრი უმძრახად წყალზე მიდიოდა და მიჰქონდა ნიჭი (<u>ხევსურეთი</u>), ნაყრი (<u>ფშავი</u>), წყლის კვერი (<u>მთიულეთი</u>, <u>თუშეთი</u>), წყალთკვერი (<u>გუდამაყარი</u>), ნაკმაზი (<u>ქართლი</u>). ეს იყო გამომცხვარი პური, რომლითაც წყალს უკვლევდნენ. ზოგი წყლისთვის განკუთვნილ მისაკვლევს, ანუ გამომცხვარ პურს ზემოდან ყველს, ერბოს, ნახშირს, ჩალას, მარილს დაადებდა ან მხოლოდ ცარიელ პურს ჩააგდებდა წყალში.

<u>თუშეთში</u> კვერს წყალთან გააგორებდნენ და წყალს ილბალს სთხოვდნენ. წაღმა დაცემული კვერი იმ წელს ოჯახს ილბალს უქადდა. პურის პატარა ყუას, ყველს, მატყლს წყალში ჩააგდებდნენ, წყალს სამჯერ ამოიღებდნენ და დაღვრიდნენ, თან ამბობდნენ: „ჩვენ ყანა მაძღრი-დ, დიდოს ყანა დამპალი“. ბოლოს აავსებდნენ თუნგს, წყაროს პირიდან სამ ქიტ (საწყაო) ქვიშას აიღებდნენ, იქვე მოძებნილ ცხვრის კურკლებს და ძროხის გამხმარ ნაკელს სახლში წამოიღებდნენ. ცდილობდნენ, გზაში არავინ შეხვედროდათ. თუ ვინმე შეხვდებოდათ, ცდილობდნენ, მისთვის უმძრახად წინ გადაევლოთ – ბედილბალი სათავეზე გადამსვლელისაო. ოჯახშიც შეაგორებდნენ კვერს, ოჯახს მიულოცავდნენ და მიტანილ წყალს კერის გარშემო მიაპკურებდნენ. საჭმლის დასამზადებლად ამ წყალს ხმარობდნენ და ბავშვებს პირს ამ წყლით აბანინებდნენ.

<u>ქართლში</u> დიასახლისი სიმინდს ან ქერს ხელსახოცში გაახვევდა და წყალში ჩააგდებდა, თან იტყოდა: „წყალო, ეს ნაკმაზი შენა და წრეულს ბევრი წვრილფეხი დამეზარდოს“. ზოგი კვერს წყალთან ქვაზე დადებდა, ზოგიც წყალში ჩააგდებდა და იტყოდა: „წყალო, ნიჭი მოგიტანე, ბედი გამამაყოლეო“, ან „წყალო მომილოცნია, ახალწლის კვერი მომიტანია. ჩემიანს ყველას ერიდე, არც არაი ვინმე ჩაიხრჩოს, არც ძროხა. წელს ამას დასჯერდი“.

ხევსურეთში, ხატში ხუცესი გარეთ გავიდოდა, თოვლს შემოიტანდა და ფეხზე მდგარ მეკვლეებს თავზე გადააყრიდა, თან იტყოდა: „ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კაისად გამოგეცვლებისთ, პურიან-წულიანი, სახელ-სარგებლიანი, მშვიდობისა და კარგად ყოფისა“! დარბაზში მყოფნი პასუხობდნენ: „აგემც შენ გამოგეცვლების ბევრ ახალი წელი, მშვიდობისა, კარგა ყოფისა, პურიან-წულიანი“. ერთმანეთს არყით დალოცავდნენ. შემდეგ მზის ამოსვლისას ხუცესი გარეთ გავიდოდა, ზარს დარეკავდა. შიგნით მეკვლეები რიგრიგობით წილის ყრის შემდეგ გარეთ გამოვიდოდნენ. ხუცესი გარეთ დადგმულ ლუდიან თასთან იხუცებდა და ყველა მეკვლეს ლუდს გაატანდა სახლში. ზოგან ხატიდან მეკვლეებს მწვადიც მიჰქონდათ.

ფშავში ზოგან ახალწლის დილას მეკვლეების მოყვანილ ჭედილას კლავდნენ, რის შემდეგაც გარეთ გასული ხევისბერი ზღურბლზე დადგებოდა და მეკვლეების მოწოდებულ გოგას (მეკვლეობისთვის განკუთვნილი რიტუალური პური) სამჯერ შემოაგორებდა. თუ იგი დაჭრელებული მხრიდან დაეცემოდა, კარგის ნიშანი იყო, უკუღმა კი ცუდის. ხევისბერი მარჯვენა ფეხს გადააბიჯებდა ზღურბლს და იქ მყოფებს მიულოცავდა. გოგას ლუკმობით დაანაწილებდა, თაფლიან ჯამში ჩაყრიდა და ყველა მეკვლეს თითო ლუკმას დაურიგებდა. წილისყრით ირჩევდნენ სამ მეკვლეს, რომლებიც თაფლიანი ჯამით და ლუდით მთელ სოფელს მიუკვლევდნენ და ისევ ხატში დაბრუნდებოდნენ. ხევისბერი, მაგალითად, კოპალას ხატში, წყალზე წავიდოდა მისაკვლევად. თან პატარა პურს და ყველს წაიღებდა და წყალში ჩააგდებდა. წამოიღებდა წყალს, რომელიც აიაზმის ანუ ნაკურთხი წყლის სანაცვლო იყო. სანამ ხატში მყოფები მოხარშული საკლავის ხორცს შეექცეოდნენ, ხევისბერი მიცვალებულებს, განსაკუთრებით უპატრონოებს, შენდობას ეტყოდა. ქეიფი ღამემდე გრძელდებოდა. ოჯახს სახლში მეზობელიც შეყავდა გარეშე მეკვლედ, განსაკუთრებით ბავშვი – ანგელოზიაო.

როგორც ზემოთ ითქვა, ეთიულეთში მეკვლე დილით მიდიოდა ხატში. მივიდოდა, მიესალმებოდა, ილოცებდა, სანთელს დაანთებდა და უკან გამობრუნდებოდა.

გუდამაყარში, იქ, სადაც ღამეს ათენებდნენ, დეკანოზი რომელიმე ახალგაზრდას აირჩევდა. დეკანოზის მიერ არჩეული ახალგაზრ-

და კაცი გარედან თოვლს შემოიტანდა, იქ მყოფებს გადააყრიდა და იტყოდა: ასე თეთრად დაბერდით. თან დაუმატებდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი. ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“. ახალ წელს ხატის მსახურები ხატში ყოფნისას მდინარეში აუცილებლად უნდა გაბანილიყვნენ.

მთელ საქართველოში მეკვლე სახლში შესვლისას პირველად სწორედ ასე ულოცავდა ოჯახს, ხოლო შემდეგ საკუთარ სიტყვებსაც დაამატებდა. ზოგან სახლში თოვლის შეყრაც იცოდნენ, ზოგან თაფლიან პურს შეჭამდნენ. საერთოდ თაფლი საახალწლო სუფრის და რიტუალების განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან იგი მომავალი ტკბილი ცხოვრების სიმბოლოა.

<u>ხევსურეთში</u>, სადაც მეკვლეს ხატიდან ლუდი მოჰქონდა, სახლში შესვლისას მთელ ოჯახს და საოჯახო ნივთებს მოასხურებდა, თან იტყოდა: „აგრემც ახყვავდებით, აგრემც ალფუვდებით.“ შემდეგ მიდიოდა ცეცხლთან, შეუჩიჩხინებდა ჯოხს და რამდენიმე ნაპერწკალი რომ გავარდებოდა, იტყოდა: „ამდენი საქონელი, ამდენი ქალი, ამდენი კაცი.“

<u>მთიულეთში</u> შინაური მეკვლის მოსვლის შემდეგ ოჯახის ყველა წევრს უნდა შემოეტანა გარედან თოვლი და ისე მოქცეულიყო, როგორც მეკვლე. მეკვლე კაცთ პურს სახლის ერთ ნაწილში დაყრილ ხორბალს სამჯერ შემოავლებდა. თუ რიტუალური პური ისე დაეცემოდა, დაჭრელებული ზედაპირი ზემოთ მოექცეოდა, კარგის ნიშანი იყო, თუ არა - ცუდის. ამ ხორბლიდან სამ მარცვალს აიღებდნენ და სათესლე გოდორში ჩაყრიდნენ. ზოგან სჯეროდათ, რომ ვინც გარეთ პირველად გავიდოდა, ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ადამიანის ნაცვლად ფრინველი უნდა დაენახა (გუდამაყარი), ზოგან კი ხშირი ტყისკენ უნდა გაეხედა (ქართლი), რომ უხვი მოსავალი მოსვლოდა.

შინაური მეკვლის შემდეგ ოჯახს გარეშე მეკვლე მოჰყავდა, რომელიც იმავე წესებს ასრულებდა. გარეშე მეკვლესთან წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები. მივიდოდნენ მასთან სახლში, მის კარს კენჭს ესროდნენ ან დაუკაკუნებდნენ, დაძახება არ შეიძლებოდა. ზოგან ამბობდნენ: ახალ წელს თუ დაიძახე, მთელი წელი ბოჩოლა იბღავლებსო.

მეკვლეს შეეძლო რაიმე განსაკუთრებული, მაგალითად, ტკბილეული მოეტანა საკუთარი სახლიდან. მას კარგი კვალი უნდა ჰქონოდა. სასურველი იყო მეკვლე წესიერი, მდიდარი, სახელოვანი კაცი ყოფილიყო. ზოგან კვალს ბავშვს შეატანინებდნენ. მეკვლის მისვლის შემდეგ დაჭერილი კვალი იხსნებოდა და შესაძლებელი ხდებოდა თავისუფალი მისვლა-მოსვლა. კვალის დაჭერა ნიშნავს საახალწლო წესს, როდესაც ოჯახში მეკვლეს მისვლამდე არავის უშვებენ, რომ ვინმემ სახლში არასასურველი კვალი არ შეიტანოს.

<u>თუშეთში</u> დიასახლისი ოჯახს რომ სუფრას გაუშლიდა, წავიდოდა ბოსელში. თან წყაროს კვერს, პატარა ჭურჭლით უმძრახ წყალს (ანუ სიტყვის უთქმელად აღებულს), წყაროდან მოტანილ ქვიშას, ცხვრის კურკლს და ძროხის ნაკელს წაიღებდა. ბოსელში კვერს შეაგორებდა, საქონელს ხმადაბლა მიულოცავდა, ქვიშას, კურკლს და ნაკელს შიგნით შეუყრიდა, საქონელს უმძრახად წყალს გადააპკურებდა, კვერს გადაამტვრევდა და ხარებს და ფურებს შეაჭმევდა.

<u>აღმოასავლეთ საქართველოს</u> ბარში მეკვლე შევიდოდა ვენახში და წითლად შეღებილ კვერცხებს შეიტანდა. ვაზს თავის ბედისკვერს გადაატეხავდა, მიულოცავდა და მის ძირში დაკლავდა. ქართლში მეკვლე სამ ძირ ვაზს გასხლავდა და, როცა მამალს დაკლავდა, იტყოდა: ბევრი ღვინო მოგვივაო. მამალს სახლში მოხარშავდნენ და შეექცეოდნენ. სადაც კი მეკვლე შევიდოდა, ყველგან ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ამბობდა. იგი სახლს სამჯერ შემოუვლიდა, საკვლევს კარზე სამჯერ დაარტყამდა და იტყოდა:

– გამიღეთ კარი!

– რა მოგაქვს – ჰკითხავდნენ შიგნიდან.

– ორმოდან პური, ქვევრის ღვინო, სიმრთელე და კარგად ყოფნა.

ამის შემდეგ მეკვლეს გაუღებდნენ კარს. ისიც ტრადიციული მისალოცით დალოცავდა ოჯახს.

<u>ხევსურეთში</u> ცდილობდნენ წყალთან ერთად მთის ბროლიც მოეტანათ, რომელსაც ძროხებთან ყორეში ამაგრებდნენ იმ მიზნით, რომ საქონელს თეთრი ხბო მოეგო.

<u>ხევში</u>, <u>გუდამაყარში</u> ახალ წელს ახალგაზრდები ქანაობდნენ ანუ ციგაობდნენ. ქანაობა განსაკუთრებით სასარგებლოდ მიაჩნდათ

ქალებისთვის – წელი გაუმაგრდებათო. ხევში ახალ წელს, სოფელ გერგეტისა და სოფელ კარკუჩის გარდა, ყველგან იკვლებოდა ღორი. საკლავს ტუჩს აჭრიდნენ და სახლის კარზე ეშმაკის განსადევნად ამაგრებდნენ. საახალწლო სუფრაზე ღორის ხორცი აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

ოჯახებში რიტუალების მომთავრების შემდეგ მეკვლეები ისევ ხატსალოცავებს უბრუნდებოდნენ და ილხენდნენ.

ხევსურეთში, ერწო-თიანეთში ახალ წელს „დარბევა“ იცოდნენ. ხუცესი აირჩევდა დასტურებს და სოფელში „საქურდლად“ გააგზავნიდა. მოიპარავდნენ ხორცს, არაყს, ქადას, თხილ-კაკალს და სხვას. წაღებულ ნადავლზე მეორე დღეს გაქურდული ოჯახის პატრონს მიიწვევდნენ. ვინაიდან მან ქურდების დაჭერა ვერ შეძლო, ვალდებული იყო, ჯარიმის სახით ხატში არაყი და ლუდი მიეტანა. თუ პატრონი ქურდებს დაიჭერდა, მათ არაყით დაათრობდა, თოკით დააბამდა და ხუცესს შეუთვლიდა: სახსარი (გამოსასყიდი) მოიტანეო. მეორე დღეს ხატიდან გამოგზავნილი დასტურები არყით და ლუდით თავიანთ ამხანაგებს გამოიხსნიდნენ.

ახალ წელს, დილით არხოტიდან (ხევსურეთი) საკლავების „გატაცება“ სცოდნიათ. შუა დღეს ხალხი და ხატიონი შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ხალხს „შურისძიების“ სურვილი ჰქონდა. თოფებით, ხმლებით „იბრძოდნენ“. რამდენი თოფიც გავარდებოდა, იმდენი დავარდებოდა, ვითომ დაიჭრა. ხუცესი ყველას არყით „მოარჩენდა“. შემდეგ „იტაცებდნენ“ ხატის დიასახლისს. შესვამდნენ მარხილზე და გაიქცეოდნენ. დანარჩენები დაედევნებოდნენ. იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა და ქალიც გამარჯვებულის იყო.

გუდამაყარში ზოგან ახალ წელს ოჯახიდან ხატში მიდიოდნენ. მიეპარებოდნენ დეკანოზს და თოვლში ჩააგდებდნენ. შემდეგ ხელის კვრით სახლამდე მიიყვანდნენ. თოვლში ამოგანგლულები მივიდოდნენ ოჯახში და ყველას დალოცავდნენ.

ხევში გათენებისას გერგეტელი და სტეფანწმინდელი დეკანოზები წმ. სამებიდან დროშებით ჩამოვიდოდნენ სოფელში, „ნაბულთ ბანზე“ (სოფელი გერგეტი) დადგებოდნენ და პირველად ახალ წელს გერგეტელებს მიულოცავდნენ. თავშეყრილ ხალხს დეკანოზები ამწყალობნებდნენ. ყოველი დამწყალობნების შემდეგ ხალხი ამბობდა: ამენ შენს მადლსა!

როდესაც კარგად ინათებდა, დეკანოზებთან მიცვალებულების პატრონებს ხილიანი (ხილი და ტკბილეული) და კუტაბი (ერბოში მომწვარი გულიანი კვერი) მიჰქონდათ. დეკანოზი იღებდა ამ საწირს და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. შემდეგ ბავშვებს ბანიდან ხილს და კუტაბებს გადმოუყრიდნენ.

მზის ამოსვლის შემდეგ დეკანოზები ბანიდან ჩამოდიოდნენ, ჩამოჰქონდათ ხატები და დიდების სიმღერით სტეფანწმინდისაკენ მიემართებოდნენ. სტეფანწმინდასთან მათ მუხლის მოყრით მხოლოდ ხეთაგურები ხვდებოდნენ. ყველა ხეთაგეთ უბნისკენ გაემართებოდა, სადაც წმ. სამების ნიში იყო და ხატებს დაასვენებდნენ. ნიშის თაროზე ვახტანგ VI-ის მიერ იესე ხეთაგურისადმი ბოძებულ სიგელს გაშლიდნენ და დეკანოზები ხეთაგურების მილოცვას და დამწყალობნებას იწყებდნენ. დამწყალობნებისას დეკანოზები იგონებდნენ, რომ ვახტანგ VI-ს იესეს ჯილდოდ სოფლები: სიონი, გარბანი, თოთი მისცა. იესეს უარი უთქვამს და უთხოვია: ახალ წელს გერგეტლებმა წმ. ნინოს ჯვარი პირველად ჩემს კარზე მოასვენონო და ახალი წელი ისე მომილოცონო. დასასრულს დეკანოზი ნიშთან კლავდა ხეთაგურების საღმრთო ცხვარს. შემდეგ საკვლევარით ხელში დეკანოზი ხეთაგურების ოჯახებს დაივლიდა. ჯერ უხუცესთან შევიდოდა და იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი, კოლ (ანუ კვალი) წმ. სამბისა“. შემდეგ მივიდოდა იჯახის კერასთან და საკვლევარს სამჯერ მოაბრუნებდა. ოჯახი მეკვლეს უმასპინძლდებოდა. დეკანოზი საკვლევს ბოლო ოჯახში ტოვებდა. საღამოს დეკანოზები წმ. სამების ხატს, დროშებს ისევ გერგეტში წააბრძანებდნენ, კვლავ დაამწყალობნებდნენ ხალხს და ხატსა და დროშებს ისევ წმ. სამებაში აიტანდნენ. ვიდრე ხატის დროშებს სამებაში არ დააბრუნებდნენ, მანამდე სოფელში უცხო პირის შესვლა და იქიდან ვინმეს გასვლა აკრძალული იყო. როდესაც ხატების აბრძანებას დააპირებდნენენ, ორ ახალგაზრდას თითო დროშას მისცემდნენ და აჯიბრებდნენ, ვინ აიტანდა დროშას წმ. სამებაში პირველი.

<u>თუშეთში</u> 1/14 იანვრის ღამეს თასებ ჩამაის ღამეს ეძახდნენ. საჯარეში შეკრებილი მთელი გვარი ხატის დროშასთან ერთად თასების ჩამოტანას ელოდა. იმართებოდა ლხინი.

ვინაიდან ახალი წელი ბედობის დღე იყო, ამ დღეს მრავალი რამ იკრძალებოდა.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> ახალწლის პირველ დღეს იკრძალებოდა: ცეცხლისთვის სულის შებერვა – მუცლის ბერვა იცისო; გადაფურთხება – ხველიანი ვიქნებითო (ქართლი); თმის დავარცხნა – ყანა მეჩხერი იქნებაო; ჯარას და თითისტარს მალავდნენ – ვინც ნახავს, იმას ახალ წელიწადს თავბრუსხვევები ექნებაო; ტილს არ მოკლავდნენ – წიწილზე ფეხი მოგვიხვედება და გაგვეჭყლიტებაო; არ დაიძახებდნენ – წიწილას წივილი ეცოდინებაო ან ბოჩოლა იბღავლებსო, ან კეთილი ანგელოზები დაფრთხებიანო (ხევი). სახლს არ დაგვიდნენ – ქარი წაიღებს პურის ნათესებსო. ძველი ხაში ახალწლის დადგომამდე უნდა ეხმარათ, ახალ წელს კი ახალი უნდა გაეკეთებინათ. ამაზე ამბობდნენ: სატკივარი რამე რომ მოდის ოჯახში, იტყვის: – „არა, აქ რა გვინდა, ხაში არის გაახლებულიო“. თხილკაკალს არ დაამტვრევდნენ – ჭურჭლის მტვრევა იცისო. წყალს არ დაღვრიდნენ – ჭიანჭველა ან ცრემლი იცისო (გუდამაყარი) ან რძის დაღვრა დაგვებედებაო (ხევი). შეშას არ დაჩეხავდნენ – გუთანი და ცული ან ჭურჭელი გატყდებაო. სახლიდან არაფრის გატანა არ შეიძლებოდა – ბარაქა გამოილევაო და სხვა.

ახალი წლის მეორე დღე – 2/15 იანვარი <u>დასავლეთ საქართველოში</u> ბედობის დღე იყო და სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი.

<u>სვანეთში</u>, უფრო ზუსტად <u>ზემო სვანეთში</u> ამ დღეს კუიმტარ, კუიმარეშ, კუიმტობ, კუიმაც, ნანკ ეწოდებოდა.

კუიმტარ ახალი წლის მეორე, სხვა ვერსიით ახალი წლის მომდევნო პირველ ორ-სამ დღეს ეწოდებოდა. იყო უქმე. სრულდებოდა საახალწლო ჩვეულება შიმი ლიფშუდე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეზობლები ერთმანეთს ჯამით პურის ფქვილს (ქალები) და ვერცხლის ფულს (კაცები) უცვლიდნენ. სანამ ეს წესი არ შესრულდებოდა, მანამ ოჯახიდან არაფერს არ გაასესხებდნენ.

კუიმტარის დროს ტყიდან მოჰქონდათ მუხისა და წიფლის ტოტები, გააკეთებდნენ კონებს, ე.წ. ნამპარებს, რომლებსაც ვახშმობის დროს სუიმნობისა და ლამპრობისთვის (იხ. ლამპრობა) სხვენზე შეყ-

რიდნენ. ზოგან ამ დღეს მასპინძელ ოჯახში იკრიბებოდნენ, ოჯახში, როემლსაც იმ წელს მასპინძლობის რიგი უწევდა.

ამ დღეს ქალები და კაცები ცალ-ცალკე ასრულებდნენ ლოცვას. კაცები კოშკში ლოცულობდნენ.

<u>ᲫᲕᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ</u> ახალი წლის მეორე დღეს ლიშიაშალი ეწოდებოდა. ამ დღეს მეფეხური, მაკუჩხური ანუ მეკვლე მოდიოდა. მამაკაცები საქონელს რქაზე პურს ჩამოაცმევდნენ, ზურგზე კვერცხს გადაუსვამდნენ. ძროხას ეტყოდნენ: ბევრი მოიწველეო, ხარს – ბევრი ტვირთი ზიდეო. იცოდნენ სახლში ღომის მობნევა. ამ დღეს არც არაფერს გასცემდნენ და არც ითხოვდნენ.

<u>ᲠᲐᲭᲐᲨᲘ</u> 2/15 იანვარს ფეხის დაპწნა ეწოდებოდა. ამ დღეს ყველა ოჯახში მიდიოდა გარეშე კლოვიარე ანუ მეკვლე. მივიდოდა თუ არა ოჯახში კლოვიარე, მიაგებებდნენ გვერგვს და დოქით ღვინოს. მას თავის მხრივ ოჯახისთვის ყველიანი ან ქონიანი განატეხი მიჰქონდა. ოჯახის ყველა წევრს მიუმკლოვდა ანუ მიუკვლევდა. სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ყველას ღვინით ხელები უნდა დაებანა. კლოვიარეს დაათრობდნენ, დაასაჩუქრებდნენ და ისე გაუშვებდნენ.

<u>ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲨᲘ</u> ახალი წლის მეორე დღეს ასევე ფეხის დაპწნა ეწოდებოდა. ამ დღეს წესად ჰქონდათ ახლად შეძენილი მოყვრების მიპატიჟება. სტუმრებს ფეხიდაპწნის წოულს ეძახდნენ. შემოსვლისას თითოეულ მომსვლელს ხელზე ღვინოს გადაასხამდნენ და ზედ მარილს მოაყრიდნენ – ამას ხელის აშვებას ეძახდნენ. ვინც ამ დღეს სტუმრებს ხელს ბანდა, ის მოხელადე იყო, რომელზეც მთელი წლის სუფრების წარმართვა იყო დამოკიდებული. ამ ღამეს ზოგიერთ ოჯახში (ზოგან ახალ წელს) ვახშმობამდე ოჯახის უფროსი აიღებდა კოროლს (პურის ღეროები, რომელებსაც შენობის სახურავადაც ხმარობდნენ), გაუჭრელ შემწვარ ღორის გულს, პატარა ჯვარსახულ ტაბლას, ჭიქით ღვინოს და ანთებულ სანთელს. ამას ყველაფერს მიიტანდა ვაზის ძირში, კოროლს ვაზს თავზე წამოაცმევდა და ილოცებდა: ღმერთო, ბევრი მოაბმევინე ჩემ მამულს, ააცილე კოხი, მავნებელი. ღვინოს იქვე დალევდა, ღორის გულს, ტაბლას შეჭამდა და შინ შემოვიდოდა.

<u>ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ</u> ახალი წლის მეორე დღეს კუჩხა – ქათმების ფერხვა (მიკვლევა) იცოდნენ. ამ დღეს სახლიდან არც არავინ გავიდოდა

და არც არავის შემოუშვებდნენ, სანამ კარგი ფეხის წინასწარ არჩეულ მაკუჩხურს, მეკვლეს არ მიიწვევდნენ. მეკვლე ამ დღესაც შეასრულებდა მეკვლეობის რიტუალს. ეს დღე დიდი უქმე იყო და ერთმანეთთან ოჯახში არ მიდიოდნენ. თუ წლის განმავლობაში ოჯახი რაიმე ზარალს ნახავდა, ამ დღეს მისული სტუმრის ფეხს დააბრალებდნენ. ავი თვალის მქონე ადამიანთან შეხვედრა კი ნამდვილ უბედურებად მიაჩნდათ. ამ დღეს არც სახლს გამოგვიდნენ.

დილით აცხობდნენ ქათმის კვერებს, რომლებსაც ქათმის ფრთით აჭრელებდნენ და ამბობდნენ: ... ასი ათასი ჩემ ოჯახშიო, ერთი მეზობლის ოჯახშიო. ცომის პატარა გუნდებს სახლის ჭერზე ისროდნენ, რომ სიმინდის დიდი მოსავალი ჰქონოდათ. ჭერიდან ჩამოვარდნილი ცომის მიხედვით ამბობდნენ, რამდენი წიწილა ეყოლებოდათ წლის განმავლობაში. შემდეგ წიწილებისთვის გამომცხვარ კვერებს ღომის მარცვლიან ჯამზე დაალაგებდნენ, შემდეგ ოჯახის მეკვლე შემოდიოდა, რომელიც ქათმების გამრავლებისთვის ილოცებდა, შემოუვლიდა სახლს სამჯერ, თან კრუხივით კრიახებდა. მეკვლეს მუჭში ფეტვი ჰქონდა. როდესაც იგი დადიოდა, უკან ბავშვები მისდევდნენ და წიწილებივით წიოდნენ. მეკვლე ფეტვიან მუჭს წყალში სამჯერ ჩაყოფდა და თუ მარცვალი მშრალი იყო, იტყოდა, რომ მომავალ წელიწადს დარი იქნებოდა, თუ სველი – მაშინ წვიმა.

<u>გურიაში</u> ახალი წლის მეორე დღეს ქათმის ფერხვას ეძახდნენ. ოჯახში მფერხავი მიდიოდა, შედიოდა საქათმეში და ქათმებს უფერხავდა. როგორც წესი ეს იგივე ახალწლის მფერხავი ანუ მეკვლე იყო. სწამდათ, რომ მფერხავის თვისებებზე იყო დამოკიდებული არა მარტო ქათმებისა და მთელი შინაური ფრინველის ბედი, არამედ მთელი ოჯახის კეთილდღეობა.

მეფეხურს აძლევდნენ ღომის მარცვლებითა და კაკლით სავსე თიხის ქოთანს. იგი მიდიოდა საქათმეში, უკან მიჰყვებოდნენ ბავშვები. შევიდოდა საქათმეში, შემოივლიდა სამჯერ მარჯვნიდან მარცხნივ, რის შემდეგაც თიხის ქოთანს აგდებდა ძირს და ამსხვრევდა. კაკალს ბავშვები კრეფდნენ, ღომის მარცვლები კი ქათმებს რჩებოდათ. თუ ყველა კაკალი გულსავსე იყო, ოჯახს წლის განმავლობაში კარგი კვერცხები ექნებოდა. ამის შემდეგ მფერხავს სუფრასთან სადილად იწვევდნენ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში</u> ახალი წლის მეორე დღეს ქათმის მეკვლეობა ეწოდებოდა, <u>ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში</u> კუმეტი და <u>თუშეთში</u> კუბატი. <u>ერწო-თიანეთში</u> ამ დღეს ქათმის მეკვლეობასაც ეძახდნენ და კუმეტსაც.

<u>ქართლსა</u> და <u>ერწო-თაიანეთში</u> ქათმის მეკვლეს წინასწარ ირჩევდნენ. იგი ისეთივე რიტუალებს ასრულებდა, როგორც გარეშე მეკვლე ახალი წლის პირველ დღეს კახეთში.

მთიულეთის მომიჯნავე ქართლის სოფლებში, დილით ადრე დიასახლისი ქათმის ბედისპურს და ცოტა ნაკმაზს წყალზე წაიღებდა. სასურველი იყო იგი არავის დაენახა. დიასახლისი ბედისპურს წყალს მოატარებდა და მის ხმას მოასმენინებდა. ნაკმაზს წყალში ჩაყრიდა, რათა მომავალ წელს ოჯახში ქათამი მრავლად ჰყოლოდათ. წყალს სახლში წამოიღებდა, ქათმებს ბედისპურებს შეაჭმევდა და ეცდებოდა, რაც შეიძლება კარგად დაეპურებინა. ამ სოფლებში ქათმის მეკვლეობას კუმეტსაც ეძახდნენ.

<u>ფშავ-ხევშურეთში, ერწო-თიანეთში</u> კუმეტობას უქმობდნენ, მარხულობდნენ საქონლის ჯანმრთელობა-გამრავლებისთვის, თუმცა საეკლესიო წესების მიხედვით შობიდან წყალკურთხევის წინა დღემდე მსგეფსია და არ იმარხულება. ამ დღეს განსაკუთრებით ცხენის პატრონი არ ჭამდა ხორცს. ცხენის პატრონი იყო ის, ვისაც ძალიან კარგი ცხენი ჰყავდა, რომელიც დოღში წინ მიდიოდა ანუ შეეძლო დოღის მოგება. მარხვის გარდა ამ დღეს საკლავით ცხენის განათვლა ანუ საკლავების დაკვლა და განათვლის წესის შესრულება იცოდნენ ხატში, რომ ცხენს და პატრონს არაფერი დაშავებოდათ. სოფელში კი ადულებდნენ ფაფას და ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ.

<u>ხევსურეთში</u>, არხოტის თემში ახალგაზრდები თანატოლს თავიდან ფეხებამდე ჩალას ახვევდნენ, გამოაბამდნენ კუდს, რქებიან თხის ნიღაბს ჩამოაცმევდნენ, მოაბამდნენ თოკს და ხატში წაიყვანდნენ. ერთიც პატრონად ჰყავდათ მიჩენილი, რომელიც ნიღბოსანს ოხუნჯობას, ხტუნვა-თამაშს აიძულებდა. ზოგან კუმეტ დღეს იცოდნენ ქურდობა. ეს წესები ბერიკაობა-ყეენობის (იხ. ბერიკაობა და ყეენობა) ერთგვარი ნაირსახეობა იყო. კუმეტი ხალხში საფრთხილო დღედ მიაჩნდათ: ამ დღეს ბევრი ხიფათი მამხდარაო.

მთიულეთ-გუდამაყარში კუმეტ ღამეს, როგორც ახალწლის ღამეს, სხვასთან დარჩენა არ შეიძლებოდა. ახალ წელს გარეთ გატანილ ნაკელს ერთად აგროვებდნენ და მაგრად ტკეპნიდნენ, რადგანაც ამ ღამეს კუმეტები რომ ჩამოივლიან, თუ გადაშლილი ნაკელი ნახეს, ოჯახს დასწყევლიანო. გუდამაყარში ზოგან ბავშვებს ახლებში გამოაწყობდნენ და ეტყოდნენ: კუმეტი (კვიმატი, მარცხიანი დღე) ჩამაივლის და იმაზე დეერიგებითო, ე.ი. კუმეტს უნდა შეხვედროდნენ. ეს დღე უქმე იყო.

ამ დღეს თუშეთშიც უქმობდნენ. რა დღეც კუბატს (კუმეტს) დაემთხვეოდა, იმ დღეს მთელი წლის განმავლობაში საქმეს არ დაიწყებდნენ. წელიწადის კუბატი წლამდე გასდევსო.

ბარბარობა

ბარბარობა ქრისტიანული დღესასწაულია და 4(17) დეკემბერს აღინიშნება.

ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმინდა დიდმოწამედ ცნობილი) იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305-311წწ.) ცხოვრობდა და ეწამა. დიოსკორემ გადაწყვიტა ქალიშვილი ფარულად აღეზარდა, რისთვისაც თავის მამულში კოშკი ააშენა, რომელშიც ბარბარეს გარდა მხოლოდ მისი წარმართი აღმზრდელი და მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ღვთის განგებით და ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ვაჭრად გადაცმული მღვდელმთავარი ჩავიდა. მოხდა ისე, რომ მღვდელმთავარმა ბარბარე ქრისტიანად მონათლა.

და იმ დროს, როცა დიოსკორე მდიდრულ აბანოს აშენებდა, ნაგებობის სამხრეთ კედელში კი მისი ბრძანებით მუშები ორი სარკმლის დატანებას აპირებდნენ, ბარბარემ ისარგებლა მამის შინ არყოფნით და წმინდა სამების ნათელის ნიშნად, სიმბოლოდ მუშებს მესამე სარკმელიც გააკეთებინა, ხოლო აბანოს შესასვლელში თავად გამოსახა ჯვარი, აბანოს ქვის საფეხურზე საკუთარი ნაფეხური აღბეჭდა, რომლიდან მოგვიანებით დიდი ძალის მქონე წყალმა ამოხეთქა. დაწყლულებული და დამუწუკებული ავადმყოფები განსაკურნებლად ამ წყალთან მიდიოდნენ.

დიოსკორემ ქალიშვილის გაქრისტიანების ამბავი რომ შეიტყო, განრისხდა. რისხვისგან გონებდაკარგულს მახვილით უნდოდა, მისთვის თავი მოეკვეთა. ბარბარე გაექცა მამას და მთას მიაშურა, რომელიც გადაიხსნა და წმინდანი დიდ ნაპრალში შეიფარა. წმ. ბარბარემ აქ, ამ ნაპრალში დაიწყო ცხოვრება.

ერთხელაც დიოსკორემ ორი მწყემსის დახმარებით იმ გამოქვაბულს მიაგნო, სადაც ბარბარე ცხოვრობდა. მამამ ქალიშვილი დაუნდობლად სცემა, დილეგში ჩააგდო, მცველები მიუჩინა და დიდხანს აშიმშილა. ამის შემდეგ ქალაქის თავს მარტიანეს გადასცა. მარტიანეს ბრძანებით წმ. ბარბარე სასტიკად აწამეს, რის შემდეგაც დიოსკორემ, საკუთარმა მამამ, მას თავი მოჰკვეთა. ამ დროს ციდან ელვის სახით ცეცხლი გადმოვიდა და დიოსკორე და მარტიანე დაწვა.

წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილებზე მრავალ ქვეყანაში აიგო ტაძარი, სადაც ხალხი წმინდანს ინფექციური დაავადებებისაგან, შავი ჭირისაგან განკურნებას, უეცარი სიკვდილისაგან, მეხისა და ცეცხლისაგან თავის დაცვას სთხოვდა. ასევე იყო ჩვენშიც.

წმ. ბარბარე და ბარბარობის დღესასწაული საქართველოში ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთანაა დაკავშირებული. წმინდა ბარბარეს საქრისტიანოში ბავშვთა მფარველად და შემწედ, ასევე საქონლის მკურნალადაც მიიჩნევენ.

ბარბარობა, დასავლურ ქართული ტრადიციით, დღესასწაულების დასაწყისი იყო. <u>სვანეთში</u> მას ბარბოლ/ბარბლაშს ეძახიან. სვანეთში დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდები, ძველად კი მოხუცები, ეკლესიის ეზოში წინასწარ მომარაგებული შეშით ანთებდნენ დიდ კოცონს და შუაღამემდე ამ ცეცხლთან ატარებდნენ დროს და ილხენდნენ.

<u>სამეგრელოში</u> მიაჩნდათ, რომ ამ დღის მზე ერთი ნაბიჯით უკან ხტებოდა და იწყებოდა დღის გადიდება. ხალხის რწმენით, რა დღესაც ბარბარობა მოდის, იმ დღეს ემთხვევა ახალი წელი და სხვა „ბედნიერი“ დღეები.

თითქმის მთელ საქართველოში ბარბარობას ოჯახში მეკვლე მოდიოდა. იგი ბედობის დღე იყო. ხალხი უქმობდა, ზოგან რამდენიმე

დღესაც კი. ვინაიდან ეს დღე ბედობის დღე იყო, ხალხი ერთმანეთთან სტუმრობას ერიდებოდა.

<u>რაჭასა</u> და <u>ლეჩხუმში</u> აუცილებლად უნდა გმოეცხოთ სართვიანი ტაბლა (გულიანი რიტუალური პური), რადგან გავრცელებული რწმენის მიხედვით, ბარბარობა დღეს უსართვო/გულცარიელი ე. ი. უნიგვზოდ, უკვახისგულოდ ან ულობიოდ გამომცხვარი ტაბლა მთელი წლის მანძილზე ოჯახში სიცარიელეს, უბარაქობას მოასწავებდა. იმის გამო, რომ ბარბარობა მარხვას ემთხვეოდა, სადღესასწაულო სუფრა სამარხვო საჭმელებისაგან შედგებოდა. ამ დღისთვის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რიტუალური პურები ცხვებოდა: სართვიანი (ლობიანი პურები), ჯვარსახიანი განატეხი (ლობიანი), ნიგვზიანი განატეხი, კვახკაკლიანი პურები, საბარბარო ტაბლა (რიტუალური პური)... ამ დღეს ლობიანი ყველგან უნდა გამომცხვარიყო, თუმცა სვანეთში რძის ფაფა კეთდებოდა და ყველიანი პურებიც ცხვებოდა.

რადგანაც ბარბარობა ბედობის დღედ მიაჩნდათ, იმ დღეს იცოდნენ მეკვლეობა. მეკვლე (ახალი წლის მსგავსად) იყო როგორც შინაური, ასევე გარეშე. შინაური მეკვლე აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო, გარეშე კი შეიძლება ყოფილიყო კაციც, ქალიც და ბავშვიც. მთავარი იყო ის, რომ მეკვლეს კარგი ფეხი ჰქონოდა. თუ მეკვლე ფეხბედნიერი გამოდგებოდა, ოჯახი შემდეგ წელსაც მას მიიწვევდა.

<u>სვანეთში</u> ეს დღე საქონლის, კერძოდ კი ძროხის და წველადობის მომატებისათვის იყო განკუთვნილი, <u>რაჭასა</u> და <u>ლეჩხუმში</u> კი საქონლის, ქათმის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე ნათესების სიუხვისათვის. <u>სამეგრელოში, იმერეთსა</u> და <u>გურიაში</u> იგი ქათმების ფერხვის (მეკვლეობის) დღე იყო.

<u>გურიაში</u> ბარბარობა ექიმბაშ ქალთა დღესასწაული იყო. ხალხის რწმენით წმინდა ბარბარე სიცოცხლეში თავად კურნავდა ავადმყოფებს. ექიმბაშ ქალებს იგი თავიანთ მფარველად მიაჩნდათ და ხშირად მიმართავდნენ დახმარებისთვის. ამ დღეს ისინი ლოცულობდნენ და წმინდანს შესთხოვდნენ, რომ მათ წამლებს ავადმყოფების განკურნება შეძლებოდათ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოს</u> ბარში აცხობდნენ ნიგვზის გულიან ქადებს, რომლებიც გზაჯვარედინზე გაჰქონდათ, ჭრიდნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დაავადებები მშვიდობიანად მოეხადათ. ოჯახში იშლებოდა სუფრა, ანთებდნენ სანთლებს, ზოგი შვიდი ანგელოზის სახელზე შვიდ კაკალს ჩააგდებდა ცეცხლში, ზოგიც ხატისთვის დიდ ქადას, ცხრაფურცელას, გმოაცხობდა. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში მისული მლოცველი მამალს შეაფრენდა.

ბერიკაობა

დიდმარხვის წინა კვირას ყველიერი ეწოდება. ამ კვირაში მხოლოდ ხორცის ჭამა იკრძალება. ყველიერში ტრადიციულად, თითქმის მთელ საქართველოში საერთო-სახალხო მხიარულება და კარნავალები იმართებოდა. ეს წესი იშვიათად დღესაც სრულდება. ახალი კვირის ორშაბათიდან კი დიდმარხვის სახელით ცნობილი მძიმე და ყველაზე გრძელი მარხვა იწყება, რომელიც აღდგომის დღესასწაულით ხსნილდება. ყველიერის მხიარულება ნამდვილი ხალხური თეატრალური წარმოდგენა იყო და ისეთ მასშტაბებს აღწევდა, მასში ჩაბმული იყო არა მარტო ერთი და ორი სოფელი, არამედ ზოგჯერ მთელი ხეობა.

ბერიკაობა ყველიერის კვირაში იმართებოდა. იგი არქაული, წარმართული დღესასწაულის გადმონაშთია, ეძღვნებოდა ღვთაებას*, რომელი კვდებოდა, მაგრამ გაზაფხულზე ისევ იბადებოდა. ბერიკაობის

---

* წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებით ზამთარში ღვთაება, ღმერთი კვდებოდა და გაზაფხულზე, ბუნების აღორძინებასთან ერთად იბადებოდა და ხელახლა ანიჭებდა ბუნებას, ადამიანს, ცხოველებს სასიცოცხლო ძალებს. ბბერიკა არის ახლად დაბადებული ქართული, წარმართული უზენაესი ღმერთი - ბერი. ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილი ბერიკას ბერის შვილად მიიჩნევს. ძველქართულ ღმერთს ბერს ზოგიერთ კუთხეში განსხვავებულ სახელს უწოდებდნენ: ბემბღუ/ბამბღუ, ბოსლა/ბოსლო, წმინდა ბასილა.

დღესასწაული ემთხვეოდა ბუნების აღორძინების პერიოდს და სიუხვე-ნაყოფიერების გაზრდის მიზნით იმართებოდა.

ბერიკას ნიღაბი

ბერიკაობის მონაწილეებს ირჩევდნენ მამაკაცები. ესენი იყვნენ: თავბერიკა, ბერიკები – ღორი, არაბი, ლეკი, თათარი, მღვდელი, ნათლია, დედოფალი, მებარგულები, მომღერლები და მესაკრავენი. საერთო სახალხო „წარმოდგენის“ მონაწილეები თავიანთი როლების შესაბამისად ირთვებოდნენ. ბერიკა ცხვრის ან თხის ტყავს იცვამდა, რომელსაც უკან საქონლის კუდი ჰქონდა მიბმული. იშვიათად ცხვრის გადმობრუნებული ტყავიც ტომარასავით ჰქონდა ჩამოცმული, ზედ ორი გრძელი ყური და თხის რქა ჰქონდა დამაგრებული. ნიღბის წვერ-ულვაში თხის ბალნისგან უკეთდებოდა. თვალების, ცხვირის, პირის ადგილები ამოჭრილი ჰქონდა. ზოგან ნიღბის სანაცვლოდ ბერიკა სახეს შავად იღებავდა, თხის წვერს და რქებს იმაგრებდა, ზოგან კი ვაცის ყბა, რქები და კუდი ეკეთა.

ბერიკაობის მეორე მთავარი გმირი დედოფალი იყო. მას კეკელას ეძახდნენ. კეკელას როლს ქალურად გამოწყობილი ბიჭი ასრულებდა. ბერიკაობის პერსონაჟებს მხოლოდ მამაკაცები განასახიერებდნენ. კეკელას საპატარძლო ტანსაცმელი ეცვა, თავზე გვირგვინი ედგა, ზოგან ფრინველის ჭრელი ფრთების ქუდი ეხურა. ყელზე სხვადასხვა ფერის ქაღალდისა და მინის მძივებს უკეთებდნენ, სახეს ფერადი საცხებით ულებავდნენ. ზოგის გადმოცემით იგი გამურულიც ყოფილა.

ღორბერიკას ნიღაბი ჯოხზე წამოცმული ღორის გამხმარი თავი იყო, ან ტყავი. ტანზე ღორის ტყავი ეცვა.

დღესასწაულში ერთ ფუნქციას ასრულებდნენ: არაბი, ლეკი, თათარი. მათ თავზე ქუდი ან ფაფახი ეხურათ, ძველმანები ეცვათ და ძონძები ეკიდათ. ეწეოდნენ ყალიონს, ყელზე ზარი ეკიდათ, ხელში დიდი ჯოხი ეჭირათ. ისინი სოფლის მთავარი „დამრბევები“ იყვნენ.

ნათლიას დედოფლის დაცვა ევალებოდა.

მღვდელს ანაფორის მსგავსი ტანსაცმელი ეცვა, ოლარი ეკიდა. ხშირად ხბოს ან თხის ტყავი ემოსა და თხის ბალნის წვერ-ულვაში ჰქონდა.

ხანდახან მებარგული და მეკალათე, რომლებსაც პატარა ბიჭები განასახიერებდნენ, ნიღბებს ატარებდნენ.

ამ „წარმოდგენის“ მორთულ-მოკაზმულ მონაწილეებს წინ თავბერიკა და დედოფალი მიუძღოდნენ. მათ ამალა მისდევდა. მუსიკოსები მღეროდნენ ბერიკულს, ცეკვავდნენ, უკრავდნენ. მთელი პროცესია სოფელს კარდაკარ ჩამოივლიდა. ეზოში შესულებს მასპინძლები მიეგებებოდნენ. ბერიკაც ხის ხმლით ცეკვავდა; ხმალს დროდადრო მიწას უსვამდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელს სურსათი უნდა გამოეტანა. დანარჩენები მღეროდნენ:

„ალათასა, მალათასა, გადვიკიდებ კალათასა,
ერთი-ორი კვერცხი მამე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“

ან

„ბერა მოდგა კარებსაო,
აბრიალებს თვალებსაო.
ხელი ჩაჰკარ ხალამშიო,
ღმერთი მოგცემს ბარაქასო.
ვინცა ბერას არას მისცემს,
მელას მისცემს მის ქათამსო, ჰო“

და სხვა.

სახლის პატრონი კვერცხებს, ყველს, ერბოს, ფქვილს, პურს, ზოგჯერ ფულს და ყოველივეს, რაც ემეტებოდათ, გაუტანდნენ და მისცემდნენ. კმაყოფილი ბერიკები იმღერებდნენ:

„ოჯახი აქა ყოფილა,
სხვაგან ტყუილად გვივლია“.

ან

„გაუსვი ფეხი მაგრადა, თან მიაყოლე ხელები,
ეგ სახლის პატრონს აევსოს პირამდე პურით ბეღელი“.

თუ ვინმე ბერიკას არ გაუმასპინძლდებოდა, ეს, ხალხის რწმენით, ოჯახის, საქონლის, ფრინველის გაწყვეტას, უბარაქობას, ყანების განადგურებას, ადამიანის სიკვდილს მოასწავებდა. ბერიკების უკმაყოფილების ნიშანი ერთი მათგანის ეზოში გაგორება იყო.

ბერიკები არ კმაყოფილდებოდნენ იმ სურსათით, რომელსაც აძლევდნენ. შეცვივდებოდნენ ხოლმე სახლში და ოჯახს „არბევდნენ“. ამას არაბი, თათარი, ლეკი, ღორი აკეთებდა. მასპინძლები დარბევას დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, რადგან იგი ოჯახისთვის სიუხვე-ბედნიერების მომასწავებელი იყო. თავის მხრივ მასპინძლები ცდილობდნენ, ბერიკას, თათრის ან მღვდლის წვერისთვის რაც შეიძლება მეტი თმა მოეგლიჯათ და ბაგაში, საბუდარში საქონლისა და წიწილების გამრავლების მიზნით ჩაეყარათ. ამ საშხიარულო რიტუალური მსვლელობის დროს თავბერიკა, სხვა ბერიკები და ხალხი ცდილობდნენ, დედოფლისთვის ეკოცნათ. დედოფლის კოცნა ბედნიერებისა და დოვლათის მომნიჭებლად მიაჩნდათ. სოფლის მოედანზე, ან რომელიმე ბანზე, ბერიკა თავს აწონებდა დედოფალს და ცოლობას სთხოვდა. ქალიც თანმხდებოდა. ყველანი ჯვრის დასაწერად მიდიოდნენ. პროცესიას მიუძღოდა ნათლია, რომელსაც ხელში ჯვრის პური ეჭირა. მოედანზე ან რომელიმე სახლის წინ მღვდელი ჯვარს სწერდა ნეფე-პატარძალს, რასაც სიმღერა, ცეკვა-თამაში და ახლად ჯვარდაწერილებს შორის ალერსი მოსდევდა. მაყურებელი მამაკაცები ცდილობდნენ, იქ მყოფ ქალებს მოხვეოდნენ, ეკოცნათ მათთვის. ამ სანახაობის კულმინაცია ბერიკას სიკვდილი იყო. ბერიკას დედოფალი დაიტირებდა, ხალხი კი „გარდაცვლილის“ მობრუნებას ცდილობდა. ამასობაში ბერიკას „მკვლელები“, თათარი ან არაბი, დედოფალს გაიტაცებდნენ. როდესაც ხალხი ბერიკას ჩასძახებდა კეკელა მოიტაცესო, ნეფე წამოხტებოდა და „პატარძალს“ იბრუნებდა. ზოგჯერ ბერიკაობის ყველა პერსონაჟი იხოცებოდა. ბოლოს ხის ხმლებით და კეტებით სოფლის მოედანზე ბრძოლა და ჭიდაობა იწყებოდა. ხალხის რწმენით უხვი მოსავალი იმ სოფელში მოვიდოდა, საიდანაც იყო გამარჯვებული. ამის შემდეგ საერთო სუფრა და ლხინი იმართებოდა.

ბზობა

ბზობა იგივე ბაიაობა ათთორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება და დიდად ღირშესანიშნავი დღესასწაულია. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულება. იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლისას ხალხი ფეხქვეშ პალმების რტოებს, თავის სამოსს უფენდა და ეგებებოდა მადიდებელი შეძახილებით - ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. იმ კუთხეებში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც პალმა არ იზრდება, ადგილობრივ დადგენილი ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს. ასეთია, მაგალითად, ბზა, ბაია, ტირიფი და სხვ.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულება.

<u>სვანეთის</u> ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მღეროდნენ ე.წ. ლიგლოვი-კრირიელოს (კირიე ელეისონს): „ქრისტე! მიუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და დღეგრძელი და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ) და ოჯახის წევრი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოიხსენიებდა თავის მიცვალებულებს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვში მისიანების მოხსენიება ენდომებოდა, როგორც ცოცხლების ასევე მიცვალებულების, მომღერლებისთვის კაკალი ან მარილის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვნების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რწმენით ამ დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.

<u>სვანეთში</u> ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვნების კვირის განმავლობაში ლიროკინალი ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობა საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყიდან ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა

და ნახვრეტში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლიროკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი – ბავშვები და მამაკაცები მუგუზალს და გამორბოდნენ გარეთ, თან იძახდნენ: „ფუი! უწმინდურო ძალაო, დაგეწვათ ფრთები! შეგიცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ ხსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭდევებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალაა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საჭმელი არ გქონდეთ!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას ურტყამდა ქვას და ამბობდა: „დაე, აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

<u>რაჭა-ლეჩხუმში</u> ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაში და იქიდან მოჰქონდათ ბზა. სახლში მოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხლებზე დადებდნენ. თუ აბრიალდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებდა, თუ მალე ჩაქრებოდა – ცოტა ხანს (ლეჩხუმი).

<u>რაჭაში</u> ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის ალში ორჯერ ან სამჯერ წაღმა დატრიალდებოდა, ეს კარგი წელიწადის მომასწავებელი იყო, თუ უკუღმა – ცუდის.

<u>სამეგრელოში</u> ბზობა-ბაიობას* ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დააფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს საალდგომოდ აუცილებლად შეღებავდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურევდნენ. სწამდათ, რომ ფხალეულის შეჭმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ეჭამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც

* ბზობას სამეგრელოში სხვაგვარად ბჟაში ჩხორიას ანუ მზის სხივს უწოდებდნენ.

ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდენ და ბზებით ეკლესიას სიმღერით გარს უვლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

<u>მესხეთში</u> ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადააყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზებო, აქაურობას მოშორდით“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეაწუხებდნენ.

<u>ქართლში</u> მღვდელი ტყიდან მოტანილ ბზას აკურთხებდა და ხალხს დაურიგებდა. ხალხი ამ დღეს თევზს ჭამდა. მიცვალებულებისთვის ზურგიელს ხარშავდნენ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, დიდ ორაგულს მოხარშავდა და ეკლესიაში წაიღებდა. თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, „დაპურებული“ იყო და ხალხის რწმენით პურის თავთავი კარგად დაისხამდა. იცოდნენ სანთლის დანთება. ქართლში წირვა-ლოცვაზე სიარულს ბზობიდან იწყებდნენ (ე.ი. დადიოდნენ ყოველდღე), ოთხშაბათიდან კი „დაიუქმებდნენ“. ქართლში ვნების ოთხშაბათს ბზობის ოთხშაბათსაც ეძახდნენ.

<u>კახეთში</u> ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ მოჰქონდათ სახლში. აქაც მიაჩნდათ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვი მოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით.

კახეთში ბზობას მიცვალებულებისთვის ხარშავდნენ წანდილს, ზურგიელს. სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შეჭამდნენ, მათი მიცვალებულები საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაულექსავდნენ:

„აჰა, ყვაო ბზა,
ეგერიოს გზა,
მიტრიალდი, მოტრიალდი,
გაოხრდი და გატრიალდი.“

ხალხი ცდილობდა, მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაენახა: ყვავი წიწილას აღარ შეჭამსო. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავივით გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინა-

რებას ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩოს საძებ-ნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვიათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, - ყველაფერი ბარა-ქიანი იქნებაო. უფრო თესავდნენ: სიმინდს, ლობიოს, კიტრს - ბზა-სავით დაისხამსო. კახელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხარება და ბზო-ბა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებ-დეს ბზობას, ან პირიქით. თუ ხარებობა ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.

<u>გუდამაყარში</u> ბზას ბავშვებს თმაში უკეთებდნენ, ყვავები დაი-მალებიანო. ზოგი ბზას კვერცხებზე ცვლიდა.

<u>ხევში</u> ბზობას ბზობა-კაზარობას ეძახდნენ. მოხევეები ამ დღეს უქმობდნენ, ეკლესიაში წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ და მღვდელი მათ ბზით ნაკურთხ წყალს ასხამდა. ხევში ბზის მაგივრობას ტირიფი ასრულებდ.

მთელ <u>ფშავ-ხევსურეთში</u> მხოლოდ სოფელ მაღაროსკარში არის ბზა. ამ სოფელში იყო პატარა კოშკი – წმ. გიორგის სალოცავი. გა-დმოცემის მიხედვით, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას ბზა სჭირ-დებოდა და ფშავ-ხევსურეთში იგი არ იყო, ქრისტიანობის განსამ-ტკიცებლად თამარ მეფეს წმ. გიორგის ნიშთან ეს მცენარე გაუშე-ნებია. ამ ადგილს ბზიანას ეძახიან. აქვე ქრისტიანული ეკლესიაც მდგარა. თავდაპირველად მცირე ტერიტორიაზე დარგული ბზა დრო-თა განმავლობაში დიდ ფართობს მოსდებია. ხატი ბზიანაში პირუ-ტყვის შეყვანას კრძალავდა. ვისი პირუტყვიც ბზიანაში შევიდოდა, ხა-ტი მას დაამიზეზებდა, ანუ ავად გახდიდა, ან საქონელს უზარალებდა, ან სხვა რაიმეს შეამთხვევდა. დაზარალებული მივიდოდა მკითხავთან, რომელიც ერთი საკლავისა და სანთელ-საწირის მიტანას დაავალებდა.

ფშავში ბზობა მათურის მთავარანგელოზის ხატში იცოდნენ. მიცვალებულის პატრონს ეკლესიაში თევზი მიჰქონდა და იქ მყოფებს უმასპინძლდებოდა. ხატში არც საჭმელის მიტანა იცოდნენ და არც

სასმელის. ხევისბერი მლოცველის მიერ მიტანილ სანთელს ჩამოქნიდა, დაანთებდა, ილოცებდა ხატის ყმებისთვის, რის შემდეგაც მლოცველი შინ ბრუნდებოდა.

ბოსლობა

ბოსლობა ნაყოფიერების და გამრავლების ღვთაება ბოსელის კულტთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაულია, რომელიც მთელ <u>დასავლეთ საქართველოში</u> იმართებოდა, დაახლოებით ნათლისღებიდან მესამე კვირას, კაი პარასკევის (იხ. კაი პარასკევი) მეორე დღეს, შაბათს. იგი შინაური ცხოველების, გამრავლება-ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლისათვის განკუთვნილი დღესასწაულია, რომელიც წინაქრისტიანულ პერიოდში იღებს სათავეს.

<u>ქვემო სვანეთში</u> ბოსლობისათვის კუბდიანებს (რიტუალურ პურებს) აცხობდნენ. გოდორში თივას დააფენდნენ და კუპდიანებს შიგ ჩააწყობდნენ. „კიტი, კიტი ბამბლუ“, – იტყოდა მამაკაცი სამჯერ და კუპდიანებს გოდრიდან გადმოყრიდა. ბავშვები მათ სამჯერვე უკან ჩაყრიდნენ. ამის შემდეგ გამზადებულ საჭმელს ტაბაკზე დადებდნენ.

<u>რაჭაში</u> ბოსლობა განსაკუთრებით ქალების უქმე იყო. ამ დღეს კერვა-ქსოვა არ შეიძლებოდა. უფროსი ქალები საქონლის სახადის საწინააღმდეგოდ საღამომდე თმობდნენ (ანუ მარხულობდნენ) - ხარებს კისრები არ გაუფუჭდესო. ძველად კლავდნენ გოჭს, რომელსაც საბოსლობო ერქვა. აცხობდნენ სართვიან ანუ გულიან პურებს, ლობიანებს, ერთ ჯვარსახიან ლობიან განატეხს. განატეხში ანთებულ სანთელს არჭობდნენ, ზემოდან გოჭის ბეჭს და ჭიქით ღვინოს ადებდნენ. ამას ყველაფერს გობზე აწყობდნენ. გობი ოჯახის უფროსს ბოსელში მიჰქონდა, საქონელს თავზე შემოავლებდა და ილოცებდა: „საქონლის ანგელოზო! ააშორე ჩვენს საქონელს ყველაფერი გაჭირვება, სახადი და ნადირი!“ მამაკაცი განატეხს ბოსელშივე გატეხავდა, ცოტას შეჭამდა, ღვინოს დალევდა, მორჩენილ საჭმელს კი შინ შეიტანდა.

ლეჩხუმშიც ბოსლობა კაი პარასკევის მეორე დღეს, შაბათს იმართებოდა. ამ დღეს „ხარების ჯანიერებისათვის“ ანუ ჯანმრთელობისათვის დიდ უქმეს იცავდნენ. დიასახლისი ნაშუადღევიდან დაიწყებდა სამზადისს: პატარა მარილიან ტაბლას – საოჯახო სალოცს – გამოაცხობდა. შემდეგ კერიასთან იწყებდა ლოცვას. ამ დროს მასთან მეუღლე მივიდოდა, ეტყოდა: „ბოსლა-კოტრა მომეკოტრა“, მოიკოტრებდა ანუ ზურგზე მოიკიდებდა და კერიას სამჯერ გარშემო შემოუვლიდა. ამ რიტუალის დროს სახლში არავინ არ უნდა ყოფილიყო. რიტუალი რომ დამთავრდებოდა, კაცი პატარა საოჯახო ტაბლას (რიტუალურ პურს) შეჭამდა. ეს სამხრობის დროს ხდებოდა.

ამის შემდეგ ვახშმობისთვის იწყებოდა მზადება. აცხობდნენ: სამ ცერცვიან ტაბლას (რიტუალურ პურს), სამ უფრო პატარა ცერცვიან ტაბლას და საოჯახო სალოცს (ასევე რიტუალურ პურს). ყოველივე ხარების დასალოცად კეთდებოდა. დაღამებისას, ვახშმობის წინ, კაცი იღებდა ხარების სალოც ტაბლას, ერთ ჭიქა ღვინოს, იმდენ უმ კვერცხს, რამდენი ხარიც ჰყავდა, წაიღებდა ბაგაში და იქ ილოცებდა. კვერცხებს იქვე მალავდა. კვერცხებს მეორე დღეს ოჯახის უმცროსი ვაჟიშვილი იღებდა.

სამეგრელოში ბოსრობა/ბოსლობას დიდმარხვის დაწყებამდე ჩვიდმეტი დღით ადრე დღესასწაულობდნენ.

იმერეთში ბოსლობა ხორციელის ხუთშაბათ საღამოს იმართებოდა. ოჯახის უფროსი ქონის მოზრდილ ნაჭერს აიღებდა, ბიჭს ზურგზე „მოიკუტალებდა“, ანუ მოიკიდებდა და ბოსელში წავიდოდა. ბოსელში ქონს საქონელს ზურგზე წაუსვამდა, თან იტყოდა: ასე გასუქდიო. ამის შემდეგ ოჯახის წევრები საჭმელს შეჭამდნენ და „ბოსელ, ბოსელ ბუო-ს“ გაიძახოდნენ.

გურიაში ბოსლობა ყველიერის წინა შაბათს იმართებოდა. ეს დღე გურიაშიც შინაურ ცხოველებს ეძღვნებოდა. სავახშმოდ ცხვებოდა დიდი საოჯახო მჭადი, რომელშიც ჩართული იყო დამარილებული საახალწლო ღორის ქონის ნაჭრები. სუფრასთან ლოცვის დროს ახსენებდნენ ე. წ. ბოსელ პატიოსანს, რომელიც ცხოველების მფარველად მიაჩნდათ. ხონჩაზე სანთელს, კაკალს და პურს დებდნენ. ხონჩა ქალს ან კაცს ბოსელში მიჰქონდა. თან ბავშვშიც მიჰყავდა.

ბავშვი ძროხებსა და ხარებს შორის დგებოდა. ვისაც ხონჩა ეკავა, ბავშვის პირდაპირ დგებოდა. ქალი (ან მამაკაცი) ბავშვს ეკითხებოდა: „ბოსელ, შინა ხარ?“ „შინ ვარ, ბატონო“, - პასუხობდა ბავშვი. „ძროხას მომცემ? ხარს მომცემ? ცხენს მომცემ? კაცთ მშვიდობას მომცემ?“ - ეკითხებოდა ის, ვისაც ხონჩა ეკავა. „ბევრს, ბატონო“, - კვლავ პასუხობდა ბავშვი. ეს კითხვა-პასუხი სამჯერ მეორდებოდა. ამის შემდეგ კაკალს ბოსელში ყრიდნენ, ბავშვი და ქალი ან კაცი, ვისაც ხონჩა ეჭირა, შინ ბრუნდებოდა. შინ დაბრუნების შემდეგ მთელი ოჯახი ვახშმად სხდებოდა და ბოსელ პატიოსანს (ცხოველების დამცველს) იმავეს სთხოვდა, რასაც ბოსლის რიტუალის დროს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

განცხადება, იგივე ნათლისღება და ხალხურად წყალკურთხევა 6(19) იანვარს აღინიშნება. ეკლესია ამ დღეს იოანე ნათლისმცემლის მიერ იორდანეში იესო ქრისტეს ნათლობას იხსენებს. სახარების მიხედვით, როდესაც იესო ქრისტე წმინდა იოანესთან მივიდა მოსანათლად, ნათლისმცემელმა იცნო და უთხრა: მე შენ უნდა მომნათლო და შენ ჩემთან მოდიხარო? მაშინ იესო ქრისტემ მიუგო, რომ ამ გზით რჯული ანუ ღმერთისგან დადგენილი წესები უნდა აღსრულებულიყო.

ეს იყო ღვთის განგება. ამოვიდა თუ არა იესო წყლიდან, მას მტრედის სახით სულიწმინდა დაადგა თავზე, გაისმა ზეციდან მამაღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“. სწორედ ამგვარად გამოცხადდა ხალხის წინაშე წმინდა სამება. ამიტომაა, რომ ამ დღეს ნათლისღების გარდა განცხადება ანუ სამების განცხადება, გამოჩენა, გამომჟღავნება ჰქვია.

5(18) იანვარს საეკლესიო კალენდრის მიხედვით მძიმე მარხვისა და განცხადების/ნათლისღების/წყალკურთხევის წინადღესასწაულია. ამ დღის მძიმე მარხვას ხალხიც იცავდა.

<u>ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ</u> ახალწლის მეხუთე დღეს ადგომ (ადგომა) ეწოდებოდა. გახლდათ მძიმე მარხვა და უქმე. <u>ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ</u> ეს დღე

ლიფანალის (მიცვალებულთა სულების სტუმრად წვევის) პირველი დღე იყო. ლიფანალი მიცვალებულთა მოსაგონარი დღეობაა, რომელიც 5(18) იანვრიდან პირველი კვირის ორშაბათამდე სრულდებოდა. ამ დროს ლოცავდნენ მიცვალებულთა სულებს და ეზოს გარეთ აცილებდნენ.

<u>რაჭაში</u> ამ დღეს ნათლისღების მარხვას იცავდნენ და უქმობდნენ. ყველა ცდილობდა, მარხვაში სახსნილო არ შერეოდა. ლოცვა ან განატეხის გამოცხობა არ იკოდნენ.

<u>ლეჩხუმშიც</u> ნაახალწლევის მეხუთე დღე ნათლისღების მარხვა და უქმე იყო. ამ დღეს წირვაზე მიდიოდნენ და ნაჭერში გახვეული ყოველგვარი თესლი მიჰქონდათ. თესლს წირვას „მოასმენინებდნენ“ და ნაკურთხ თესლს შეინახავდნენ. ეკლესიიდან ნაკურთხ წყალს ბოთლით წამოიღებდნენ. ამ დღესაც იკურთხება ეკლესიაში წყალი. აიაზმით ნაცარს მოცომავდნენ და კვერებად დააცხობდნენ. კვერებს ინახავდნენ და როდესაც თესვის დრო მოვიდოდა, ნაკურთხ თესლს, მოცომილ ნაცარს ახალ „ფეხგასულ“ თესლში აურევდნენ და ილოცებდნენ: „ღმერთო, დაგვიცავი ჩვენ მრავალი თაგვისაგან, მჭრელისაგან, კოხისაგან“.

<u>სამეგრელოში</u> ახალი წლის მეხუთე დღეს წინა დღეს უწოდებდნენ. იყო მძიმე მარხვა.

<u>იმერეთშიც</u>, ისევე როგორც <u>დასავლეთ საქართველოს</u> სხვა კუთხეებში, ეს დღე მძიმე მარხვა და უქმე იყო.

<u>გურიაში</u> ნათლისღების წინა დღეს ყოველი ოჯახი გათხოვილ ქალიშვილს თავის არჩივს (საახალწლოს) უგზავნიდა.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> 5(18) იანვარს წუნკალაობას (ქართლი, მთიულეთი-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი), გამცხადებას (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი) უწოდებდნენ. იყო ისეთი მძიმე მარხვა, რომ მისი გატეხვა ძაღლის ხორცის ჭამის ტოლფასად მიაჩნდათ. ხალხი ამბობდა: „არ იჭმება წუნკალაო, როგორც ძაღლი(ს) უკანაო“ ან „ენკენია უკანაო, წყალკურთხევა წინა დღეო, იმის მეტად არ იჭმება, როგორც ძაღლი წუნკალაო“ (მთიულეთი). ამ დღეს იყო უქმე.

<u>ქართლში</u> ისერთივე წესები სრულდებოდა, როგორც წყალკურთხევას. გადიოდნენ წყლის დასაღვრელად, მიცვალებულებისთვის შლიდნენ სუფრას.

<u>მთიულეთში</u> წყალზე გადიოდნენ და მეორე დღისათვის ამზადებდნენ ყველაფერს, რომ მიცვალებულებისთვის წყლის დაღვრის წესის შესრულება შეძლებოდათ.

<u>ხევში</u> და <u>გუდამაყარში</u> ისევე, როგორც ქართლსა და მთიულეთში წუნკალაობასთან ერთად ამპარიობაც (იხ. ლამპრობა/ამპარიობა) იცოდნენ.

<u>გუდამაყარში</u> 5/18 იანვარს იქ, სადაც ნაკელს ყრიდნენ, ანთებდნენ კოცონს, რომელსაც ამპარიას ეძახდნენ. ზოგიც კოცონს მეორე დღეს, წყალკურთხევას (იხ. განცხადება) ანთებდა. ვინც ამ დღეს წყალზე მიცვალებულებისთვის წყლის დასაღვრელად არ წავიდოდა (მოხუცები, ბავშვები), ძირითადად კი დიასახლისი, ჯერ ისევ სიბნელეში, ახალ წელს დაგროვილ ნაკელს ახალ წელს გადანახულ ნეკერს (ხის კვირტებიანი ნორჩი ტოტი) დააყრიდა, მრგვლად ჩალას მოაყრიდა და ცეცხლს წაუკიდებდა. ბედისკვერებთან ერთად ახალ წელს (იხ. ახალი წელი) გამომცხვარ საცრის კვერს (რიტუალური პური) საცერში ჩადებდნენ, რომელსაც ბავშვი მოიკიდებდა ზურგზე და ამპარიას კოცონს სამჯერ შემოუვლიდა, თან ჩაიმუხლებდა ხოლმე და იძახდა: „მომეშველეთ, მომეშველეთ. კეთილმა წელი მომწყვიტა. საფუარი ფუარიო, სახლი ბარაქიანიო.“ ამ სიტყვების შემდეგ შევიდოდა სახლში და ვარცლზე დააგდებდა საცერს. საცრის პური ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა. ბავშვი ამპარიას რომ შემოივლიდა, ხშირი ტყისკენ გაიხედავდა – ბარაქიანი მოსავალი იქნებაო. ამ დღეს ბავშვები ცეცხლზე ხტებოდნენ. ზოგი საცერში მეკვლისთვის გამომცხვარ პურს დებდა. მსგავსი წესი მთიულეთსა და გუდამაყარში წყალკურთხევას სრულდებოდა.

<u>ხევში</u> ამპარიობა ძირითადად 5/18 იანვარს სრულდებოდა, იშვიათად კი იანვრის ბოლო დღეს. ამ დღეს იანვრის კუდის მოწვას ეძახდნენ, ვინაიდან ზამთრის დასასრულისა და გაზაფხულის მოახლოების მაუწყებელი იყო. 5/18 იანვრის ამპარიობა მიცვალებულებს უკავშირდებოდა. ღამე თითოეული უბანი ჩალას აგროვებდა. გვარის უხუცესი მოგროვებულ ჩალას სამჯერ შემოუვლიდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, ჩემი ხელი მშვიდობიანი იყოს მოსავლისათის, პური მრავალი და მშვიდობა მოგვანიჭე.“ ამის შემდეგ უხუცესი ჩალას ცეცხლს უკიდებდა.

მანამ, სანამ ალი მაღლა არ ავარდებოდა, იქ მყოფები ხელაპყრობილები იდგნენ. ცეცხლს იმიტომ ანთებდნენ, რომ ხალხის წარმოდგენით საიქიოში მიცვალებულები თბებოდნენ. ზოგჯერ ცეცხლთან მიცვალებულებს შენდობასაც ეუბნებოდნენ. ამპარია ილბლიან, ფეხბედნიერ კაცს უნდა აენთო. კოცონზე აუცილებლად უნდა გადამხტარიყვნენ.

<u>ხევსურეთში</u> ამ დღეს განცხადებას ეძახდნენ. იყო უქმე. იკრძალებოდა ხელსაქმის კეთება.

<u>პირიქითა ხევსურეთში</u> ერთი კოდი ლუდი ცალკე იდგმებოდა და ილოცებოდა ლაშარის ჯვრის ლაშქარში დახოცილთათვის.

<u>ბუდე ხევსურეთში</u> – პირაქეთა ხევსურეთში მთელი სოფელი დასტურების ბანზე იკრიბებოდა და ქეიფობდა. მიცვალებულებს შენდობას ეუბნებოდნენ, ახალგაზრდები საკუთარ ბედზე მკითხაობდნენ.

ბუდე ხევსურეთში განცხადებას იგივე წესები სრულდებოდა რაც არხოტის თემში კუმეტობას. მხოლოდ ბუდე ხევსურეთში ბერიკა ახალგაზრდების თანხლებით მთელ სოფელს შემოივლიდა. ბერიკა და მისი თანმხლებნი ყველა ოჯახში შედიოდნენ და სანოვაგეს აგროვებდნენ. ბოლოს, ჯერ ჯვარის კართან, შემდეგ ვინმესთან ოჯახში მართავდნენ ლხინს.

განცხადებას ხევსური მამაკაცები ორ ჯოხს შეიტანდნენ სახლში. ვაჟები ამ ჯოხებს გადააჯდებოდნენ, ზედ თავიანთ ბედისკვერებს (იხ. ახალი წელი) გატეხავდნენ და შემდეგ მათ კერის ცეცხლში ჩაყრიდნენ. სუფრასთან დამსხდარ ოჯახის წევრებს დიასახლისი სამეკვლეოს (იხ. ახალი წელი) უნაწილებდა, ბედისკვერებს კი სათითაოდ ურიგებდა. ბედისკვერის ჭამის წინ ყველა დაილოცებოდა.

<u>თუშეთში</u> ნათე და მაქალათეები დოხანით (ერთად მოხარშული ლობიო და ხორბალი) გაუმასპინძლდებოდნენ საგვარეულოს. ოჯახში უნდა გაშლილიყო ქრისტის სუფრა. უფროსები მარხულობდნენ. ახალგაზრდები შეგროვილი ერბოსა და კალტისაგან (ხაჭო), ხავიწს აკეთებდნენ და ჭამდნენ. ირჩევდნენ ახალ ნათეს (ხატის მსახური). თუშეთში ამ დღეს იცოდნენ „ქურდობა“. „ქურდები“, ვინც ჯარში არ იყო, ყველას ატყვევებდნენ. თუ ადამიანს ვერ დაატყვევებდნენ, მის ნაცვლად საქონელი მიჰყავდათ. მეორე დღეს „ტყვეებს“ ოჯახიდან ოჯახში დაატარებდნენ. მათ გამოსახსნელად პატრონები ქვაბ-საკლა-

ვით (ერთი მწვადი და სასმელი) მიდიოდნენ. იმართებოდა ქეიფი. საერთოდ წელწდობებში (ახალწლის პერიოდი) მაქალათეები დიდად ერთობოდნენ და სხვებსაც ამხიარულებდნენ.

<u>სვანეთში</u> ახალი წლის მეექვსე დღეს განცხდაბ ან ლიცი ლიპ-რისდალი ეწოდებოდა. თურმე ამ დღეს დიდებული წირვა-ლოცვა იმართებოდა. მდინარეში ან ღელეში მღვდელი ჩააგდებდა ჯვარს. იწყებოდა შეჯიბრი, ვინ პირველი ამიღებდა ამ ჯვარს.

<u>რაჭაში</u> ნათლისღებას ოჯახის უფროსი მამაკაცი ჩიტს დაასწრებ-და ადგომას. აიღებდა ამ დღისთვის შენახულ საკალანდე ღორის თავს, გაწმენდდა და ჩადგამდა მოსახარშად. დიასახლისი აცხობდა ერთ ქონიან განატეხს. ოჯახის უფროსი ერთ ქონიან განატეხს, ღორის მოხარშულ თავს, კანაფს და ხარის გვერდის ძვალს აწყობ-და გობზე და ცარიელ დოქთან ერთად მიჰქონდა მარანში. დაგოზილ ღვინიან ჭურს მოხდიდა, გობს ჭურის თავზე წაღმა შეატრიალებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, მიეცი სიწმინდე, ბარაქა ჩვენ ჭერს“. იქვე ორჯერ მოათლიდა ხორცს ღორის მოხარშულ თავს, ორ ნაჭერ განატეხთან ერთად შეჭამდა; ჭურის თავზე ღვინოსაც დალევდა, კა-ნაფს რამდენჯერმე წაუსვამდა ხარს გვერდზე და იტყოდა: „ასე გასწ-მინდე ჩვენი ჭურ-მარანი ყოველგვარი უწმინდურობისაგან“. შემდეგ დოქს ღვინით გაავსებდა და შინ შეიტანდა. ეს წესი მზის ამოსვლამდე უნდა დასრულებულიყო, რის შემდეგაც წირვაზე მიდიოდნენ და იქი-დან ნაკურთხი წყალი მოჰქონდათ. ამ დღეს მღვდელი წყალში ჯვარს ჩააგდებდა და წყალს აკურთხებდა.

<u>ლეჩხუმში</u> ნათლისღებაზე ოჯახის უფროსი ასევე „ჩიტის აზვრა-მდე“ ანუ ჩიტების გაღვიძებამდე სხვენზე დაკიდებულ ღორის თავს ჩა-მოიღებდა. კერიას მარჯვნიდან ღორის დინგს არტყამდა, ასუფთავებდა და მოსახარშად ჩადგამდა. დიასახლისი სამ ჯვარსახიან ღორის ქონიან ტაბლას აცხობდა. ამ რიტუალურ პურს ცეროიანს ეძახდნენ. ღორის თავს, გობზე დადებულ სამ ტაბლას, ნაკვერჩხალს, ჭიქას და დოქს ოჯახის უფროსი მარანში დაგოზილ ჭურთან გაიტანდა და იქ დაილო-ცებოდა. ყველაფერი ეს მზის ამოსვლამდე ხდებოდა. საუზმის შემდეგ მიდიოდნენ ეკლესიაში. დიასახლისი სახლში რჩებოდა და სულის პურებს აცხობდა. ნათლისღებიდან დაწყებული მომავალ ხუთშაბათამდე, დღეში

თითოჯერ, სადილობის დროს მიცვალებულს სუფრას უდგამდნენ (თუ ნათლისღება ხუთშაბათს დაემთხვეოდა, მაშინ ამ დღიდან დაწყებული სულის დღე მომავალ ხუთშაბათამდე გრძელდებოდა).

მიცვალებულებისათვის ოგრას (ერთგვარი კერძი) გაკეთება იცოდნენ. სულის გადაბრძანება ნათლისღების მომდევნო ხუთშაბათს იყო. ამ დღისათვის საკალანდო ღორის ჭიღვი (ფეხების უკანა, ძარღვებიანი ნაწილი) და გვერდი უნდა შეენახათ; სულის პურებს გამოაცხობდნენ და სუფრას მხოლოდ ვახშმისთვის გაშლიდნენ. სუფრაზე უნდა ყოფილიყო: სამი ყველიანი ან ლობიოიანი ტაბლა, სამი სულის პური, ღორის ჭიღვი და გვერდი, ღვინო და ერთი სანთელი. ოჯახის დიასახლისი ანუ უფროსი ქალი სამჯერ წაუქცევდა ღვინოს თავს და იტყოდა: გამინათლე ჩემი მიცვალებულების სულიო. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი აიღებდა ერთ სულის პურს, შემწვარ გვერდს, ჭიქით ღვინოს, ერთ სანთელს და სულებს ეზოს კარამდე „მიაცილებდა“, თან ღვინოს გზადაგზა ასხამდა. ჭიშკართან რომ მივიდოდა, პურს და ხორცს იქ დატოვებდა.

<u>სამეგრელოში</u> ამ დღეს წაკუთხია ეწოდებოდა. მდინარეზე წყლის კურთხევის შემდეგ წყლიდან ჯვრის ამოღება იცოდნენ. ვინც წყლიდან ნაკურთხ ჯვარს ამოიღებდა, იმაზე იტყოდნენ: იესო ქრისტეს მონათლულია წელსაო. ამ დღეს ახალწელს მოტანილ სუროს დაწვავდნენ. ნაკურთხი წყალი მოჰქონდათ სახლში და მთელი წლის განმავლობაში ხმარობდნენ.

<u>გურიაში</u> ნათლისღებას მდინარეზე წყლის კურთხევა იცოდნენ. წყალში ჩადებულ ჯვარს ის ამოიღებდა, ვინც მეტ ფულს გადაიხდიდა. 6(19) იანვარს, დილით ადრე, ოჯახის უფროსი დგებოდა, ილოცებდა, შემდეგ ხსნიდა ჩიჩილაკს მოსართავებს და სამჯერ შემოატარებდა სახლში მარჯვნიდან მარცხნივ. შემდეგ გარეთ, მარანში გაჰქონდა (ღია მარანში), სადაც უმეტესად რცხილები იყო დარგული და ერთ-ერთ ხეზე დაჰკიდებდა. ზოგან ამ დღეს აგუნას გადაძახების (იხ. აგუნას გადაძახება) რიტუალიც სრულდებოდა.

<u>იმერეთში</u> ნათლისღების დღეს ხალხი ეკლესიაში მიდიოდა, იქიდან კი ახლომდებარე მდინარეზე გადიოდნენ. მდინარეზე მღვდელი ჯვარს წყალში ჩაუშვებდა. ვინც უფრო მამაცი იყო, წყლიდან ჯვარს

ამიოღებდა. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფი განათლული იყო. ხალხს ნაკურთხი წყალი სახლში მიჰქონდა.

<u>მეხეთეში</u> ამ დღეს ნათლისმცემლობას/ნათლისღებას ეძახდნენ. ბასილას სახელით ცნობილი საახალწლო კვერიდან ამოჭრიდნენ ჯვარს, ადებდნენ პურს და მღვდელს აკურთხებინებდნენ. ბასილას კვერის დარჩენილ ნაწილს ოჯახის წევრები ინაწილებდნენ და ჭამდნენ. ბასილადან ამოჭრილ ჯვარს დებდნენ იქ, სადაც სათესლე ხორბალს ინახავდნენ. როდესაც თესვის დრო მოვიდოდა და მარცვალს მინდორში წაიღებდნენ, პურის ჯვარსაც გააყოლებდნენ. ამის შემდეგ პურის ჯვარს ცომში ჩაჭყლეტდნენ და პურს აცხობდნენ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> 6(19) იანვარს დილით, იქ, სადაც ეკლესიები იყო, ხალხი წირვას ესრებოდა. წირვის შემდეგ მღვდელი მიდიოდა მდინარეზე, წყალს აკურთხებდა და ხალხი აიაზმას იღებდა.

<u>ქართლ-კახეთში</u> მდინარეზე პატარა ხიდი „იორდანე“ იყო გადებული, რომელზეც იდგა მღვდელი. ხიდის გადება მდინარეზე ხევშიც იცოდნენ. როდესაც მღვდელი ჯვარს წყალში ჩაყოფდა, იტყოდნენ: ყინვა გატყდაო (კახეთი). კახეთში ზოგან წყლის კურთხევის შემდეგ ჩამოკიდებდნენ ვაშლს, კანფეტს, ჩურჩხელას და ესროდნენ თოფს. ვინც ტყვიას მიზანში მოარტყამდა, სოფელს მასთან უნდა ექეიფა. ამ დღეს აიაზმით ნაცარს მოზელდნენ და ხელებს იბანდნენ. ნაცარს დიდხანს ინახავდნენ. აიაზმას სახლს მოასხურებდნენ, მელოგინეს გადაასხამდნენ, ხატში წასვლის წინ გადაივლებდნენ, უწმინდური ცხოველის (ვირთხა, გველი...) გადანავალ ჭურჭელს მოავლებდნენ.

<u>ქართლის</u> ზოგიერთ რაიონში აიაზმას საპურე ცომის ქოთანში ასხამდნენ და იტყოდნენ: „მოვიდა ზეთი მამანა, თავით ფეხამდი დაგვნამა“ ან „მოვიდა ზეთი, მანანა, პური და ღვინო დანამა (ან გამრავლდა)“. ქართლში წყლის კურთხევამდე, ოჯახში ცხვებოდა კვერები, რომლებსაც უსვამდნენ კვერცხს. ისინი ბიჭებისთვის იყო განკუთვნილი. გამომცხვარ კვერებს ვაჟებს მისცემდნენ წყლის კურთხევაზე წასაღებად. როდესაც მღვდელი წყალს აკურთხებდა, თავად შეცვივდებოდნენ მდინარეში, ან ერთმანეთს შეაგდებდნენ. ხშირად წყალში მღვდელს ან ასაკოვან, კაცს, ან გუთნის დედას აგდებდნენ, რომელსაც ხელში დროშას მისცემდნენ და ისე ჩააგდებდნენ - კარგი, ბარაქიანი წელი დადგებაო.

ახალგაზრდებს მათთვის გამომცხვარი კვერები უკან მიჰქონდათ სახლში. ამ კვერებზე ჯვარს ამოჭრიდნენ, პურის ცომში ჩააგდებდნენ. ნაკურთხი მდინარის წყალს საქონელს დაალევინებდნენ (ეს წესი სხვაგანაც სრულდებოდა) და სახლიდან წაღებულ რიტუალურ პურებს: ცულს, ცელს, ნამგალს და ზემოთ ხსენებულ კვერს წყალში ამოავლებდნენ.

ამ დღეს სახლში საკვლევარს (აბრამიანს) (იხ. ახალი წელი) დაშლიდნენ. კახეთშიც ასე იცოდნენ. ხართკვერს (ხარების ბედისკვერი) ხარს გადააატეხავდნენ ქედზე - შენი მოყვანილია, ალალი იყოსო. ცოტას მოტეხავდნენ და ხარს შეაჭმევდნენ, დანარჩენს თვითონ შეჭამდნენ. ყველა თავის ბედისკვერს შეჭამდა: სახრეს, ნამგალს – კაცი, მაკრატელს – ქალი.

<u>ქართლში</u> წყალკურთხევას გუდამაყრული და მოხეური ამპარიას მსგავსი წესი სრულდებოდა. მდინარიდან მობრუნებული ოჯახი ამზადებდა კორკოტს ან ხალიფაფას (იგივეა, რაც კორკოტი). სანთელს ანთებდნენ და მიცვალებულებს იხსენიებდნენ. ზოგი საკლავსაც კლავდა. კორკოტი მეზობლისთვისაც უნდა მიეწოდებინათ.

<u>კახეთში</u> ზოგჯერ ნათლისღებას რომელიმე მამაკაცს აირჩევდნენ და მასხარასავით გამოაწყობდნენ. მას ძველმანები ეცვა, ოხუნჯობდა, თავშესაქცევ ამბებს ყვებოდა. თუ სადმე წყალს ნახავდნენ, შიგ აგდებდნენ. ამ კაცს ყეინს ეძახდნენ. თუ ყეინი ენაკვიმატი იყო, სამი წლით აირჩევდნენ. ყეინს საკლავი უნდა დაეკლა.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> ამ დღეს წყლის დაღვრაც იცოდნენ. ეს წესი ისევე სრულდებოდა, როგორც წუნკალაობას. განსხვავდებოდა მხოლოდ ზოგიერთი თავისებურებებით. ზოგი ამ დღეს სასაფლაოზე გადიოდა და რამდენი მიცვალებულიც ჰყავდა, იმდენ სავსე ჭურჭელს დაღვრიდა (ხევი).

<u>მთიულეთში</u> წყალზე ქადა-სანთელი მიჰქონდათ, მიჰყავდათ საკლავი და მიცვალებულს შენდობას ეუბნებოდნენ. ქალები თხილ-კაკალს, ჩირს, შაქარს, კანფეტს, კვერცხს, თამბაქოს არიგებდნენ. გარდა ამისა, ჭირისუფალი ახალი მიცვალებულის შესანდობრად სარიგს (დათაფლული არაყი) ასმევდა იქ მყოფებს. შემდეგ ყველა შინ ბრუნდებოდა.

<u>გუდამაყარში</u> ზემოხსენებული სახის სანოვაგესთან ერთად მიჰქონდათ ჭიჭიანი კვერებიც (მიცვალებულის შესანდობარი), ხავიწის

გულიანი, ოთხკუთხა კვერები. თუ კვერცხებს და ჭიჭიან კვერებს არ დაარიგებდნენ, მაშინ ერთ ადგილას დააწყობდნენ და ბავშვები მათ ისრებს ესროდნენ. ვინც მოარტყამდა, სამიზნეც მას რჩებოდა. იცოდნენ თხილ-კაკალი, კამფეტი, რომელთაც გუდამაყარში სალაღობოს ეძახდნენ. ვინც წყალკურთხევას წყალზე არ წავიდოდა, უმეტესად დიასახლისი, ჯერ ისევ სიბნელეში, ახალ წელს დაგროვილ ნაკელს ახალ წელს გადანახულ ფიჩხს აყრიდა, მრგვლად ჩალას მოაყრიდა და ცეცხლს წაუკიდებდა. ეს იყო ამპარია. შემდეგ დიასახლისი შედიოდა სახლში და აკეთებდა სადილს: ხინკალს, ანტრიას (მოხარშული ცომი) ან ფაფას. წყლიდან მობრუნებული ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ სუფრას, მიცვალებულებს შენდობას ეტყოდნენ, სანთლებს ანთებდნენ. ყველა თავის ბედისკვერს ჭამდა. დიასახლისი გარეშე მეკვლეს ბედისკვერს უცხობდა და უგზავნიდა.

<u>ხევსურეთში</u> წყალკურთხევა ახალწლის ციკლის ბოლო დღე იყო და ამიტომ ხატში გამოლოცვის წესი სრულდებოდა. დილით სოფელში გამოაცხობდნენ სახელსადებებს (რიტუალური პური), მიცვალებულთათვის ტაბლას ამზადებდნენ, სანთელს ანთებდნენ. უფროსი ილოცებდა და სასმელს დალევდა. შემდეგ ოჯახის სხვა წევრებიც დალევდნენ.

სანამ საერთო ლხინი და დროსტარება იყო, ახალგაზრდები სადმე ოჯახში იკრიბებოდნენ და იქ ილხენდნენ. უფროსები ჯარზე (თავყრილობა) სხდებოდნენ. ხატის მსახურები ამ დღეს გვიან ღამემდე, უმეტესად მარტო ისხდნენ და სვამდნენ. ჯარის დროს ანდრეზებს (ძველ გადმოცემებს) ყვებოდნენ, იხსენებდნენ საგმირო საქმეებს. თუ დიდთოვლობა არ იყო, სხვადასხვა თემიდან უფროს კაცებს იწვევდნენ და ბჭობდნენ ხევსურეთის საჭირბოროტო საკითხებზე.

<u>ფშავში</u>, იქ, სადაც ახალი წელი სამ დღეზე მეტხანს გრძელდებოდა, წყალკურთხევას ისეთივე ლხინი იცოდნენ, როგორც სხვა დღეებში. აქაც გამოლოცვის დღე იყო.

<u>თუშეთში</u> კვლავ სოფლის ჯარი იყო, სადაც მხოლოდ მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ.

გერისთობა

გერისთობა 27 აგვისტოდან (ახალი სტილით) სამი კვირის განმავლობაში გრძელდება. პირველ კვირას თავგერისთობა ეწოდება, მეორეს – დიდი ან შუა გერისთობა და მესამეს – ბოლო გერისთობა. აღსანიშნავია სოფელ გერის წმინდა გიორგის სალოცავში ქართლში.

გერის წმინდა გიორგის სალოცავი – ეკლესია ლიახვის ხეობაში, სოფელ გერში (ცხინვალის რაიონი) მდებარეობს და ერთ-ერთი უდიდესი სალოცავია საქართველოში. აქ დღეობაზე მრავალრიცხოვანი ხალხი იყრიდა თავს.

გერის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობაზე ხალხში ასეთი თქმულებაა დაცული: ქართლის მეფე ფარსმანს (VIს.) ცოლად აფხაზეთის მთავრის ქალიშვილი ხვარამზე შეურთავს, რომელსაც თან ვაჟიშვილი, სახელად ვარამადსადი მოჰყოლია. დედოფალს მზითვში წმინდა გიორგის წმინდა ნაწილიანი ხატი ჰქონია. მეფე უშვილო ყოფილა და ეს ნაწილიანი ხატი თავისი გერისთვის უჩუქებია. როდესაც ქვეყანას სპარსელები შემოსევიან, ფარსმანს გერი და ხატი მთაში გაუხიზნავს, მთის წვერზე ეკლესია აუშენებია და ხატიც შიგ დაუსვენებია. ხალხსაც ამიტომ დაურჩევია სალოცავისთვის გერი. მეორე გადმოცემის მიხედვით წმ. გიორგი რომ უწამებიათ, მისი დანაწევრებული სხეულის მკლავი და თავი გერში დაუმარხავთ, რის გამოც ამ ადგილს თავგერი ჰქვიაო.

მლოცველი გერის წმინდა გიორგის ეკლესიაში ღამისთევით მიდიოდა. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ეკლესიას ჩოქვით, ცეკვა-თამაშით ან კისერზე დადებული ე.წ. „დადიანურით“ (დიდი ჯაჭვი), სამჯერ უვლიდა. სალოცავს სწირავდნენ: სანთლისგან დამზადებულ, თეთრებში გამოწყობილ ადამიანის გამოსახულებას, ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს, მიჰყავდათ დიდძალი საკლავი. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი „მხვეწარნი“ (მლოცველნი, რომლებიც ხატს რაიმეს განსაკუთრებულს ეხვეწებოდნენ) საღამოს, ანთებული სანთლებით ლოცულობდნენ, ხატის მონები ქადაგობდნენ. ისინი რომელიმე სალოცავისათვის იყვნენ შეწირულები და ერთგვარად წინასწარმეტყველებდნენ. ხალხის რწმენით მათ სალოცავი, ღვთაება ალაპარაკებდათ.

მესამე კვირას, ბოლო გერისთობას მლოცველები სოფელ არბოს სალოცავში (გორის რაიონი) მიდიოდნენ, სადაც იგივე წესები სრულდებოდა. არბო გერის წმ. გიორგის ბარის საბრძანებელად მიიჩნევა.

ვახუშტი ბაგრაიტიონის ვარაუდით არბოს ეკლესია აგებული უნდა იყოს აბო თბილელის სახელზე, რომლის წმინდა ნაწილიც აქ დაუკრძალავთ.

იმის გარდა, რომ გერის წმ. გიორგის ოჯახთან ერთად საქონლის მფარველობას და მგლებისგან მის დაცვას შესთხოვდნენ, ამ სალოცავს განსაკუთრებული ფუნქციაც ჰქონდა. აქ მიჰყავდათ სულით ავადმყოფები, ეპილეფსიანები, მუნჯები და სხვა. გერის წმინდა გიორგის სალოცავში ქართველებთან ერთად ოსებიც ლოცულობდნენ.

გიორგობა

გიორგობა დიდმოწამე გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. მას ეკლესია მოიხსენიებს, როგორც დიდებულს, დიდმოწამეს, ძლევაშემოსილსა და საკვირველმოქმედს. წმ. გიორგი კაბადოკიელი იყო და IV საუკუნეში ცხოვრობდა. ჰყავდა მდიდარი და კეთილმორწმუნე მშობლები. ჩვენში დაცული საეკლესიო გადმოცემის მიხედვით იგი წმ. ნინოს ბიძაშვილი იყო.

წმ. გიორგიმ გადაწყვიტა, სამხედრო გამხდარიყო. გამჭრიახი გონებით, სიმამაცით მალევე გაითქვა სახელი. ათასისთავადაც დაინიშნა და იმყამინდელი რომის იმპერატორის, დიოკლეტიანეს, საყვარელი მეომარი გახდა. ერთხელ სასამართლოზე ყოფნისას მოისმინა განაჩენი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანები უნდა დაეხოცათ. ამ ამბის მოსმენის შემდეგ წმინდა მეომარმა აღიარა ქრისტიანობა. გაყიდა დიდძალი ქონება, დაურიგა ღარიბებს, მონები გაათავისუფლა, მივიდა იმპერატორთან და საჯაროდ ცნო ქრისტიანობა, ამხილა იგი, როგორც ცრუ სწავლების, წარმართობის, მიმდევარი. დიდხანს ეცადნენ, შეგონებებით დაერწმუნებინათ წმ. გიორგი, უარი ეთქვა ქრისტიანობაზე, მაგრამ ამაოდ. მაშინ დიოკლეტიანემ მისი სასტიკად წამება ბრძანა. წმ. გიორგი საპყრობილეში ჩააგდეს.

ზურგით დააწვინეს მიწაზე, ფეხებზე ხუნდები დაადეს, გულზე კი – დიდი ლოდი. გმირულად, ღმერთის დიდებით გადაიტანა წმ. გიორგიმ ამგვარი წამება. მას სხვაგვარადაც აწამებდნენ. გიორგიმ ყველაფერს გაუძლო. ბოლოს დიოკლეტიანეს ბრძანებით თავი მოჰკვეთეს 303 წელს ნიკომიდიაში.

წმ. გიორგის მრავალ სასწაულს შორის ერთ-ერთი, გვიამბობს თუ როგორ დაამარცხა წმინდანმა ვეშაპი, იგივე გველეშაპი. ქალაქ ლასიაში იყო ტბა. ერთ დღეს ამ ტბაში ბოროტი ვეშაპი – ურჩხული გამოჩნდა. იგი ყოველდღე ამოდიოდა წყლიდან და ჰამდა მოსახლეობას, ქალაქს უწყლოდ ამყოფებდა. მეფე სელინოსმა მეომრებს ვეშაპის მოკვლა დაავალა, მაგრამ მისი დავალების შესრულება ვერავინ შეძლო. მაშინ მეფემ ქალაქის მცხოვრებლებს შესთავაზა, თავიანთი შვილები როგორიგობით მიეცათ ვეშაპისთვის შესაწირავად და როდესაც ქალაქში ახალგაზრდა აღარ დარჩებოდა, თვითონაც მისცემდა ურჩხულს ერთადერთ ქალიშვილს.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ წმ. გიორგის მეთაურობით კაბადოკიაში გაგზავნა ჯარი. ჯარი სწორედ მაშინ შევიდა ქალაქ ლასიაში, როდესაც ვეშაპისთვის უკანასკნელი მსხვერპლი, მეფის ერთადერთი ქალიშვილი, უნდა შეეწირათ. წმ. გიორგიმ ტბასთან ცხენი წყლის დასალევად მიიყვანა და დაინახა მეფის ასული, რომელიც უკვე იქ იჯდა და აღსასრულს ელოდებოდა. წმ. გიორგიმ ჰკითხა, რატომ ხარ დაღონებულიო. მეფის ასულმა ყველაფერი უამბო. წმინდანმა დაამშვიდა და იესო ქრისტეს ხმამაღლა შესთხოვა, მისთვის ძალა მიეცა, რათა ღვთის სადიდებლად ურჩხული დაემარცხებინა. ლოცვის დამთავრებისთანავე გაისმა ხმა: „გიორგი, შესმენილ იქნა შენი ვედრება უფლის მიერ. რაც გინდა გააკეთე, რადგან მე შენთან ვარ“.

გამოჩნდა ურჩხული, რომელიც მეფის ასულისკენ მოემართებოდა. წმინდანმა ღმერთს სთხოვა, მხეცი მის მორჩილად ექცია. ლოცვით და სულიწმინდის მადლით ურჩხული წმ. გიორგის ფეხებთან მორჩილად დაეცა. წმინდანმა მეფის ასულს სარტყელი გამოართვა, შეკრა ცოცხალი და მორჩილი ურჩხული, სარტყელის ბოლო ქალიშვილს მისცა და უთხრა, ვეშაპი ქალაქისკენ წაეყვანა.

ამის მნახველი ხალხი საშინლად დაფრთხა და გაქცევა მოინდომა. მაშინ წმ. გიორგიმ ხალხი დაამშვიდა და უთხრა: აღიარეთ

ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე და მე ვეშაპს მოვკლავო. მეფემ და ხალხმა, რომლებიც წარმართები იყვნენ, აღიარეს წმინდა სამება, წმ. გიორგის დახმარებით მოინათლნენ, ააგეს მისი სახელობის ტაძარი, რომლის საკურთხეველშიც წმინდანმა სასწაულმოქმედი წყალი აღმოაცენა.

მართლმადიდებელი სამყარო წმ. გიორგის 23(6.05) აპრილს მოიხსენიებს. ჩვენში ხსენებულ თარიღს 10/23 ნოემბერიც ემატება, წმინდანის საგვემელ ბორბალზე წამების დღე, რაც გაცილებით პოპულარულია საქართველოში, ვიდრე 23(6.05) აპრილი და რაც სხვაგან არ იდღესასწაულება.

წმ. გიორგი, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, საქართველოს მფარველ წმინდანად მიაჩნიათ და ხალხი მას განსაკუთრებულად ეთაყვანება და პატივს სცემს. აკი ამბობენ, საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე 363 (ბატონიშვილი თეიმურაზის თქმით 366) წმინდა გიორგის ეკლესიააო. რა თქმა უნდა, საქართველოში მის სახელზე გაცილებით მეტი ეკლესიაა აგებული, მაგრამ ამით ისაა ნათქვამი, რომ ყოველი დღე საქართველოში მისდამი იყო მიძღვნილი. მართლაც არაა საქართველოში კუთხე, სადაც ან წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი არ იყოს, ანდა მისდამი ხალხს განსაკუთრებული დამოკიდებულება არ ჰქონდეს.

ქართულმა საისტორიო წყარომ შემოგვინახა ცნობა, რომლის მიხედვით წმ. გიორგი დიდგორის ბრძოლაში ხილულად იბრძოდა ქართველების მხარეს. გადმოცემები წმინდანის შემწეობის შესახებ მრავლადაა ჩვენში შემონახული. 1659წ. ბახტრიონის ბრძოლაში წმ. გიორგი ხილულად მიუძღოდა ქართველთა ჯარს. 1795წ., როდესაც აღა-მაჰმად-ხანი თბილისს შემოესია, მახლობლად მდებარე მთაზე (თელეთის ქედზე) სპარსელების ჩასაფრებულ რაზმს თავს შავნაბდიანი მხედარი დაესხა. ქართველმა მეომრებმა ნაბდიან მხედარში წმ. გიორგი შეიცნეს. იმ მთას, სადაც წმ. გიორგი მტერს მუსრავდა, ხალხმა შავნაბადა შეარქვა, მისი სახელობის ტაძარიც ააშენა და დღეობა შავნაბადობაც დააწესა. დღეს აქ 1992 წლიდან წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერია. შავნაბადას ტაძარი XVIIIს-შია აშენებული.

შავნაბადობა ყოველი ოქტომბრის მეორე შაბათს აღინიშნება.

გადმოცემის მიხედვით, წმ. გიორგის დღესასწაული თავად წმინდა ნინოს დაუარსებია. საქართველოში წმ. გიორგის მრავალი ცნობილი სალოცავია, რომლებიც გამოირჩევიან სიძლიერით. ასეთებია მაგალითად: ქაშვეთის წმ. გიორგი (თბილისი), მრავალძალის წმ. გიორგი (რაჭა), ილორის წმ. გიორგი, ალერტის წმ. გიორგი (აფხაზეთი, სამეგრელო), გერი-არბოს წმ. გიორგი (ქართლი), აწყურის თეთრი გიორგი, ალავერდი, რომელიც თვდაპირველად წმ. გიორგის სახელობის იყო (კახეთი), ლომისის წმ. გიორგი (მთიულეთი), ჩოხის წმ. გიორგი (გუდამაყარი), გუდანისა და ხახმატის წმ. გიორგი (ხევსურეთი), ლაშარის წმ. გიორგი (ფშავი), ჭურმუხის წმ. გიორგი (საინგილო) და სხვ.

<u>რაჭაში</u> გაზაფხულის გიორგობა იყო უქმე. დილით ადრე ოჯახში ყველიან ან ქონიან რიტუალურ პურს, განატეხს, აცხობდნენ, ორ სანთელს ჩამოქნიდნენ. კაცი იღებდა განატეხს, ერთ ბოთლ ღვინის ზედაშეს, სანთელს და ეკლესიაში მიდიოდა. ეკლესიაში წმ. გიორგის მშვიდობიან და მოსავლიან წელიწადს სთხოვდნენ. სანთლებს ეკლესიაში ანთებდნენ, განატეხს ეზოში ჭამდნენ და ღვინოსაც აყოლებდნენ. ამ წესის შესრულება ყველა ოჯახს ევალებოდა. წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ისიც მიდიოდა, ვისაც ავადმყოფობის გამო ამ წმინდანისთვის შესაწირი ჰქონდა შეთქმული. გაზაფხულის გიორგობა რაჭაში უფრო დიდ უქმედ მიაჩნდათ. შემოდგომის გიორგობას მხოლოდ ხვნა და თესვა იკრძალებოდა. ქალებს ეკრძალებოდათ ქსოვა, შეეძლოთ კერვა, რეცხვა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ რაჭაში მთელ დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით სახელგანთქმული სალოცავია მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია. აქ სასწაულმოქმედი ოქროს ჯვარი ყოფილა დაცული, რომლისთვისაც გადმოცემის მიხედვით, შაჰაბას I-ს ხმალი შეუწირავს. მლოცველი მარიამობას 15/28 აგვისტოს და ნოემბრის გიორგობას ღამისთევით მიდიოდა ეკლესიაში. შესაწირად მიჰყავდათ ძირითადად ხარი ან მოზვერი, მოგვიანებით კი ცხვარი.

მრავალძალის ეკლესიაზე ორი ხარის თავია გამოკვეთილი. ისინი ცნობილ ლეგენდას უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით კი რაჭაში, ერთ-ერთ მთაზე ორი გარეული ხარი ბალახობდა ხოლმე. მათ ვერ-

ავინ ეკარებოდა. ერთხელაც რაჭას ოსმალები შეესივნენ. რაჭველებმა წმ. გიორგის შესთხოვეს: გაგვამარჯვებინე და გარეულ ხარებს მთის კალთაზე მოგიყვანთ და ეკლესიას აგიშენებთო. ხეობაში ნისლი ჩამოწვა. მტერმა გზა ვერ გაიკვლია. ზოგი გადაიჩეხა, ვინც გადარჩა, რაჭველებმა ნაწილი გაანადგურეს და ნაწილიც გარეკეს. მეორე დღეს რაჭველებმა დღევანდელი მრავალძალის ეკლესიის ადგილზე ორივე ველური ხარი ნახეს. ისინი მორჩილად იწვნენ დიდ ნათელში. ხარებს არც კი გაუწევიათ წინააღმდეგობა, ისე შეეწირენ წმ. გიორგის. ხალხმა დაკლული ხარების რქები შეინახა და ეკლესიის მშენებლობისას ერთ-ერთ კედელზე გამოსახულ ხარის თავებს ჩამოაცვა. ხალხის თქმით რქები ეკლესიის გაძარცვისას მოუპარავთ.

არსებობს ლეგენდის მეორე ვარიანტი. ბრძოლის დროს, როდესაც ნისლი ჩამოწოლილა, თავად თათრებს უთხოვიათ წმ. გიორგისათვის - გადაგვარჩინე და ორ საუკეთესო ხარს შემოგწირავთო. სასწაულის ძალით ნისლი გაიფანტა და მტერი გადარჩა. გადარჩენილ ოსმალებს (თათრებს) ხარები არ დაუკლავთ – ისედაც გადარჩენილები ვართ და რა საჭიროაო. მაგრამ ხარები თავისი ფეხით ასულან დღევანდელი მრავალძალის ეკლესიის ადგილას და მშვიდად შესწირვიან წმ. გიორგის.

<u>ლეჩხუმში</u> ჩვენამდე შემორჩენილი მასალების მიხედვით გაზაფხულის გიორგობა დიდი უქმე იყო. სადილისათვის ყველა ოჯახი ყველიან ან მარილიან რიტუალურ საგიორგობო ტაბლას აცხობდა. როდესაც დიასახლისი ყველაფერს მოამზადებდა, სუფრასთან დასხდომამდე, ერთი ხელით ტაბლას იღებდა, მეორეთი ღვინიან ჭიქას, ნაკვერჩხალზე სანთელს აკმევდა, კერიასთან ცალ მუხლზე დაიჩოქებდა და დაილოცებოდა: „წმიდა გიორგის ძალა და მადლო, გვიშველე, მოგვეხმარე, უტკივრად გვამყოფე; სანამდის ვიქნეთ ცოცხალი, შენს ბარაზე ტაბლის გამოცხობა არ დაგაკლოთ, შეგეხვეწოთ“. ღვინო დიასახლისს თავად უნდა დაელია, ტაბლის ჭამა ყველას შეეძლო. ამ წესის შესრულების შემდეგ ოჯახის წევრები სადილად სხდებოდნენ. შემოდგომის გიორგობასაც უქმობდნენ. ამ დღეს არ შეიძლებოდა მიწის დამუშავება და კერვა. დანარჩენი წვრილმანი საქმის კეთება არ იკრძალებოდა.

<u>ილორის წმ. გიორგის სალოცავი</u> ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრია დასავლეთ საქართველოში. ილორის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს-ის I მეოთხედი) ოჩამჩირეს მახლობლად სოფელ ილორში მდებარეობს. აქ წმ. გიორგის ერთი მეტრი სიგრძის რკინის მშვილდი - შქვილი ინახებოდა. ილორში ორჯერვე აღნიშნავდნენ გიორგობას: გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც, მაგრამ განსაკუთრებული ზეიმი ნოემბრის გიორგობას იმართებოდა. მლოცველი დასავლეთ საქართველოს მრავალი კუთხიდან იყრიდა თავს, ბევრი კოდორის ხეობიდანაც კი ჩამოდიოდა.

ილორის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა. ილორში განსაკუთრებული პატივისცემით კუპრავები სარგებლობდნენ. გადმოცემის მიხედვით, ილორის ეკლესიის მშენებლობისას მისი კედლები ინგრეოდა და ტაძრის აგება ვერ ხერხდებოდა. მაშინ ილორის საძირკევლში და-ძმა კუპრავები ჩაუტანებიათ და ტაძარიც აშენებულა.

ილორის წმ. გიორგის ეკლესია

მლოცველებს ილორის სალოცავში მრავალგვარი შესაწირავი მიჰქონდათ: აბრეშუმის ქსოვილები, სანთლები, სხვადასხვა სამკაული, ფული, მიჰყავდათ სამსხვერპლო ხარები, ცხვრები, ვაცები და სხვა. მიყვანილ საკლავს ილორის სალოცავის წინ მეხატული – მნათე ამწყალობნებდა. მნათეებს იმ გვარებიდან ირჩევდნენ, რომელთა ჯინჯიხატიც ანუ ძირი ხატი ილორი იყო. ესენი იყვნენ: მალიშა, სებეკია, მარკელია, ბჟანია, მერჟულე, ჯიგანია, ხასია, ხოჭა და კიტა. ამ გვარებიდან ყოველწლიურად,

მორიგეობით ხუთი მნათე ირჩეოდა. მათ შორის უხუცესი იყო უფროსი, დანარჩენები მას ეხმარებოდნენ. მნათეები რიგრიგობით, მთელი წლის განმავლობაში ეკლესიას არ სცილდებოდნენ და მლოცველებს ემსახურებოდნენ: იღებდნენ მათგან შესაწირს, კლავდნენ საკლავს, დამიზეზებულს რკინის მშვილდში ატარებდნენ, ხატზე გადასცემდნენ და სხვა. მათ გასამრჯელოდ ფული ეძლეოდათ. მნათეები მთელი წლის განმავლობაში წმინდობდნენ – ცოლქმრული ურთიერთობისაგან თავს იკავებდნენ.

ილორში სულით ავადმყოფებიც მიჰყავდათ, რომლებსაც ხელებს ხშირად ჯაჭვით – ხაჯალურით უკრავდნენ. ავადმყოფს ეკლესიის კარის წინ აყენებდნენ, თუ სამსხვერპლოც ჰყავდათ მიყვანილი, სამჯერ გარშემო შემოუტარებდნენ, წმინდანს ავადმყოფის განკურნებას შესთხოვდნენ, შეიყვანდნენ ეკლესიაში, ილორის წმ. გიორგის ხატის წინ დააჩოქებდნენ და მის შვილა-განკურნებაზე ილოცებდნენ. მეხისგან დაზარალებულები, უშვილოებიც შველას ილორს შესთხოვდნენ და გარკვეულ რიტუალებს ასრულებდნენ.

ილორის წმ. გიორგი სასწაულებით იყო განთქმული. მათ შორის ერთ-ერთი იყო ყველაზე ცნობილი. ხალხის რწმენით, 10/23 ნოემბერს თავად წმ. გიორგის მიჰყავდა სამსხვერპლო ხარი ეკლესიის გალავანში, რომელიც სალოცავში მისულ ხალხს დილით ხვდებოდა. ხარი იკვლებოდა, მისი ხორცი წვრილად იჭრებოდა და ხალხს ურიგდებოდა. ეს ხორცი ნებისმიერი დაავადების უებარ სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ. ილორობას დაკლულ ხარს კუპრავას გვარის წარმომადგენელი მამაკაცი მარჯვენა ხელს იქ ადებდა, რომელი ნაჭერიც მოესურვებოდა. მას ამ ნაჭერს ამოუჭრიდნენ და მისცემდნენ.

დღეობის გარდა ილორში ყოველდღე მრავალი მლოცველი მიდიოდა. სამსხვერპლო ხარის წმინდა ნაწილების წამოსაღებად სამეგრელოს, სვანეთის, გურიის თავადები ილორში ქვეშევრდომებს აგზავნიდნენ.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში,</u> ისევე როგორც მთელ საქართველოში, გიორგობა ძველი სამეურნეო კალენდრის დასასრულისა და ახლის დაწყების მაუწყებელი იყო, როდესაც ძველი მოსავალი ბინავდებოდა და იწყებოდა ზრუნვა მომავალზე. აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს უმეტეს სალოცავებში ახლად არჩეული ხატის მსახურები (დასტურები, შულტა) გიორგობის დღესასწაულზე იწყებდნენ თავიანთ საქმიანობას.

<u>კახეთში</u> საყოველთაოდ სახელგანთქმული ალავერდი წმ. გიორგის სახელობისაა. მართალია ამ სალოცავის მთავარი დღესასწაული ჯვართამაღლებას იდღესასწაულება, მაგრამ ტრადიციულად დღესასწაული ნოემბრის გიორგობასაც აღინიშნებოდა (იხ. ალავერდობა). ასევე ძლიერი სალოცავი იყო აწყურის თეთრი გიორგი.

<u>საინგილოშიც</u>, საქართველოს ამ უძველეს კუთხეში, ასევე აღინიშნება გიორგობა ანუ ქურმუხობა 10/23 ნოემბერს წმ. გიორგის (ქურმუხის) ტაძარში.

მთელი ქრისტიანული საინგილო მიდიოდა ამ დღეს სალოცავში. მიჰქონდათ სანთლები, სანოვაგე, მიჰყავდათ საღმრთოები და დიდი მოწიწებით ლოცულობდნენ. მღვდელი ილოცებდა, სანთლით საღმრთოს ქოჩორს ანუ ბალანს შეუტრუსავდა. ამის შემდეგ ქვემოთ, ველზე დაკლავდენ, ქურმუხიდან ჩამონადენ ხევის წყალში გარეცხავდნენ, ამავე წყალში ხარშავდნენ. საღმრთო რომ მოიხარშებოდა, იწყებოდა ცეკვა-თამაში, მხიარულება და სიმღერა.



ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარი გუმბათის ჩამონგრევამდე

ქურმუხის ტაძარი მდებარეობს რაიონული ცენტრის (კახის) სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ის დაშორებით, ქურმუხის ხეობაში (ამჟამად აზერ-

ბაიჯანის ფარგლებშია). აგებულია დაახლოებით XII ს-ის დამლევსა და XVI ს-ის I ნახევარში. იგი მრავალჯერ იავარჰყვეს დამპყრობლებმა, მაგრამ ასევე მრავალჯერ აღადგინეს. 1968 წ. 10 აპრილს ღამით ტაძრის მაღალი კონუსური გუმბათი მთლიანად ჩამოინგრა. სამწუხაროდ, გუმბათის მაგიერ დაადგეს ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლისათვის სრულიად შეუფერებელი ცემენტით ნალესი ქოლგისებრი სახურავი.

<u>მთიულეთში</u> ამ დღეს ჩვეულებრივი წესები სრულდებოდა. მხოლოდ თუ 10/23 ნოემბერი კვირას დაემთხვეოდა, ქრისტიშობის მარხვის აღება ამ დღეს ექნებოდათ, თუ არა და მომდევნო პირველივე კვირა დღეს. საეკლესიო კალენდრის მიხედვით შობის მარხვა ყოველთვის 15/28 ნოემბერს იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებით მრავლადაა წმ. გიორგის სახელობის სალოცავები. გუდამაყარში თითქმის ყველა სოფელს აქვს წმ. გიორგის ხატი.

<u>გუდამაყარში</u> ხალხის რწმენით წმ. გიორგი ქართველი ქრისტიანი იყო. ურჯულოებმა, ე.ი. არაქრისტიანებმა, მთაზე აიყვანეს და, რწმენა რომ ვერ შეაცვლევინეს, ალმასებდაკრულ ურმის თვალზე მიაკრეს და დააგორეს. წმ. გიორგი 360 ნაწილად დანაწევრდა. ხალხს ეს ნაწილები არ დაუკარგავს და ხატებში ჩაუყოლებია. მაგალითად, ჩოხის წმინდა გიორგიში ენა ყოფილა ჩაყოლებული, პირიმზეში – მკლავი და სხვა.

<u>ხევში</u> ნოემბრის გიორგობას ხატში გასვლით და საკლავის დაკვლით აღნიშნავდნენ. აქ 6 (23.05) მაისის გიორგობას უფრო დიდი დღესასწაული იცოდნენ. ამ კუთხეშიც ხალხის წარმოდგენით წმ. გიორგი ბოროტ ძალასთან (გველეშაპთან) მებრძოლი და ხალხის მხსნელია. მყინვარის შავი ლაქა წმ. გიორგის მიერ გახევებულ, დამარცხებულ გველეშაპად მიაჩნიათ.

<u>ხევსურეთში</u> გიორგობას ახალი წლის მსგავსი, დიდი დღეობა იცოდნენ. დილით ხატში მცირე სამზადისის შემდეგ ხუცესი ახლად მოდუღებული ლუდით თასებს აავსებდა, აანთებდა სანთლებს და ხუცობისა და კურთხევის წესებს შეასრულებდა ანუ ხატის მსახური ლოცვებს წარმოთქვამდა. ლუდის შესმის შემდეგ ხატის მსახურები

საგმირო შინაარსის სიმღერას იმღერებდნენ. სიმღერის დასრულების შემდეგ სუფრას მიუსხდებოდნენ. ამ დროისათვის სოფლიდან ერთი მოსახლე მიდიოდა, რომელსაც საკლავი უნდა მიეყვანა. საკლავის მიყვანა სოფელში რიგის მიხედვით ევალებოდათ. ვისაც თავისი რიგი მოუწევდა, ის მიიყვანდა იმ წელს საკლავს. „სარიგოს“ (ასე ერქვა ამ საკლავს) მლოცველი ხატის დარბაზის კართან მიაბამდა, წინ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, დაიწერდა პირჯვარს და ვისი სახელობის სალოცავიც იყო, პატიებას, შენდობას და წყალობას სთხოვდა. შემდეგ მივიდოდა დარბაზის კართან და შიგ მყოფებს დაუძახებდა, მიესალმებოდა, დალოცავდა. ისინიც დალოცვას არ აკლებდნენ საკლავის მომყვანს, რომელსაც „მესარიგოეს“ ეძახდნენ.

მესარიგოე დარბაზის კარში დაჯდებოდა და ხატიონს სოფლის ამბებს უამბობდა, ვინ როგორ დღესასწაულობდა გიორგობას. თავის მხრივ ხატის მსახურებიც უამბობდნენ ხატის ამბებს, თან ლუდით უმასპინძლდებოდნენ. ბოლოს მესარიგოე ხუცესს საკლავის დაკვლას სთხოვდა. დასტური (იერარქიულად ხუცესის მომდევნო ხატის მსახური) სასაკლაოსთან მიიყვანდა საკლავს, ცალ მუხლზე დაიჩოქებდა, საკლავს პირით აღმოსავლეთისაკენ დააყენებდა. ხუცესი, რომელსაც ხელში დანა ეჭირა, იხუცებდა. ხუცობის შემდგომ ყველას დაამწყალობნებდა ანუ მათთვის ხატისგან წყალობას გამოითხოვდა, რომ იგი ყველას შეწეოდა. საკლავს დასტური სასაკლავე სიპზე წამოაქცევდა, კვლავ ილოცებდა და შემდეგ დაკლავდა. საკლავის დაკვლის შემდეგ ჯვარიონი ანუ ხატის მსახურები დარბაზში დაბრუნდებოდნენ. თუ საკლავის მიმყვანი პატივსაცემი კაცი იყო, მასაც შეიპატიჟებდნენ. მესარიგეო უარს ამბობდა, ერიდებოდა. მხოლოდ ხუცესის დაპატიჟების შემდეგ შევიდოდა, ვინაიდან დარბაზში ჯვარიონის გარდა იშვიათად თუ ვინმე შედიოდა. სტუმარს დიდ პატივს სცემდნენ და რითაც შეეძლოთ, უმასპინძლდებოდნენ. თავის მხრივ იგი დიდი რიდით იქცეოდა: საუფროსო სკამზე არ დაჯდებოდა, ხმამაღლა არ დაილაპარაკებდა, სასმელსაც დაძალების შემდეგ დალევდა. ხატში ცალკეული მეზღვნეებიც მიდიოდნენ ანუ ისინი, ვისაც საკუთარი სურვილით ან რაიმე გასაჭირის გამო საკლავი მიჰყავდა ხატში. მათაც უკლავდა ხუცესი საკლავს, ლოცავდა და ანუგეშებდა.

<u>ხევსურეთში</u> ხშირად დღესასწაულებზე, ისევე როგორც გიორგობას, სოფელში თავისუფალ ჭერხოს გამონახავდნენ და ჯვარიონი სოფელთან ერთად ან მხოლოდ სოფლის მკვიდრები ჯარზე სხდებოდნენ ანუ დროის გასატარებლად იყრიდნენ თავს. სოფლის ახალგაზრდებს მელუდეებს, როგორც მათ უწოდებდნენ, ქვაბებით და ასაწევი კეტებით ხატში ჯარობისთვის ლუდის წამოსაღებად გზავნიდნენ. ხატიდან სპილენძის თასებიც მოჰქონდათ, რომლითაც ლუდი ისმებოდა.

სალუდე ქვაბი

ჯარზე დასხდომას თავისი წესი ჰქონდა. უფროსები თავში ისხდნენ, უმცროსები ბოლოში. ამ წესს საუფროსო და საუნცროსო ეწოდებოდა. ლუდს თავდაპირველად უფროსები სვამდნენ, შემდეგ კი უნცროსები. სადღეგრძელოს ახალგაზრდები მხოლოდ მას მერე დალევდნენ, თუ უფროსები სთხოვდნენ, ან ეტყოდნენ. ჯარს ე.წ. ზედამდეგები ემსახურებოდნენ. ფანდური აუცილებელად უნდა დაეკრათ, როგორც ხატში, ასევე ჯარზეც. თუ სოფელში ვინმე შედარებით ახალი გარდაცვლილი იყო, მისი ჭირისუფლის, მისი პატრონის გარეშე ვერავინ დაუკრავდა. თავად ჭირისუფალი მოითხოვდა ფანდურს, წავიდოდა ჯარის ბოლოში და ცალ მუხლზე დადგებოდა. ზედამდეგები კი ლუდიან თასებს არიგებდნენ. ყველას ხელში ეკავა ლუდით სავსე თასები და ჩუმად ისხდნენ. ჭირისუფალი ძველ საგმირო სიმღერას ხმამაღლა იმღერებდა. სიმღერისას მას ლუდს ასმევდნენ. ჭირისუფალი რომ იმღერებდა, ამის შემდეგ სურვილისამებრ ყვე-

ლას შეეძლო დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, მხიარულება. რომელიმე ახალგაზრდას უფროსები სოფლისთვის ლუდს გაატანდნენ. ლუდი ჯარიდან უფრო ახალმოყვანილი რძლის ოჯახში მიჰქონდათ. იქ ქალებსაც ეპატიჟებოდნენ, იმართებოდა მხიარულება. სოფლის ჯარზე, ჭერხოში უფროსი მამაკაცები რჩებოდნენ. ჯვარიონი ხატში ილხენდა. გარკვეული წესების დაცვით ლხინი გიორგობის მეორე დღესაც გრძელდებოდა.

<u>ფშავში</u> გიორგობა ყოველთვის 10/23 ნოემბერს იცოდნენ. გადიოდნენ ხატში, სადაც ადუღებდნენ ლუდს და კლავდნენ საკლავს. საკლავი შეიძლება სასოფლოც ყოფილიყო ანუ სოფლის სახელზე, სოფლის მცხოვრებლების მიერ მიყვანილი, ანდა იმ სალოცავის ფარისა, სადაც გიორგობა აღინიშნებოდა. ასეთ დროს აქ სალოცავი თავის ნებას ხევისბერის პირით ამბობდა. სხვა დროს ვერავინ ახლებდა ხელს ხატის პირუტყვს. ხევისბერი დიდებისა და შენდობის ლოცვებს იტყოდა და კლავდა საკლავს. სასანთლეში სანთლები ინთებოდა, გამოაბრძანებდნენ ხატის დროშას, ირეკებოდა ზარი.

გიორგობაში მლოცველი ბევრი მიდიოდა. მიჰყავდათ საკუთარი საკლავიც: ხარები, ცხვრები. საინტერესო ის იყო, რომ საკლავის ხატში შეწირვის გარდა ეს საკლავი საზამთროდაც იკვლებოდა. მას სასუქი ერქვა. ხორცი მლოცველს სახლში მიჰქონდა. ხარს დაკვლის წინ რქებზე მრგვალ, ბლითის ფორმის დაჭრელებულ კვერებს ჩამოაცმევდნენ (ხევსურულად ამ კვერს ძიძიტას ეძახდნენ) და ორივე რქაზე ანთებულ სანთლებს დაუმაგრებდნენ. ხევისბერი დიდების წესს შეასრულებდა. ხარი მანამ იდგა ფეხზე, სანამ სანთლები არ ჩაიწვებოდა. შემდეგ ხარს წამოაქცევდნენ და სალოცავს შესწირავდნენ.

მლოცველებს სოფლიდან საკლავის გარდა ხატში არაყი, ქადა და სანთელიც მიჰქონდათ. ხატის მსახური ქადას ჯვარედინად, ოთხად გაჭრიდა. ერთ ნაჭერს თვითონ იტოვებდა, დანარჩენს მლოცველს სახლში ატანდა. სანთელი ხატში ჩამოუქნელი მიჰქონდათ და იქვე ჩამოქნიდნენ. საკლავის ერთი მხარი, ტყავი ან ტყავის ფულადი საფასური დასტურ-ხევისბრებს ეძლეოდათ. იმართებოდა ლხინი.

<u>თუშეთში</u> არსებობდა სპეციალური ნაგებობა, სალუდე, სადაც ამ დღეს იკრიბებოდა მთელი სოფელი. დუღდა ლუდი, ყველას მიჰქონ-

სალუდე მასალის გაწურვა

და სანთელი, არაყი, ხმიადი, კალტის კვერი (რიტუალური პურები). ხუცესის მოვალეობის შემსრულებელი ხელოსანი ლუდით 363 წმ. გიორგის სადიდებელს იტყოდა, ამწყალობნებდა (ლოცავდა) ხალხს. თუ სოფელს წმ. გიორგის სახელობის სალოცავი ჰქონდა, მამაკაცები, ბავშვები ხატში გადიოდნენ, ანთებდნენ სანთელს, სასმელით ილოცებოდნენ, საკლავს კლავდნენ. თუ კარგი ამინდი იყო, საჯარეში ქალებიც იკრიბებოდნენ. მათ სახლებიდან ტაბლებიც მიჰქონდათ. იმართებოდა საერთო პურობა, რომელსაც წინ ხელოსნის დალოცვა უძღოდა. ამ დღეს ახალი რძლის და ახალშობილის მიყვანა იცოდნენ. ასეთ დროს სუფრასთან პატარძლის კოტორს (რიტუალური პური) და ყმის (ახალშობილის) სუფრას მიიტანდნენ. ხელოსანი პატარძლის და ახალშობილის დღეგრძელობას და კარგად ყოფნას შესთხოვდა სალოცავს. თუ ცუდი ამინდი იყო, ხატში სანთლებს ანთებდნენ და სოფელში საჯარედ (თავყრილობისთვის) შერჩეულ რომელიმე სახლში იმდენ დღეს იქეიფებდნენ, რამდენსაც სურსათი ეყოფოდათ. გიორგობაზე ნათე (ხატის მსახური) ხდიდა საწელწდო არაყს და აცხობდა პურებს, რომლებსაც კიდობანში ინახავდა. კიდობანში შენახული პურები ახალ წელს ახლად გამომცხვარივით იყო.

გორიჯვაროობა

გორიჯვარი წმ. გიორგის სალოცავია. მდებარეობდა ქ. გორის მახლობლად მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ წელიწადში ორჯერ აღინიშნებოდა გორიჯვრობა – წმ. გიორგის სახელობის დღესასწაული – გაზაფხულზე (23 აპრილი/6 მაისი) და შემოდგომაზე (10/23 ნოემბერი). სალოცავი იყო მთის წვერზე, მთის ძირში კი ჰქონდა ნიში. ვინც მთავარ სალოცავში ვერ ადიოდა, ნიშში ლოცულობდა. ხალხი განსაკუთრებით ჯანმრთელობას სესთხოვდა წმ. გიორგის. სალოცავს სწირავდნენ საკლავს, საზედაშე ღვინოს, ასრულებდნენ რიტუალებს. იმართებოდა ბაზრობა.

დავითობა

დღესასწაული დავითობა წმ. დავით გარეჯელის სახელზეა დაწესებული. დავით გარეჯელი იმ ცამეტ ასურელ მამათაგანია, რომლებიც საქართველოში VI ს-ში მოვიდნენ და ქართლსა და კახეთში მოღვაწეობდნენ. მათ სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნება. დღესასწაული საეკლესიო და ხალხური კალენდრების მიხედვით ამაღლების სწორზე, ხუთშაბათს აღინიშნება.

წმ. დავითი თავდაპირველად თბილისში, მთაწმინდაზე დამკვიდრებულა, სადაც მონაზვნური ცხოვრებით ცხოვრობდა. ვინაიდან იმ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული იყო, წმინდა დავითი ხუთშაბათობით მთიდან ქალაქში ჩადიოდა და, სადაც დღეს ქაშუეთის ეკლესიაა, იქ ქრისტიანობას ქადაგებდა. ეს არ მოეწონათ ცეცხლთაყვანისმცემლებს, მოისყიდეს შეცდენილი ქალი, რომელმაც მამა დავითს საჯაროდ დასწამა ცილი, თითქოს იგი მისი მომავალი შვილის მამა იყო. წმ. დავითმა ქალს საჯაროდ მუცელზე კვერთხი დაადო და საჯაროდ ჰკითხა, ვინაა შენი მამაო. მოხდა სასწაული და ბავშვმა მუცლიდან ნამდვილი მამის სახელი დაიძახა. ასე გამართლდა წმინდა მამა, ხოლო გადმოცემის მიხედვით ცილისწამებელმა ქვა გააჩინა, სხვა ვერსიის მიხედვით იგი ქვით ჩაქოლეს. სწორედ ამიტომ ჰქვია თბილისელების ერთ-ერთ საყვარელ და ცნობილ ეკლესიას ქაშვეთი ანუ ქვაშვეთი.

ამ ამბის შემდეგ, მალევე წმ. დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად ტოვებს ხალხმრავალ თბილისს და ხალხისგან განმარტოებით, გარეჯის უდაბნოში იწყებს მოღვაწეობას. აქ თავის მიერ დაარსებულ მონასტერში, რომელიც მის სიცოცხლეშივე ბერ-მონაზვნებით აივსო, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობს. სიკვდილის წინ წმ. დავითი იერუსალიმის მოსალოცად გაემართა. წმინდა ქალაქის შემოგარენში მისულმა იმის ღირსად არ მიიჩნია საკუთარი თავი, რომ მაცხოვრის საფლავს მიახლებოდა და იმ ადგილიდან, სადაც იყო გაჩერებული, სამი ქვა წამოიღო. გზაში იერუსალიმის პატრიარქის გამოგზავნილი კაცი დაეწია და პატრიარქის სახელით ორი ქვის დაბრუნება მოსთხოვა. თურმე პატრიარქს ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც აუწყა - მამა დავითს იერუსალიმის მთელი მადლი მიაქვსო.

წმ. დავითმა გარეჯში ერთი მადლის ქვა ჩამოიტანა. ეს ქვა დღემდე დიდ სასწაულებს ახდენს. დღეს იგი თბილისის სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველშია დასვენებული. მას შემდეგ, რაც წმ. დავითმა მადლის ქვა გარეჯში ჩამოიტანა, მიჩნეულია, რომ აქ, ფერიცვალების ლავრაში აღვლენილი სამი წირვა იერუსალიმში ერთი აღვლენილი წირვის ტოლფასია.

წმ. დავითი, წმ. აბოსთან და წმ. შუშანიკთან ერთად, თბილისის მფარველადაა მიჩნეული. იგი მსწრაფლ შემსმენელი, ძლიერი წმინდანია. დღემდე განსაკუთრებით დაოჯახებისათვის, ოჯახური ბედნიერებისათვის, შვილიერებისათვის მიმართავენ. ალბათ, ძალიან დიდი სიყვარულისა და შემწეობის გამო უწოდა წმინდანს ხალხმა, როგორც საკუთარ მოძღვარს, მამა დავითი.

წმ. დავით გარეჯელის დღესასწაული, დავითობა, <u>ქართლსა</u> და <u>კახეთში</u> აღინიშნებოდა. ამ დღეს თბილისში, მთაწმინდაზე ძალიან დიდი და თბილისელებისათვის უსაყვარლესი სახალხო დღესასწაული იმართებოდა. ქალაქელებთან ერთად დავითობას თბილისის ახლომახლო სოფლების მოსახლეობაც ზეიმობდა. ხალხი ჩარდახიანი ურმებით, ცხენებით, ეტლებით ჩამოდიოდა ქალაქში. აღმართზე ტაძრისკენ მიმავალ ყველა ფენის, ასაკის მლოცველს შორის თეთრებით მოსილი, ფეხშიშველა, გრძელთმიანი ბავშვები გამოირჩეოდნენ. ასეთ ბავშვს ბერი ერქვა.

ტაძარში მისულ მლოცველს წინა საღამოდან იქ მყოფი ღამისმთევ-ლები უხვდებოდნენ. წირვა 10 საათზე იწყებოდა, მაგრამ ტაძარი ყვე-ლას ვერ იტევდა და ბევრი გარეთ, ეზოში იდგა. ისინი კი, ვინც წირვისთვის მთაწმინდაზე ასვლას ვერ ახერხებდა, დღის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ ტაძრისკენ. როდესაც გრძელთმიანი, თეთრებით მოსილი ბავშვები ტაძრის ზღურბლზე შედგებოდნენ, მღვდელი მათ თმას აჭრიდა და ჭრელ სამოსს აცმევდა, მშობლები კი სამადლობე-ლო პარაკლისს იხდიდნენ, კლავდნენ ცხვარს ან ხარს და ხორცს ღარი-ბებს ურიგებდნენ. ქალები, რომლებსაც შვილები ელუპებოდათ, წმ. დავითის სახელზე იხდიდნენ პარაკლისს და წმინდანს პირობას აძლევდნენ, რომ შეძენილ შვილს გარკვეული წლების განმავლობაში მას შესწირავ-დნენ. სწორედ ასეთი შეწირული ბავშვები იყვნენ ბერად წოდებული, თეთრ სამოსში გამოწყობილი პატარა მლოცველები.

წმ. დავითს ერთნაირი მხურვალებით შესთხოვდნენ შველას უშვი-ლო ქალებიც და ქალიშვილებიც, რომლებიც დედებს მთაწმინდაზე საგანგებოდ ამოჰყავდათ. თხოვნა-ვედრებაზე პასუხის გასაგებად გაუ-თხოვარი გოგონები ტაძრის კედლებში კენჭებს ამაგრებდნენ. თუ მა-თი კენჭი მაგრდებოდა და მთაში გარკვეული ხმაური გაისმებოდა (ლოდის დაგორების, ქვების ჩამოცვენის), ეს გოგონებისთვის იმის ნიშანი იყო, რომ მალე დაოჯახდებოდნენ.

საღამოს მთაწმინდის ძირში მხიარული ხალხმრავალი სეირნობა იმართებოდა. ჩოხოსანი მხედრები მაინც ახერხებდნენ დიდძალ ხალხ-ში ცხენით სეირნობას. ყველა ასაკისა და ფენის თბილისელს წმ. და-ვითის დღესასწაული მხიარული ზურნა-დუდუკის ხმებით აერთიანებ-და. ახლომახლო სახლების პატრონები ამ დღეს მრავალ სტუმარს ელოდნენ და ამიტომაც სახლებში ადრიანად ბრუნდებოდნენ, რომ სტუმრებთან ერთად აივნებიდან, ფანჯრებიდან ედევნებინათ თვალი მხიარული, ხალხმრავალი და საყვარელი დღესასწაულისათვის. ამ დღეს ყოველი დუქნის წინ ლხინი და ქეიფი იყო.

წმ. დავითი ხალხს მინდორთ ყარაულადაც ანუ მფარველადაც მი-აჩნდა და ყოველგვარი ბოროტისაგან, მათ შორის სეტყვისაგან, ნათესების დაცვას სთხოვდა.

დარ-ავდრის რიტუალები

გვალვისა თუ უამინდობისაგან თავდასაღწევად ჩვენში მრავალი სახის სხვადასხვა რიტუალს მართავდნენ: ლაზარობას, გონჯაობას, დიდებაზე სიარულს, ქალქვების გადაბრუნებას, მარმარილოს კენჭის წყალში გადაგდებას, ბაყაყის გასრესას, გამურული ჭურჭლის გარეთ გამოტანას, რიტუალებს კაცქვებთან და სხვა. ზოგიერთი რიტუალი საჭიროებისას ამა თუ იმ ღვთაების სახელზე იმართებოდა. ესენია ზემოთ ხსენებული ლაზარობა, გონჯაობა, დიდებაზე სიარული და სხვა.

დიდი გვალვის ან წვიმების დროს ლაზარობისთვის ქალები თიხის თოჯინას ამზადებდნენ, ატარებდნენ სოფელ-სოფელ და მღეროდნენ ლაზარეს საგალობელს. თოჯინა ზოგჯერ ამგვარადაც მზადდებოდა: ორ ჯოხს ჯვრის ფორმით ერთმანეთზე გადააფენდნენ, ამაგრებდნენ და ნაჭრებს ახვევდნენ, ანუ „შემოსავდნენ“. ლაზარეს ასე მიმართავდნენ:

„ახ ლაზარე, ლაზარე,
თავი გააზანზარე,
ცხავი აცხავებულა,
ტარი გაცხარებულა.
აღარ გვინდა ტალახი,
ახლა მოგვე გორახი“.

<u>აჭარაში</u> მოსახლესთან მისული ჯგუფიდან ერთ-ერთი იმღერებდა:

„აღარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი“.

ან პირიქით. დანარჩენები პასუხობდნენ.: „ამინ“.
ან

„გონჯა, გონჯა, მოიარე,
გონჯა მიდგა, მოდგა კარებსა,
დაემსგავსა მთვარესა...“

ან

„ახა წმინდაო ელია,
რასა მოგიწყენია,
თეთრი ფურის მხარ-ბეჭი
შენთვის მოგვირთმევია,
შენ მოიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა...“

და სხვა.

დამხვდურები მოსულებს იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდის გამოთხოვა უნდოდათ, წყალს გადაასხამდნენ ან ნაცარს მიაყრიდნენ. ამ რიტუალური მსვლელობის მონაწილეები სხვადასხვა სანოვაგეს აგროვებდნენ: ფქვილს, კვერცხებს, ყველს და სხვას. ზოგჯერ თოჯინასთან ერთად რიტუალური პროცესიის წინამძღოლს წუწავდნენ და წყალში აგდებდნენ. თოჯინას კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში გონჯოს ეძახდნენ, მესხეთ-ჯავახეთში – კოტი-კოტიას, თუშეთში – საწვიმარა გუგას, სამეგრელოში — მოჭყუდიას, ძიძიკვაკვას, ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში – ლაზარესაც და ა.შ. ზოგან თოჯინის ნაცვლად გამურულ ბიჭს ან გაუთხოვარ ქალს, გოგონას ჩამოატარებდნენ. ამის შემდეგ, შეგროვილი სანოვაგით რიტუალის მონაწილეები საერთო სუფრას მართავდნენ. ხშირად გვალვის საწინააღმდეგოდ წყლის მოხვნის წესიც სრულდებოდა. ქალები ერთი ხანდაზმული ქალბატონის წინამძღოლობით წყალში გუთანს შეიტანდნენ, შიგ გაებმებოდნენ და წყალს ხნავდნენ. გუთანიც და ქალებიც აუცილებლად უნდა დასველებულიყვნენ. ძველად წინ გუთანში ხანდაზმული ქალი ჰყავდათ ჩაბმული. წვიმის გამოსაწვევად ე.წ. ხატის გაბანვის წესიც სრულდებოდა.

საქართველოში ცალკეულ სოფლებს ან რამდენიმეს ერთად „შეწირული“ ანუ დათქმული ჰქონდათ დღეები გარკვეული ამინდის დასაბევებლად, მაგალითად: კვირტობა, ხვამლობა, კოხინჯრობა, ელიობა, წიფვეთელობა, ელიაწითელობა და სხვა. ამ დროს საერთო შემოწირულობებით საკლავის ყიდვა და მსხვერპლის შეწირვა იცოდნენ. საკლავის ნაწილი რიტუალში მონაწილე ყველა სოფლის თითოეულ ოჯახს უნდა შეხვედროდა.

<u>აჭარაში</u> ვინაიდან დიდი წვიმებისა და ნიაღვრების საშიშროება არსებობდა, საქართველოს ამ კუთხეში „ღვარვის“ საწინააღმდეგოდ ქარაშოტობის რიტუალს მართავდნენ. ეს რიტუალი აპრილის პირველ შაბათს სრულდებოდა. ამ დღეს რკინას სახნავ მიწაზე არ გაატარებდნენ, დაჭედილ ხარსაც კი არ გაიყვანდნენ. ეს იმიტომ, რომ ნიაღვარს ყანები არ წაელეკა.

აჭარის მაღალ მთაში, მთაზე, რომელსაც დიდი გორა ჰქვია, აღმართული იყო ე. წ. ქვაკაცები, რომლებთან, მუსულმანური რელიგიის მსახურების აკრძალვის მიუხედავად, მაინც იმართებოდა ლაზარობა, სხვადასხვა რიტუალი სასურველი ამინდის გამოსათხოვად, მასობრივი ლოცვა-ვედრება. მლოცველს ბარიდან სურსათ-სანოვაგე, საკლავ-შესაწირი აჰქონდა. იმართებოდა საერთო ლხინი, მასობრივი სანახაობები. მასობრივი საფერხულო ცეკვები ამ სანახაობების ძირითადი ნაწილი იყო. ლაზარობა ხშირად ივლის-აგვისტოს მიჯნაზე იმართებოდა.

<u>ლაზეთშიც</u> – საქართველოს კიდევ ერთ ზღვისპირა რეგიონში ასევე სრულდებოდა ამინდის რიტუალი. მას გრიგალის მოჭრა ეწოდებოდა. ლაზები, ზღვაზე გრიგალის მოძრაობისას, რაც ძალზე საშიში იყო მეთევზეებისათვის, იწვევდნენ გრიგალის მოჭრის მცოდნეს. იგი ხელში დანას დაიჭერდა და სამჯერ შეულოცავდა. ლაზები ამგვარად ცდილობდნენ, გრიგალი თავიდან აეცილებინათ.

ამას გარდა, გვალვის დროს ე.წ. „მადლიანი კაცები“ მთაში ადიოდნენ და ლოცულობდნენ. ამ ლოცვას ოხვამერი ერქვა, რაც სალოცავს ნიშნავს.

გერგეტის სამებაში <u>(ხევი)</u> ინახებოდა ორი ჯვარი: სადარო და საავდრო. გვალვის დროს გამოჰქონდათ საავდრო, ავდრის დროს კი სადარო, ლოცულობდნენ და ღმერთს სასურველ ამინდს სთხოვდნენ.

გვალვის საწინააღმდეგოდ წყალში ხატის გაბანვის წესი სრულდებოდა. სეტყვის საწინააღმდეგოდ წილკნის მოსახლეობა წილკნის ღვთისმშობლის ხატს (დღეს ეს ხატი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება) ჩამოატარებდა ხოლმე ნათესებში მათი გვალვისგან დასაცავად.

არსებობენ წმინდანები, რომლებსაც ქართველები სასურველი ამინდის მოყვანას შესთხოვდნენ. ესენი არიან: წმ. ელია წინასწარმე-

ტყველი (იხ. ელიაობა), წმ. მაქსიმე, მთავარანგელოზები: მიქაელი და გაბრიელი, წმ. დავით გარეჯელი, წმ. გიორგი. არსებობს წმ. გიორგი ათონელის ცნობა იმის შესახებ, თუ ათონზე, წმ. ელიას სახელზე, გვალვის გამო, წმ. იოანეს მითითებით როგორ აღუვლენია ექვთიმე მთაწმინდელს ლოცვა, რომლის შედეგად თავსხმა წვიმა მოსულა.*

დიდგორობა

დიდგორობა ქართლში, დიდგორის ველზე, სოფელ დიღომთან 7/20 მაისს იმართებოდა. აქ მლოცველი დიღმის, თბილისის, ქართლის სხვადასხვა სოფლიდან და კახეთიდან მიდიოდა. დღეობაზე ვაჭრებს და ხელოსნებს სხვადასხვა სახის ნაწარმი მიჰქონდათ და იმართებოდა ბაზრობა. დიდგორის მთის ძირში, როემლსაც „მოსალოცავს“ ეძახდნენ, ლოცულობდნენ, კლავდნენ შესაწირს, მართავდნენ რიტუალებს, ბოლოს იმარათებოდა პურობა და ჯირითი. ვისაც წინასწარ შეთქმული ჰქონდა, დიდგორის მთის წვერზე ადიოდა, სადაც წმ. გიორგის ეკლესია ყოფილა.

დიდი შაბათი

დიდი შაბათი აღდგომის წინა დღეა. <u>სვანეთში</u> ამ დღეს თანაფ სამტონ/თანაფსამტონი ერქვა. ამ საღამოს რომელიმე ოჯახი მთელ სოფელს უმასპინძლდებოდა. მასპინძელს სტუმრებისთვის 4 ზექა (1 ზექა 7 შოსუომი ანუ ბოთლი იყო) სასმელი, ღერღილის შეჭამანდი, მოხარშული ცერცვი ან მოზელილი კარტოფილი ჰქონდა

---

* წმინდანები: იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელები, იგივე მთაწმინდელები, ცნობილი ქართველი ბერები იყვნენ, რომლებიც ათონის მთაზე (საბერძნეთში) მოღვაწეობდნენ.

მომზადებული. ამ შეკრებაზე ოჯახიდან თითო წევრი მიდიოდა. სტუმრები მასპინძლის ოჯახში სალოცავ პურებს ანუ აფუებული ცომის დიდ პურს (ლესკარ), კარგად გამომცხვარ ლიმზურს (რიტუალურ პურს) მიიტანდნენ. „სალოცავის“ წესის შესრულების შემდეგ იშლებოდა სუფრა. ლხინი დილამდე გრძელდებოდა. დილით, აღდგომას მასპინძლები მწვადს წვავდნენ და სტუმრებთან ერთად გაიხსნილებდნენ.

შაბათ საღამოს გაუთხოვარი გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და ცისკარს ელოდებოდნენ. დილით მიდიოდნენ ეკლესიაში, მის მოშორებით მუხლმოყრილები სხდებოდნენ, არ იძინებდნენ და წირვის გათავებამდე „ლიგლოვს“ მღეროდნენ. წირვის შემდეგ ერთ-ერთი ბაპი/პაპი (სასულიერო პირი) ეკლესიიდან გადმოდგებოდა და რამდენჯერმე, გაბმით ხალხს ქრისტეს აღდგომის შესახებ ამცნობდა. ამ წესის შესრულებისას აღდგომა დღე უკვე გათენებული იყო.

<u>ლეჩხუმში</u> აღდგომის შაბათს შუადღემდე მიწის დამუშავების გარდა ყველა სახის საქმიანობა იყო ნებადართული. დიდმარხვაში გარდაცვლილის ჭირისუფალი ვალდებული იყო, დაემზადებინა დიდი ხარჯი – ჩამოსარიგი. ეს წესი უკიდურესად გაჭირვებულსაც უნდა შეესრულებინა. ჩამოსარიგი იყო: ღორი, 4-5 ბათმანი (დაახლოებით ნახევარი ფუთი) პური, 3 მენახევრე (ფუთი) ღვინო. ღორი იკვლებოდა შაბათს და მისი ნახევარი ინახებოდა, მეორე ნახევარი კი იწვებოდა. მეორე დღისათვის ანუ აღდგომისათვის ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო. ოჯახს დიდმარხვაში რამდენი წევრიც გარდაეცვლებოდა, იმდენჯერ უნდა გაეზარდა ჩამოსარიგის რაოდენობა. იკვლებოდა ცხვარიც, რაც ე.წ. „ხელის გასახსნელი“ იყო. ჭირისუფალი ასევე აცხობდა ერთ მიცვალებულზე 7 სულის პურს. სააღდგომოდ, რა თქმა უნდა, ისიც ემზადებოდა, ვისაც ჩამოსარიგი არ ევალებოდა.

ვისაც ერთი წლის მიცვალებული ჰყავდა, ცხვრის დაკვლა და სულის პურის გამოცხობა მასაც ევალებოდა. როგორც წესი, ყველა ოჯახი სააღდგომო გოჭს ან ღორს კლავდა, რომლის გასუქებას ორი თვით ადრე იწყებდნენ. ღორის ხორცთან ერთად ქათამს და სხვა საჭმელს შაბათსვე ამზადებდნენ.

<u>რაჭაში</u> ეს დღე უქმე არ იყო, მაგრამ საქმე „მზის გადახრამდე“ მთავრდებოდა. აქაც ახალ მიცვალებულებს ჩამოსარიგს უმზადებდნენ:

ცხვარს, გოჭს, ინდაურს, ქათამს, ყველის გულიან შვიდ სულის პურს, პურის ლავაშს და ღვინოს. სურსათი აღდგომის ცისკრისთვის მზადდებოდა, რათა მღვდელს საფლავზე ეკურთხებინა, რის შემდეგაც ჭირისუფალი იქ მყოფებს უმასპინძლდებოდა. ვისაც ახალი მიცვალებული არ ჰყავდა, ის ორი დღის მარაგს ამზადებდა: საღდგომოს და საგორგოთოს (აღდგომის მეორე დღე). შაბათს კლავდნენ აღდგომისთვის ნასუქ ღორს, აცხობდნენ პურებს. მეორე დღისთვის კლავდნენ ინდაურს და ყველიან ან ქონიან „საოჯახო“ განატეხს აცხობდნენ.

<u>სამეგრელოში</u> შაბათს თანაკვეკვე, ან სხვაგვარად აღდგომის დედა ეწოდებოდა. განუწყვეტლივ ისმოდა ეკლესიის ზარების რეკვა, ხალხი ეზიარებოდა, სრულდებოდა გარდამოხსნის შემოტარების წესი, რასაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ეკლესიაში გაშლილ მოსირმულ ხავერდის ფილონზე (სამღვდელო შესამოსელი) აწყობდნენ ხატებს, ანთებდნენ სანთლებს. ღამე ეკლესია ღია იყო.

<u>ქართლში</u> ამ დღეს ალაგებდნენ სახლს, იკერავდნენ კაბას, იღებდნენ ზიარებას.

<u>კახეთში</u> იტყოდნენ: შაბათს ქართველები კვერცხს არ გატეხავენ, რჯულის გატეხას ნიშნავსო. ამ დღეს ღორის ქონისთვის კბილი უნდა დაედგათ. შაბათი ბედნიერ დღედ მიაჩნდათ, ვინაიდან აღდგომას ელოდნენ. ყველაფერს ასუფთავებდნენ და თავსაც იწესრიგებდნენ. კახელებმა დიდმარხვაზე ამგვარი გამოცანის თქმა იცოდნენ: შვიდი ფიცარი შვიდად შეკრული, ვერ გახსნის მეფე, ვერც მისი ჯარი. ფაქტობრივად შვიდი ფიცრისგან შეკრული დიდი მარხვის ბოლო დღე სწორედ დიდი შაბათი იყო.

<u>მთიულეთში</u> მიცვალებულთა პატივსაცემად ოჯახი შუადღემდე იმარხულებდა.

ხალხის თქმით, ვინც მარხვას გატეხდა, მას გაბრაზებული მიცვალებულები თავისთან წაიყვანდნენ. შუა დღეს დიასახლისი წითელ პარასკევს გარჩეულ კორკოტს, რომელშიც ხორბალთან ერთად ლობიო, ცერცვი და მუხუდოც ერია, ხმიადებთან ერთად კერასთან დადგამდა. ოჯახის უფროსი, რომელსაც ერთი ან ორი ანთებული სანთელი ეჭირა ხელში, დაილოცებოდა, როგორც წყალკურთხევა დილით (იხ. განცხადება/წყალკურთხევა). თუ ოჯახს აქამდე არ ჰქონ-

და შეშა მოტანილი, შაბათს ყველა ოჯახი ერთ დიდ ხეს მოიტანდა, ისეთს, რომელსაც ორი ხარი თუ მოერეოდა. ეს ხე ღამისთევის ცეცხლის დასანთებად იყო განკუთვნილი.

ახალწლის მსგავსად, მზის ჩასვლის შემდეგ დეკანოზი ხატის საბრძანებლიდან ხატს გამოასვენებდა. ხატში ღამისმთევლების მისვლამდე გამართავდა ხატს: აცმევდნენ პერანგს, უკეთებდნენ ჯვარს, აკრავდნენ პირსახოცს და აბამდნენ.

დეკანოზების შემდეგ ხატში მიდიოდნენ მზარეულები (ხატის მსახურები) და ცეცხლს ანთებდნენ. ხატში მისვლისას ისინი პირჯვარს იწერდნენ, იჩოქებდნენ, შუბლს მიწას სამჯერ ადებდნენ და კოცნიდნენ, წამოდგებოდნენ და ხალხს ეტყოდნენ: „წყალობა ხატისად, წყალობა (ხატის სახელი) მრავალს დაგასწროთ ამ დღეს, მშვიდობით და სიმხიარულით“. ხალხი პასუხობდა: „შენ იყოს მწყალობელი, შენი თავის და შენი მეკომურობისა“. დეკანოზს ყველა ამ სიტყვების თქმისას თითო სანთელს აძლევდა და ეუბნებოდა: „მომირთმევია, მაგალითად, კვირაცხოვლისთვის ხმელი სანთელი“. დეკანოზი პასუხობდა: „გწყალობდეს კვირაცხოველი, ალლად მიიღის შენი სამსახური“. სასურველი იყო, სანთელთან ერთად ერთი ბოთლი არაყი, ორი სამარხვო პური და ერთი ჯამი კორკოტი მიეყოლებინა. ამ ყველაფერს მზარეულს მისცემდნენ. მზარეული პატრონს პურის ნახევარს უბრუნებდა.

როდესაც მზარეულები სუფრას გაამზადებდნენ, დეკანოზი, რომელსაც რამდენიმე ათეული ანთებული სანთელი ეჭირა, ახალწლის მსგავსად ილოცებდა, მხოლოდ ამჯერად აღდგომას, მის მადლს ხალხს ახვეწებდა. იმართებოდა ქეიფი, მღეროდნენ ლომისას სიმღერას. თენებისას ბავშვები მოგროვილ შეშას ცეცხლს უკიდებდნენ.

<u>გუდამაყარში</u> დიდ შაბათს ურიების ჩხვლეკას ეძახდნენ და უქმე იყო. ხალხი ამბობდა: ურიებს ქრისტე რო უწვალებიათ, იმათი ჩხვლეკა�ა, შაბათს ქრისტეს საფლავი შეიძრა, კვირას კი აღდგაო. ამ დღეს აუცილებლად რაიმე უნდა მოექსოვათ ან შეეკერათ – ურიებს ვჩხვლეკავთო. აკეთებდნენ კორკოტს. ზოგიერთი კვერცხებს ამ დღეს ღებავდა, ზოგიც ორშაბათისთვის ლავაშს აცხობდა.

<u>ხევში</u> ზოგი დიდ შაბათს კერავდა და საქმიანობდა, რადგან ურიები უნდა „დაეჩხვლიტა“. ზოგიერთი დიასახლისი ნახევარი დღე არა-

ფერს ჭამდა. ლობიოსა და ხორბალს ერთად მოხარშავდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. ხალხში ნათქვამია:

„აღდგომისა შაბათსაო
მკვდარნი წავლენ თაბახსაო.
ვინც იმას არ იმარხვებს,
გაუსქდება დედასაო“.

ხატის განძი. სარიტუალო სასმისები

ღამე ეკლესიაში მიდიოდნენ, წირვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ და დილამდე იქ რჩებოდნენ. იყო გალობა. ამ ღამეს ლიტანიობასაც ეძახდნენ.

დიდ შაბათს იცოდნენ მარხვის „გაფრენის“ წესი. ჩამოხსნიდნენ მარხვას (იხ. დიდმარხვა), გრძელ კანაფს მოაბამდნენ, თან გზადაგზა სცემდნენ. ვისაც არ უნდა დაეძახა, უკან მოხედვა არ შეიძლებოდა, ეშინოდათ, მარხვა უკან არ მობრუნდესო და ისევ ჭერზე არ ჩამოეკიდოსო. მარხვას ბავშვები წყალში აგდებდნენ და შინ მხიარულები ბრუნდებოდნენ.

<u>ხევსურეთში</u> იმ ხატში, სადაც დიასახლისი ჰყავდათ, სალოცავში აღსების (აღდგომის) წუხრას ანუ საღამოს მიდიოდა და მომავალი დღესასწაულისათვის ყველაფერს ამზადებდა. დასტურებს მოჰქონდათ განძი, რეცხავდნენ და მიუჩენდნენ ადგილს. ხელოსანი დროშას ააბამდა.

ხევსურეთში დიდ შაბათს პატარა ბიჭები აგროვებდნენ ხიფხოლას, თითო ტყვიას და ხატში ხუცესს ლუდზე უცვლიდნენ. შემდეგ ცომისაგან აცხობდნენ ვაცებს (ვაცის ფორმის პური), კვერებს და პურს. ბავშვები წილისყრით დასტურ-ხელოსანს ირჩევდნენ. მიიტანდ-

ნენ 30 წნელს და გურჯინას (გოდორს) წნავდნენ, ავსებდნენ ჩალით, გათენებისას ცეცხლს უკიდებდნენ და დალმართზე აგორებდნენ. ამ წესს მარიამწმინდობა ეწოდებოდა. ანთებულ გურჯინას ბავშვები მისდევდნენ და ცდილობდნენ, ზედ გადამხტარიყვნენ. ვინც გადაახტებოდა, მას სახელსახსოვარს ანუ 9 ხინკალს აძლევდნენ. გურჯინას წყალთან მიაგორებდნენ, არისხებდნენ და იტყოდნენ: „ვინც ამ გურჯინას წაიღებს, დედა მარიამი რისხავდესო“. ბავშვები მალევე მობრუნდებოდნენ და სახლის ბანზე ადიოდნენ, სადაც მარიამწმიდის დროშა და ჯვარი ესვენა. ძველ ქვიტკირში მოთავსებული მარიამწმინდას ჯვარი გამოჰქონდათ და ქალებს ამწყალობნებდნენ. ამ ჯვარზე ქალების შეწირული ჭრელი სათმეები იყო დახვეული. როდესაც დეკეული პირველად მოიგებდა ხბოს, ამ სათმეებს მაშინ სწირავდნენ ქალები მარიამწმინდას. ბანიდან ბაშვები ჯერ სოფელს ამწყალობნებდნენ, შემდეგ ქალებს, რომლებსაც ხინკალი და სათმე მიჰქონდათ. ვინც ქადებს არ მიიტანდა, მას არისხებდნენ.

<u>ფშავში</u> დიდ შაბათს, ღამით, ხატის მსახურებს სალოცავში საღვსებო ანუ საღდგომო სამზადისი ჰქონდათ. ამ ღამეს ჯერ კიდევ მარხულობდნენ და მხოლოდ მეორე დღეს იხსნილებდნენ.

<u>თუშეთში</u> „მარხვის ჩატკეცა“ ანუ „მარხვის გოდრის დაგორება“ იცოდნენ. ბავშვები ძველ გოდორს მონახავდნენ, პირუტყვის ბაგიდან ამოყრილი ჩალა-თივით გაავსებდნენ, პირს წნელებით გადაუხლართავდნენ, გაიტანდნენ სოფლის გარეთ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და დააგორებდნენ, თან მოსდევდნენ და ჯოხებით სცემდნენ, შემდეგ ქვებს ესროდნენ.

დიდმარხვა

დიდი მარხვა ეკლესიის მიერ დადგენილი წლიური ოთხი სამარხვო პერიოდიდან ერთ-ერთი და ყველაზე ხანგრძლივია. იგი 7 კვირიანი მარხვაა და იესო ქრისტეს უდაბნოში ორმოცდღიან მარხვას და მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო კვირას ეძღვნება. ამ მარხვას საქართველოს მთაში და ბარში განსაკუთრებულად ინახავდნენ.

სხვა მარხვა რომ არ დაეცვათ, ამას მაინც შეინახავდნენ. მთაში დიდმარხვაში პატარა ბავშვებს რძესაც კი არ ასმევდნენ.

<u>სვანეთში</u> ნაკურთხ წყალზე 7 ცალ ბლითს ზელდნენ, აცვამდნენ ძაფზე და ჰკიდებდნენ. ამ ბლითებს კირკადოლს უწოდებდნენ. დიდმარხვაში, ყოველ კვირა დილით ოჯახის უფროსი ხსნიდა თითო ბლითს, სამჯერ აგდებდა კერის ბრტყელ ქვაზე და თან ამბობდა: „ასე დაეცეს დიდი მარხვა“. შემდეგ ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით ანაწევრებდა ბლითს და ყველას აძლევდა. კირკადოლი მარცხენა ხელში ეჭირათ, გადმოიტარებდნენ თავზე და მარჯვენა მხრიდან ჭამდნენ. მეშვიდე ბლითს მიაბამდნენ იმ გოდორს, რომლითაც თესლი მიჰქონდათ მინდორში დასათესად. თესვის დროს კირკადოლს აქუცმაცებდნენ და ურევდნენ მარცვალში თესლის განწმენდისა და გასუფთავების მიზნით.

<u>ქართლში</u> მიაჩნდათ, რომ ვინც ამ მარხვას გატეხდა, ის ოჯახი უბარაქო იქნებოდა. მარხვის წინ, მთელ საქართველოში, ჭურჭელს ყველა გულდასმით რეცხავდა, რომ ცხიმი არ შეყოლოდა. აკეთებდნენ ნაცრის პარკს (<u>კახეთში</u>, ზოგან <u>ქართლში</u> ნაცრის პარკის მაგივრობას ხახვი წევდა). ურჭობდნენ 7 ფრთას და ჰკიდებდნენ. <u>აღმოსავლეთ საქართველოში</u> მას მარხვას ეძახდნენ, სამცხეჯავახეთში - ბობოლას. თითო კვირა რომ გავიდოდა, თითო ფრთას გამოაცლიდნენ. თუ ბავშვი სახსნილო საჭმელს მოინდომებდა, მარხვას შეარხევდნენ და მას ასე აშინებდნენ.

ე

ელიაობა

ამინდის შეცვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების გარდა, რომლებიც მაის-ივნისში ან საჭიროების დროს იმართებოდა, ხალხურ დღეობათა კალენდარში გამოყოფილია განსაკუთრებული დღე 2 აგვისტო (ძვ. სტ. 20 ივლისი), როდესაც ამინდის განმგებელის ელიას სახელობის დღე აღინიშნება. საეკლესიო კალენდარიც ამ დღეს ილია წინასწარმეტყველს, იგივე თესბიტელს მოიხსენიებს. უძრავი დღესასწაულის გარდა წმინდა ელიას გვალვის დროს გაწვიმებას არა მარტო ხალხი, არამედ ეკლესიაც შესთხოვდა.

წმ. ილია (ელია) წინასწარმეტყველი ქრისტეს მოსვლამდე IX ს-ში, პალესტინის ქალაქ თესბიტში ცხოვრობდა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომელიც წმ. ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარეობს, წმ. ილიას მამას ჰქონდა ჩვენება: პატივცემული მამები ახალშობილ წმ. ილიას მოწიწებით ესალმებოდნენ, ახვევდნენ ცეცხლოვან სახვევებში და ცეცხლით კვებავდნენ. იერუსალიმელმა მღვდლებმა მამას ჩვენება განუმარტეს და უთხრეს, რომ მისი ვაჟი იერუსალიმს ცეცხლითა და მახვილით განსჯიდა. მართლაც, წმ. ილია ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი გახდა. იგი მეფე აქაბის დროს მოღვაწეობდა. უკეთური მეფე აქაბის (მან უღალატა ჭეშმარიტ ღმერთს და მის

ნაცვლად წარმართული კერპი აღმართა) დასასჯელად ისრაელს სამწ-ლიანი გვალვა მოევლინა, თავად წმ. ილია კი ღვთის მითითებით უდაბნოში, მთის ნაკადულთან იმალებოდა, სადაც მასთან ყორნებს დილა-საღამოს პური და ხორცი მიჰქონდათ. ქვეყანას საშინელი გვა-ლვა და შიმშილი დაატყდა თავს. ხალხმა ნელ-ნელა ჭეშმარიტი ღმერთის გახსენება დაიწყო.

ამასობაში ღმერთის მითითებით ილია წინასწარმეტყველმა ბაალის ქურუმი გამოიწვია და შესთავაზა, გამოეცადათ, რომელი იყო ჭეშმა-რიტი ღმერთი: იაჰვე თუ ბაალი. ორივე მხარეს საკუთარი ღმერთის-თვის თითო მოზვერი ისე უნდა შეეწირა, რომ შეშისთვის ცეცხლი არც ერთს არ მოეკიდებინა. ჯერ ბაალის მსახურებმა ილოცეს ბაალის წინაშე მთელი დღე, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ, წმ. ილიამ უფლის დანგრეული საკურთხეველი თორმეტი ქვით ამოაშენა და სამსხვერპ-ლო მოზვერზე დიდძალი წყალი დაასხმევინა, დაიჩოქა და იაჰვეს წი-ნაშე ილოცა. დაასრულა თუ არა წინასწარმეტყველმა ლოცვა, ზეცი-დან ელვასავით გადმოსულმა ცეცხლმა მიწიანად დანთქა მსხვერპლი, შეშა, ქვები, ამოაშრო წყალი. ახლა კი კვლავ ირწმუნა ხალხმა იაჰ-ვე. ამის შემდეგ, წმ. ილია ავიდა მთაზე და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა, წვიმა მოევლინა. შვიდგზის ლოცვის შემდეგ მოვიდა ნა-ნატრი წვიმა. ასე დასრულდა ისრაელში სამწლიანი გვალვა.

გამოხდა ხანი. ამ ხნის განმავლობაში მრავალი რამ მოხდა ისრა-ელში. დადგა ილია წინასწარმეტყველის გარდაცვალების დრო, მაგრამ ღმერთმა იგი ცეცხლოვანი ეტლით, ქარბორბალას დახმარებით ზეცა-ში ცოცხლად აიტაცა. მეორედ მოსვლის დროს იგი წმინდა ენოქთან (ასევე წინმასწარმეტყველი) ერთად იქადაგებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რისთვისაც ორივეს მოკლავენ. წმინდა ილიამ (ელიამ) თავისი ხალენი (მოსასხამი) დედამიწაზე დატოვა. იგი საქართველოში 26 საუკუნის წინ მოსულმა ებრაელებმა მოიტანეს და სამარხოში საიდუმლოდ ინახავდ-ნენ. სამარხო (სიწმინდეების შესანახი და სამალავია), სადაც ებრაელები ელიას ხალენს ინახავდნენ, მცხეთაში, ბაგინად წოდებულ მათ სალო-ცავში იყო. საქართველოში ხალენის არსებობა IV ს-ში გამჟღავნდა, როდესაც წმ. ნინო მცხეთაში მოვიდა. მართალია, ხალენის ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ ქართული

ისტორიული წყაროების მიხედვით იგი უფლის კვართთან ახლოსაა დაფლული.

ხალხის წარმოდგენით ელია თითქოს ბრმა ხარაზია, რომელიც ეტლს დააქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს. თითქოს ელიას ეშმაკი დაჰყვება და შეცდომაში შეჰყავს. ეშმაკს ელია „შეცდომაში“ რომ არ შეეყვანა, ხალხი ზარებს რეკავდა, თოფებს ისროდა, რათა ელიას გაეგო, რომ ის ადგილი დასახლებული იყო და არ დაესეტყვა. ელიაობის ტრადიციული შესაწირავებია: თხა, ციკანი, იცოდნენ მამლების შეფრენაც, ეკლესიასა თუ სალოცავში მიჰქონდათ რიტუალური პურები.

ენკენია

ენკენია ბერძნული სიტყვაა და განახლებას ნიშნავს. ენკენია ტაძრის განახლების დღესასწაულია. საიდუმლოებებისა და საღვთო ლიტურგიის აღვლენამდე ეკლესია ღვთის სახლად უნდა იკურთხოს და განახლდეს.

IV ს-ში წმ. კონსტანტინე დიდმა იერუსალიმში მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის სახელობის დიდებული ტაძარი ააგო. 335 წლის 13 სექტემბერს იგი ტირის საეკლესიო კრების წმინდა მამებმა აკურთხეს. წმინდა მამებმა დაადგინეს, რომ ტაძარი იესო ქრისტეს აღდგომის პატივსაცემად ყოველ წელს, 13 სექტემბერს (კალენდრის ცვლილების შემდეგ 26 სექტემბერს) უნდა განახლებულიყო. ამ დღესასწაულს ენკენია ანუ განახლება ეწოდა. ამ მნიშვნელოვანი სულიერი და საეკლესიო მოვლენის გამო ხალხმა სექტემბრის თვეს მეორენაირად ენკენისთვე უწოდა.

<u>ლეჩხუმში</u> შემორჩენილია ხსოვნა დიდი ეკენობის (ენკენიის) შესახებ, რომელიც ცაგერში 13(26) ეკენისთვიდან ანუ სექტემბრიდან იწყებოდა და გრძელდებოდა თვის ბოლომდე. საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე იმართებოდა ვაჭრობა. ეკენობაზე გარეშე ხალხიც: ყარაჩაელები, ოსები მოდიოდნენ და ვაჭროდნენ. მათ გასაყიდად შემოჰყავ-

დათ ცხენები, ხარები, თხები, შემოჰქონდათ ნაბდები, მატყლი და სხვა. მოდიოდნენ სვანები, სამეგრელოდან მეუნაგირეებს შემოჰქონდათ აღვირები, მათრახები, ქუთაისიდან ხარაზებს, ოქრომჭედლებს, თერ-ძებს და ქვაბების მჭედლებს შემოჰქონდათ თავიანთი ნაწარმი. ლეჩ-ხუმლები კარვებს მართავდნენ, რომლებსაც სამიკიტნოებს ეძახდნენ და იქ ღვინოსა და პურს ყიდდნენ. ლეჩხუმის თავად-აზნაურობა ეკე-ნობაში გასართობად დადიოდა. იკრიბებოდნენ ერთად, ჯირითსა და მარულას მართავდნენ.

<u>ხევსურეთში</u> ენკენია არხოტში იმართებოდა და არ იყო დიდი დღესასწაული. განსხვავებული წესები ხატში არ სრულდებოდა, მხო-ლოდ ძველი დასტურები ახლებს გადააბარებდნენ თავიანთ მოვალე-ობას. გამოლოცვის დროს, არხოტის იმ ხატში, სადაც დიასახლისი იყო, კლავდნენ საკლავს, ხატის მსახური გარს უვლიდა ხატს და მთელ გზაზე საკლავის სისხლს ასხურებდა.

3

ვარდის შაბათი

ვარდის შაბათი სულთმოფენობის (იხ. სულთმოფენობა) წინა დღე იყო (იხ. ხალარჯობა). ზოგან ამ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, აკაციის ყვავილის გარდა შეძლებისდაგვარად ყველა სახეობის ყვავილს აგროვებდნენ, მათ შორის კაკლის, ფშატის. შეგროვილ ყვავილებს გარეთ ან თონეში აწყობდნენ და დილით ადრე გადიოდნენ საფლავზე. თან მიჰქონდათ ყვავილები, სანთლები, წყალი კოკით. ყველაფერს საფლავზე ალაგებდნენ და წყალს ასხამდნენ. ამ დღეს ოჯახში წანდილს აკეთებდნენ და მეზობლებს ურიგებდნენ. ყვავილებით ოჯახიც, ეზოც და გზაჯვრედინებიც უნდა ყოფილიყო მორთული.

ვნების კვირა

ეს არის კვირა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს აღდგომას. ამ ერთი კვირის განმავლობაში ვიხსენებთ იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ბოლო კვირას, ჯვარცმას და დაფვლას. ვნების კვირა უფლის ბრწყინვალე აღდგომით გვირგვინდება.

ამ კვირას განსაკუთრებული წეს-ჩვეულებები სამშაბათის გარდა ყველა დღეს სრულდებოდა, თუმცა იყო გამონაკლისიც.

<u>სვანეთში</u> ვნების ორშაბათი ჰორიის (ჰორიები – ჭინკები) ორშაბათი, ჰორიაშ დეშდიშ, ანუ ჭინკების ორშაბათი იყო და მათი განდევნის რიტუალი ჰორიალე ნეგზი სრულდებოდა. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, ეს რიტუალი ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს დილა-საღამოს სრულდებოდა.

<u>რაჭაში</u> ვნების კვირის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით ბავშვები კარდაკარ დადიოდნენ, რომელთაგან ერთ-ერთს თოჯინა ეკავა ხელში. როდესაც კარდაკარ მოსიარულეთა ჯგუფი რომელიმე ოჯახს მიადგებოდა, ბავშვები იმღერებდნენ:

„დედოფალა კარს მოადგა,
დია უცხო და უვალი.
სახლად ღმერთმა აგაშენოს,
მოგცეს დიდი ბარაქა!
სახლო სალხინოდ დადგმულო,
დერეფანჩი მოხატულო.
დედოფალა არა სჭამს
მარტო კვერცხის გულის მეტსა.
ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაჰყავ კალათასა,
თუ ორი კვერცხი არ იყოს,
ერთი მაინც ჩქარათასა“.

მასპინძელს 1 ან 2 კვერცხი გამოჰქონდა ბავშვებისთვის. მთელი სოფლის შემოვლის შემდეგ ბავშვები შეგროვილ 200-300 კვერცხს თანაბრად ინაწილებდნენ. თოჯინაც წილში ხვდებოდა და მის პატრონს ორჯერ მეტი კვერცხი უგროვდებოდა.

<u>ფშავში</u> ამ დღეს კუდიანების დღე-ღამე იცოდნენ. ფშავლების აზრით, კუდიანი ეშმაკის მოციქულია. იგი ვნების კვირის ორშაბათს მიდიოდა ეშმაკთან, რომ მისგან შეეტყო, რა უბედურებები უნდა მომხდარიყო სოფელში. ეშმაკთ ყურის გდება ანუ მესმინაობის წესი, ამავე კვირის ოთხშაბათს სრულდებოდა. ვნების კვირის ოთხშაბათს იუდა ისკარიოტელმა, იესო ქრისტეს ერთ-ერთმა მოწაფემ, 30 ვერ-

ცხლად მაცხოვარი გასცა. ამის შემდეგაც იესო ქრისტე იუდეველთა წინამძღოლებმა პონტოელი პილატეს ხელით სასტიკად აწამეს და ჯვარს აცვეს. პონტოელი პილატე იყო რომის პროკურატორი, ანუ რომის მიერ I ს-ის I ნახევარში პალესტინაში დანიშნული მმართველი.

ვნების კვირის ორშაბათი მთელ საქართველოში ავსულებს უკავშირდება.

მითოლოგიური პერსონაჟი კუდიანი მახინჯი, კუზიანი ავი სულია. ხალხის წარმოდგენით მას აქვს დიდი კბილები ან ეშვები, მიწამდე ჩამოშვებული თმა, მხრებზე გადაგდებული ძუძუები, ნებისმიერი არსების თუ საგნის სახე შეუძლია მიიღოს და ადამიანი მოაჯადოოს. ცხოვრობს ბნელ გამოქვაბულებში და ჩვეულებრივი ადამიანების გვერდით. კუდიანების ჩვეულებრივი ადამიანებისაგან გამორჩევა ძალიან ძნელიაო, ფიქრობდა ხალხი. კუდიანები ძირითადად კატებზე ამხედრებულები დაქროდნენ, ასევე მამლებზე, მგლებზე, ღორებზე, ცოცხებზე, დოქებზე და სხვა საგნებზე ამხედრებულნი.

ვნების კვირის ოთხშაბათს ფშავში კუდიან დღე-ღამენის, <u>ხევსურეთში</u> კუდიან წუხრას, ქართლში კუდიანობა ღამეს და სხვას უწოდებდნენ. ძირითადად კი ეს დღე ჭიაკოკონობის სახელით იყო ცნობილი. ვნების ოთხშაბათის ღამეს, სამეგრელოს გარდა მთელ საქართველოში, ქალაქებსა თუ სოფლებში ჭიაკოკონებს ანუ კოცონებს ანთებდნენ. სოფელსა თუ ქალაქში ყველა საკუთარი სახლის წინ კოცონს ანთებდა და დიდი თუ პატარა ცეცხლზე ჯვარედინად მანამ ხტებოდა, სანამ ეს კოცონი არ დაიფერფლებოდა. გადახტომისას უნდა დაეძახათ: „არურუ კუდიანებს (ან: არული, აჰარი, ალული...)! ჯვარი აქაურობას!“ ჭიაკოკონას ანთება და მასზე გადახტომა ძირითადად იმის საწინდარი იყო, რომ კუდიანები ვერავის ავნებდნენ და დილაც მშვიდობიანად გათენდებოდა. კუდიანების, ავი სულების დასაფრთხობად და განსადევნად ისროდნენ თოფებს. ხალხის წარმოდგენით კუდიანები ამ ან მომდევნო ღამეს გარკვეულ ადგილას (იალბუზის მთა, აჩხოტის მინდორი, მდ. იორი, ტაბაკონის მთა...) იკრიბებოდნენ და ზეიმს მართავდნენ.

<u>სვანეთში</u> ბზობის საღამოდან ლიროკინალი ანუ განდევნა იწყებოდა (იხ. ბზობა). ზოგან ვნების კვირას ჰორიალე ნეგზის ანუ კუდი-

ანების კვირას უწოდებდნენ. სვანეთში დიდ ოთხშაბათს ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქალი იღებდა ქონის ნაჭერს და ოჯახის ყველა წევრს უსვამდა შუბლზე, კისერზე, მკერდზე და ხელის გულებზე, თან ამბობდა: „ღმერთმა მრავალ ბრწყინვალე აღდგომას დაგასწროთ“.

<u>რაჭაში</u> დიდ ოთხშაბათს მხოლოდ სადილობამდე შეიძლებოდა მუშაობა, უფრო ვენახში. ნასადილევს აღარ იმუშავებდნენ.

<u>სამეგრელოში</u> ჭიაკოკონა 15/28 აგვისტოს ღამე იმართებოდა.

<u>იმერეთში</u> მიაჩნდათ, რომ კუდიანებმა ყველაფერს შეიძლება ავნონ, მათ შორის ვენახსაც. ვაზის დასაცავად იმერეთის მოსახლეობა ვენახშიც ანთებდა კოკონს და იქვე ისროდა თოფს.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალ ტანსაცმელს კრავდნენ, ბოხჩაში ახვევდნენ, ტახტზე დებდნენ და ასკილის ტოტებს ადებდნენ, რის შემდეგაც ხალხის რწმენით ტანსაცმელს კუდიანი ვეღარ მიეკარებოდა და ვერ დაჭრიდა. ვინმეს სახლის წინ კაკლის ან ატმის ხე თუ ედგა, ზედ საცერს ჰკიდებდნენ. ხალხის წარმოდგენით კუდიანები კაკლის და ატმის ხეს ეფარებიან, ხოლო თუ მათზე საცერი იქნებოდა დაკიდებული, ისინი ხილული გახდებოდნენ.

<u>მესხეთ-ჯავახეთში</u> ჭიაკოკონობა წითელ პარასკევს იცოდნენ.

<u>ქართლში</u> კუდიანობა ღამეს ასკილის, ტყემლის ტოტებს მოჭრიდნენ, წვრილად კეპავდნენ, ტაბაკზე ყრიდნენ, ზედ ნახშირს აყრიდნენ და ყანაში მიჰქონდათ. ასკილის ტოტებს მიწაში არჭობდნენ და ნახშირს უყრიდნენ. ასკილის და ტყემლის ტოტებს (რომლებზეც ხალხი ამბობდა კუდიანების მტერიაო), ბოსტანშიც არჭობდნენ – ავი საქმე, ავი თვალი, ავი ყბა აღარ მოგვიდგებაო, – ამბობდა ხალხი. ამ ყველაფერს დამახვილებას უწოდებდნენ. თუ ქათამი კვერცხზე იჯდა, ასკილის ტოტებს საქათმის კარსაც უკეთებდნენ, კუდიანების დასაფრთხობად კარზე ჯვარედინად ამაგრებდნენ, გარეთა მხრიდან კი მუგუზლებს დებდნენ. ასკილის ტოტებს ფქვილზედაც დებდნენ. მელოგინეს (მომშობიარეების შემდეგ ლოგინში მწოლიარე ქალი) ლოგინთან ტყემლის დიდ ჯოხს მიუყუდებდნენ, ბავშვის აკვანს კი ცეცხლს გადააატარებდნენ.

<u>ლიახვის ხეობაში</u> ჭიაკოკონობის წესს ჭიების საწინააღმდეგოდ ასრულებდნენ. მოსახლეობა ჩალა-კაჭაჭს ცეცხლს წაუკიდებდა, ზედ

გადაახტებოდა და დაიძახებდა: „არული კუდიანებს!“ ჩამქრალი ცეცხლის ნაცარს მოხვეტავდნენ და ბოსტანში დაყრიდნენ, რომ ჭიას ბოსტნეული არ გაეფუჭებინა. შემდეგ უმძრახად (სიტყვის უთქმელად) წყალს მოიტანდნენ და ტანს დაიბანდნენ. ზოგან, მაგალითად სოფელ ერედვში ამ წესს დიდ ხუთშაბათს ასრულებდნენ.

<u>კახეთში</u>, ეშმაკი სახლში რომ ვერ შესულიყო, კარის ძელზე ცეცხლმოკიდებულ ეკალს ჰკიდებდნენ. ანთებული ცოცხით ან ფიჩხის კონით სახლს გარშემო რამდენჯერმე შემოურბენდნენ, რომ ეშმაკი მათ საცხოვრებელს ახლოსაც კი ვერ მიკარებოდა.

<u>ხევსურეთში</u> ოთხშაბათ დღეს, ანუ კუდიან წუხრას, როგორც მას აქ უწოდებდნენ, მესმინაედ დაჯდომა ანუ კუდიანების სმინაობა, მოსმენა იცოდნენ. ვისაც კუდიანების საუბრის მოსმენა უნდოდა, ის ამ ღამეს სადმე შორს, გზის გასაყარზე, ჩუმად და ზურგშექცევით დაჯდებოდა. მესმინაედ დამჯდარი თავის გარშემო თითისტარით წრეს შემოავლებდა და გარშემო ნახშირს შემოიყრიდა. მესმინაე აუცილებლად მაგრად უნდა მჯდარიყო, არ განძრეულიყო და არ შეშინებოდა. ხალხის აზრით კუდიანებს ნახშირის წრის გადალახვა არ შეეძლოთ. ასევე მიაჩნდათ, რომ კუდიანები ძირითადად იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ ვინ როგორი ადამიანი იყო, ვინ რამდენ ხანს იცოცხლებდა, რითი და როდის გარდაიცვლებოდა. ხალხის რწმენით კუდიანები გამთენიისას ქრებოდნენ.

ხევსურეთში მას შემდეგ, რაც ყველა ქალი ბუნაგს დალბეჭდავდა, ე.ი ყველაფერს, რაც სახლში ექნებოდათ, ჯვრისებურად ნახშირს წაუსვამდნენ და იტყოდნენ: „ქრისტემ დაგკრას ბეჭედი, ქრისტის დედამ მარიამმა!“ ბავშვს ასკილის ტოტების მოსატანად გზავნიდნენ. ერთ ტოტს ნეხვზე არჭობდნენ და იტყოდნენ: „კუდიან ფეხშეკრული!“ ერთს კარის და საკვამურის თავზე შემოდებდნენ და იტყოდნენ: „კუდიანს შახმას (ე. ი. შეახმეს) ფეხი!“ ყოველივე ამის შემდეგ, მავნე სულების დასაფრთხობად სახლის წინ დიდ ცეცხლს ანთებდნენ, ბავშვები ოკებს ცეცხლს წაუკიდებდნენ, შორს გაისროდნენ და იტყოდნენ: „ჩვენს ნურას წაიღებთ, თავისა შასვითა, შაჭამეთ!“ შემდეგ ოჯახის უფროსი სამ მუგუზალს აიღებდა, სახლის ბანზე ავიდოდა და წრის შემოხაზვის შემდეგ შორს გაისროდა, თან იტყოდა: „რიტი,

რიტი კუდიანნო, ნუმც რა მიგაქვისთ ჩემი სახლისა ქვის მეტი, ხის მეტი, რკინის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ, თავისა შაიოთხშა-ბათეთ! დაგკრასთ ლახტი კოპალმა გულჩიო, გაგაგდებიასთ გულჩი“. საბოლოოდ, გადახტომის შემდეგ, ცეცხლს მიწაზე ფეხით სრესდნენ და ამბობდნენ: ესემც დაიწვები ცეცხლშიო.

<u>ფშავში</u> ვნების ოთხშაბათს ყველა ოჯახი თავისი კარის წინ ჭია-კოკონას ანთებდა. კუდიანების დასაშინებლად თოფსაც ისროდნენ. საკვამურს, კარის თავს, საპურეს, გოდრებს, ბოსლის კარს, გარეთ დაგროვილ ძროხის ნაკელს და სხვას ეკალს უკეთებდნენ, რადგან ხალხის რწმენით კუდიანებს ეკლის ეშინოდათ და „მადლ-ბარაქას“ ვერ დაუკარგავდნენ. მას შემდეგ, რაც ბავშვები დაიძინებდნენ, მათაც „დაბეჭდავდნენ“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლოგინში მწოლიარე ბავ-შვებს შემდეგი სიტყვებით გადააყრიდნენ ნახშირს: „ჯვარი გეწეროსთ წმიდის გიორგის დაწერილი“. ეშმაკების შიშით მოხუცი ქალები ამ წესს სხვა დღეებშიც ასრულებდნენ, თან მწოლიარე ბავშვებს ჯვარ-საც გადასახავდნენ.

თუ ქალი და ბავშვი გზაზე უკაცოდ მიდიოდა, მოხუცი ქალი ჯვარს გადასახავდა და უბეში ნახშირს ჩაუდებდა. კუდიან საღამოს ნახშირს ან ნაღვერდლებს გამოიტანდნენ და სახლის გარშემო მიმოაბ-ნევდნენ.

ფშავლების თქმით, ვინაიდან „ოთხშაბათი კუდიანი დღე იყო“, კუ-დიანებს ღვთისშვილებისა და ღმერთის ნებით ქვეყანაზე სიარულის უფლება ჰქონდათ. ამ დღეს ქალებსა და ბავშვებს ძალიან ეშინოდათ გარეთ გამოსვლა. კუდიანებს, რომლებიც ხალხის რწმენით ქალებიც იყვნენ და კაცებიც, ნებისმიერი ადამიანის ვნება შეეძლოთ. მსხვერპ-ლი ავად ხდებოდა და კვდებოდა. ხალხის აზრით კუდიანები ადამი-ანებს თავსაც აკვლევინებდნენ ან თვითონვე ხოცავდნენ ზვავით, წყლით ან ქვით. ისინი შინაურებსაც არ ინდობდნენ. თუ რომელიმე დაინდობდა, მათი უფროსი - როკაპი მასაც მოკლავდა. კუდიანს სას-ჯელისაგან მხოლოდ თავისი კუდიანობის სახალხო, საჯარო აღიარება თუ იხსნიდა.

ხალხის თქმით კუდიანი დედაკაცი ძალიან მავნე და დაუზოგავია, კაცი – არა. კუდიანი კაცი მშვიდია, ვინმეს ვნებას ვერც კი ავალებდ-

ნენ, რადგან დავალებას არ შეასრულებდა. იგი ყოველთვის იცავდა თავის გვარს, ნათესაობას და ყოველ ღონეს იხმარდა, თავისიანები მოსალოდნელი უბედურებისაგან დაეცვაო. ფშავლები იტყოდნენ: „ნეტავი იმ მამიშვილობას, რომელ მამიშვილობაშიც კუდიანი კაცია და ვაი იმ მამიშვილობას, ვის მამაშიც კუდიანი დედაკაციაო“. კუდიანობის უნარის დაკარგვა მხოლოდ გამოტეხვის, აღიარების შემდეგ იყო შესაძლებელი. სჯეროდათ, რომ კუდიანებს შეეძლოთ მონადირეებისათვის სახიფათო გზები უხიფათოდ მოეჩვენებინათ. ამიტომ მონადირე ან მგზავრი ისე არ გაივლიდა სახიფათო ადგილებს, რომ სავალი არ შეემოწმებინა, ღმერთი არ ეხსენებია და პირჯვარი არ გადაეწერა. ხალხის აზრით კუდიანი ადამიანი შავია.

<u>თუშეთში</u> სმინაობა კდინის კვირას, მთვარის კალენდრის მიხედვით იანვრის მესამე კვირას იცოდნენ.

ვნების კვირის ხუთშაბათს, ანუ დიდ ხუთშაბათს ეკლესია საიდუმლო სერობას უკავშირებს, რომლის დროსაც დაარსდა ზიარების საიდუმლო და იესო ქრისტემ ფეხები დაბანა მოწაფეებს. ფერხთა ბანით, როგორც ამ წესს ეწოდება, იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს თავმდაბლობის მაგალითი უჩვენა და უთხრა, ასე ემსახურეთ ერთმანეთსო. ამის შემდეგ ყველა სადღესასწაულო სუფრას მიუსხდა, ვინაიდან იმ დღეს იუდეველთა მთავარი დღესასწაული, პასექი იყო. იესო ქრისტემ აიღო პური, გატეხა და თქვა: მიიღეთ და სჭამეთ - ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა. შემდეგ აიღო ღვინით სასმისი და თქვა: შესვით ამისგან. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა. ამას ჩემს მოსახსენებლად იქმოდეთ. მაცხოვარმა პურით და ღვინით ყველა მოწაფე აზიარა და სუფრასთანვე საჯაროდ განაცხადა, რომ ერთ-ერთი მოწაფე მას გასცემდა. ეს იყო იუდა ისკარიოტელი. იუდა წამოდგა, დატოვა სერობა და თავისი უკეთური საქმის შესასრულებლად წავიდა.

<u>სვანეთში</u> დიდ ხუთშაბათს შიხარცაშს უწოდებდნენ. ამ დღეს გარეული ვარდ-ეკლის (ასკილის) ტოტებს ყანებში ასობდნენ, ამაგრებდნენ ფანჯრებზე - ოჯახს ავი თვალი და ყბად აღება ასცდებაო. ის ქალი, ვინც დიდ ოთხშაბათს ოჯახის წევრებს ქონს წაუს-

ვამდა, ხუთშაბათ დილით ადრე ადგებოდა და შავი ცხვრის მატყლისაგან ძაფის დართვას დაიწყებდა. ამ ძაფს თამფარას ეძახდნენ. ოჯახის წევრები რომ გაიღვიძებდნენ, ძაფი უკვე დართული იყო. ქალი ოჯახის ყველა მამაკაცს უმძრახად მარჯვენა მაჯაზე ძაფს შეაბამდა, ქალებს კი მარჯვენა ფეხზე. ასეთივე ძაფს შემოახვევდა საოჯახო ნივთებს, ხარს რქებს, დედაბოძს, თოფსა და სკივრს. შემდეგ გარედან თეთრ ქვას შემოიტანდა, ამტვრევდა, ცომში დებდა და პურს აცხობდა. ერთს ხაშში (ცომის საფუარი) დებდა, მეორეს - პურის შესანახ სკივრში, მესამეს - ჩვეულებრივ სკივრში. ყოველივე სიუხვის და ნაყოფიერების საწინდრად კეთდებოდა. ამის შემდეგ ქალს შეეძლო ლაპარაკი. ამ დღის წირვის დამთავრების შემდეგ, ყველა იხსნიდა ძაფს, აგდებდა ცეცხლში და ამბობდა: „ასევე დაიწვას ჩემი ყველა ავადმყოფობა“. ზოგან ამ ძაფს თანაფას (ალდგომას) ეძახდნენ. როდესაც ქალი ოჯახის წევრს ძაფს ცალფად შემოახვევდა, მაისამდე მშვიდობას უსურვებდა. თანაფას დიდხანს ტარება, თუნდაც ერთ წლამდე, კარგის ნიშანი იყო. მიაჩნდათ, რომ თუ ვინმე თანაფას ოჯახის გარეთ მოაწყვეტდათ, ძაფის მომგლეჯს თან მიჰქონდა თანაფას პატრონის ჭირი. რადგანაც თანაფა ერთფა იყო, იოლად წყდებოდა. ხშირად მისი პატრონი ვერც კი ხვდებოდა, როგორ და სად მოძვრა ძაფი. მიაჩნდათ, რომ თანაფა ადამიანებს ქვეწარმავლებისაგან იფარავდა, რომ გველი მათ არ მიეკარებოდა. თუ მიეკარებოდა, ვერაფერს დაუშავებდა. ამიტომ თანაფას შებმის ტრადიციას ყველა ოჯახი იცავდა.

<u>ლეჩხუმში</u> ამ დღეს ოჯახის უფროსი და დიასახლისი დილით ადრე დგებოდნენ. ქალი იღებდა შავ ნართს, უმძრახად ართავდა და ოჯახის ყველა წევრს მარჯვენა მაჯაზე შეაბამდა. ამ ძაფს, რომელსაც „ნაუბარ ძაფს“ ეძახდნენ, საქონლისათვის განკუთვნილ ბალახს ტყავში ჩადებდნენ და გამოკრავდნენ, თან ლოცულობდნენ: „სახელითა ღვთითათა, ძით, მამით, სულითა შეგილოცავ თვალღმისასა (ანუ თვალისასა), ყოველივე ქვეყნისასა, შინაურისასა, გარეგანისასა, შავთვალიანისასა; ვინც იყოს შენი მოღაბნიელი (ანუ ცუდი თვალის მქონე) და მოხარბიელი – თვალთ ნაცარი, გულს ღადარი – ვინც შენი გამთვალავი იყო და გამღალავი; გამოსკდა წითელი კლდე, გამოჰყვა წითელი გველი, გადაუკრავთ სიპსა ქვასა; ის რო სკდება, ის რო გჯება

(ანუ სკდება), ისთე გული გოუგჯება, ვინც ავი თვალის და ავი გულის იქნება; შენ ჯვარი დაგწეროს, მისი გათვალოს, მისი გალალოს“. „ნათვალის წამალს“ მეწველ ძროხასა და მუშა ხარს შეაბამდნენ. შემდეგ ქალი წყალზე უბრად წავიდოდა. წყალს „ნაუბარი წყალი“ ერქვა. ამ წყალს სახლში მოიტანდა, ყველა კუთხეს მოასხამდა, სიმინდის ფქვილს მოზელდა და უბრად გოჭებს, ქათამს და წვრილფეხა საქონელს აჭმევდა. ოჯახის უფროსი კაციც დილაადრიანად ტყიდან უბრად მოიტანდა ვერხვის ან მწარე ბლის ტოტს, რომელიც რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ჯოხს წვერს ცოტათი ჩაუჭრიდა, ასევე ტყიდან მოტანილ ასკილის ტოტს ჰორიზონტალურად ჩაურჭობდა და კალოზე ჩაასობდა. „ნაუბარი საყე“, როგორც მას უწოდებდნენ, ივანობამდე ე.ი. 24 (7.07) ივნისამდე იქნებოდა ჩარჭობილი. ამ წესების შესრულების შემდეგ საუბარი უკვე ნებადართული იყო. შუა დღემდე „მიწის განძრევა“ ანუ მიწაზე მუშაობა შეიძლებოდა, შუა დღიდან კი უქმე დგებოდა. მომდევნო დღეებიც უქმე იყო.

<u>რაჭაშიც</u> მსგავსი წესები სრულდებოდა. ოჯახის დიასახლისი დილით, ძალიან ადრე, უმძრახად ასკილისა და მწარე ბლის რამდენიმე ტოტს მიიტანდა, კალოზე ასკილის ტოტს ჩაასობდა და მწარე ბლის ტოტს ჯვარედინად გაუკეთებდა. იმავეს აკეთებდა ვენახში, ბოსტანში. ასკილის ტოტებს ჯვარედინად კარზეც აკრავდნენ. კართან გარედან უბრად მოტანილი „ნაუბარი წყალი“ იდგმებოდა. დილით ოჯახის წევრები აუცილებლად უნდა გამძვრალიყვნენ ასკილის ტოტების ქვეშ, თანაც უბრად. ქალი, რომელიც რიტუალს ასრულებდა, ამ წყალთან იდგა და ასკილის ტოტებქვეშ გამოვლილ ოჯახის ყველა წევრს ასხურებდა, რის შემდეგაც საუბარი ნებადართული იყო. ორი კვირით ადრე მოტანილ ცხრა სხვადასხვა ბალახს: ორჯამოს, ქრისტეშეჭედას, პირბეწვას და სხვას, ტყვიას ანუ „მუხის გულს“ ერთად შეაზავებდა და უბრად შეულოცავდა. შემდეგ, თუ შელოცილი საქონლისთვის ან ადამიანისთვის იმავე დღეს იყო საჭირო, ნაჭერში გამოკერავდა, თუ არა და გამოუკერავს შეინახავდა. დათვს სიმინდი რომ არ შეეჭამა, დიდ ხუთშაბათს კაცი მთაში უბრად მაკრატელს წაიღებდა, ქვის ქვეშ ამოდებდა და სიმინდის მოჭრამდე დატოვებდა

– ასე შეეკვრის პირი დათვსო. თუ ოჯახს ამავე დღეს ქალი ესტუმრებოდა ან ეზოში დაიძახებდა, ცუდის ნიშანი იყო – დათვი შეგვიჭამს ყანასო, რის გამოც ქალები სხვის ეზოში დაძახებას ერიდებოდნენ. კაცის ეზოში შესვლა და დაძახება კარგის ნიშანი იყო – დათვი ვერაფერს დაგვაკლებსო.

რაჭაში ზოგისთვის კუდიანების დღე ნაცვლად ოთხშაბათისა, დიდ ხუთშაბათს იყო.

ხუთშაბათს საღამოს ყველა ოჯახი ეზოში თივის ზვინს უკიდებდა ცეცხლს, იშვიათად ვაზის რტოებს და კოკონს – წიაკოკონას ანთებდა. ბავშვები კოკონის გარშემო დარბოდნენ, ახტებოდნენ მას და თან ამბობდნენ:

„წია, წია, კოკონია, წია, წია, კოკონია!
ჩვენს ქალებსა ტახის თავი, სხვის ქალებსა ვირის თავი,
ჩვენს ბეჭკერში დიდი ცომი, სხვის ბეჭკერში დიდი ლოდი.
ჩვენ კაცებს თოფ-ლეკური, სხვის კაცებს დიდი ჯოხი.
ჩვენ ჭურებში ღვინო მწვანის, სხვის ჭურებში გველ-ბაყაყი.
ჩვენ ბეღელში მარცვალიო, სხვის ბეღელში ხვარხვალაო“.

კოკონები გვიან, ვახშმობის დროს ქრებოდა. ჭიაკოკონობაში უფროსები იშვიათად მონაწილეობდნენ.

<u>სამეგრელოში</u> ხალხის რწმენით დიდ ხუთშაბათს (ცაშხა დიდი) მდინარის წყალი თბებოდა და ყველა ცოცხალი არსება ზამთრის შემდეგ პირველად ამ დღეს ბანაობდა. ადამიანი ცდილობდა, ყველასთვის დაესწრო; ცხოველებისთვის, მათ შორის მგლისთვისაც. ამიტომ დაერქვა ამ დღეს „გერიში რჯგინა“ (მგლის ჯობნა).

ძველად სამეგრელოში ხუთშაბათის სადიდებელი ლოცვა „ოთუთაშხური“ და „ოჯუმაშხური“ სცოდნიათ, რომელსაც „ოჭაშხურე“ დარქმევია. ოთუთაშხურისთვის ოჯახის დიასახლისი სამზარეულოს გაასუფთავებდა, ყველასთვის ორ-ორ ხახვიან და ლობიან კვერს გამოაცხობდა, ასევე სხვადასხვა ფორმის ბევრ პურს, რომლებსაც იქვე ღომის საშრობ ლასტზე დებდა. თავისთვის ანუ მლოცველისთვის 4 ცალ ხმიადს აცხობდა. დიასახლისი მთელი დღე უსმელ-უჭმელი იყო.

ლოცვის დროს ლასტის ქვეშ ნამგალს გაატარებდა და ელიას (იხ. ელიაობა) მოსავლის დაცვას, სიმრთელეს, მშვიდობას ევედრებოდა. ლოცვის დროს ოჯახის წევრები გარეთ გადიოდნენ. ეს წესი დიასახლისს მარტო უნდა შეესრულებინა. ოჯახის წევრები სახლში მხოლოდ მაშინ შევიდოდნენ, როდესაც დიასახლისი ლოცვას მორჩებოდა და მთელი დღის მშიერი კარგად დანაყრდებოდა. ბოლოს იმართებოდა საერთო ოჯახური ლხინი და ყველა ხახვითა და ნიგვზით შეზავებული ლობიოს ხაჭაპურებსა და სხვა სამარხვო საჭმელს შეექცეოდა. ამ დღისთვის ოჯახს ღვინით სავსე ერთი ჭური ჰქონდა ზედაშედ შემონახული. ამ ლოცვის მსგავსი იყო ოჯუმაშხური. დიასახლისი „ოჯუმაშხურ პატონს“ ქმარ-შვილისა და შვილიშვილების ბედნიერებას შესთხოვდა.

<u>ქართლში</u>, დიდ ხუთშაბათს, დილით ადრე, უმძრახად მოიტანდნენ წყალს, ნაცარს გაურევდნენ და თავს დაიბანდნენ, თმის ბოლოჭამიები ან მუწუკი აღარ გაგვიჩნდებაო, თავის ტკივილები არ გვექნებაო. ბავშვს ტანს დაბანდნენ, ქავილი აღარ ექნებაო, უმძრახი წყლით დაბანამ ტანის მოსვენება იცისო. ასევე უმძრახად ჭერს ცოცხს ჩამოუსვამდნენ, ჭიაბებერა აღარ გაჩნდებაო. ამ დღეს ჭიაკოკონობის ნაცარს სხვა ნაცარში აურევდნენ და კომბოსტოს მიაყრიდნენ, ჭია აღარ შეჭამსო. ზოგი ჭიაკოკონას ნაცარს ვენახში ხელუკულმა, უმძრახად მოაყრიდა. ამავე დღეს ავი თვალის საწინააღმდეგოდ ბავშვებს უმძრახი წყლით ბანდნენ, ვაშლის და ტყემლის ტოტებს დაწვავდნენ, ნაკვერჩხალს წყალში ჩაყრიდნენ: ასე ჩაიშალოს იმის თვალი, იმის გული, ვინც შენ ავი თვალით შემოგხედოს და ავი გული ჰქონდეს შენთვისო, - ამბობდა რიტუალის შემსრულებელი. დილით ტყემლის ტოტის უმძრახად მოჭრაც იცოდნენ. მისგან ჯვარს აკეთებდნენ და ბავშვებს გულზე ჰკიდებდნენ: შეშინებულისთვის კარგია და ავი თვალისაგან იცავსო. ავი თვალისაგან დასაცავად ლურსმნებს კარის ჩარჩოში არჭობდნენ. ქმარ-შვილზე უმძრახად პატრუქის (ბამბის ძაფი, რომელიც სანთლის დასამზადებლად იხმარება) შემოხვევა იცოდნენ. ამავე დღეს დიასახლისი უმძრახად ბანზე ავიდოდა. საზეპელს (მიწის დასატკეპნი ტარიანი კუნძი ან ფიცარი) ბანს ურტყამდა, წყლის წვეთი არ ჩამოვაო. ქართლში სხვა კუთხეების მსგავსად

დიდ ხუთშაბათს კიდევ ერთი წესი სრულდებოდა, კერძოდ მჭედელს უმძრახად უნდა დაეკრა რკინის ურო ჯაჭვზე, რომლითაც ხალხის თქმით ლომი იყო დაბმული. ხალხის რწმენით, ლომს არ უნდა გაეწყვიტა ჯაჭვი და არ უნდა აშვებულიყო.

<u>კახეთში</u> დიდ ხუთშაბათს საიდუმლოს ანუ ზიარებას იღებდნენ. ისევე როგორც დიდ შაბათს, დიდ ხუთშაბათსაც მიცვალებულისათვის წანდილს ხარშავდნენ. უმძრახად წავიდოდნენ წყალზე, ქვაზე მიცვალებულთა მოსახსენებლად ლიტრიან ბოთლს სამჯერ დაცლიდნენ. წყალს სახლშიც წამოიღებდნენ. ამ წყლით უმძრახად იბანდნენ თავს. თავს ჭიაკოკონას ნაცრითაც იბანდნენ: თმა გაიზრდება, ამაღლდებაო. ბალახს ჯოხს ურტყამდნენ ანუ ჭია-ღუას თავს აჭრიდნენ. ეს წესი ნათესებისთვის სრულდებოდა. ნათესებს, ნიოროს ჭიისგან დასაცავად ჭიაკოკონას ნაცარს აყრიდნენ. ყანაში, ვენახში ავი თვალის საწინააღმდეგოდ ასკილის ტოტებს დებდნენ. დიდ ხუთშაბათს შიოობაც იცოდნენ (იხ. ყველიერი).

დიდ ხუთშაბათს ხის შეშინების წესსაც ასრულებდნენ. ხე, რომელიც ნაყოფს არ ისხამდა, ცულს მოუღერებდნენ და ეტყოდნენ: მოისხი, თორემ მოგჭრიო.

<u>ხევსურეთში</u> კუდიან წუხრას ჭიაკოკოლაობასაც უწოდებდნენ, მაგრამ მასთან დაკავშირებულ წესებს დიდ ხუთშაბათს ასრულებდნენ. სახლში მოტანილ ეკალს ბავშვები ყველგან არჭობდნენ, ნაგავზეც კი. მათ ეკლის ოკებიც მოჰქონდათ. თითო ბავშვი 40-70 ოკს და ცეცხლის დასანთებ ნეშომპალას ამზადებდა. ხუთშაბათს რომ დაღამდებოდა, ყველა საკუთარი კარის წინ ცეცხლს, ჭიაკოკოლაობას დაანთებდა. ოკებს ძირებით ცეცხლში ჩაყოფდნენ და ცეცხლმოკიდებულებს მშვილდებით ისროდნენ, თან იძახდნენ: „გრია, გრის კუდიანთა, თავის შესვითა, შეჭამეთ“ ანუ კუდიანებო, ჩვენი არაფერი წაიღოთ, თქვენი შესვით და შეჭამეთო.

<u>ფშავში</u> დიდ ხუთშაბათს ზოგან ჭიაკოკონობა იცოდნენ.

<u>მთიულეთში</u> დილით უმძრახად მოტანილი ტყემლის ტოტის ნატეხს დიასახლისი პატრუქით ოჯახის ყველა მძინარე წევრს მარჯვენა ხელზე შეაბამდა, ისე რომ არ გაღვიძებოდა. ასევე შეაბამდნენ მეწველ ან მაკე ძროხას კუდზე, ხარებს, თუ ისინი სახნავად არ

ჰყავდათ გაყვანილები, მარჯვენა მხარზე და იმ კარს, რომლითაც სახლში შემოდიოდნენ, ცომის თხელ ჯვარს აკრავდნენ. დიასახლისი სახლში უმძრახად მიიტანდა წყალს, რომლითაც სადღვებელს გარეცხავდა. წყალთან ერთად დიასახლისს სახლში პატარა თხელი ქვებიც მიჰქონდა, რომლებსაც ტყემლის ტოტის ნატეხთან ერთად ბამბის ძაფით სადღვებელს შეაბამდა. ამით ხალხი კუდიანებისგან თავის დაცვას ცდილობდა. ხალხის რწმენით კუდიანებს მეორე დღეს თვალის ცემა შეეძლოთ, რასაც მადლისა და ბარაქის დაკარგვა მოჰყვებოდა.

ამ დღეს ყველა მჭედელი ცდილობდა, სამჭედლოში უმძრახად კვერზე რაც შეიძლება მეტჯერ დაერტყა და ახალი ნივთი გაეკეთებინა. მიაჩნდათ, რომ რამდენჯერაც დაარტყამდა, იმდენჯერ მოემატებოდა ამირანს ჯაჭვის სისქე. თუ ეს არ შესრულდებოდა, ხალხის რწმენით, ამირანი, რომელიც მჭედლებს ემტერებოდა, აიშვებდა. მთიულების თქმით, ამირანი მლეთაშია მიჯაჭვული.

<u>გუდამაყარში</u> დილით დიასახლისი უმძრახად მოხარშავდა სიმინდს, მოჰქონდა წყალი და ართავდა პატრუქს. პატრუქს ბავშვებს მარჯვენა ხელზე შეაბამდა და წყლით ხელპირს დაიბანდა. პატრუქს ტყემლის კაპსა და სადღვებელს შეაბამდნენ. ამ დღეს ბავშვებს წისქვილში სიმინდს აფქვევინებდნენ. ამ ფქვილისაგან აღდგომას ერბოხალს აკეთებდნენ.

ვნების კვირაში დიდ ხუთშაბათს წითელი პარასკევი (იხ. წითელი პარასკევი), დიდი შაბათი (იხ. დიდი შაბათი) და ბოლოს აღდგომა (იხ. აღდგომა) მოსდევდა.

თაგვის უქმე

თაგვის უქმეს საქართველოში თაგვების წინააღმდეგ იცავდნენ, რათა მათ ხალხის სარჩო-საბადებელი არ დაეზიანებინათ.

<u>ქართლში</u> თაგვის უქმესთან დაკავშირებულ წესს ყველიერის კვირას ასრულებდნენ. ბიჭები სახლს ასკილის ტოტებს გამოუსვამდნენ და იტყოდნენ: „თაგვო, თაგვო გამოდი, ანგელოზო შემოდი“. ამ ტოტებს სადმე ღობის ძირში არჭობდნენ.

<u>კახეთში</u> თაგოთაგობა ანუ თაგვის უქმე დიდმარხვის პირველ ორშაბათს იცოდნენ. ამ დღეს ჩირჩილის უქმესაც აღნიშნავდნენ. საღამოს კვერცხს, ყველს, თევზს და სხვ. ეკალზე წამოაცმევდნენ, გაიტანდნენ შორს და დაყრიდნენ. ზოგი ქადას გამოაცხობდა, ასკილის ტოტზე წამოაცმევდა და სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან ამბობდა: „გამო, თაგო, გამო, რწყილო...“ შემდეგ ასკილს სახლიდან მოშორებით გაიტანდნენ, მიწაში ჩაამაგრებდნენ და იტყოდნენ: „ეს წელს მოგიტანეთ, მომავალ წელს სხვას მოგიტანთ“.

<u>გუდამაყარში</u> ამ დღეს ჯოხზე ჩალას ამაგრებდნენ თაგვის ულვაშების მსგავსად. სახლს წალმა ჩამოუვლიდნენ და ამბობდნენ: „გამო, თაგო, გამო, რწყილო, ანგელოზნო, შინ შემოდით“. შემდეგ ამ ჯოხებს ბავშვები სოფლის განაპირას წაიღებდნენ და იქ დაყრიდნენ. თუ

ვინმე დაუძახებდათ, უკან არ უნდა მოეხედათ - თაგვები უკან მოგვიბრუნდებიანო. აცხობდნენ კვერს.

ხევში თაგვ-ჩიტთ უქმეს, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, გამომცხვარ კუტაბს (რიტუალური პური) ბავშვები წყალში აგდებდნენ, ვითომ თაგვიაო. ზოგან, როგორც გუდამაყარში, ჯოხს ჩალას მოაბამდნენ და მას შემდეგ, რაც სახლში გამოუსვამდნენ, აგდებდნენ ან ქუჩაში გადიოდნენ, კუტაბებს შეჭამდნენ და ჯოხებს გადაყრიდნენ.

ხევსურეთში თაგვ-ჩიტთ უქმეს დიდმარხვის პირველ შაბათს აღნიშნავდნენ. ხალხი მკაცრ უქმეს იცავდა. ხალხის რწმენით, ვინც ამ უქმეს გატეხავდა, თაგვი და ჩიტი ჭირნახულს სულ გაუნადგურებდა. ხალხური გადმოცემით თითქოს ერთ ქალს ეს უქმე არ დაუცავს, რის გამოც მისთვის ძილში თაგვს თმა მოუჭრია. ზოგის თქმით, საუკეთესო ტანსაცმელი დაუჭრიაო. ამ დღეს სიმინდის ან სვილისაგან ბიჭონს ანუ ბატიბუტს ამზადებდნენ. ბიჭონის დამზადებაც აუცილებელი იყო, რათა თაგვს და ჩიტს ოჯახი არ დაეზარალებინათ.

ფშავეთიც დიდმარხვაში იცოდნენ თაგვ-ჩიტთ უქმე. აქაც ასევე ეშინოდათ, რომ თაგვებს და ჩიტებს ჭირანხული, ტანისამოსი არ დაეზიანებინათ. ამ დღეს ყველა მოხარშავდა ფაფას, პატარა წიწნით ანუ ჯამით გარეთ გაიტანდა და დადგამდა, რათა ჩიტებს ეჭამათ. თუ ჩიტები ფაფას არ მიეკარებოდნენ, მაშინ ფაფას სადმე ისეთ ქვაზე დადებდნენ, სადაც ადამიანები ნაკლებად დადიოდნენ და ჩიტები ვეღარ დაფრთხებოდნენ. ჩიტებისათვის ამ ფაფას მათ მოსამადლიერებლად დგამდნენ, რომ ფრინველს ადამიანის ქონება არ დაეზიანებინა.

თუშეთში ყველიერის სამშაბათს მჭრელთ უქმეს ინახავდნენ, რათა თაგვს, ჩრჩილს, კალიას ადამიანის სარჩო-საბადებელი არ დაეზიანებინა.

თარანგელოზობა
(მთავარანგელოზობა)

13/26 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენიებს მთავარანგელოზ გაბრიელის კრებას. ეს დღესასწაული IX ს-დან არსებობს. ამ დღეს ეკლესია მთავარანგელოზ გაბრიელის ყველა სასწაულებრივ გამოცხადებას აღნიშნავს.

თარანგელოზობა ანუ მთავარანგელოზობა ხევის სოფელ ყანობის დღეობა იყო. ამ დღეს ხევის სხვა სოფლებშიც უქმობდნენ.

თევდორობა

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონს (აღესრულა დაახლოებით 306 წ.) მოიხსენიებს*. დიდმოწამე თეოდორე ტირონი სხვა ქრისტიანებთან ერთად პონტოს ოლქის (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი მათ შავი ზღვის სანაპიროზე) ქალაქ ამასიაში იმისთვის აწამეს, რომ მხურვალედ დაიცვეს ქრისტიანობა და უარი თქვეს კერპისთვის მსხვერპლი შეეწირათ. დიდმოწამე თეოდორე მეომარი იყო. სამწუხაროდ მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ მისი წამების შესახებ.

დიდმოწამე თეოდორე სასტიკი წამების შემდეგ დილეგში ჩააგდეს. აქ მას ლოცვის დროს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და ანუგეშა. გავიდა მცირე ხანი და წმინდა თეოდორე გამოიყვანეს დილეგიდან, კვლავ სასტიკად აწამეს და კვლავ მოსთხოვეს, უარი ეთქვა ქრისტეზე. როცა ვერასგზით დაიყოლიეს, მმართველმა მისი ცეცხლში დაწვა ბრძანა. დიდმოწამე უშიშრად, ლოცვითა და ღვთის დიდებით გაემართა სასჯელის მისაღებად და თავისით შევიდა ცეცხლში. წმინ-

---

* ეკლესია ამ წმინდანს 17 თებერვალსაც მოიხსენიებს (ახლით ნაკიან წელს 1 მარტს ან 2 მარტს მცხრალ წელს).

დანი დაახლოებით 306 წელს იმპერატორ გალერიუსის (305-311 წწ.) მეფობის დროს აღესრულა და ქ. ამასიის მახლობლად ქ. ევქაიტში დაკრძალეს. მოგვიანებით დიდმოწამე თეოდორეს წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში იმ ტაძარში დაკრძალეს, რომელიც მისი სახელობისაა. წმინდანის თავის ქალა იტალიაშია.

დიდმოწამე თეოდორეს გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა ბრძანა, დიდმარხვის პირველი კვირის განმავლობაში, ყოველდღე იმ სანოვაგეზე, რომელიც ბაზრებში იყიდებოდა, საიდუმლოდ კერპებისთვის შეწირული მსხვერპლის სისხლი დაესხათ. წმ. თეოდორე კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოს ევდოქსის სიზმარში გამოეცხადა და დაავალა, ქრისტიანები გაეფრთხილებინა, რომ მათ ბაზარში სურსათი არ შეეძინათ, საკვებად კი კოლიო ეხმარათ, ანუ მოეხარშათ ხორბალი და თაფლით შეეზავებინათ. ამ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესია ყოველი დიდმარხვის პირველ შაბათს აღნიშნავს. მორწმუნეები ამ დღეს კოლიოს ხარშავენ. მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს დიდმოწამე თეოდორე ტირონსაც სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით იხსენიებს.

საქართველოში შავი ორშაბათიდან ანუ დიდმარხვის პირველი ორშაბათიდან შაბათამდე მოყოლებული პერიოდი თედორობის, თევდორობის კვირის სახელითაა ცნობილი.

თევდორობა/თერდობა (სამეგრელო), ლითოდრი (სვანეთი), თედორობა (გურია) ცხენების დღესასწაული იყო. ამ დღის რიტუალს მხოლოდ ისინი ასრულებდნენ, ვისაც ცხენები ჰყავდა.

შეიძლება ითქვას, რაჭასა და ლეჩხუმში თევდორობა ნათესების, ვენახისთვის განკუთვნილი დღე იყო.

ამ დღეს მთელ დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ფორმისა და სახის რიტუალური პურები ცხვებოდა.

<u>სვანეთში</u> არა უმეტეს 12 წლის ბიჭებისთვის ყველა ოჯახი ხორბლის ფქვილისგან ფრინველის, შინაური და გარეული ცხოველის ფორმის რიტუალურ პურებს - ბაციკებს აცხობდა. ამ პურებს მამაკაცები აცხობდნენ. თუ ოჯახში ბიჭი არ იყო, ოჯახის უფროსი მაინც აცხობდა სამ ბაციკას: ფრინველის, გარეული და შინაური ცხოველის ფორმისას. როდესაც რიტუალური პურები გამოცხვებოდა, სოფლის

ბიჭები საკუთარი ბაციკებით რომელიმე სახლის დარბაზის ბრტყელ სახურავზე იკრიბებოდნენ (დარბაზი სვანური სახლის მეორე სართულის ოთახია, სადაც თივას ინახავდნენ), შედიოდნენ დარბაზში და წმ. გიორგის შესთხოვდნენ სიხარულის, მხიარულების მინიჭებას, რომ მომავალი წლის თევდორობას უვნებლები და ჯანმრთელები შეხვედროდნენ.

<u>ძვემო სვანეთში</u> ცხენის ტაბლას ამზადებდნენ. ამ ტაბლით, რომელსაც ლობიოს გული ჰქონდა, სალოცავში ყოველი ოჯახიდან მამაკაცი მიდიოდა, წმ. თევდორეს იხსენიებდა და ცხენების სიმრავლეს შესთხოვდა. ცხენებისათვის განკუთვნილ ლემზირს იქვე ჭამდნენ.

<u>სვანეთში</u> თევდორობას საქონლისთვისაც ლოცულობდნენ. ამ რიტუალისთვის აცხობდნენ ხარების, მეწველი ძროხის იმდენ რიტუალურ პურს, რამდენი საქონელიც ჰყავდათ ოჯახში. ძროხებს ძუძუებს უკეთებდნენ, ხარებს კი უღელს ადგამდნენ. აცხობდნენ ნიგვზიან ტაბლებს. ოჯახის უფროსი ამ რიტუალურ პურებს ხელში დაიჭერდა და ილოცებდა. ცეცხლში სანთელს ჩააკმევდა, შემდეგ ლემზირს, ჭიქა ღვინოს დაიჭერდა და იტყოდა: „ოჯახში კარგად იყოს ოჯახის ყველა წევრი, საქონელი, მოსავალი, რასაც მუშაობ, მოსავლიანი იყოს“. ლოცულობდნენ საქონლისა და მისი მომვლელის კარგად ყოფნისთვის. ამ დღეს ყველაფერს სამარხვოს აკეთებდნენ.

<u>რაჭაში</u> მთელი კვირა ემზადებოდნენ, რომ შაბათს ზიარებულიყვნენ. ამ კვირას დიდმარხვა იწყებოდა. ისინი, ვისაც ოჯახში ახალი გარდაცვლილი ჰყავდა (ერთი-ორი წლის გარდაცვლილი), ხარშავდნენ თაფლით შეზავებულ ხორბალს, წაიღებდნენ საფლავზე, მიცვალებულის სახელზე ილოცებდნენ და შემდეგ მაზიარებლებს დაურიგებდნენ. ვისაც სულ ახლად გარდაცვლილი ჰყავდა, ისინი 7 სულის პურს, 1 მარილიან ან ნიგვზიან განატეხს, ორ ლავაშს და ერთ ბოთლ ღვინოს საფლავზე წაიღებდნენ, მიცვალებულისთვის ილოცებდნენ და მაზიარებლებსაც დაურიგებდნენ. საღამოს ვახშმისთვის უნდა გამოეცხოთ: სამი დიდი ნიგვზიანი განატეხი: ერთი მამულის, რომელიც ყურძნის მტევნის მსგავსი იყო და შუაში ჯვარი ჰქონდა გაკეთებული; მეორე – კალო-კევრის განატეხი; მას ზემოდან პურისგან გამოძერწილ იმდენ უღელს და ტაბიკს ადებდნენ, რამდენი უღელი ხარიც ჰყავდათ;

მესამე განატეხი საცეხველის იყო. მასზე იმდენი გამომცხვარი ხელ-კავი იდებოდა, რამდენი ქალიც იყო ოჯახში (კავი რკინის ან ხის კაუჭიანი, მოგრეხილათავიანი ჯოხია). ამ რიტუალურ პურებს, ლიტრ ღვინოს, სანთელს, დიდ კოროლს (შენობის გადასახურად სახმარი ხორბლის ღეროები) ოჯახის უფროსი წაიღებდა ვენახში, კალოზე, საცეხველთან ილოცებდა და ხსენებულ სამ განატეხს და დარჩენილ ღვინოს ბეღელში შეინახავდა. მეორე დღეს დალევდა ღვინოს და რიტუალურ პურებს შეჭამდა. მასთან ერთად ეს რიტუალური საჭმელი ოჯახის სხვა მამაკაცებსაც შეეძლოთ ეჭამათ, მხოლოდ ისინი აუცილებლად დაოჯახებულები უნდა ყოფილიყვნენ.

<u>ლეჩხუმშიც</u> მთელი დიდმარხვის პირველი კვირა შაბათისთვის, თევდორობისთვის ემზადებოდნენ ანუ მარხულობდნენ, დილა-საღამოს ეკლესიაში დადიოდნენ და შაბათს ეზიარებოდნენ. შაბათს საჭმელ-სასმელს მოამზადებდნენ მიცვალებულისთვის, წაიღებდნენ და ზედ საფლავზე გაშლიდნენ სუფრას, თავად კი ეკლესიაში ეზიარებოდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი ჩამოივლიდა საფლავებს, აკურთხებდა საკურთხს. მას აძლევდნენ: ერთ სულის პურს, ერთ ლავაშს და ერთ ჭიქა ღვინოს. საღამოს დიასახლისი ოთხ ტაბლას გამოაცხობდა. აქე-დან სამი ნათეს-ნამუშევარის ტაბლა იყო, მეოთხე კი საცეხველის ტაბლა. ოთხივეს ლობიოს გული ჰქონდა. მეოთხე ტაბლას იმდენი ხელ-კავის გამოსახულება უნდა ჰქონოდა, რამდენიც ქალი იყო ოჯა-ხში. გარდა ამისა აცხობდნენ: სახნისს, თოხს, ნაჯახს, ნამგალს, ცელს, ბარს, ყურძნის მტევანს, ტაროს, ლობიოს პარკს, ცერცვის პარკს, პურის თავეულს. ყოველივე ამას გობზე ალაგებდნენ, ზედ ჩა-მოქნილ სანთელს აკრავდნენ და ჭიქით ღვინოს დგამდნენ. ოჯახის დიასახლისი, უფროსი მანდილოსანი გობს დაჩოქილი მარჯვენა მხარეს სამჯერ შემოატრიალებდა, ილოცებდა და ღმერთს ოჯახის ბარაქას, სიმრთელესა და კარგად ყოფნას შესთხოვდა. ამის შემდეგ გობს სუფ-რაზე დადგამდა, ღვინოს თვითონ დალევდა, ოჯახი კი ივახშმებდა. ოჯახის წევრი ბიჭი ყურძნის მტევანს გარეთ გაიტანდა, გადამალავდა და დილით შეჭამდა. დანარჩენი პურები ისევ გობში რჩებოდა. მეორე დღეს დიასახლისი საცეხველ ტაბლას აიღებდა, საცეხველთან ილო-ცებდა და პურს ოჯახის წევრ სხვა გათხოვილ ქალებთან ერთად

შეჭამდა. ხალხი თედორეზე ამბობდა, დიდი მუშა იყოო, და მას წმინდა თედორეს ეძახდნენ.

<u>სამეგრელოში</u> თერდობა ცხენების დასალოცი დღე იყო. ამ დღეს, ცხენის გამოსახულების რიტუალურ პურებს აცხობდნენ, მათ ფეხებს, უნაგირს უკეთებდნენ. ცალკე კეცში აცხობდნენ პურს, რომელსაც მოედანი ეწოდებოდა. მას ჭიქით გარკვეულ სახეს უკეთებდნენ, რომელსაც ცხენის კვალს ეძახდნენ. ამ პურებს აწყობდნენ გობზე, რომელსაც კბილებით იღებდნენ, ცხენებივით ჭიხვინებდნენ და ფეხის ქუსლს კედელს არტყამდნენ, თითქოსდა ცხენი წიხლს ჰკრავსო. ასევე იქცეოდა ოჯახის თითოეული წევრი, რის შემდეგაც წმ. თევდორეს ცხენების მომრავლებას შესთხოვდნენ. ბოლოს კვერებს ყველა შეჭამდა. ამას გარდა, ამ დღეს ოჯახის უფროსი თაშის დოხუნაფას რიტუალს ასრულებდა. ღომის მარცვალი ნიგვზის ძირას მიჰქონდა, თოხით და „ოე დოეს“ შეძახილით თესვის რიტუალს ასრულებდა. ამ დღეს ირგვებოდა ნიგვზის ხე. ძველად თერდობა დღეს ბეღელის ლოცვაც ცოდნიათ. მჭადის ცომს და მოხარშულ ლობიოს ბეღელს აკრავდნენ.

<u>გურიაშიც</u> თედორობა ცხენების დღე იყო. ხალხური გადმოცემის მიხედვით ერთ დროს ცხენები ზღვებში ცხოვრობდნენ. პირველი, ვინც ცხენი ხმელეთზე გამოიყვანა, წმ. თევდორე იყოო. მას ცხენისთვის პირობა მიუცია, დაუჭედავი და ყურგაჭრილი არასდროს ივლიო, ამბობდა ხალხი. გურიაში ცხენისთვის ყურის გაჭრა ცოდვა იყო. ვინაიდან წმ. თედორე ცხენების მფარველად მიაჩნდათ, ხალხმა მისი დღესასწაული ცხენებს დაუკავშირა. ამ დღეს ანთებდნენ სანთლებს, აკმევდნენ საკმეველს, ილოცებდნენ და წმ. თედორეს შესთხოვდნენ ცხენების გამრავლებასა და სიმრთელეს. ხორბლის ფქვილისგან დიდ რიტუალურ კვერებს აცხობდნენ, რომლებიც სიმბოლურად მინდორს განასახიერებდა. მათზე ცომისგან გამოძერწილ შეკაზმულ ცხენებს აყენებდნენ. ცომისგან იმდენ ცხენს ძერწავდნენ, რამდენიც ისინი ოჯახს ჰყავდა. გამომცხვარ კვერებს და ცხენებს დებდნენ გობში და ღვინოს ისე ასხამდნენ, რომ პურები და ქანდაკებები დაეფარა. ამის შემდეგ ბიჭები ზურგზე ხელებშეკრულები რიგრიგობით მიდიოდნენ გობთან, პირით პურის ცხენს იღებდნენ და ჭამდნენ, თან ცხენებს განასახიერებდნენ: ფეხებს კედელს ურტყამდნენ და ჭიხვინებდნენ.

თელეთობა

თელეთობა ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც თბილისის მახლობლად სოფელ თელეთში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ამაღლებას აღინიშნება. აქ მლოცველები ქართლიდან და კახეთიდან შესაწირავებით და ღამისთევით მიდიოდნენ. თელეთობაზე ახლომახლო მცხოვრები სომხებიც მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. ამ სალოცავს ძირითადად ხალხი შვილიერებას შესთხოვდა.

ი

იანაშ/იანობ

<u>სვანეთში</u> 9/22 დეკემბერს იანობ/იანაშის (იენშიერის) დღესასწაული აღინიშნებოდა. ამ დღეს დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან ან უბრალო შესაწირავ კვერებს ანუ ლემზირებს, როგორც მათ სვანეთში უწოდებდნენ, და იანს შეევედრებოდა:

„იანს დიდება მოგსვლოდეს, იანო მადლიანო,
შენი ლოცვა-დიდება ჯვრიანი გვიყავ,
მრავალი დღეის დღე კარგ გულზე მოგვასწარი,
როგორც შენს მავედრებელს შენ შეეწიე,
ისე შეგვეწიე ჩვენ,
გენუკვით ამას, დიდების მიმღებო იან“.

ლოცვის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ და სხვა საჭმელთან ერთად შეწირულ კვერებს შეექცეოდნენ.

იენშიერს უქმობდნენ განსაკუთრებით ქალები. გადმოცემის მიხედვით უქმე ფეტვის მოსავლის დასაბევებლად იყო დაწესებული. დღეობისათვის სამზადისი ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე იწყებოდა. ახალი მოსავლის აღების დროს, ფეტვის საუკეთესო მარცვლეულს გადაარჩევდნენ, დაფქვავდნენ და საგანგებო კიდობანში მოათავსებდნენ.

კიდობანს დიასახლისი პირველად იენშიერზე გახსნიდა, წმინდა ფქვილს ამოიღებდა და მისგან ფეტვის მოსავლისათვის ფეტვის სამარხვო და ფეტვისა და ყველის რიტუალურ პურებს დაამზადებდა. ფიქრობენ, რომ იან დეცეში არის ღვთისმშობლის დედა წმ. ანა, ხოლო იენშიერი მისდამი მიძღვნილი დღეობაა.

იანეთობა

(იხ. მცხეთისჯვრობა)

იარუნესგა

<u>სავანეთში</u> შობიდან ახალ წლამდე და აღდგომდან ახალკვირამდე პერიოდს იარუნესგა ეწოდებოდა. იგი ქრისტიანული კალენდრის ორ დიდ მსგეფსს (კვირა, რომლის დროსაც შვიდივე დღე ხსნილია და ოთხშაბათ პარასკევი არ იმარხულება) ემთხვეოდა. სიტყვა იარუნესგა ნიშნავს ორთაშუას და წელიწადში ორჯერ დგებოდა. იარუნესგა ისეთი პერიოდია, რომლის განმავლობაში, ხალხის რწმენით, სამოთხის კარი მუდამ ღიაა და რაც უნდა ცოდვილი იყოს ადამიანი, თუ ის იარუნესგაში გარდაიცვალა, აუცილებლად სამოთხეში მოხვდება. სამოთხის კარი ხალხის წარმოდგენით სანთლისაა. სვანეთში მას სანათლი ყორარს უწოდებენ.

იარუნესგას განმავლობაში ყოველი მოსახლის ოჯახში ლემზირები (სალოცავი პურები) ცხვებოდა. ამ პერიოდში დილა-საღამოს სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების სალოცავებს ადიდებდნენ. ლემზირებს ლამარიაშ ტაბლაშისაგან ანუ ღვთისმშობლისათვის განკუთვნილი ხორბლის ფქვილის ზედაშესაგან, ე. ი. განსაკუთრებული ხარისხის, შენახული პურის ფქვილისაგან აცხობდნენ. ისინი უწონაში

იყო, ე. ი. გარეშე პირს მისი ჭამა არ შეეძლო. ამ ხნის განმავლობაში იკრძალებოდა ქალის ხელსაქმე: ჭრა-კერვა, ქსოვა, რთვა და სხვა. აგრეთვე, იარაღისა და სხვადასხვა რკინეულის ხმარება.

იარუნესგას განმავლობაში ზოგიერთ თემში (მაგალითად ცხუმარში, ლატალში, იენაშში და სხვა) ხუთშაბათ დღეს დადუარე ცაში ეწოდებოდა (დედლების ხუთშაბათი). ლამარიას სახელზე ქალები ყველიანი და ნიგვზიანი ლემზირებით სგირის ანუ სახლის ქვედა სართულის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან ლოცულობდნენ.

ლატალის თემში იარუნესგას კვირა დღეს აღნიშნავდნენ და კუახლიურაში ეწოდებოდა. სოფელ მაცხვარიშში (ლატალის თემი) ამ დღეს სასოფლო დღეობა იმართებოდა.

ᲘᲮᲘᲜᲭᲝᲑᲐ

(იხ. კოპალობა)

ᲘᲐᲮᲡᲠᲝᲑᲐ

(იხ. კოპალობა)

ᲘᲔᲠᲣᲛᲡᲐᲚᲔᲗᲝᲑᲐ/ᲔᲠᲣᲛᲡᲐᲚᲔᲗᲝᲑᲐ

დიდმარხვის მეორე ხუთშაბათს, თუშეთში მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე – ერუმსალეთობა/იერუმსალეთობა აღინიშრებოდა. ზოგიერთი მასალის მიხედვით ამ დღეს დიდმარხვის პირველ ხუთშაბათს აღნიშნავდნენ.

<u>თუშეთში</u> იერუმსალეთობას მზის ამოსვლამდე ყველა ოჯახში კეცზე დიდ პურს აცხობდნენ, ბიჭონს ატყრობდნენ ანუ მარცვალს

ხალავდნენ, ლობიოს ამზადებდნენ, სანთლებს ანთებდნენ და სუფრაზე 1 ლიტრ არაყს დგამდნენ. სასმელით მიცვალებულის სულებს მოიხსენიებდნენ. ამ დღის პურს ერუმსალეთობის პურს ეძახდნენ. ხალხის რწმენით, იგი რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან იერუსალიმში უნდა გაგორებულიყო და იერუსალიმის კარი შეეღო. ერთის მხრივ, ეს პური „მიცვალებულებს უნდა მისვლოდა“, ხოლო მეორეს მხრივ, გარდაცვლილთა სულებს სულთაკრეფისთვის თავიანთ ოჯახებში მისვლა და შეკრება უნდა შეძლებოდათ.

ერუმსალეთობის დილას, მზის ამოსვლამდე ოჯახის უფროსი ბიჭონს და გამომცხვარ პურს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა და იტყოდა: „ჩვენთა მკვდართამ წუაო, მშვიდობითამც იმგზავრებენო, ავი და არამიმც ნუვინ დაეწევაო, როგორც ჩვენი ალალია, ისე თქვენი ალალი იყოს. სხვათა ზიარ ნუ დარჩებითო, სხვათა ნუ უყრებაუ, ალალადამც მოგივალსთაუ“. მზის ამოსვლის შემდეგ სუფრას გარეთ გადგამდნენ, პურს დაჭრიდნენ და ყველას დაურიგებდნენ, ანდა ერუმსალეთობის პურს ოჯახი ორად გაჭრიდა, ერთ ნახევარს ამავე დღეს შეჭამდნენ, ხოლო მეორეს სულთაკრეფისთვის ინახავდნენ. ისინი, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ერუმსალეთობის პურს პატარა ნაჭრებად ჭრიდნენ და ერთ ჯამ ბიჭონთან ერთად მეზობლებს ურიგებდნენ.

ივანობა

ხევში, სტეფანწმინდიდან 3 - 4კმ დაშორებით იოანე ნათლისმცემლის მთავარი ხატია. ამ ხატს ხევში დიდ პატივს სცემენ და მისი დღესასწაული ივანობა, რომელიც 29 (11 სექტემბერი) აგვისტოს აღინიშნებოდა, დიდი დღესასწაული იყო. იოანე ნათლისმცემელი ხევში ხიზნების (ოჯახის, კერძოდ ბავშვების) მფარველად მიაჩნდათ. მას ჯანმრთელობას შესთხოვდნენ; შესთხოვდნენ, ბავშვებს ხადი ანუ ბატონები კეთილად მოეხადათ. თუ ავადმყოფს შავ ყვავილს გამოაყრიდა, იტყოდნენ, ნათლისმცემელი შემოსწყრაო, და ყველა ღონეს იხ-

მარდნენ წმინდანის გულის მოსალბობად. თუ ბავშვს ინფექციური დაავადება გაურთულდებოდა, მის შველას იოანე ნათლისმცემელს შესთხოვდნენ.

ივანობის დღესასწაულზე ღამისთევით მიდიოდნენ. მიჰქონდათ ქადა-სანთელი, მიჰყავდათ ქათქათა თეთრი ფერის ცხვარი, ნათლისმცემელი ნიშნიანს არ იღებსო. მიჰყავდათ წითელი მამალი, რომელსაც გაუშვებდნენ ან კლავდნენ – მამალი ნათლისმცემლის კურატიაო*.

ნათლისმცემელი ხევში ხიზნის გარდა ქალების მფარველიც იყო. იგი თავის კარზე არა მარტო ხანდაზმულ, არამედ ახალგაზრდა ქალსაც იღებდა. თურმე ერთ-ერთ ხატობაში ფეხმძიმე ქალმა შინ წასვლა ვერ მოასწრო და იქვე იმშობიარა. ნათლისმცემელი არ გასწყრომია. ამის შემდეგ იგი მშობიარე და მელოგინე ქალების მფარველად მიიჩნიათ. როდესაც ქალი მშობიარობდა, ბებიაქალი წინსაფარს დაჰკრავდა და იტყოდა: „ნათლისმცემელი გეხმარებოდეს მუხლისკვერში“, ე.ი. მშობიარობაშიო.

დღეობაში ქალებს აუცილებლად ფერხისა უნდა ჩაებათ. ფერხისას ძირითადად ხნიერი ქალები ასრულებდნენ. ეს წესი არა მარტო მთავარ ხატში, არამედ მის ნიშებშიც დღემდე სრულდებოდა. ქალები ფერხისას დროს იავნანას ტექსტს ამღერებდნენ:

„იავნანა, ვარდოვნანა, იავნანინაო.
იავნანის მამიდასა წინ გავუშლი ხალიჩასა,
იავნანო, ვარდოვნანო, იავნანინაო.
ია-ვარდი შენსა გზასა, იავნანინაო.
ნათლისმცემლის მამიდაო, შენთან მოველ
სალოცავად, იავნანინაო.
ჩამოსვლისას მოგვე წყალობაო,
წასვლისას გამაგვაყოლეო“.

---

* კურატი დაუკოდავი ხარია და ხატ-სალოცავებში ყველაზე დიდი შესაწირია. როდესაც ივანობის შესაწირ მამალს კურატს ეძახიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარი და მამალი ერთმანეთის ტოლი შესაწირია.

სოფელ ფხელშეში იავნანას ასეთი ვარიანტი სრულდებოდა:

„იავნანა, ვარდოვნანა, იავნანინაო.
ნათლისმცემლის მამიდასა წინ გავუშლი ხალიჩასა.
იავნანა, ვარდოვნანა, იავნანინაო.
ნათლისმცემლის წინაო ხე ალვა ამოსულაო,
იმას მოსხმია ყურძენი, საჭმელად ჩამოსულაო“.

ილოროობა

(იხ. გიორგობა)

იხინჭობა

(იხ. კოპალობა)

კაი პარასკევი

კაი პარასკევი (ღორის ლოცვა) ლეჩხუმში ბოსლობის კვირის (დ-ახლოებით ნათლისღებიდან მესამე კვირის) პარასკევს იცოდნენ. ეს დღე მარიაშენობის (ქათმის ლოცვის) სწორზე აღინიშნებოდა და უქმე იყო, განსაკუთრებით ქალებისთვის, ვინაიდან ხელსაქმემ, ხალხის რწმენით, უსინათლო გოჭების მომრავლება იცოდა. საღამოთი დიასახლისი აცხობ-და ერთ ქონიან ჯვარ-სახიან ტაბლას, რომელსაც ღორის სალოცი ერ-ქვა. ვახშამდე ქალი ამ ტაბლას, 1 ჭიქა ღვინოს, სანთელს, ნაკვერჩხალს საღორის კართან ისე მიიტანდა, რომ კაცებს არ გაეგოთ და არც დაენახათ. ღვინოს და ტაბლას წალმა შეატრიალებდა და ილოცებდა: წმ. ბასილა, გაამრავლე ჩემი ღორებიო. ღვინოს იქვე დალევდა, ტაბლას კი შინ წამოიღებდა, დაჭრიდა და ოჯახის ყველა წევრს გაუნაწილებდა. მი-ცემისას უნდა ეთქვა: „ლოცვა ღორისა!“. ნაწილის მიმღები პასუხობდა: „ამრავლოს წმ. ბასილამ!“ საღორეესთან ქალის ლოცვის დროს მამაკაცი მის ახლოს არ გაივლიდა.

ხოჩა ვებიში ანუ კაი პარასკევი ამ დღეს სვანეთშიც აღინიშნებო-და და ღორების დღეობა ერქვა. წვავდნენ გოჭებს, ღამე ლოცულობდ-ნენ. უცხო პირს ამ გოჭის ხორცით არ გაუმასპინძლდებოდნენ. ღორის სამ წყვილ კუბდარს (ხორცის გულიანი მრგვალი პური), ღვიძლს და გულს საღორის კარზე გაიტანდნენ. კაცი ილოცებდა: „ვებიშ ამჭკარ!“ - გამრავლება და ჯანმრთელობა ამ ღორებსაკო.

კაპუნობა

<u>სამეგრელოში</u> ხორციელის ოთხშაბათს საქონლის, განსაკუთრებით ღორების ნაყოფიერებას და ჯანმრთელობას წინაქრისტიანულ ღვთაება კაპუნიას შესთხოვდნენ. კაპუნობას აბრეშუმის უხვი მოსავლისთვისაც ლოცულობდნენ.

შობიდან კაპუნობისთვის ღორს, კერატს ანუ ოკაპუნეს ასუქებდნენ, რათა ამ დღის საღამოს დაეკლათ და მეორე დღეს კაპუნობა, იგივე დოდგიმირობა აღენიშნათ. ოთხშაბათ საღამოს ოჯახის უფროსი ოკაპუნეს კერის გარშემო შემოატარებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, შენ სახელდალოცვილო კაპუნია, ჩემს ოჯახს მრავალი ეს დღე მხიარულად გაუთენე, მოგვეცი საქონლის სიმრავლე, ოჯახის დოვლათი“ და სხვა. ოკაპუნეს ოჯახის უფროსი ნედლ შეშაზე დააწვენდა და ზედ ბავშვს დასვამდა. შემდეგ კერის ბუკზე (დიდი, მრგვალი კუნძი, მორი) ღორს ისე დაკლავდა, რომ მისი სისხლი კერას დაღვროდა. დაკლული ღორის ხორცს იმავე ღამეს ხარშავდნენ და ღომის სახმობზე – ჩელტზე დებდნენ. კლავდნენ მამალს, აცხობდნენ ყველიან კვერებს. დილით ოჯახის უფროსი გამომცხვარ კვერებს, ღორისა და მამლის თავს, ღორის გულ-ღვიძლს აწყობდა ხონჩაზე, რომელსაც გარშემო ანთებულ სანთლებს აკრავდა და კერის პირას დგამდა.

ზოგან გობზე სამარხვო საჭმელებს დებდნენ და რაც შეიძლებოდა ბლომად. ხუთშაბათს დებდნენ: ღორის ხორცს მთლიანად, მოხარშულ კვერცხს, დამჟავებულ ჭარხალს, ლობიოს, ღორის ფორმის ძუძუებიან კვერს. კერის პირას ოჯახის უფროსი ღორის ხორცს მარჯვნივ სამჯერ შემოაბრუნებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო ბატონო, დღევანდელი ხუთშაბათი შენ შეგვარგე, ვლოცულობ დოდგიმირს, შენ დამიცევი ყოველივე ცუდისაგან ცოლი და შვილი, ბევრი დოდგიმირის ლოცვა დამაცადე გულმხიარულად“; ან: „ღმერთო დიდებულო და კაპუნო ძლიერო, გვაცოცხლე ბედნიერად, გვაცხოვრე, ნუ გვიშლი თქვენს მოწყალებას, რომ მომავალშიაც გადიდოთ“.

ზოგან ეს ლოცვა მარანშიც სრულდებოდა. ლოცვის დამთავრების შემდეგ ოჯახის უფროსი და ოჯახის წევრები სათითაოდ მიდიოდნენ გობთან, იჩოქებდნენ, „გადაივლებდნენ“ თავზე საკმეველს და იქვე

ნაკვერჩხალზე დასწვავდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ იშლებოდა სუფრა და ღორის ხორცის ჭამაც ნებადართული იყო, მაგრამ, ჯერ სამარხვო საჭმელს შეჭამდნენ. საკაპუნო რიტუალური საჭმელი მხოლოდ ოჯახის წევრებს და სიძეს ეჭმებოდათ. მას ვერც გათხოვილი ქალიშვილი შეჭამდა.

კაპუნობა საოჯახო დღე იყო. თუ ამ დღეს შემთხვევით სტუმარი მოუვიდოდათ, მასპინძელი მას ზურგზე მოკიდებულს, სიტყვის უთქმელად გადაიყვანდა ეზოდან. ხორცი სამი დღის განმავლობაში უნდა ეჭამათ. თუ შეჭმას ვერ მოასწრებდნენ, მისი ძვლები უნდა დაეწვათ, ან დაემარხათ, რომ ისინი რაიმეს არ გაეუწმინდურებინა. მორჩენილ ხორცს ამარილებდნენ და ინახავდნენ. ამ დღეს ღორის ხორცი უფრო ქალებს უნდა ეჭამათ. მიაჩნდათ, რომ რამდენჯერაც შეჭამდნენ საჭმელს, იმდენ ფუთ აბრეშუმს მოიწევდნენ. აბრეშუმის უხვი მოსავლისთვის წმ. იობსაც ევედრებოდნენ. ამ დღეს საქონლის, განსაკუთრებით ღორების ჯანმრთელობისთვის ლოცულობდნენ, რათა მათ კაპუ/ყვაპუ (ღორების ყელის დაავადება) არ შეყროდათ და ყელი არ შესიებოდათ. სამეგრელოში წყევლაც კი იყო: კაპუ ჩაგივარდეს პირშიო ანუ ყელის ტკივილმა დაგამუნჯოსო.

კდინი

<u>თუშეთში</u> იანვრის მესამე კვირას მთვარის კალენდრის მიხედვით კდინს ეძახდნენ. ეს იყო დრო, როდესაც ეშმაკ-კუდიანები დაძრწოდნენ და ადამიანთა ხელში ჩაგდებას, მათ ჭკუიდან შეშლას ლამობდნენ. კდინის კვირას თუშები სმინაობის კვირას ეძახდნენ. ამ, ან მომდევნო შაბათ-კვირის შელამებისას სოფლის გოგო-ბიჭები რომელიმე სახლში იკრიბებოდნენ, ირქმევდნენ ეშმაკების სახელებს, უკუღმა გამოდიოდნენ სახლიდან, სოფლის განაპირა ადგილს ირჩევდნენ, სადაც სხდებოდნენ და ხმებს უსმენდნენ. ვისი სახლიდან რასაც გაიგონებდნენ, იმ ოჯახს იმ წელიწადს ის დაემართებოდა.

კდინის კვირის ბოლო პარასკევს და შაბათს თუშები საიქიოდან თავიანთ მიცვალებულებს ელოდებოდნენ. პარასკევს კუტ-ბრმანი,

შაბათს კი დანარჩენები ჩამოდიოდნენ, ერთი კვირა რჩებოდნენ სახლ-ში და ამავე დღეებში (პარასკევ-შაბათს) მიდიოდნენ, რასაც მკვდართ წაეს ანუ მიცვალებულთა წასვლას, გაცილებას ეძახდნენ. ოჯახში აცხობდნენ კოტორებს. მთელი კვირის განმავლობაში მზის ამოსვლ-იდან ჩასვლამდე სახლის დაგვა და მატყლის ჩეჩვა იკრძალებოდა: მკვდართ ჯამებში ემსვებათო (ანუ ჯამები მატყლით ევსებათო). მთელი ეს კვირა ხორცი უნდა ეჭამათ და ყოველ ჭამაზე მიცვალებულები მოეხსენიებინათ. თუ ოჯახს ხორცი არ ჰქონდა, ერთი პატარა ნაჭერი მაინც უნდა ჩაეგდო ცეცხლში და ზედ ერბო დაესხა, რომ სახლში შემწვარი ხორცის სუნი დატრიალებულიყო.

კლინის წესები ფშავ-ხევსურული სმინაობისა და ხორციელის კვირის წესების მსგავსია.

კვირაცხოვლობა

აღდგომის მომდევნო კვირას მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე მოწაფეებს გამოეცხადა. იესო ქრისტე მოწაფეებს 40 დღის განმავლობაში, ამაღლებამდე ეცხადებოდა და რწმენაში აძლიერებდა. თომა მოციქული აღდგომიდან კვირაცხოვლობამდე, ანუ ერთი კვირის განმავლობაში სხვა მოწაფეებთან ერთად არ იყო. მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომამ იგი დააეჭვა და თქვა, რომ სანამ იესო ქრის-ტეს ჭრილობებს ხელს არ შეახებდა, მანამ მის აღდგომას არ ირწ-მუნებდა.

წმ. თომა მოციქულის სახელი ტყუპს ნიშნავს. მიაჩნიათ, რომ იგი გაორებული და ურწმუნო იყო.

სწორედ აღდგომის მომდევნო კვირას, იესო ქრისტემ, როცა ის კვლავ გამოეცხადა ერთად შეკრებილ მოწაფეებს და თომა მოციქუ-ლიც მათთან იმყოფებოდა, დაეჭვებულ მოწაფეს, რწმენაში გასაძლი-ერებლად ხელი შეახებინა ჭრილობებზე ანუ განახილვინა ისინი და უთხრა: „ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ“. წმ. თომამ კი მი-უგო: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ „რამეთუ მიხილე და გრწამს;

ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“, - უპასუხა უფალმა.

კვირაცხოვლობა, რომელიც ბრწყინვალე შვიდეულის დამაგვირგვინებელი დღეა, ეკლესიის მიერ ოდიდგან იყო მიჩნეული აღდგომის დღესასწაულის განახლებად და დიდი ზეიმით აღინიშნებოდა. მას ბერძნულად ანტიპასხა (აღდგომის ნაცვლად) ეწოდება. საეკლესიო კალენდარში ამ კვირიდან იწყება წელიწადის კვირეების ხელახალი ათვლა. ეს არის პირველი დღე, როდესაც ეკლესია იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას იხსენებს. ამიტომ ამ დღეს ახალკვირაც ანუ ახალი კვირაც დაერქვა.

ხალხიც კვირაცხოვლობას აღდგომის სწორზე აღნიშნავდა და მას ახალკვირას, კვირაჯვრობას, უფლიშს, ჭიჭე თანაფას ანუ პატარა აღდგომას ან ოსურეთი თანაფას (ქალების აღდგომას) ეძახდა.

<u>სვანეთში</u> დღეობა უფლიში აღდგომის მეორე კვირას (კვირაცხოვლობას) უშგულის თემის გარდა ყველგან იმართებოდა და სამი კვირა გრძელებოდა. იყო დიდი უქმე. ერთი ოჯახი, რომელსაც იმ წელს რიგით დანარჩენი ოჯახების მასპინძლობა ევალებოდა, ამზადებდა არაყს და ხორცს, ხოლო ფქვილი მასთან დანარჩენ ოჯახებს მიჰქონდათ. მასპინძელ ოჯახში ამ დღეს უნდა მოეტანათ შეშა და ერთი წლის განმავლობაში ნასუქი ბურვაკი დაეკლათ. საღამოს ის დიასახლისი, ვისაც სუფრისთვის პურები უნდა გამოეცხო, მიდიოდა იქ, სადაც ფქვილის კიდობანი იყო და საჭიროების მიუხედავად, პირველ ჯერზე, ფქვილით სავსე ჭურჭელს წამოიღებდა. მათ, ვინც ამ წესს ესწრებოდა, ნახშირის ნატეხები ეჭირათ და ხელს მაგრად უჭერდნენ. როდესაც დიასახლისი უკან ბრუნდებოდა, იქ მყოფები ხელს შლიდნენ და ნახშირს ცეცხლში ყრიდნენ, თან ღვთისმშობლის წინაშე ლოცულობდნენ.

ზოგან მასპინძელ ოჯახს შესაწირად რჩეული ხარი ჰყავდა განსაკუთრებით გამოკვებილი. ამ ხარს უპატივცემლოდ ვერავინ მოექცეოდა. თემში შემავალ ოჯახებსაც ჰყავდათ ცალ-ცალკე ამ დღისთვის ნასუქი ვერძები. შეთქმულ საკლავს საუკეთესო საკვებით გამოკვების და პატივისცემით მოპყრობის გარდა ხშირად ბანდნენ.

დილით, მზის ამოსვლისას, კარგად დაგვილ კალოზე, ან ეკლესიის ეზოში, შეთქმული საქონელი გამოჰყავდათ, რომელსაც რქებზე

ანთებულ სანთლებს უმაგრებდნენ. სვანების რწმენით, ამ დროს დიდი უფალი ცისა (უფალ დეცეში) ზემოდან იყურებოდა. მამაკაცები ღმერთს სოფლის, საძმოს კეთილდღეობას შესთხოვდნენ. შეთქმულ სამსხვერპლო ცხოველს მარჯვნივ შეატრიალებდნენ, კლავდნენ, მუცლის ქონს უღებდნენ და სამფეხა მრგვალ მაგიდებზე აწყობდნენ, რის შემდეგაც შეჯიბრება იმართებოდა. სუფრას, რომელსაც მამაკაცი ვერ ასწევდა, მიაჩნდათ, რომ ზედ ყველაზე მსუქანი შესაწირი იდო და გამარჯვებულიც მისი შემწირველი იყო.

დილით რიტუალური პატარა პურები ე.წ. სალოცავი – სეფისკვერები ცხვებოდა. შესაწირის გულ-ღვიძლით, თითოეული ოჯახის შემონაწირი ერთი ბოთლი არაყით და სეფისკვერებით მამაკაცები ღმერთს ყველასთვის მშვიდობასა და ჯანმრთელობას სთხოვდნენ.

შუადღეს, როდესაც კაცები სახლში ბრუნდებოდნენ, ქალებს ქონშეზელილი დიდი ყველიანი პური და არაყი მიჰქონდათ ძველ სამლოცველო ადგილზე. თითოეულ ოჯახს შეეძლო ხაჭაპური ან ხორცის გულიანი პური წაეღო. მოლოცვის შემდეგ ლხინი და გართობა იმართებოდა.

<u>ლეჩხუმში</u> ახალკვირისთვის სამზადისი წინა დღით საღამოდან იწყებოდა. ამ დღეს უქმობდნენ. მამაკაცს ტყიდან სახლში შეშა მოჰქონდა. ასევე სამი თვით ადრე წინასწარ ამ დღისთვის არჩეული ღორიც იკვლებოდა. აცხობდნენ ლავაშებს, ხარშავდნენ ღორის ხორცს, წვავდნენ ქათამს, ინდაურს და ამზადებდნენ მისთვის საწებელს, ასუფთავებდნენ ეზოს, სახლს და სხვა. ოჯახის ერთ-ერთი მამაკაცი სხვა სოფლებში გაეშურებოდა, რომ ოჯახში მეორე დღისთვის სტუმრები დაეპატიჟებინა. ესენი იყვნენ: გათხოვილი ქალიშვილი და მისი ოჯახი, მოყვრები, ნათლია და ნათლიის ოჯახი და სხვა. თუ ახალკვირას იმ სოფლებშიც ზეიმობდნენ, საიდანაც სტუმრების მიწვევას აპირებდნენ, მათ აღარ დაპატიჟებდნენ. სტუმრებს საკუთარი ნებით შეეძლოთ მოპატიჟის ოჯახში მისვლა.

მეორე დღეს, კვირას, დილით მისული სტუმრები მცირედით ისაუზმებდნენ, 2-3 ჭიქა ღვინოს დალევდნენ და წირვაზე წავიდოდნენ. ეკლესიაში სურვილის მიხედვით სწირავდნენ ფულს, სანთელს, ზოგიც თავის სიგრძე სანთელს. ვისაც სახლში მძიმე ავადმყოფი ჰყავდა,

შემდეგნაირად იქცეოდა: მოიტანდა ახალ წყალს, თეფშზე დაასხამდა და აიღებდა უხმარ ბამბას, ძაფისმაგვარად წააგრძელებდა, დაგრეხდა, წყლიან თეფშს გადაახვევდა და ილოცებდა: „წმ. გიორგი ძალდიდებულო, თუ რამით შენით უჭირდეს ჩემ ავადმყოფს, გასჭერი და გამაგებინე“. თეფშს მაგიდაზე დადგამდა. მეორე ბამბასაც პირველის მსგავსად დაგრეხდა და ილოცებდა: „მთავარანგელოზო, თუ რამე შენით უჭირდეს ჩემ ავადმყოფს, გასჭერი და გამაგებინე. თუ რამე ღმერთმა შემაძლებინა შენი შესაწირი, მოვიდე და მოგიტანო“. თუ რა შეიძლება ყოფილიყო შესაწირი, მლოცველი ლოცვის დროს იტყოდა: ფული, ავადმყოფის სიგრძის სანთელი, ცხვარი და სხვა რამ. მესამე დაგრეხილ ძაფს ავადმყოფის პატრონი მაცხოვრის სახელზე დაახვევდა. ამ ძაფგადახვეულ წყლიან თეფშს ცოტა ხნით გვერდზე გადადებდა. დაახლოებით 1 საათის შემდეგ ის, ვინც რიტუალს ასრულებდა, თეფშიდან ძაფს ჩამოწევდა. თუ ძაფი ორკეცად გადმოეფინებოდა, მაშინ, ხალხის რწმენით, ავადმყოფს ხატი უწყრებოდა და შესაწირს ითხოვდა. წმ. გიორგის, მთავარანგელოზის და მაცხოვრის ძაფებს სამივეს ცალ-ცალკე ჩამოსწევდნენ და თუ, მათი აზრით, რომელიმე უწყრებოდა, შესაწირსაც მას შესწირავდნენ. ამ წესს თილის დასხმას ეძახდნენ.

წირვის დამთავრების შემდეგ მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა შესწირა ეკლესიას და ამბობდა: „დალოცოს ღმერთმა!“ ხალხიც აწევდა ხელს და შესძახებდა: „დალოცოს ღმერთმა, დალოცოს!“ ამის შემდეგ ყველა საკუთარი სტუმრებითურთ სახლში ბრუნდებოდა, სადაც შინ დარჩენილ დიასახლისს სუფრა გაშლილი ჰქონდა. ახალკვირის სუფრასთან ერთ მხარეს მამაკაცები სხდებოდნენ, ხოლო მეორე მხარეს - ქალები. პირველ სადღეგრძელოს ოჯახის უფროსი იტყოდა: „ღმერთი ვახსენოთ და პური ვჭამოთ! “ შემდეგ აიღებდა დიდ სასმისს და იტყოდა: „ღმერთო, გვიშველე და მოგვეხმარე, - გაისი მოგსწრებია სტუმარს და მაინძელს“. როცა სასმისს დასცლიდა, მას ისევ შეავსებდა და უფროს კაცს დალოცავდა. უფლის სადღეგრძელო პირველი იყო. ამ სადღეგრძელოს ყველა შესვამდა, ქალიც და მამაკაციც, რის შემდეგაც იწყებდნენ ვახშმობას. მეორე სადღეგრძელო თამადის არჩევას ეძღვნებოდა და ორ სახარებასაც ახსენებდნენ. თუ

ოჯახის უფროსს შეეძლო სმა, საუბარი, სასურველი იყო, თამადად სწორედ ის ყოფილიყო. თუ არ შეეძლო, ირჩევდნენ სუფრის რომელიმე წევრს, რომელსაც დანარჩენები ეტყოდნენ: „გაგეწიოს ამ სუფრის მმართველობა, ბევრი ეს დღე მოგასწროს ღმერთმა“. არჩეული თამადის სადღეგრძელოსაც ყველა დალევდა. ამის შემდეგ ახლად არჩეული სუფრის წინამძღოლი პირველად უფროს დიასახლისს ადღეგრძელებდა: „ოჯახის უფროსო ქალო, ნუ მოგშალოს ამ ოჯახის უფროსად – შენიანობის საპატივცემოდ, შენი ქმარ-შვილისათვის გამყოფოს უფალმა ღმერთმა კარგად, სულ სახელი ნუ მოგშლოდეს მტერსა და მოყვარეში, როგორც დღეს ხარ პატიოსანი, ისე ბრძანებულიყო სიკვდილის დღემდი“. ამის შემდეგ სადღეგრძელოს უფროსი მამაკაცი იტყოდა და სხვები უფროს-უმცროსობის მიხედვით აგრძელებდნენ.

კვირა დილით დაწყებული პურობა კვირაცხოვლობის ორშაბათ საღამომდე, ზოგჯერ ოთხშაბათ დილამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში სუფრა სულ გაშლილი უნდა ყოფილიყო, რაიმეს მოკლება, აღება არ შეიძლებოდა, შემატება – კი. თუ ღამე სტუმრები მოსასვენებლად დაწვებოდნენ, სუფრა მაინც არ უნდა აელაგებინათ. წესის მიხედვით კვირას ერთმანეთს მოსაკითხს უგზავნიდნენ: ყველიან პურს, ერთ ბოთლ ღვინოს, ლავაშს, შემწვარ ხორცს. შეიძლებოდა ერთი ოჯახის სტუმრები სხვა ოჯახებშიც მისულიყვნენ სტუმრად, მაგრამ ღამე აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში უნდა გაეთიათ, რადგან ოჯახს ეშინოდა ნასვამ სტუმარს რაიმე არ შემთხვეოდა. თუ ოჯახის ნათლიდედა ან დობილი პირველად იყო ოჯახში, მას ასაჩუქრებდნენ: კაბით, ფულით და სხვა.

<u>რაჭაშიც</u> ახალკვირა დიდი უქმე იყო. სადილისთვის ერთ ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ, სანთელს ნაკვერჩხალში აკმევდნენ, ოჯახის უფროსი ან დიასახლისი ამ განატეხს წალმა შემოატრიალებდა და იტყოდა: „ღმერთო, კაი მონაგარი მოგვეცი, კაი წელიწადი მოგვეცი“. ამ განატეხს სადილზე ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა.

<u>სამეგრელოში</u> ახალკვირას ოსურთანაფასაც ეძახდნენ. აღდგომის მსგავსად ეს დღე დიდი დღესასწაული იყო. იქ, სადაც ამ დღეს

წირვაზე მიდიოდნენ, მიჰქონდათ წითელი კვერცხები, პასკები, იშლებოდა სუფრები, ხალხი ერთმანეთს ეპატიჟებოდა. წირვის შემდეგ, გარკვეულ ადგილზე, სოფლის ჯარზე ცეკვა-თამაში, ბურთაობა იმართებოდა.

<u>იმერეთში</u>, სოფელ კულაშში დაცული გადმოცემის მიხედვით, მიქელაძეთა გვარის დამაარსებელს, მიქელას, აღდგომის ღამეს ერთადერთი ვაჟი – აბესალომი გარდაცვლია. თურმე, როდესაც ვაჟის ცხედართან უნუგეშოდ ტიროდა დედა, მიქელა მისულა და მკაცრად უთქვამს, ღვთის წინაშე ვალის მოსახდელად ეკლესიაში, საღდგომო ლიტანიაზე უნდა წავიდეთო. ცოლ-ქმარი იმ ღამეს ეკლესიაში წასულა. ლიტანიობიდან დაბრუნებულ მიქელას შვილის ცხედართან მუხლი მოუყრია და სამჯერ უთქვამს: შვილო, ქრისტე აღდგა! მესამე თქმაზე ცხედარს მიქელასთვის წითელი კვერცხი გამოურთმევია, რომელიც მას ხელში სჭერია. ამის შემდეგ მიქელაძეები ყოველ წელს, კვირაცხოვლობას ანუ ახალკვირას, როგორც იმერეთშიც ეძახიან, ამ სასწაულს იგონებენ.

სოფელში, ჯვარცმის ეკლესიის წინ იკრიბებოდნენ, მხიარულობდნენ, ჯირითში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჯირითის წინ კი ორ ჯგუფად იყოფოდნენ და ბურთაობდნენ. თამაშის მონაწილეები იყვნენ, როგორც მხედრები, ასევე ქვეითები. თამაშში იმარჯვებდა ის მხარე, ვინც შეძლებდა დათქმულ ადგილზე ბურთის მიტანას. ხალხის რწმენით, გამარჯვებულებს უხვი მოსავალი და კეთილდღეობა ელოდა.

<u>ქართლში</u> კვირაცხოვლობისთვის წინასწარ მამალს დანიშნავდნენ და მარჯვენა ან მარცხენა ფეხს მოაჭრიდნენ. მამალს დეკანოზი კლავდა. პატრონი გაპუტავდა და მოხარშავდა. შეწირული მამლის თავ-ფეხი დეკანოზის იყო. გულიან ქადაზე დადებული თავ-ფეხი, ღვინის ზედაშე დეკანოზთან მიჰქონდათ. დეკანოზი თავ-ფეხს იტოვებდა, ქადას გაჭრიდა, თითო ჭიქა ღვინოს ყველას ჩამოურიგებდა და პატრონს დალოცავდა, შეეწიოსო. იმართებოდა ცეკვა-თმაში, ჭიდაობა, ლხინი. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ხატში ღამისთევით მიდიოდა. ზოგს თვალის ტკივილის მოსარჩენად ხატში სანთლისაგან გაკეთებული თვალის კაკლები მიჰქონდა.

<u>კახეთში</u> კვირაცხოვლობა მიცვალებულთა დღე იყო. სახლში ან საფლავზე კლავდნენ ცხვარს.

<u>მთიულეთში</u> იცოდნენ ხატობა. მას კვირაჯვრობასაც ეძახდნენ. ხატში* შაბათს გამთენიისას დეკანოზი თას-განძს გამოაბრძანებდა. მლოცველი ღამის სათევად მიდიოდა სალოცავში. როდესაც ხატში ხალხი მივიდოდა, ხატის მზარეულები მიდიოდნენ სოფელში, ჩამოივლიდნენ ოჯახებს, საიდანაც თითო ჩარექა არაყი მოჰქონდათ. ყიდულობდნენ საკლავს, რომელიც ხატში ჩვეულებრივი წესით იკვლებოდა და დღეობისთვის იყო განკუთვნილი.

იმისთვის, ვინც ხატისგან დამიზეზებულად მიაჩნდათ, ხატში მიჰქონდათ პატარა ხმიადი პურები – ხუმისკვერები. ამ პურებს მიუტანდნენ დეკანოზს, რომელიც დამიზეზებულისთვის ილოცებდა, გაიტანდა გალავნის გარეთ, გადაყრიდა და ხმამაღლა შესძახებდა: „გაუმარჯოს კვირაცხოველს, შეეწიოს (შემწირველის სახელს იტყოდა)“. ამის შემდეგ ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ვინ მეტ გადაყრილ პურს აიღებდა. შემდეგ ყველა თავთავის ადგილს იკავებდა და ხუმისკვერებით კოჭაობა იწყებოდა. რომელიმე იქ მყოფი კვერს 5-6 მ მანძილზე დააყენებდა. იგი მიზანში უნდა ამოეღოთ. გამარჯვებული იყო ის, ვისაც მეტი კვერი ექნებოდა მოგებული. მეორე დღეს, ანუ თავად კვირაცხოვლობას, ხალხი სალოცავში ისევ ქეიფობდა და ღესასწაულობდა.

<u>გუდამაყარში</u> ხატობა იმ სოფლებში იცოდნენ, სადაც მისი სახელობის ხატები იყო. თურმე სოფელ გამსაში კვირაცხოვლობას ძველად მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ. ახლა ქალებიც და ბავშვებიც მიდიან. სოფელ ლუთხუბში კვირაცხოვლობას ყოველთვის დიდი დღეობა იცოდნენ, სადაც მთელი სოფელი იყრიდა თავს. ხატში ღამისთევით მიდიოდნენ.

<u>ხევში</u>, სოფელ ცდოში და ფხელშეში ამ დღეს კვირაღვთისშვილობას ეძახიან. ხატში მიყავთ საკლავი, მიაქვთ ქადა-სანთელი. ამ დღეობას ხევში ბევრგან აღარ აღნიშნავენ.

<u>ერწო-თიანეთში</u> ამ დღეს კვირიაობას ეძახდნენ და კვირიას ხატში გადიოდნენ. ხატში მიჰქონდათ ქადა-სანთელი, არაყი. შესაწირად მიჰყავდათ მამალი.

---

* მასალა სოფ. გოგნაურას ხატობის მაგალითზეა მოტანილი.

კვირიკობა/კვირკობა

<u>სვანეთში</u> ლაგურკა/ლაგვირკა კვირიკესა და ივლიტეს სახელობის უმთავრესი სალოცავია.

აქ აღინიშნება კვირიკობა/კვირკვობა ანუ ამ წმინდანისადმი მიძღვნილი დღესასწაული. მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ივლიტესა და წმ. კვირიკეს 15/28 ივლისს მოიხსენიებს. დაახლოებით 305 წელს წმ. ივლიტე ქალაქ ტარსში ქრისტიანობისათვის სასტიკად აწამეს. მის წამებას წმ. ივლიტეს სამი წლის ვაჟი, კვირიკეც ესწრებოდა და ტიროდა. ჯალათმა ბავშვის დამშვიდება და მოფერება მოინდომა, მაგრამ ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და დედისკენ გაიქცა, თან იძახდა: „მე ქრისტიანი ვარ!“ გაშმაგებულმა მოსამართლემ, რომელიც ივლიტეს საქმეს არჩევდა, ბავშვს ხელი ჰკრა. წმ. კვირიკე კიბეზე დაგორდა და გარდაიცვალა. სასტიკი წამების შემდეგ წმ. ივლიტეს თავი მოჰკვეთეს.

ძველად ლაგურკაში დედათა მონასტერი იყო. აქ მთელი საქართველოდან იყვნენ დედები შემონაზვნებულები. ლაგურკა გამოირჩევა დიდი სიწმინდით, ვინაიდან აქ ინახება სანაწილე ხატი – „შალიანი“, რომელზეც მაცხოვრის ჯვარცმაა აღბეჭდილი. შალიანი კაცის სახელია. გადმოცემის მიხედვით მას ეს ხატი გეგუთის მინდვრების მოხვნისთვის მიუღია. შალიანს ხატი სვანეთში დაუბრძანებია. „შალიანის“ ხატი „ძელი ჭეშმარიტის“ შესანახად იყო განკუთვნილი. მას სვანეთში „დიდ ცხოველ ხატსაც“ უწოდებენ, რადგან ამ ეკლესიაში, ლაგურკაში, ძელი ჭეშმარიტის ანუ იმ ჯვრის ნაწილი ინახებოდა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს.

15/28 ივლისს წირვა-ლოცვასთან ერთად ლაგურკაში სხვა რიტუალებიც სრულდება. კალას თემში ამ დღეს რამდენიმე საპატიო მამაკაცი დილით ხატს დიდი პატივით გამოასვენებს, განბანს, სანთლებითა და წმინდა ზედაშით სავსე ფიალებით ტაძარს გარშემო შემოუვლის. რიტუალს თან ახლავს სვანური საგალობელი. ირეკება ზარი. ზარის ხმაზე ეკელსიის გალავანში ქუდმოხდილი მამაკაცები იჩოქებენ, ქალები განცალკავებით ერთად დგანან.

სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველი მოშორებით დგას და ლოცვის დასრულებას ელოდება. როდესაც რიტუალი მთავრდება, რჩეული მამაკაცები ხატს კვლავ ტაძარში შეასვენებენ, სადაც უხუ-

ცესი მამაკაცი მთელ საქართველოს, სვანეთს, შეკრებილ ხალხს ამ ხატით დალოცავს. საბოლოოდ სანაწილე ხატს ეკლესიაში დაასვენებენ, სადაც იგი მომავალ კვირიკობამდე იქნება.

ის, ვინც ლაგურკაში ასვლას ვერ ახერხებდა, უკან დაბრუნებულ მლოცველს გზაზე ხვდებოდა და დალოცვას სთხოვდა.

კვირტობა

<u>ლეჩხუმში</u> შუა აპრილში, ორშაბათს, კოხის საწინააღმდეგოდ კვირტობას აღნიშნავდნენ. იყო უქმე. ყველა სოფელს ამ დღისთვის ხბო ან ვერძი უნდა შეეძინა. ორშაბათ დილით ის, ვისიც იყო ხბო, და ყოველი ოჯახიდან თითო კაცი „საკვირტობო ხბოს“ სალოცავში აიყვანდა. მის დაკვლამდე სახლიდან წაღებულ სანთლებს ანთებდნენ. უფროსი მამაკაცი საკლავს მარჯვენა ბეჭს სანთლით შეუტრუსავდა, წაღმა შემოატრიალებდა, ხელში აიყვანდა, მაღლა ასწევდა და დაილოცებოდა: „იესო მაცხოვარო საჯვარისა, დეიფარე ჩვენი მამულები კოხისაგნ, ყოველი უნებლიესაგან; სანამდის ვიქნეთ, შენი შეხვეწილი არ დავაგდოთ“.

შემდეგ აირჩევდნენ მზარეულს, რომელიც საკლავს იმ სახლში ჩაიყვანდა, სადაც დღეობა უნდა გამართულიყო. აქ მზარეული ხბოს დაკლავდა, მოამზადებდა ყველაფერს და ხბოს მთლიანად, დაუნაწევრებლად მოხარშავდა. შემდეგ მზარეულს ყველა კომლისთვის შამფური უნდა დაემზადებია და ზედ ხორცი ისე უნდა წამოეცვა, რომ მასზე ცოტა მაინც ხბოს ყველა ნაწილი მოხვედრილიყო. საბოლოოდ მთელი ხორცი შამფურებზე უნდა ყოფილიყო წამოცმული. თავშეყრის ადგილზე, საერთო საკლავის გარდა ყველა ოჯახს მოჰქონდა: შაშხი, შემწვარი ქათამი, სულგუნი, ყველიანები, ღვინო, ლავაშები.

როდესაც სოფელი შეიკრიბებოდა და სუფრას მიუსხდებოდა, მზარეული და მისი თანაშემწე ჩამოივლიდნენ. მზარეულს გობზე შამფურები ელაგა და თითო ოჯახის წარმომადგენელს თითო შამფურს მისცემდა, თან ეტყოდა: „მიღებული ყოფილიყოს ჩვენი შესაწირი და ჩვენი მამულები დეიფაროს კოხისაგან იესო მაცხოვარმა“. როდესაც

ხორცი დარიგდებოდა, უფროსი კაცი სასმელიან დიდ ჭიქას აიღებდა, წამოდგებოდა და დაილოცებოდა: „იესო მაცხოვარო, დეიფარე ჩვენი მამულები კოხისაგან, ბედნიერებაში მოგვხმარებოდეს და მოგვსწრებოდეს მამულის მოწევა; არაფერი მავნებელი დასცემოდეს ჩვენ მამულს“. ამის შემდეგ ყველა ერთხმად დაიძახებდა: „ამინი ჭნას მაცხოვარმა!“ რის შემდეგაც ყველა დალევდა. ირჩევდნენ თამადას. ამ სუფრაზე პირველი სადრეგრძელო ასეთი ისმებოდა: „ღმერთო და იესო მაცხოვარო, რის ბარობაზეც ჩვენ აქ ვართ მოსული, იმ ძალამ გაგვიმარჯვოს და დაგვიფაროს კოხისაგან და ყოველი მავნესაგან ჩვენი მამული და ჩვენი თავი“.

ამ დღეს განსაკუთრებით იცოდნენ ერთმანეთისთვის მოსაკითხის გადაცემა: ყველიან პურს, გვაჯილის (სულგუნის) ნაწილს, ქათმის ბარკალს, ჭიქით ღვინოს მოკეცილ ლავაშზე დადებდნენ და შემდეგი სიტყვებით მიართმევდნენ ერთმანეთს: „ჩემი ხელისოული გაგიხარდება, გაის ამ დროს უკეთ მხიარულად დავმსხდარიყავით ერთმანეთში!“ მოსაკითხში მწვადი არ შედიოდა, ვინაიდან ის ოჯახის ყველა წევრზე უნდა განაწილებულიყო. ამ მწვადის ნაწილი სახლში დარჩენილებსაც უნდა რგებოდათ. ქეიფი, ცეკვა-თამაში დაღამებამდე გრძელდებოდა. დაღამებისას ყველა საკუთარ სახლში მიდოდა და დარჩენილი სანოვაგეც თან მიჰქონდა.

კოპალობა

კოპალობის დღესასწაული ფშავსა და ერწო-თიანეთში აღინიშნება. კოპალეს ნიშები ხევსურეთშიცაა. კოპალობა ათენგენობის, სერობის, საღმრთოობა/საღმურთობის სახელით ცნობილი დღეობების ციკლში შემავალი დღესასწაულია.

ათენგენობები <u>ფშავში</u> პეტრე-პავლობის მომდევნო კვირა დღიდან იწყება. ათნიგენობების მეორე ხუთშაბათს, იახსრობის სწორზე კოპალობა აღინიშნება.

კოპალა <u>ფშავში</u> ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სალოცავია. კოპალას მთავარი ხატი უძილაურთაშია, ხოლო კოპალას წვერის საბრ-

ძანისი ნიში 4-5 კმ-ით მაღლა ირმის კალოზე მდებარეობს. ერწო-თიანეთში, ქვემო თიანეთიდან 10-12 კმ-ზე არის იხინჭის გორა, სადაც ქრისტიანული ეკლესიების ნაშთებთან ერთად კოპალეს ანუ იხინჭის წმ. გიორგის ხატია.

ხალხური გადმოცემების მიხედვით ფშავი დევ-კერპებს ჰქონიათ დამონებული და დაპყრობილი. ხალხი გაუსაძლის მდგომარეობაში ყოფილა. ფშავლებს ღვთისშვილებისთვის უთხოვიათ გვიშველეთ, დაგვიხსენით დევ-კერპებისგანო. ღვთისშვილებს წილისყრის შედეგად დევების წინააღმდეგ საბრძოლველად ლახტი იახსრისთვის მიუციათ. იახსარი კოპალასთან და პირქუშთან ერთად დევ-კერპებს დაპირისპირებია და დაუმარცხებია ისინი. ხალხი კოპალას გმირ და ბერ კოპალად მოიხსენიებს. დევებთან ბრძოლაში ფშავლები ქვებსაც იყენებდნენ. გადმოცემის მიხედვით კოპალას მიერ ნასროლი ერთი ასეთი ქვა ჩარგლისა და მაღაროს შუა დავარდნილა, სადაც ხალხმა ნიში დააარსა და სადაც მაღაროს თემის ფშავლები დადიან სალოცავად.

კოპალას ხატი

ხალხის რწმენით, დევები, რომლებიც კოპალამ დახოცა, ეშმაკებად ქცეულან და ფშავის კლდეებში მიმალულან. კოპალა ავსულებისა და ეშმაკების შემმუსვრელია და მათგან ხალხის დამცველი. როდესაც ხალხს ეშინოდა, ამბობდნენ: „მიშველე, გმირო კოპალე!“ ან „დაგწყევლოს გმირმა კოპალემაო“.

<u>კოპალობა</u> დიდი დღესასწაული იყო. მლოცველი დაახლოებით დილის 11 საათზე ადიოდა სალოცავში, აჰქონდა საკლავი, ქადები,

სანთლები, სურსათი. ხევისბერი ყველას საკლავ-საწირს რიგრიგობით ამწყალობნებდა, ართმევდა საწირს, საკლავს კი კლავდა. დასტურები შემოწირულ ქადა-პურებს და ზედაშეს აგროვებდნენ, ზედაშეს ტიკებში ასხამდნენ და ხატის მარნებში ინახავდნენ. საკლავის ტყავი და ბეჭი ხევისბერის იყო. საკლავის ყელიდან შეხსნილ ზანზალაკებს ხატის ყორეზე აწყობდნენ. კოპალაში, კოპალობაზე მოყვანილ სამსხვერპლო კურატებს არ კლავდნენ. მათ დამწყალობნების შემდეგ ხატის ახლო ტყეში უშვებდნენ ცოცხლად. კურატი ხატის საკუთრება იყო და ხატსავე ხმარდებოდა. მას თავისი მწყემსი ჰყავდა.

საყაენო თასი - სასმელის სარიტუალო სმა

როდესაც ხატში წესის შესრულება მორჩებოდა, იშლებოდა სუფრები, იწყებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში. ხალხის თქმით სალოცავში მლოცველებმა უნდა იცეკვონ, რომ ხატი სწყალობდეთ, და სალოცავშიც წლოვანების მიუხედავად ყველა ცეკვავდა. ამასობაში ღამდებოდა და მლოცველები ღამის გასათევად ხატში რჩებოდნენ.

დილით, მზის ამოსვლისას, დასტური რეკავდა ზარს. ხალხი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, პირჯვარს იწერდა და წასასვლელად ემზადებოდა. მეორე ზარის დარეკვისას ხალხი შეგროვდებოდა, ხევისბერი დაილოცებოდა. შემდეგ შეიკვრებოდა წრე, რომლის შიგნით ხევისბერი დროშით ხელში დადგებოდა და დაიძახებდა: „ხატიონის ფერხისა!“ ფერხისას წრეში ჩაბმულები მოძახილის კილოზე იმღერებდნენ. სიმღერა დაახლოებით ნახევარ საათს გრძელდებოდა. ამის შემდეგ ხალხი ხევისბერის წინამძღოლობით ირმის კალოსკენ

სალოცავად მიემართებოდა. მზე რომ გადაიხრებოდა, იწყებოდა დოღისთვის სამზადისი. ამასობაში საყეინოს წესიც სრულდებოდა. დასტურებს დიდი ჭურჭელი – საყეინო გამოჰქონდათ, რომელშიც ისხმებოდა ლუდი და რომელიც ყველას უნდა დაელია*, თან უნდა დაეტოვებინათ გარკვეული ათანხა, რაც ხატს, ხატის ვენახებს ხმარდებოდა და ხმარდება. ამის შემდეგ იწყებოდა დოღი. ხევისბერი მედოღეებს ფერხისას სიმღერით წინ გაუძღვებოდა და მათთან ერთად ხატს სამჯერ შემოუვლიდა. შემდეგ ხევისბერი ლუდიანი თუნგითურთ ხატის ყორესთან დადგებოდა და რომელი მოჯირითეც პირველი მივიდოდა მასთან, ლუდიანი თასით აჯილდოებდა. ხალხს სწამდა, რომ დოღში გამარჯვებულს ხატი მფარველობდა. გამარჯვებულს ჯერ ხევისბერი დალოცავდა, შემდეგ კი სხვა მხედრებს დაიწვევდა და ლუდს სხვებთან ერთად დალევდა. მოსაღამოვებულზე ისევ სრულდებოდა ფერხისა, რომელშიც მლოცველებიც მონაწილეობდნენ, რის შემდეგაც დღეობა დასრულებული იყო.

<u>ᲘᲮᲘᲜᲭᲝᲑᲐ</u> ივრის ხეობის მთავარი დღესასწაულია, რომელიც აღდგომიდან მეცხრე კვირის (სულთმოფენობის შემდგომი კვირის) ხუთშაბათს აღინიშნება. იხინჭის გორა მდ. იორის მარცხენა ნაპირზე, ქვემო თიანეთიდან 10-12კმ-ზე მდებარეობს. კოპალას ანუ იხინჭას წმ. გიორგის იქვე, ირგვლივ მდებარე ვაკეზე, მისივე კუთვნილი მამული ჰქონდა. აქ მოყავდათ დღეობისათვის საჭირო პური და ქერი.

კოპალას ხატს საკუთარი კურატები/კურეტები და ცხვრის ფარა ჰყავდა. ფარას ზამთრობით შირაქის საძოვრებზე ერეკებოდნენ. მოგვიანებით ის, ვინც კურატს იხინჭაში კოპალას სწირავდა, მიიყვანდა სამსხვერპლო ცხოველს, სწირავდა, მაგრამ ცოცხალი ისევ უკან მოჰყავდა და 2-3 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად უვლიდა: საგულდაგულოდ კვებავდა, უღელს არ ადგამდა, არ ამუშავებდა. ასეთი კურატი სხვის ყანაშიც რომ გადასულიყო, სახრეს ვერავინ დაარტყამდა და ვერ გამოაგდებდა. 3 წლის გასვლის შემდეგ იგი ხატში მიჰყავდათ და სწირავდნენ. დღეობაში მლოცველებს ქადა-სანთელი, სურსათი მიჰქონდათ, მიჰყავდათ საკლავი, რომელსაც ხევის-

* ფშავში ხატობები საყეინოს წესის შესრულებით მთავრდება.

ბერი კლავდა. შუადღისთვის ქადა-სანთლის და საკლავის შეწირვა მთავრდებოდა და იშლებოდა სუფრები, იწყებოდა ლხინი და ცეკვა-თამაში. აქვე ჩერდებოდნენ მეკულულხეები, ანუ ისინი, ვისაც კახეთი-დან კოპალეს სახატო ზვრებიდან დღესასწაულისათვის ღვინო მოჰ-ქონდა. ესენი ძირითადად ხევისბრები და ხატის მსახურები იყვნენ. მათ ბარიდან მთისაკენ მიმავალ გზაზე დათქმული ადგილები ჰქონ-დათ, სადაც ჩერდებოდნენ და ლოცულობდნენ. ერთ-ერთი ასეთი ად-გილი იხინჭაც იყო.

დღეობის ბოლოს ადგილობრივი ხატის მსახურები და მოსულები ერთმანეთს ლოცავდნენ და ემშვიდობებოდნენ. დამრჩენი რჩებოდა, წამსვლელს კი დიდი გზა უნდა გაევლო, სანამ უძილაურთაში, კოპა-ლას მთავარ სალოცავში მივიდოდა.

აქვე, იხინჭას კოპალას პირდაპირ, ჩრდილო-დასავლეთით, მცირე ხევის გაღმა, გორაკის ფერდობზე თამარ დედოფლის და ლაშარის ხატებია, სადაც მლოცველი იმავე დღეს მიდიოდა სალოცავად. აქ საკლავის გარდა სანთელი, არაყი, ქადები და სხვა სასმელი-საჭმელი მიჰქონდათ. მსხვერპლშეწირვის, დალოცვა-დამწყალობნების რიტუა-ლების შესრულების შემდეგ იმართებოდა ლხინი, ჭიდაობა, დღეობე-ბისთვის დამახასიათებელი ბაზრობა.

ᲙᲝᲮᲘᲜᲯᲠᲝᲑᲐ/ᲙᲝᲮᲘᲯᲕᲠᲝᲑᲐ

კოხინჯრობა/კოხიჯვრობა სეტყვის საწინააღმდეგო დღეობაა. იმართებოდა 7 მაისს ან აღდგომიდან მესამე პარასკევს (იხ. დარ-ავდრის რიტუალები). აღინიშნებოდა სოფ. ერედვში (ქართლი), ქვი-ტირსა და დვალიშვილებში (იმერეთი), ალაზნის გაღმა შილდაში, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში.

ლაზარეს შაბათი

ბზობის შაბათს ეკლესია უფლის მიერ მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას აღნიშნავს. ეს დღესასწაული კიდევ ერთხელ გვახსენებს იესო ქრისტეს ღვთაებრივ ძალას, რომ იესო ქრისტე და მასთან ერთად ყველა გარდაცვლილი მკვდრეთით აღდგება. ამასთანავე ეკლესია გვახსენებს, რომ უფლის მიერ ლაზარეს აღდგინებამ იუდეველი მღვდელმსახურების საკრებულო და ფარისევლები საბოლოოდ განაწყო იესოს წინააღმდეგ.

მართალი ლაზარე, რომელიც ბეთანიაში ცხოვრობდა, უფლის საყვარელი მეგობარი იყო. ჰყავდა ორი და: მართა და მარიამი. იესო ქრისტე ხშირად დადიოდა მათთან სტუმრად. როდესაც ლაზარე მძიმედ გახდა ავად, დებმა ეს ამბავი იესოს შეატყობინეს. იესო ქრისტე მაშინვე არ წასულა ბეთანიაში, რადგან ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების სასწაული უნდა აღსრულებულიყო. როდესაც ბეთანიაში მივიდა, ლაზარე უკვე ოთხი დღის გარდაცვლილი დახვდა. დების სანუგეშებლად უამრავი ხალხი იყო მისული.

დები იესოს გამოეგებნენ და შესჩივლეს: შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩვენი ძმა არ მოკვდებოდაო, მაგრამ დაუმატეს, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლიაო. იესომ დები ანუგეშა და საფლავისაკენ გაემართა.

სხვებიც გაჰყვნენ. საფლავთან მისულმა ბრძანა, საფლავის ლოდი გადაეგორებინათ. ლოდი გადააგორეს. იესომ ილოცა და ოთხი დღის გარდაცვლილ ლაზარეს, რომელიც უკვე იხრწნებოდა, ხმამაღლა დაუძახა: ლაზარე, გამოდი! ლაზარე მკვდრეთით აღდგა და გარეთ გამოვიდა. ამის შემხედვარე ხალხმა ირწმუნა იესო ქრისტე და მოექცა. საეკლესიო ტრადიციის მიხედვით წმინდა ლაზარე კვიპროსის ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. სწორედ მასთან მიდიოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, როდესაც ხომალდით ათონის მთას ჩაუარა და იწინასწარმეტყველა, რომ ამ ადგილს მომავალში განადიდებდა.

ლაზარეს შაბათს საქართველოს ეკლესია ქართული ენის დღეს აღნიშნავს.

<u>ლეჩხუმში</u> ლაზარეს შაბათს გზობის ანუ ბზობის შაბათს ეძახდნენ. „ნაშუადღევის დაუქმებამდე“ მუშაობა არ იკრძალებოდა. ეზოს და კარ-მიდამოს აუცილებლად დაასუფთავებდნენ. თუ ოჯახისათვის სასურველი პიროვნება, ოჯახის მოკეთე, პატარძალს ქორწილში ძმობილად გაჰყვებოდა, იგი პატარძლის ძმობილი ხდებოდა. გზობის შაბათს დობილი ვალდებული იყო, ძმობილისათვის „ხალათი“ ანუ ახალუხი, საცვლები, პირსახოცი, ქისა, ცხრა შეღებილი კვერცხი გაეგზავნა. თუ ძმობილი ძალიან პატივსაცემი პიროვნება იყო, დედამთილი ფუთაში გამოკრულ ხალათს თავად მიართმევდა, თუ არა და მულს ატანდა. „ხალათის“ წამღები აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო. მასპინძელი ოჯახი სტუმარს შეძლებისდაგვარად უხვდებოდა და წამოსვლისას ასაჩუქრებდა. ოჯახს ხალათის მიმტანისათვის გარკვეული თანხა უნდა ეჩუქებინა.

<u>კახეთში</u> ლაზარეს შაბათს ბზობის წინა დღეს ეძახდნენ.

ლამპრობა

ლამპრობა სვანური დღესასწაულია და მასში ორი მოვლენა უნდა იყოს გაერთიანებული. ამ სახელით ცნობილი ერთი დღესასწაული წმ. გიორგის შეწევნით სვანების მომხვდურ მტერზე გამარჯვებას უნდა ასახავდეს. ხალხის თქმით, ეს ტრადიციული სვანური დღესასწაული

მამაკაცთა დღეობაა, რომელიც ნათლისღებიდან ახალი მთვარის მეორე კვირას აღინიშნება.

გადმოცემის მიხედვით მტერმა, რომელსაც სვანები დაპყრობილი ჰყავდა, ზამთარში ოჯახებს გამოსაკვებად 2-3 კაცი ჩაუსახლა. ისედაც გაჭირვეული ხალხი კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდა. ვეღარ მოითმინეს სვანებმა და გადაწყვიტეს მტერი გაენადგურებინათ. ყველა ოჯახს ათავისი „მდგმური“ უნდა მოეკლა. გადმოცემის მიხედვით, დილით გაღვიძებულ, გაოგნებულ და გარეთ გამოვარდნილ მტერს სახლების ირგვლივ ლამპრებით დასდევდნენ და წვავდნენ.

ამ დღეს გამთენიისას სოფლებში მეომარი მამაკაცების სახელზე ყველა ოჯახი წმ. გიორგისთვის თითო ლამპარს ანთებდა და თვალსაჩინო ადგილზე გამოჰქონდა. ამით ოჯახების რაოდენობასაც ითვლიდნენ. ყველა სოფელს თავისი დამთვლელი ჰყავდა დანიშნული. მათ თავკაცებისთვის სოფელში მცხოვრებ მეომართა რაოდენობა უნდა ეცნობებინათ. ლამპარი მუხის ან არყის ხისგან მზადდებოდა. ხეს ნათლისღებიდან ახალი მთვარის კვირას ჭრიდნენ და რომ გამხმარიყო, ერთი კვირა ინახავდნენ.

ხალხში მომხვდური მტრის განადგურებასთან დაკავშირებით მეორე ვერსიაც არსებობს.

მეორე ლამპრობას უძრავი თარიღი აქვს და იგი ყოველთვის 2/15 თებერვალს, მირქმას (იხ. მირქმა) აღინიშნება.

ლაშარობა

ლაშარი მიაჩნდათ მოლაშქრე ღვთაებად. მას შესთხოვდნენ ნახნავ-ნათესის ბარაქიანობას, ადამიანთა ავადმყოფობისგან დაცვას, კეთილდღეობას. ლაშარიდან მომდინარეობს მის სახელზე დაწესებული დღეობა ლაშარობა.

ლაშარობა ფშავის, თუშეთის და ერწო-თიანეთის მთავარი დღესასწაულია. <u>ფშავის</u> მთავარ სალოცავს, რომელიც ფშავის არაგვის ზედა წელში მდებარეობს, ლაშარის წმ. გიორგი და აქიმ-თამარ-დედუფალი ჰქვია.

ლაშარობა იმართებოდა სხვადასხვა დროს, მთავარი დღესასწაული კი ყოველთვის პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათს. ლაშარის მოპირდაპირე გორაზე თამარ დედოფლის ხატია, რომელსაც აქმ-დედუფალს ეძახიან. მის დღეობას ღელეობა ჰქვია და ლაშარობის მეორე დღეს აღნიშნავენ. ხალხი თამარ დედოფალს ჯანმრთელობას შესთხოვს.

ლაშარის ადგილზე მეფე ლაშა-გიორგის წმ. გიორგის ეკლესია აუგია და ტაძრისთვის წმ. გიორგის ხატი უჩუქებია. ლაშარის ჯვართან დაკავშირებით ხალხში ამგვარი ლეგენდაა დაცული: ლაშარობის დღესასწაული ძველთაგანვე აღინიშნებოდა. ერთხელაც ლაშარობაზე თავის მხლებლებთან ერთად ლაშა-გიორგი მისულა. ფშავლები მეფეს პატივით დახვედრიან და მადლიერების ნიშნად შინ დაბრუნებულ მეფეს გარკვეული ხნის შემდეგ მასპინძლებისთვის ძვირფასი ჯვარი გამოუგზავნია. ფშავლები მას ლაშარში ინახავდნენ. გადმოცემა გვეუბნება, რომ სალოცავს მას შემდეგ დარქმევია ლაშარის ჯვარი. ხალხს ამ ჯვრის დიდი სასოება ჰქონია.

ლაშარის გალავანში ოთხკუთხა ყორე ყოფილა, რომელზეც წმ. გიორგის ხატი და ჯვარი ესვენა, იდგა სააიაზმეც. ვაჟა-ფშაველას გადმოცემით მღვდელი მოსულ მლოცველს ჯვარზე ამთხვევინებდა და აიაზმას ასხურებდა, ხოლო ხევისბერი თავისი მოვალეობებით იყო დაკავებული: კლავდა საკლავს, ლოცავდა მოსულ ხალხს და სხვა, ისე, როგორც ეს მთის სალოცავებში იცოდნენ. გალავანში ყოფილა საჯარე, რომელშიც მხოლოდ ხევისბერების შესვლა შეიძლებოდა. მასთან ახლოს ყორისავე საზარე ყოფილა აშენებული, რომელსაც სპილენ-

ლაშარის წმ. გიორგის ხატი

ძის გუმბათი ედგა, ზედ კი ჯვრიანი ზარი ეკიდა. ტოტებზე ზარს პატარა ზარები ეკიდა. საზარეზე ლაშარის დროშას აყუდებდნენ. ლაშარის ჯვარს ქადაგი ჰყოლია, რომელიც წმ. გიორგის ნებას გადასცემდა ხალხს.

ლაშარში ხატის გალავანს გარეთ სასანთლე იყო აშენებული, სადაც წმ. გიორგის ხატები და ჯვრები ესვენა. ხევისბრები აქ კლავდნენ საკლავს და ანთებდნენ სანთლებს. აქვე ყოფილა დიდი ორმო, სადაც საკლავის სისხლი ჩაედინებოდა. ვინაიდან ლაშარში სხვადასხვა კუთხეებიდან დიდძალი მლოცველი მოდიოდა, ხატს ბევრი ხელოსანი ანუ მსახური ჰყავდა. ზოგიერთი მლოცველი თეთრებში გამოწყობილი, ფეხშიშველი მიდიოდა ხატში, მიჰყავდათ დიდძალი საკლავი.

ხატს კახეთში საკუთარი ვენახები ჰქონდა, საიდანაც დღეობისთვის, ღვინო მოჰქონდათ. ფშავლებს ლაშარი მხედრად და მოლაშქრედ წარმოედგინათ. ხევისბერი თურმე ხატში ქერს ყრიდა – ლაშარის ჯვრის ცხენს მოუნდებაო. ვინაიდან ლაშარს დიდძალი შეწირულობა მიუდიოდა, იგი მდიდარი ხატი იყო.

გადმოცემის მიხედვით ლაშარის ხატში, იქ აღმართული წმინდა მუხის მოჭრამდე, ბერები ცხოვრობდნენ, სხვა ადამიანის ხატში მისვლა არ შეიძლებოდა. თურმე მლოცველი ქვემოდან ლოცულობდა. მეორე დღეს ხალხი თამარ დედოფლის ხატში გადიოდა.

საყოველთაოდ ცნობილი გადმოცემით, ლაშარის ჯვრის წმინდა მუხა ზეცას ოქროს შიბით ანუ ჯაჭვით იყო მიბმული, რომლის მოჭრა ზურაბ ერისთავმა* მხოლოდ ღალატის შემდეგ შეძლო. მუხის მოჭრა შეუძლებელი იყო, იგი არ იჭრებოდა. ყოველი დარტყმისას ნაჯახი ტყდებოდა, მუხა კი უფრო სქელდებოდა. ბოლოს ზურაბ ერისთავმა შეიტყო, რომ თუ მუხასთან შავ კატას დაკლავდნენ, ხეს სიწმინდე დაეკარგებოდა და ადვილად მოიჭრებოდა. ეს საიდუმლო ფშაველმა შალიკაურმა, ვინმე აფციაურს გაუმხილა, რომელიც ფშავლებს მტრობდა. ასე მოაჭრევინა ზურაბ ერისთავმა ლაშარის წმინდა მუხა. გადმოცემა გვეუბნება, რომ როდესაც ბერმუხა მოიჭრა, ოქროს შიბი შხუილით აიჭრა ზეცაში.

---

* ზურაბ ერისთავი – XVIII ს-ის ძლიერი ფეოდალი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს თავისუფალ მთიელთა დამონება სურდა.

ლაშარში საყეინოს სახელით ცნობილი დიდი ჭურჭელი, თასი ინახებოდა, რომლითაც დღეობაზე გარდაცვლილ გმირთაა შესანდობარს სვამდნენ.

<u>თუშეთის</u> მთავარი ხატებია ლაშარი, ხითანა და სამება. ათნიგენობების ციკლის (იხ. ათენგენობა) პირველი დღესასწაული ჩიღოს ლაშარის ჯვრის დღესასწაულია. აღინიშნება 6-7/19-20 ივლისს. ხატის

ხატის დროშები

მთავარი მსახური თუშეთში დეკანოზია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ხატის მსახურების მსგავსად დღეობისთვის წმინდობს ანუ იცავს ყველა დადგენილ წესს, რომელთა შესრულების შემდეგ წმინდად მიიჩნევა და თავისუფლად შეუძლია სალოცავს ემსახუროს. დღეობაზე მლოცველი ადრიანად მიდიოდა. მიჰყავდა საკლავი, მიჰქონდა სურსათი, სანთელი, რიტუალური კვერები.

ნაჭრებით და ფერადი ლენტებით შემკული და შემოსილი ხატის დროშა სალოცავში ან ცალკე ნაგებობაში ინახებოდა. მლოცველი ჭრელ ან თეთრ ხილაბანდებს დროშას დღეობაზე სწირავდა. დეკანოზი გამოიტანდა დროშას და ხატის ნიშთან მიაყუდებდა.

დეკანოზს ხატში ჰყავდა თანაშემწე, რომელსაც შულტა ეწოდებოდა. მზე რომ გადაიხრებოდა, დეკანოზი და შულტები დგებოდნენ ხატის ნიშთან, ანთებდნენ სანთლებს და დეკანოზი იქ მყოფი მლოცველის დამწყალობენებას იწყებდა. ხანდაზმული ქალების გარდა, სხვა ქალებს, რომლებსაც დედათა წესი აღარ ჰქონდათ, ხატთან შორიახლო დგომა ეკრძალებოდათ, ამიტომ მოშორებით იყვნენ. მლოცველს დეკანოზთან რიტუალური კვერები, სანთლები და არყით ხელადა მიჰქონდა. ამ საწირს შულტა ართმევდა და აბინავებდა,

დეკანოზი კი შეწირულ სანთლებს ანთებდა, ახსენებდა შემწირველის სახელს და დაილოცებოდა: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე წმ. გიორგის ლაშარისასა, დიდად სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა! წმ. გიორგი, შენ შეგვეწიე, შენ გეხვეწებიან სამსახურის მომღებნი თავი დაბლითა, გული მართლითა, ნაძახევს გაუგონებდი, ნაქადებს არ გიმტყუნებენ. შორს მყოფი ახლოს დაუხვ-დიდი, დაიცავი, დაიფარე ზვავისაგან, წყლიდან, სენიდან, სასჯლიდან. მწარე სიკვდილისა თავ თქვენ შეუქციიდითა. ზამთარ მშვიდობისა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა. ჯოხ აიღონ, ვახშამ მისცითა, სახელ სარგებლიან მიატანითა, სავნებელ მოაშორეთა, მტრის ხელით ხმალ ახხადითა, სიკვდილობას აუსუბუქითა. მტერთან ჭირს ნუ დაუკარგავ, სწორთან სამართალს, მხარ-გუთან წაღმ წაგ-ვარეთა. ყანა-მკა მოგვარეთა, ღონესა, ქონნესა უმატითა. ცხვარ-ცხვრის მკრავს უმატეთა, პურსა და პურის მჭამელს უმატეთა! დიდო ბედნიერო ანგელოზო, შენ გეხვესწებიან თავი დაბლით, გული მართლითა! მეშველილ, მწყალობელიმც არის თქვენი! გაუმარჯოს ჩვენ სალოცავებს, გაუმარჯოს ყმებს ლაშარის გიორგისას!“

შეწირული არყიდან დეკონოზი ერთ ყანწს დალევდა, დანარჩენს თუნგში ასხამდა ანუ აგროვებდა. ასევე იტოვეებდა რიტუალური პურის ნაწილსაც. შეწირულ ცხვარს დეკანოზი რქებზე სანთლებს მიაკრავდა და დაილოცებოდა. შემდეგ ამავე სანთლით საკლავს შუ-ბლზე თმას შეუტუსავდა, გადასცემდა შულტას, რომელიც კლავდა და დაღმართში აგორებდა. ამ დროს ხალხი დაიძახებდა: „წყალობა ხატსა!“ დაგორებულ ცხვრებს ბავშვები იჭერდნენ. ვინც შესაწირს პირველად მოკიდებდა ხელს, ამ ცხვრის გულ-ღვიძლი მისი იყო. მზის ჩასვლისას დეკანოზი დროშას ერთ მაღლობზე აიტანდა და ხალხს მიმართავდა, თხოვდა და მოუწოდებდა, ლაშარის წმ. გიორგის კარზე არ ეჩხუბათ, არავის არაფერი მოეპარა, დაკარგული მპოვნელს სადეკანოზოში მიეტანა, კაცებს შეშა მოეტანათ, ქალები და კაცები ცალ-ცალკე დაბანაკებულიყვნენ და ეს მოთხოვნა მკაცრად დაეცვათ.

ამის შემდეგ იწყებოდა სამზადისი ლხინისთვის, იშლებოდა სუფრები, იმართებოდა პურობა. საღამოს შულტები გამოიტანდნენ ლუდიან დიდ კოდს და იწყებოდა კოდის ლოცვა. ლოცვაზე დასწრების ნება მხოლოდ

კაცებს ჰქონდათ. კოდიან ლუდთან იმღერებდნენ და ბოლოს დაიძახებ-დნენ: გაუმარჯოს ლაშარის წმ. გიორგისო. დილით დეკანოზი დააჟღა-რუნებდა დროშას. ყველა წამოიშლებოდა და კვლავ იმართებოდა პუ-რობა. ამავე დროს წესად ჰქონდათ ქორბეღელას ჩაბმა და დოღი.

ქორბეღელა კაცების ორსართულიანი ფერხული იყო. ორსართუ-ლიან წრეში ჩაბმული კაცები ხატის კარამდე მიდიოდნენ. წრეს ისე უნდა ემოძრავა, რომ არ დაშლილიყო. ხატის კართან წრე სამჯერ დატრიალდებოდა, ქორბეღელას მონა-წილეები დაიძახებდნენ: გწყალობდეთ ლაშარის ჯვარიო და დაიშლებოდნენ. ამ დროს შულტა სადეკანოზოდან ლუდს გამოიტანდა და ქორბეღელას მონაწილეებს ასმევდა. ამის შემდეგ ახალგაზრდები ჯირითს მართავდნენ და დღეობაც ამით მთავრდებოდა

ქორბეღელა

<u>ერწო-თიანეთის</u> მთავარი სალო-ცავიც ლაშარის წმ. გიორგი და თა-მარ დედუფალი იყო. დღეობა აღდ-გომის მეცხრე კვირის ხუთშაბათს სა-ღამოს იწყებოდა და შაბათ დილამდე გრძელდებოდა. ხალხი შესაწირებით (საკლავი, ქადა-სანთელი) მიდიოდა. ზოგიერთი მლოცველი ქალი თეთ-რებში გამოწყობილი, თეთრ ხილა-ბანდწაკრული, ფეხშიშველი იყო, ზო-გიერთი მამაკაცი კი წითელ ხილაბანდ წაკრული. ხატის დროშას ეწირებოდა საკადრისები ანუ თეთრი თუ ჭრელი ნაჭრები, ხატის ხეებზე ხალხი სხვადასხვა ლენტებს და ნაჭრებს აბამდა. იმართებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში. დღეობაში მონაწილეობის მისაღებად, სალოცავად მლოცველი კახეთიდანაც მიდიოდა.

ერწო-თიანეთში ასეთი გადმოცემა არსებობდა: ლაშარის წმ. გიორგი თამარის დროს ცხოვრობდა და მთიელების დასაცავად ურჯუ-

ლოებზე ლაშქრობდა. ჰჰყავდა ლურჯა ცხენი, რომელსაც მხრებზე მტრედივით ჰქონდა ფრთები. ამის გამო ხშირად უფრენია. ურჯულოებზე ლაშქრობისას წმ. გიორგი თავის ლურჯაზე შეჯდებოდა და ლაშქარს წინ მიუძღოდა, რასაც მხოლოდ „წმინდა კაცები“ ხედავდნენო.

ლიფანალი

<u>ლიფანალი</u> მიცვალებულებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია და <u>ზემო</u> <u>სვანეთში</u> 5/18 იანვრიდან პირველი კვირა დღის ორშაბათამდე იმართებოდა.

ხალხის რწმენით ამ დღეს ოჯახში გარდაცვლილთა სულები სტუმრად მოდიოდნენ. ლიფანალისთვის ოჯახი წყალში (შესაძლოა ნაკურთხ წყალში) გახსნილი პურის ფქვილით ან ნახშირით ყველგან - ჭურჭელზე, კედლებზე, ავეჯზე ხატავდა სვადასხვა ფიგურებს, საგნებს, მნათობებს, ასევე ჯვრებს თუ სხვა გამოსახულებებს. მათ ზოგან ლიფანალის პირველ დღეს ანუ ადგომს (5/18 იანვარს) ხატავდნენ, ზოგან მეორე დღეს, ნათლისღებას. წყალში გახსნილ ნახშირში ან ფქვილში ამოუსვამდნენ თითს და მით ხატავდნენ. ნახატებს ოჯახის უფროსი ქალი ან ქალები ხატავდნენ. თუ ოჯახში უფროსი, ხანდაზმული ქალი არ იყო, ამ საქმეს ოჯახის მახვში აკეთებდა. თუ არც ის ჰყავდათ, უფროსი ქალიშვილი. მოგვიანებით ნახატებს ცარცით ბავშვებიც ხატავდნენ. დანაყილი, წყალში გახნილი ნახშირით ქალები ოჯახის ყველა წევრს ხელებზე და სახეზე წერტილებსა და ჯვრებს უსახავდნენ. ოჯახის უფროსი ქალი ასევე ცვილისა და ახლად ამოყვანილი ყველისგან ბაკიკებს - ცხოველების რიტუალურ ფიგურებს ძერწავდა, აცხობდა რიტუალურ პურებს.

სვანების შეხედულებით ამგვარი სალიფანალო ნახატები ოჯახში სტუმრად მოსული სულების გასართობად იხატებოდა. ზოგის თქმით, ისინი მიცვალებულებისთვის სასარგებლო იყო, ზოგიც კი ამბობდა, რომ ეს ნახატები ამქვეყნად დარჩენილი საქონლის და საოჯახო ქონების გასამრავლებლად იხატებოდა.

ადგომს ანუ აღდგომას ამ დღეს იმიტომ უწოდებდნენ, რომ სვანების რწმენით ლიფანალზე მიცვალებულები აღდგომის მსგავსად საფლავებიდან აღდგებოდნენ და თავიანთ სახლებში მიდიოდნენ სტუმრად. ამ დღისთვის ოჯახი ყველა ჭურჭელს კარგად დარეცხავდა და მთელი დღე არაფერს შეჭამდა, ვახშამზე კი ხორბლისგან დამზადებულ ფაფას – ჭანტს შეექცეოდნენ. საეკლესიო კალენდრის მსგავსად სვანებიც ამ დღეს მძიმე მარხვას ინახავდნენ.

ვახშმობამდე მიცვალებულებისთვის სამარხვო სუფრას შლიდნენ, რომელზედაც სანთლებს ანთებდნენ. ოჯახის უფროსი და მთელი ოჯახი, სუფრასთან იდგნენ. უფროსი ოჯახის ყველა გარდაცვლილს სახელობით ჩამოთვლიდა, ღმერთს მათ შენდობას სთხოვდა, მიცვალებულებს კი ოჯახში კარგი კვალის, ბედნიერების შეტანას. სთხოვდა, რომ ოჯახიდან არავინ წაეყვანათ. სამაგიეროდ მომავალ წელს უფრო უხვ სუფრას ჰპირდებოდა. ამის შემდეგ ოჯახის უფროსთან ერთად იჩოქებდა მთელი ოჯახი და ღმერთს სთხოვდა, მათი მიცვალებულებისთვის ცოდვები შეენდო. მეორე დღეს რომელიმე საკლავი იკვლებოდა. სუფრა მთელი ლიფანალის განმავლობაში, ყოველდღე საუზმის და ვახშმის წინ უნდა ეკურთხათ.

მიცვალებულების გაცილების დღეს, ორშაბათს მთელი ოჯახი დილით ადრე, გათენებამდე დგებოდა. ქალები ხორბლის ფქვილისაგან სხადასხვა ფორმის, ზომის და დანიშნულების პურებს აცხობდნენ. ხალხის რწმენით ამ პურებიდან ერთი კიბეს განასახიერებდა და კოჭლი მიცვალებულებისთვის ცხვებოდა, რათა მათ ამქვეყნად ჩამოსვლა გაიოლებოდათ, მეორე, ბავშვების რიტუალური პური, კვარცხლბეკი იყო, რომ მათ იმ ქვეყნად ზედ დადგომა და მაცხოვრის დანახვა შეძლებოდათ. მესამე პურის დანიშნულება უკვე აღარაა ცნობილი.

იშლებოდა სუფრა, რომელზეც სხვა საჭმელთან ერთად ხსენებული რიტუალური პურები, სასმელი და სანთლები იყო. ოჯახის წევრები მაგიდიდან მოშორებით დგებოდნენ, ოჯახის უფროსი კი მათ წინ. ამ დროს სამარისებური სიჩუმე იდგა. ხალხს სწამდა, რომ მაგიდასთან მათი მიცვალებულების სულები ისხდნენ. სიჩუმეს მხოლოდ ოჯახის უფროსი არღვევდა, რომელიც მიმართავდა სულებს და ეუბნებოდა, რომ მათ არ აჩქარებდა და სთხოვდა, ოჯახისთვის სიუხვე, ბარაქა,

ჯანმრთელობა არ მოეკლოთ, რომ სიკეთით დაბრუნებულიყვნენ ისევ მომდევნო წელს. თავის მხრივ კი პირდებოდა, რომ სააქაოს მყოფები შესთხოვდნენ იესო ქრისტეს, თავის ტრაპეზზე მათთვისაც მიეჩინა ადგილი. შემდეგ ოჯახის უფროსი მიდიოდა მაგიდასთან და იჩოქებდა. ასევე იჩოქებდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები. შემდეგ ყველა დგებოდა და პირვანდელ ადგილს უბრუნდებოდა. ოჯახის უფროსი კვლავ სახელებით იხსენიებდა გარდაცვლილ ახლო ნათესავებს და მათთვის შენდობას ითხოვდა. ახლა ისევ იჩოქებდნენ და შორეული ნათესავებისთვის ლოცულობდნენ, რის შემდეგაც ოჯახის უფროსი იღებდა მაგიდას, შუა ოთახში დგამდა და მიცვალებულებს იმ ქვეყნად დაბრუნებას სთხოვდა, ქრისტეს კი ევედრებოდა, არ დაესაჯა ოჯახი, არ წაეყვანა ოჯახის წევრი სააქაოდან, თან პირობას დებდა, მომავალ წელს ოჯახს უფრო გულუხვად ემასპინძლა. ბოლოს ოჯახის უფროსს მაგიდა ფეხაკრეფით გაჰქონდა გარეთ. მას ოჯახის სხვა რომელიმე წევრი წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა. ხალხის რწმენით, სულები ამგვარად ბრუნდებოდნენ თავიანთ სამყოფელში.

ლომისობა

ლომისის წმინდა გიორგი ერთ-ერთი უდიდესი სალოცავია საქართველოში. იგი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ლომისის მაღალ ქედზე მდებარეობს. ლომისობის დღესასწაული სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათს, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ დღესასწაულზე აღინიშნება (იხ. მცხეთისჯვრობა). აქ თავს იყრიდნენ მლოცველები ქსნისა და არაგვის ხეობის ყველა თემიდან და აღმოსავლეთ საქართველოს შორეული კუთხეებიდან.

ლომისის წმ. გიორგის მრავალი თქმულება და გადმოცემა უკავშირდება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ლეგენდა, რომლის მიხედვით ერთ-ერთი შემოსევის დროს მაჰმადიანებს 700 ქართველთან ერთად ნადავლის სახით მთიულეთის მთავარი ხატი, გზოვანას წმ. გიორგი წაულიათ, რის შემდეგაც მათ სამშობლოში გვალვა და შიმშილი დაწყებულა. სულთანს ხატი ანთებულ საკირეში ჩაუგდია,

მაგრამ ოდნავ შეტრუსული ხატი საკირედან ამოფრენილა და იქვე გაჩენილი თეთრი ხარის რქებზე დაბრძანებულა. ხარიც და ხატიც ადგილიდან მხოლოდ მაშინ დაძრულა, როდესაც სულთანს ყველა ქართველი ტყვე გაუთავისუფლებია. იქ, სადაც კი საქართველოსკენ მომავალ ხატს შეუსვენია, ხალხს ნიში აუგია. როდესაც ხარი ლომისას წვერზე ასულა, გამსკდარაო, – ამბობს გადმოცემა. ხატიც აქ დაფრენილა. ამის შემდეგ ამ ადგილიდან არაგვამდე ხალხი გაბმულა და მთის წვერზე ლომისას ტაძრის მშენებლობას შესდგომია. თავად ხარს ლომა რქმევია.

ლომისის სალოცავი

ლომისას ხატი ბურდულების საგვარეულო ხატიცაა და ამ გვარის დეკანოზები ლომისაში პირველობენ, უპირატესი ადგილი უჭირავთ. დღესასწაულზე დეკანოზი ხატს შვილიერებას, ნაყოფიერებას, მტრებზე გამარჯვებას და სხვას შესთხოვდა, რის შემდეგ იკვლებოდა საკლავი და იწირებოდა შესაწირი.

დეკანოზები ხატში ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. პირქვე გაწოლილ ავადმყოფს დეკანოზი ლომისას ხატს ანუ ჯვარს წელზე, თავზე და ბეჭებზე დაადებდა, ანუ მათზე ჯვარს გამოსახავდა და ბოლოს გადააბიჯებდა. ხატისგან დამიზეზებულები ანუ დაჭერილები ტაძარს ბამბის ან შალის ძაფს ახვევდნენ გარშემო, ფეხშიშველები ან ქალამნებამოცმულები უვლიდნენ გარს, სამკაულებს იხსნიდნენ და ტოვებდნენ ეკლესიაში. უშვილო ქალები შვილიერებას შესთხოვდნენ

და აკვნებს სწირავდნენ. ლომისის წყალობით შეძენილ ბავშვებს პირველად აქ აჭრიდა დეკანოზი თმას. ქალებს, რომლებსაც რძე არ ჰქონდათ, დეკანოზი ტაძრის კედლიდან გამოფხეკილ და წყალში გახსნილ კირს ასმევდა.

ლომისას „კარზე“ ცოცხლად უშვებდნენ ანუ მას სწირავდნენ მტრედებს და მამლებს. ის, ვინც ხატობაზე ვერ მიდიოდა, მარცვლის სახით პურის ანუ ხორბლის ზედაშეს ხატში წამსვლელს შესაწირის სახით ატანდა, ლომისას მტრედები ჰყავსო. ეს მარცვალი მათთვის უნდა დაეყარათ.

ლომისაში დღემდე ინახება საყოველთაოდ ცნობილი ლომისის ჯაჭვი. ვინ და რატომ მიიტანა ლომისაში ეს ჯაჭვი დანამდვილებით არ არის ცნობილი, თუმცა ამ სიწმინდეზე მრავალი გადმოცემა არსებობს. ამ გადმოცემათაგან ერთ-ერთი ლომისას ფერხისას ტექსტშია მოთხრობილი.

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია,
შაჰხედა ქალმა, შასტირა,
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია.
ლაშქრიდან გამოტანილი
შავგვრემანაის ყმისია.
ოქრო დაადნო, შაწურა,
ლომისის საკადრისია,
დაეხსენ, ჯანგმა შაჭამოს
ალბათ მაგისი ღირსია“.

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მიაჩნდათ რომ, თუკი ვინმეს რაიმე სურს შესთხოვოს ლომისის წმ. გიორგის ან აღთქმა უკვე დადებული აქვს, ამ ჯაჭვს კისერზე იდებს და ეკლესიას ლოცვით სამჯერ გარს უვლის. ლომისის წმინდა გიორგის ჯაჭვი თურმე განსაკუთრებით დასაოჯახებელ ახალგაზრდებს სწყალობს.

რიტუალების ბოლოს იმართებოდა პურობა და ლხინი.

როგორც ცნობილია, ლომისის წმინდა გიორგის მთავარი სალოცავი მაღალ მთაზე მდებარეობს (ზღვის დონიდან 2190 მ). მლეთე-

ლები ტრადიციულად, წესის მიხედვით, ყოველ ახალ წელს დეკანოზებთან ერთად, ხატებით, ჯვრებით, ფერხისას სიმღერით ლომისის წმ. გიორგის მთავარ სალოცავში ადიოდნენ და ლოცულობდნენ. ერთხელაც, როდესაც სალოცავიდან უკან ბრუნდებოდნენ, ხალხი ზვავში მოყოლილა და დაღუპულა.

ამის შემდეგ, 1876 წელს სოფელ მლეთაში ააშენეს ლომისის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მთავარი სალოცავის ნიშია. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ლომისის წმინდა გიორგის მთავარ სალოცავს ბერი ჰყოლია. ამ ბერს ლოცვით ლომისასთვის უთხოვია მლეთელებს გამოუჩინე ადგილი, სადაც თავისუფლად შეეძლებათ ახალ წელს ლოცვა და აღარ მოუწევთ მთაში ასვლაო. უნახავს ბერს, რომ მტრედები სალოცავის კირს ჰკენკავდნენ. უთქვამს ხალხისთვის, დაათვალიერეთ, სად არის ეს კირიო და ხალხსაც დღევანდელი მლეთის ეკლესიის ადგილზე მოგროვილი კირი აღმოუჩენიაო. ხალხური გადმოცემის მიხედვით ასე დაარსდა მლეთაში ლომისის წმ. გიორგი.

მ

მარიამობა

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი. მათ შორის ხალხში 15/28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება, მარიამობა გამოირჩევა. ეს ის დღეა, როდესაც წმინდა მარიამი იერუსალიმში გარდაიცვალა და თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული. ცოტა ხანში უფალმა იგი ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.

მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარიამობის მარხვა უძღვის. მარხვა მძიმეა და მას ხალხი დიდმარხვის ნაგლეჯს ეძახდა. მარიამობა მთელ საქართველოში დიდი უქმე იყო.

<u>რაჭაშიც</u> მარიამობა დიდი უქმე იყო. დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაშე ეჭირა, ილოცებდა და მარიამობის ძალსა და მადლს მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. სადილისთვის საკურთხის, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრას გააშზადებდნენ. საამისოდ 7 ყველიან ან ქონიან სულის პურს გამოაცხობდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, ქათამს. სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცხი, ლავაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, უნდა დაეკლათ ცხვარი, მეტი პურიც გამოეცხოთ და სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.

ლეჩხუმში როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, რაიმეთი მაინც გაიხსნილებდა. დიასახლისი დილით ადრიანად ეზოს ხვეტავდა, 3 სულის პურს აცხობდა, კლავდა ქათამს ან შაშხს ხარშავდა, ლავაშს აცხობდა, ჩამოქნიდა სანთლებს, რათა მიცვალებულებისთვის სუფრა წაედგა ანუ გაეშალა, რაც ამ დღისთვის აუცილებელი იყო. გაშლილ სუფრაზე დგამდნენ ღვინით სავსე ჭიქებს და დებდნენ ყველაფერ იმას, რაც ახალი შემოსული იყო. დიასახლისი ილოცებდა და „მარიამობის გამჩენ ძალას“ მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ლესინდის დღეობა იყო და აქ დიდძალი საქონელი იკვლებოდა. ერთხელ 20 ხარიც კი დაკლულა. ხარებს წვრილ საქონელსაც მიუმატებდნენ. სოფელში ამ დღესაც დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ. მოკეთეებს მაშინ ეპატიჟებოდნენ, თუ მათი სოფლის სალოცავს დღესასწაული არ ჰქონდა. იშლებოდა დიდი სუფრები, რომლებიც სამი დღე არ ლაგდებოდა. ხალხი ერთმანეთთან გადადიოდა სტუმრად, მხოლოდ ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ.

მარამობისთვის შეთქმულ საკლავს სალოცავში მიიყვანდნენ, მიიტანდნენ ჩამოქნილ სანთელს, ფულს და მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა.

სამეგრელოში მარიობას ანუ მარიამობას მარაშონას/მარაშინას ეძახდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეც იყო და ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღემდე ახალ ხილს ეზოშიც კი არ მოწყვეტდა. წინა საღამოს თხემლის ტოტებით დაჯვარვა იცოდნენ, ანუ თხემლის ტოტები მიჰქონდათ ყანაში და სხვაგან. ამ დღეს სამეგრელოში ის წესები სრულდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლდებოდნენ და მეორე სახსნილო დღეს ლხინს ხორცით აგრძელებდნენ. აღდგომიდან მოყოლებული ყოველ კვირას და უქმე დღეებში ხალხი მინდვრად გადიოდა მოსალხენად, რასაც ჯარობა ეწოდებოდა. მარიამობის ჯარობა იმ წელს ბოლო ჯარობა იყო.

გურიაში ამ დღეს თაგვმარიობას, ყვავმარიობას, ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ.

<u>კახეთში</u> მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი აწყურის წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. მლოცველი თეთრი გიორგის ეკლესიაში წინა დღეს, ზოგიც უფრო ადრე მიდიოდა. მლოცველები აქ მთელი კახეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან იყრიდნენ თავს. აქ დღესაც ბევრი ხალხი მიდის.

მლოცველები თავდაპირველად ეკლესიას მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდნენ. წინ მიდიოდნენ ქალები. მათ მამაკაცთა გუნდი მიჰყვებოდა. ორივე გუნდი რიგრიგობით გალობდა „დიდებას“: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“. საღამოს, როდესაც ზარს დარეკავდნენ, ხალხი ეკლესიასთან იყრიდა თავს. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, თავს იყრიდნენ მონა ქალები. მიაჩნდათ, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირჩევდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მონა ქალებს თეთრი თავსაფარი ჰქონდათ თავზე წაკრული, თეთრები ეცვათ, ფეხშიშვლები იყვნენ, ზოგჯერ მათ თეთრი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ჰქონდათ კისერზე. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უვლიდნენ გარშემო, გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისტავით ბამბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახვევდა. რომელიმე მონა ქალი კი ზოგჯერ შესასვლელი კარის წინ დაეცემოდა და მღვდელს, მლოცველს, ვისაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაებიჯებინა.

ღვთის მონა ქალები

ხალხს სალოცავში შესაწირი ცხვრები მიჰყავდა. დაკვლის წინ მიუყვანდნენ მღვდელს, რომელიც საკლავს სანთლით ბალანს

შეუტუსავდა, იტყოდა: „წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმრთო მონისა შენისა“ და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა. ისინი, ვისაც შეთქმული, დათქმული ჰქონდა შანას ტარება და ვადა უკვე გასვლოდათ, მიდიოდნენ ეკლესიის დიაკვანთან, რომელიც მათ შესაწირ საკლავს, საღმრთოს, ბალანს შეაჭრიდა და მონებს შანას შეხსნიდა. შანა მავთულის იყო, ჯაჭვის მაგივრობას სწევდა და მონას ყელზე ჰქონდა შემოხვეული.

<u>პირიქით ხევსურეთში</u> მარიამობა მხოლოდ არხოტში აღინიშნებოდა, ხოლო პირაქეთში - სათემო ჯვრებში. ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა და მარიამობა პატარა დღეობად მიაჩნდათ. ასევე იყო ფშავშიც.

<u>თუშეთში</u> მარიამობას ზოგან ლუდსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ ძირითადად სუფრა სახლში იშლებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარეზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სულებს. ისინი, ვისაც იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდნენ და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდნენ.

<u>გუდამაყარში</u> მარიამობას ხალხი ადგილობრივ ხატებშიც მიდიოდა და იქ აღნიშნავდა დღესასწაულს, მაგრამ ამ დღეს საერთო საგუდამაყრო სალოცავის, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობაა და ამიტომ ხალხი უმთავრესად იქით მიეშურებოდა.

ხალხის გადმოცემით პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ძმანი არიან. პირიმზე სოფელ ჩოხშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთშიო. თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში ექნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, საკლავი შაბათს უნდა დაიკლას.

ხალხი პირიმზეს ცის ნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახის. ვინც უნდა სთხოვოს, ყველას მშველელიაო. თურმე ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს არ უშვებდნენ სალოცავად. ფხიტურზე ყოფილა პირიმზე. ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევიაო. პირ-

იმზეს იახსრისთვის უთხოვია, მე თუ ვერ შევძელი კერპების დამარ-
ცხება, შენ დამეხმარეო, მაგრამ მათ თავადაც გამკლავებია.

მლოცველები პრიმზეში ღამისთევით მიდიან და მრავალი საკლავი (ცხვარი, კურატი) მიჰყავთ. დღემდე ხატში მიაქვთ ქადა-სანთელი. ხატში მისულ მლოცველს ქადა-სანთელი დეკანოზთან მიაქვს, რომელ-იც მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას ძველად მთლიანად მას უტოვებდნენ, ახლა სახლში მოაქვთ. ქადას სამწყალობნოს ეძა-ხიან. დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყველა საკლავის დაკვლაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. ყვე-ლა იქ მყოფი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, დეკანოზი საკლავს ანთებული სანთლით ბალანს შეუტუსავდა, დასტურები საკლავს ფე-ხებს დაუჭერდნენ, დეკანოზი ხანჯლით ყელს გამოჭრიდა, პატრონი კი ატყავებდა.

პირიმზეში გაჰყავდათ ბავშვები და ხატში მიბარების წესს ასრუ-ლებდნენ. ამჯერადაც ოჯახს დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი. დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა, ხოლო თუ გოგონა იყო, მარჯვენა ხელის გულზე.

ხატში ფერხისას ასრულებდნენ. ძველად იგი ორსართულიანიც იყო. ფერხისას ამგვარი ტექსტით მღეროდნენ:

„ჩვენი პირიმზის კარზედა
ხე ალვა ამოსულაო.
იმას დაუსხამს ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილაო“.

ამავე ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ლხინი, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადაპატიჟება.

ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. როდესაც პირველად ხატს ანუ ჩვეულებრივ ჯვარს* გამოაბრძანებდნენ, ეკლესიის კარის წინ ავადმყოფები პირქვე იყვნენ გაწოლილები. უხუცესი დეკანოზი (ხატში შეიძლება რამდენიმე დეკანოზი ყოფილიყო) ავადმყოფებს სამჯერ დროშის ტარით ჯვარს გადასახავდა. თავზე, წელზე და ორივე მხარზე ამ ტარს დააჭერდა, ავადმყოფს ცალი ფეხით წელზე შეადგებოდა, ახლა უკვე ფეხს აჭერდა და სამჯერ გადახტებ-გადმოხტებოდა. ამას ხატით გალახვას უწოდებდნენ. ამის შემდეგ დეკანოზი ჯვარს ლუდში ამოავლებდა და ამ ლუდს ავადმყოფს დაალევინებდა.

<u>ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲨᲘ</u> მარიამობა საერთო სათემო დღეობა იყო. იკვლებოდა საერთო სათემო საკლავი, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იშლებოდა.

<u>ᲮᲔᲕᲨᲘ</u> მარიამობა ცნობილი და ამ კუთხის მთავარი სალოცავის, გერგეტის სამების, დღესასწაულია. გერგეტში მარიამობაზე დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები მიდიოდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სტავროპოლიდან. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძნები და სხვები. წირვა-ლოცვის გარდა იწირებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომლებსაც დეკანოზი კლავდა. იმართებოდა დოღი.

ᲛᲐᲠᲮᲕᲐ

მარხვა არის პერიოდი, რომლის დროსაც იკრძალება ზოგიერთი საკვების მიღება. მარხვის მთავარი მიზანია, მორწმუნეს დაეხმაროს სულიერად განიწმინდოს და ღმერთს მიუახლოვდეს. მარხვა ადამიანს ფიზიკურადაც აჯანსაღებს, რაც ოდითგანვეა ცნობილი.

მართლმადიდებელი ეკლესია ოთხ მარხვას იცავს. ესენია: საშობაო (მას ძველად ფილიპეს მარხვასაც უწოდებდნენ), რომელიც 15/28 ნოემბრიდან 25 (7 იანვრამდე) დეკემბრამდე გრძელდება; დიდი მარხ-

---

* ჯვარს და ხატს მთაში სალოცავის გარდა თავად ჯვარსაც ეძახდნენ ხოლმე.

ვა, რომელიც 7 კვირას გრძელდება და აღდგომით სრულდება (აქედან 40 დღე იესო ქრისტეს მიერ უდაბნოში ორმოცდღიანი მარხვის, ხოლო ბოლო 1 კვირა მისი მიწიერი ცხოვრების ბოლო კვირის აღსანიშნავად იმარხულება); პეტრე-პავლობის მარხვა (სულთმოფენობის, სულიწმინდის გარდამოსვლის მერვე დღიდან, ორშაბათიდან იწყება და 29 (12.07) ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულით ხსნილდება) და მარიამობის (მიძინების) მარხვა, რომელიც 1(14) აგვისტოდან 15(28) აგვისტომდე გრძელდება და მარიამობის დღესასწაულით ხსნილდება.

ამათ გარდა, არსებობს ერთდღიანი მძიმე მარხვები: ნათლისღების წინა დღე, 5(18) იანვარი, იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე, 29 (11. 09) აგვისტო, ჯვართამაღლება, 14(27) სექტემბერი. წითელი პარასკევი, რომელიც ვნების კვირის პარასკევია და იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეა, გამოირჩევა მარხვის სიმძიმით. მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველი ოთხშაბათ-პარასკევი (მსგეფსის გარდა) მარხვის დღეებია.

ხალხის რწმენით, ზამთარი საშობაო მარხვით იწყება, რომელიც შემოდგომის გიორგობის (10/23 ნოემბერი) „დაურწყებისთანავე“ დგება, ანუ 28(15) ნოემბერს. საშობაო მარხვა როგორც ახლა, ასევე ძველადაც არ იყო მძიმე მარხვა, ვინაიდან ამ პერიოდში თევზის ჭამა შეიძლებოდა.

ჩვენამდე მოღწეული, ხალხში დაცული წესების მიხედვით, შობის მარხვა ცაზე პირველი ვარსკვლავის გამოჩენამდე უნდა ემარხულათ, რაც, როგორც ჩანს, დღესასწაულის დადგომას გულისხმობდა და სახარებისეულ ამბავს უკავშირდებოდა.

დიდმარხვა ყველიერის დასრულებისთანავე, ორშაბათიდან იწყება. იგი მძიმე და ყველასათვის სავალდებულო იყო. ქართლში მიაჩნდათ, რომ ვინც ამ მარხვას გატეხდა, მისი ოჯახი უბარაქო იქნებოდა. მარხვის წინ ყველა გულდასმით რეცხავდა ჭურჭელს. აკეთებდნენ ნაცრის პარკს (კახეთში, ზოგან ქართლშიც ნაცრის პარკის მაგივრად ხახვს იყენებდნენ), რომელზეც ამაგრებდნენ 7 ფრთას და ჰკიდებდნენ. ამ პარკს მარხვას ან ბობოლას ეძახდნენ. ყოველი კვირის გასვლის შემდეგ მარხვას/ბობოლას თითო ფრთას აცლიდნენ. თუ ბავშვი საჭმელს მოინდომებდა, მარხვას შეარხევდნენ და ამით აშინებდნენ.

დიდ მარხვაში თევზით ისევე, როგორც დღეს, ორჯერ იხსნილებდნენ: ხარებას, 25 (7.04) მარტს და ბზობას, აღდგომის წინა კვირას. ლაზარეს შაბათს (ბზობის წინა შაბათი) ხიზილალის ჭამა შეიძლებოდა.

<u>ხევსურეთში</u>, <u>თუშეთსა და ხევში</u> აღდგომის წინა ღამეს, დიდ შაბათს, ბავშვებმა მარხვის გოდრის დაგორება ანუ მარხვის ჩატკეცა იცოდნენ.

<u>თუშეთში</u> ბავშვები ძველ გოდოროს მონახავდნენ, პირუტყვის ბაგიდან ამოყრილ ჩალა-თივით გაავსებდნენ, გაიტანდნენ გარეთ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და დააგორებდნენ, თან მისდევდნენ და ჯოხებით სცემდნენ, შემდეგ ქვებს ესროდნენ. ასევე იცოდნენ ხევსურეთში, სადაც ამ დღეს მარიამწმინდობას ეძახდნენ.

<u>ხევში</u> ბავშვები სახლში ჩამოკიდებულ მარხვას ჩამოხსნიდნენ, ფეხს ამოკრავდნენ, ჯოხს ურტყამდნენ და იძახდნენ: მარხვა გაჩანჩალდაო, ხსნილი მე დამრჩაო, ყველ-ერბო მე დამრჩაო.

პეტრე-პავლობის მარხვა იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულს და მათთან ერთად წმინდა პავლეს უკავშირდება. წმინდა პეტრეს თავდაპირველი სახელი სიმონი იყო. ქრისტემ სიმონი თავისი მოწაფეების, მოციქულების მწყემსად დანიშნა და დაარქვა პეტრე, რაც კლდეს ნიშნავს. წმინდა პავლეს თავდაპირველად სავლე ერქვა. იგი წარმართი იყო და ქრისტიანებს სასტიკად დევნიდა. დამასკოში მიმავალ გზაზე მას იესო ქრისტე გამოეცხადა, რის შემდეგაც სავლე მოექცა და გახდა პავლე.

მარიამობის მარხვა ღვთისმშობლის მიძინებას ანუ გარდაცვალების დღეს ეძღვნება. ეს მარხვაც დიდმარხვის მსგავსად მძიმე მარხვაა. იკრძალება თევზის ჭამა. თევზით ხსნილი მხოლოდ ფერიცვალებას, 6/19 აგვისტოსაა. ამ მარხვას ხალხი დიდმარხვის ნაგლეჯს ეძახდა.

მგლის უქმე

მგელს საქონელი რომ არ შეეჭამა, დიდმარხვის პირველ შაბათს ხევში, თუშეთში, ფშავში მგლის უქმეს იცავდნენ.

<u>ხევში</u> მგლის უქმეზე გააკეთებდნენ მოგრძო ცომს და ერთ ბოლოში წაუჭერდნენ ხელს, ვითომ თავიაო. ეს იყო მგლის გამოსახულება. ცომს პირში ქვას ჩაუდებდნენ, ვითომ ეს ქვა ჭამე საქონლის ნაცვლადო. კვერს რომ გამოაცხობდნენ, ჩააგდებდნენ წყალში და იტყოდნენ: „წელს ეს ჭამე და კლოვ ქვა ჭამე“. წყალში გადაგდების ნაცვლად ზოგჯერ ბავშვები მგლის პურს ჩხვლეტავდნენ ან თავს აჭრიდნენ.

<u>მთიულეთ-გუდამაყარში</u> მგელთ უქმე შუა მარხვაში იცოდნენ, რიტუალი კი აღწერილის მსგავსი იყო, მხოლოდ აქ „მგელს“ ანუ გამომცხვარ საწესო პურს აგურის ნატეხებს უდებდნენ „პირში“. ამ პურს ბაგაზე მიიტანდნენ და დანაყავდნენ: ჩვენს ძროხებს ნადირის პირი აშოროსო, მგელს პირი ეგრემც დაენაყებაო. ზოგმა გამომცხვარი კვერის დათოფვა (სიგრძეზე დაჩხვლეტა) იცოდა, რომ მგელს საქონლისთვის არ ევნო.

<u>თუშეთში</u> მგელთშაბათი უქმე იყო და ზოგადად საქონლის მავნებელი ცხოველებისა და ადამიანების ავი თვალის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. მკაცრად იკრძალებოდა ნებისმიერი რკინის იარაღის ხმარება, მათ წინა დღით მალავდნენ.

ამ დღესვე იცოდნენ მგელჯიხვაობა. უფუარი ცომისაგან ყველა აცხობდა მგელჯიხვაობის ბაკუკაებს, მგლის და ჯიხვის იმდენ გამოსახულებას, რამდენი ვაჟიშვილიც ჰყავდათ ოჯახში. შუადღეს ბაკუკაები სოფლის საანჯმოში ანუ თავშეყრის ადგილზე მიჰქონდათ და გარკვეული მანძილიდან ბავშვები ისრებს ესროდნენ. ვინც რას მოარტყამდა, მას ის ერგებოდა. თუ ვინმეს იმ წელს ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, ადამიანის ფორმის გამომცხვარი სულის ბაკუკა გაჰქონდა. ვინც ამ რიტუალურ პურს ისარს მოარტყამდა, მისი მშობელი არაყს გამოიტანდა და იქ მყოფ უფროსებს მიცვალებულის სულის შესანდობარს ათქმევინებდა.

<u>ფშავშიც</u> ამ დღეს მგელთუქმეს იცავდნენ. დიასახლისი აიღებდა სანაყ ქვას – გურცს, სავარცხელს და დედაბოძს მიაკრავდა – მგელი დაიხუთებაო, თან მუგუზალსაც დაახლიდა – მგელს პირი დაეთუ-

თქებაო. ამავე მიზნით ზოგი კეცზე ცერცვს მოხალავდა. აცხობდნენ მგლის სახის მგელთკვერს, რომელსაც თვალებს შავი ცერცვისაგან ან ნახშირისაგან უკეთებდნენ. ზოგი კვერს წნელის მაგვარ რაიმეს შეაბამდა, თითქოს მგელი დაბმულიაო. ამ კვერს ბავშვები სამიზნედ აყენებდნენ და ისრებს ესროდნენ, შემდეგ კი ჭამდნენ. ვინც პირველი მოარტყამდა, იტყოდა: მგელი მოვკალიო. ამის გარეშე კვერის ჭამა მგლის გამარჯვებას ნიშნავდა.

მეისარობა/მეისარობ/მეისარიბ/მირსობა

ნათლისღების მომდევნო შაბათის სწორზე მთელ დასავლეთ საქართველოში მეისარის/მოისარის დღე იყო.

<u>სვანეთში</u> მეისარიბ/მეისაროობ მხვედველობასთან, თვალის სიჯანსაღესთან დაკავშირებული დღე იყო. ქვემო სვანეთში კლავდნენ მამალს, რომელიც მხოლოდ ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. შუა ცეცხლიდან ნაცარს ამოიღებდნენ, შეუბერავდნენ და ღმერთს თვალის სინათლეს სთხოვდნენ: ღმერთო, კარგი მხედველობა მომეციო.

<u>რაჭაში</u> მეისარობა ქალების უქმე იყო. სახადის, ყოველგვარი სენის თავიდან ასაცილებლად საღამოთი წითელ, სავაჟო ყვინჩილას დაკლავდნენ. ოჯახის მამაკაცებს ჯერ კიდევ ცოცხალ წითელ ყვინჩილას თავზე შემოავლებდნენ და იტყოდნენ: „მომირთმევია ეს ყვინჩილა და განატეხი თავი – თავის მაგიერ, ტანი – ტანის მაგიერ, ფეხი – ფეხის მაგიერ“. ყვინჩილა იწვებოდა, მხოლოდ თავ-ფეხი იხარშებოდა. ქალი გამზადებულ ყვინჩილასაც შემოავლებდა მამაკაცებს, ილოცებდა და ყვინჩილას თავ-ფეხს და შიგნეულს შეჭამდა. დანარჩენის შეჭმა კაცებსაც შეეძლოთ. სწორედ ამ დილიდან იწყებოდა ბოსლობის კვირა. ამავე ღამეს აცხობდნენ 2 ძალიან პატარა კოკორს. ერთ მთელ კვერცხს და 2 კოკორს უფროსი ქალი თვალებზე წაისვამდა და იტყოდა: „აგვაშორე სიწითლე, კლირწი, ხლირჩი, დაგვიფარე ფერჩხისაგან, შეიწირე ჩვენი თვალებისაგან“. ამ კოკრებს შორს გადაისროდა, რომ მათ თვალების სნეულება გაჰყოლოდათ.

<u>ლეჩხუმში</u> მეისრობა დიდი უქმე და თვალების სალოცავი დღე იყო. დიასახლისი ოჯახის წევრებისათვის კურკუშელებს (პატარა პურის რგოლები) აცხობდა. ოჯახის წევრები ამ კურკუშელებს თვალებში ამოისვამდნენ და ილოცებდნენ. ამის შემდეგ, დიასახლისი მათ უმ კვერცხს მისცემდა, რომელსაც თვალში ამოისვამდნენ და იტყოდნენ: „ასე კვერცხივით ამყოფე ჩვენი თვალებიო“. ამ დღეს განსაკუთრებით ქალები უქმობდნენ.

<u>სამეგრელოში</u> მირსობა/ნირსობას დიდმარხვამდე დაახლოებით 24 დღით ადრე დღესასწაულობდნენ. ამ დღეს დაკლული ომირსე ანუ სამირსე ღორით და ორ-ორი მოხარშული კვერით თვალის სინათლისთვის ილოცებდნენ.

<u>გურიაში</u> მოისარობა ყველიერამდე 3 კვირით ადრე, შაბათს იცოდნენ. მოისარი თვალის ჩინის მფარველი იყო. ამ დღეს არ უქმობდნენ. ოჯახის დიასახლისი სიმინდის ფქვილისაგან აკეთებდა ცომს და ყველასათვის აცხობდა ორ პატარა რიტუალურ პურს. ამ პურებს ოჯახის წევრებს თვალებზე უსვამდა და მოისარს და ღმერთს თვალების სიჯანსაღეს შესთხოვდა. ამის შემდეგ ცომის ნაგლეჯებს წყლიან ჭიქაში აგდებდა, ლოცვის დამთავრების შემდეგ კი ცომიან წყალს ასხამდა სუფთა წყალში. დროის მონაკვეთს მოისარობიდან ბოსლობამდე ბოსლობის კვირა ეწოდებოდა.

მირქმა

2/15 თებერვალს ეკლესია აღნიშნავს მირქმას (მიგებებას) ანუ ტაძრად მიყვანებას უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა და მართალმა იოსებმა განწმენდის წესის აღსასრულებლად 40 დღის იესო ტაძარში მიიყვანეს. ქალი, რომელიც ბავშვს გააჩენდა, 40 დღის განმავლობაში უწმინდურად მიაჩნდათ და მეორმოცე დღეს ახლაშობილთან ერთად ეკლესიაში უნდა მისულიყო, სადაც სასულიერო პირს საგანგებო წესი უნდა შეესრულებინა. ამ წესის შემდეგ ქალს ჩვეულებრივად შეეძლო ტაძარში სიარული.

იესო ქრისტესთან დაკავშირებით ეს წესი სვიმეონ მიმრქმელმა შეასრულა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, სვიმეონ მიმრქმელი იყო იმ 70 მთარგმნელთაგანი, რომლებმაც ეგვიპტის მეფის, პტოლომეოსის თხოვნით ბიბლია ბერძნულ ენაზე თარგმნეს და რომლებიც ეგვიპტეში ამ საქმისთვის იუდეველმა მღვდელმთავარმა ელიაზარმა გააგზავნა. პტოლომეოსი საკუთარი ბიბლიოთეკისთვის სხვადასხვა ხალხის წმინდა წიგნებს აგროვებდა, ამისთვის კი მათ ჯერ ათარგმნინებდა.

ბიბლიის თარგმანის შესრულებისას წმინდა სვიმეონს ის ადგილი შეხვდა, სადაც ბიბლია (წინასწარმეტყველ ისაიასთან) იუწყება, რომ ქალწული შობს მაცხოვარს. მართალი სვიმეონი დაეჭვდა და, როგორც გადმოცემა გვეუბნება, გადაწყვიტა, ჩაესწორებინა ეს ადგილი. მაშინ წმინდა სვიმეონს სულიწმიდისგან ეუწყა, რომ მანამ არ გარდაიცვლებოდა, სანამ მაცხოვარს არ იხილავდა. ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 270 წლით ადრე. იმავე საეკლესიო გადმოცემის მიხედვით სვიმეონმა 360 წლამდე იცოცხლა. როდესაც წმინდა მარიამმა და წმინდა იოსებმა ორმოცი დღის ქრისტე ტაძარში მიიყვანეს, სვიმეონმა იცნო იესო ქრისტე, აიყვანა ხელში და თქვა: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა“. ეს სიტყვები ეკლესიამ მწუხრის მსახურებაში ძველთაგანვე შეიტანა და დღემდე შემოინახა. წმინდა სვიმეონმა ასევე განჭვრიტა იესო ქრისტეს ჯვარცმა და ღვთისმშობელს უწინასწარმეტყველა, რომ მის გულში მახვილი გაივლიდა.

ამ დროს წმინდა სვიმეონთან ერთად 84 წლის მართალი ანაც იყო. იგი შვიდწლიანი ქორწინების შემდეგ დაქვრივდა და ლოცვითა და მარხვით ემსახურებოდა ღმერთს, რისთვისაც უფალმა წინასწარმეტყველების უნარით დააჯილდოვა. წმინდა ანამ მართალი სვიმეონის სიხარული გაიზიარა და ამ ამბავს იერუსალიმის ტაძრის გარეთაც ახარებდა იმათ, ვინც ელოდა მაცხოვარს და ვინც ღირსი იყო ამ ამბის მოსმენისა. ეკლესია წმინდა სვიმეონ მიმრქმელს და მართალ ანას მირქმის მეორე დღეს მოიხსენიებს.

სვანეთში, იმერეთსა და გურიაში მირქმა ლამპრობ (ნამპრობ), ლიმპარიელის სახელითაა ცნობილი. ქვემო სვანეთში იგი ჩიტების, ხოლო გურიაში - ეშმაკების საწინააღმდეგო დღედ იყო მიჩნეული. კალოზე ლამპრით ანთებდნენ ცეცხლს. ლამპრით კუდიანებს ერეკებოდნენ. ცეცხლის დანთება განსაკუთრებით სოფელ აცანაში იცოდნენ. ლამპარი იყო რკინის ჯოხზე ან რაიმე მაგარზე წამოცმული ბლის ქერქი. ლამპარს უხუცესი აკეთებდა და ბავშვებს აჭერინებდა.

სვანებს კუიმტარს (ახალი წლის მეორე დღეს) სახლში მუხისა და წიფლის ტოტები მოჰქონდათ, აკეთებდნენ კონებს, ე.წ. ნამპარებს, რომლებსაც ვახშმობის დროს სხვენზე შეყრიდნენ და დღეობა სუიმნობისა და ლამპრობისთვის ინახავდნენ. მირქმას ლამპრობას, სვიმნობს და ნამპრობსაც ეძახდნენ. სვიმნობას, ვისაც მიცვალებული ჰყავდა, ახალ დაღამებულზე საფლავზე წავიდოდა და იქ კოცონს დაანთებდა, სასმელითა და ტკბილით მოიხსენიებდა მათ სულებს. ზოგიერთ სოფელში კოცონის ნაცვლად ლამპარი მიჰქონდათ. აღდგომის მსგავსად ამ დღეს ოჯახის ერთი წევრი მაინც საფლავზე უნდა გასულიყო. ოჯახში სვიმნობის საღამოს სუფრა მზადდებოდა და ზედ სანთელი ენთებოდა. სუფრაზე პური და საჭმელი ცოტათი უნდა გადაეადგილებინათ, მოეტრიალებინათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითქოს საჭმელს მიცვალებულს ატანდნენ ან მიართმევდნენ. ის ოჯახი, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა და გარდაცვალებიდან წელი ჯერ არ იყო გასული, ამ საღამოს სტუმრებს ეპატიჟებოდა.

მეორე დღეს დილით ადრე ბავშვები და უფრო მოზრდილები პატარა ანთებულ ლამპარს მეზობლის ან ნათესავის კარში შეაგდებდნენ შეძახილით: „ზავემ ჯეჩეჩხ“ ანუ „მოსავლიანი წელი დაგეჯახოთ“. ლამპრის შემგდებები გაიქცეოდნენ, მასპინძელი მათ დაედევნებოდა და სახლში შემოიყვანდა, დაუცხობდა ხაჭაპურებს და უმასპინძლდებოდა.

თუშეთში ამ დღეს ბაშინურთ უქმეს ეძახდნენ და მკაცრად უქმობდნენ.

მცხეთისჯვრობა

ქართული საისტორიო წყაროს „ქართლის მოქცევის“ მიხედვით მცხეთის გადაღმა შეუვალ ბორცვზე მარადმწვანე, დიდებული, სურნელოვანი ხე, ალვა იზრდებოდა, რომლის ფოთლებითა და ნაყოფით დაჭრილი ცხოველები იკურნებოდნენ.

ქართლის პირველმა ეპისკოპოსმა იოანემ ეს სასწაულმოქმედი ხე მოაჭრევინა. ხე ხელით ჩამოაბრძანეს სვეტიცხოველში, სადაც 37 დღე დაჰყო. ამის შემდეგ ხისგან ჯვრები გამოთალეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოჭრილი ხე ისევ ჰყვაოდა. ღვთაებრივი მითითებით, სვეტიცხოვლის თავზე დამდგარ ვარსკვლავთა გვირგვინს სამი ვარსკვლავი გამოეყო, რომელთაგან ერთ-ერთი მცხეთის გადაღმა ბორცვზე დაეკიდა. წმ. ნინო, ეპისკოპოსი, მეფე, ხალხი ლოცვით გაემართნენ ბორცვისაკენ, სადაც ღმერთის განგებით ჯვარი უნდა აღემართათ. ბორცვზე ასვლის შემდეგ წმ. ნინომ ეპისკოპოს იოანეს ერთ ქვაზე მიუთითა, რომელზედაც აღიმართა ჯვარი და მას მცხეთის ჯვარი ეწოდა. საისტორიო წყაროდან ცნობილია, რომ მცხეთის ჯვრის აღმართვისას კერპები დაეცნენ მთელს „საზღვარსა ქართლისასა“, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ამავე ჯვარმა დიდი სასწაული დაანახა „ყოველი ქართლის“ მოსახლეობას: სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათს მცხეთის



მცხეთის ჯვარი

ჯვარს ცეცხლოვანი ჯვარი დაადგა, რომელიც სურნელებას მთელ არე-მარეზე აფრქვევდა.

მოგვიანებით, VII ს-ში ჯვრის ადგილას აიგო ეკლესია, ხოლო თავად ჯვარი ამ ეკლესიაში მოექცა. მას მცხეთის ჯვრის ეკლესია ეწოდა. მცხეთის ჯვარი პირველი ეროვნული, ქართული ტაძარია ხუროთმოძღვრული, არქიტექტურული თვალსაზრისით, მისი დღესასწაული კი საქართველოს ეკლესიის უმთავრესი ეროვნული დღესასწაული გახდა.

მცხეთის ჯვრის დღესასწაულთან შემდეგი თარიღებია დაკავშირებული: 1/14 მაისი, როდესაც ხიდან ჯვრები გამოითალა; 7/20 მაისი, როდესაც გამოთლილი სამი ჯვარი სვეტიცხოველში აღიმართა და ღვთის განგებით გაირკვა, სად უნდა დაედგათ ეს ჯვრები; აღდგომიდან მესამე კვირა, როდესაც ჯვარი აღიმართა იქ, სადაც დღეს მცხეთის ჯვრის ეკლესიაა; მეოთხე თარიღია სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათი, როდესაც მცხეთის ჯვარი დიდი სასწაულებით განდიდდა. სასწაული იმდენად დიდი და საკვირველი იყო, რომ ამ დღემ მცხეთის ჯვრის დღესასწაულებს შორის წამყვანი ადგილი დაიკავა. მცხეთის ჯვრის დღესასწაული სტეფანოზ II-საც დაუწესებია. ეს დღე მცხეთის ჯვრის კრება იყო და ყოველ პარასკევს იმართებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მცხეთის ჯვრის სახელზე მორწმუნეები ყოველ პარასკევს ეკლესიაში იკრიბებოდნენ. მცხეთის ჯვრის დღესასაწაული აღდგომიდან მერვე დღეს ანუ კვირაცხოვლობის ორშაბათსაც აღინიშნებოდა.

ფიქრობენ, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარს გუმბათის ცაში ჯვრის გამოსახვის ტრადიციისთვის უნდა დაედო სათავე. ტაძარს გუმბათის ცაში ჯვრის გამოსახვის ტრადიცია ქართული საეკლესიო ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია. ასევე ფიქრობენ, რომ მცხეთის ჯვრის დღესასწაულის დაწესება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას უკავშირდება.

მცხეთის ჯვრის დღესასწაულებს მრავალი ცნობილი ხალხური დღესასწაული უკავშირდება: ლომისობა (სულთმოფენობის ოთხშაბათს. იხ. ლომისობა), სოფელ ქვემოჭალის (ქართლი), ჯვარპატიოსნობა (სულთმოფენობის ოთხშაბათი), ჭვენიერობა (იხ. ჭვენიერობა. სამეგრელო), იანეთობა (იმერეთი. აღდგომიდან მერვე დღე), ქაშ-

ვეთობა (აღდგომდან მესამე კვირა) და სხვა მრავალი. ეს დღესასწაულები ათვდაპირველად მცხეთის ჯვრის დღესასწაულები იყო, მოგვიანებით კი წმ. გიორგის სახელს დაუკავშირდა.

კვირაცხოვლობის ორშაბათს, აღდგომიდან მერვე დღეს ხალხი იმერეთში სოფელ იანეთში დღესასწაულობდა. იანეთის შუაში პატარა ტყე ყოფილა, რომელსაც ძალის კვირის ტყეს ეძახდნენ. ძველად ამ ტყის შუაგულში დიდი სიპის ქვა იდო. ქვაზე ჯვარი იყო ამოჭრილი და მას ძალის ჯვარის ქვა ერქვა. ქვის სიგრძე 2 ადლი (ოთხი-ხუთი მტკაველი) იყო, სისქე ნახევარი ადლი. ქვა სასწაულმოქმედი ყოფილა. მასზე თურმე ზამთარში ხავსი ჩდებოდა, ზაფხულში კი უხავსოდ იყო. ხალხის თქმით, ვინც იმ ტყეში ხეს მოჭრიდა, ან ხელი გაუხმებოდა, ან თვალის სინათლე წაერთმეოდა და ასე დასჯილი მანამდე იქნებოდა, სანამ ქვასთან სანთლებს არ მიიტანდა და ცოდვების მისატევებლად მუხლმოდრეკილი არ ილოცებდა. ადგილობრივი სასულიერო პირების განკარგულებით და შემწეობით მოსახლეობას ქვის სოფელთან მდებარე ღვთისმშობლის ტაძარში გადაბრძანება გადაუწყვეტია. ერთ დღესაც ხარებით, ღონიერი მამაკაცების დახმარებით შეეცადნენ ჩანაფიქრის განხორციელებას, მაგრამ ქვა ვერ დაძრეს. კიდევ ორმოცი კაცი მიიყვანეს და რის ვაივაგლახით წაიღეს და ეკლესიაში დაასვენეს. ხალხის თქმით, ვინც კი ძალის ჯვრის ქვას ხელი ახლო, ყველა ავად გამხდარა. ეკლესიაში ქვის გადატანის მოთავე და რამდენიმე გადამტანი დაღუპულა, ხარებიც მეორე დღესვე დახოცილან. შეშინებია ხალხს, ძალის ჯვრის ძალა ჩვენც დაგვხოცავსო. ქვის ძველ ადგილზე დასაბრუნებლად იმდენივე კაცი მისულა რამდენსაც ეკლესიაში წაუღია, მაგრამ მომხდარა საოცრება. ამ საქმისთვის სულ ოთხი კაცი აღმოჩენილა საკმარისი. ამ სასწაულის შემდეგ იანეთელებს საკვირველი და სასწაულმოქმედი ქვის მოლოცვა დაუწესებიათ და ამისთვის ახალკვირის ანუ კვირაცხოვლობის მეორე დღე, ორშაბათი აურჩევიათ. ამ დღეს სოფლელები სტეფიანეობას უწოდებდნენ.

სოფლის მოსახლეობას ქვასთან მიჰყავდა რამდენიმე ღორი, მიჰქონდა სურსათ-სანოვაგე, ღვინო, სანთლები, ხურდა ფული, ირჩევდა რომელიმე მამაკაცს, რომელსაც ხატის კაცს ეძახდნენ. ხატის კაცს

ყველა მლოცველი სათითაოდ პურის პატარა კვერს, ჭიქა ღვინოს, თაფლის სანთელს აძლევდა. ხატის კაცი ამ ყველაფერს ხელში იჭერდა და შემომწირველს ლოცავდა: ღმერთო! კეთილად მოუხდინე დღევანდელი მოლოცვა და ამ კაცს და მის ოჯახში მყოფიარეს შინ და გადაღმაო.

ხატის კაცი ყველას რომ დალოცავდა, იქ მყოფები ეკლესიის ბაირაღებით ქვას შემოუვლიდნენ, თან გალობდნენ და „ყვიროდნენ“: კირიალესოოოხოო, კირიალესოოოხოო. შეგროვილ კვერებს იანეთელები ბავშვებს გადაუყრიდნენ და ისინიც გახარებულები ბოჭავდნენ. ფული და სანთელი ქვასთან რჩებოდა. რიტუალის შესრულების შემდეგ იმართებოდა ჯარობა: ბურთის თამაში, ცეკვა, ქეიფი.

მლოცველი იანეთში სხვა სოფლიდანაც მრავალი მიდიოდა. 1896 წელს ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ ქვა მიწაში დამარხეს. ამ ამბავს იმ წელს ექვსთვიანი დიდი გვალვა მოჰყოლია. ხალხის აზრით, ეს ქვის დამარხვის გამო მოხდა. ქვა ამოიღეს და თავის ადგილზე დადეს. წვიმა იმავე დღეს მოსულა.

საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ქაშვეთის სახელობის ეკლესიებია, ტაძრის დღესასწაული - ქაშვეთობა - აღდგომიდან მესამე კვირას აღინიშნება. მაგალითად რაჭაში, სოფ. საკაოში ქაშვეთის სახელობის მთავარმოწამის ანუ წმ. გიორგის ეკლესიაა, რომელსაც მთხროობლის თქმით აღდგომიდან მეთოთხმეტე დღეს, ანუ აღდგომიდან მესამე კვირას აქვს დღეობა. ქაშვეთობაზე აუცილებლად მიჰქონდათ სანთელ-განატეხი, ხოლო ვისაც შეთქმული ჰყავდა, მიჰყავდა ხბო, ცხვარი. განატეხი ნიგვზიანი, ერბოიანი ან ხაჭოიანი კეთდებოდა. ღორის ხორციც და ქონიც იკრძალებოდა. ამ ყველაფერს სხვა სანოვაგესაც მიაყოლებდნენ. რა თქმა უნდა, ღვინოს წაიღებდნენ. დიდება ღვინისგან წარმოიშვებაო, ანუ ღმერთის სადიდებლად ღვინო აუცილებელიაო, - ამბობს ხალხი.

პირველად ეკლესიაში რომ მივიდოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, საკლავს ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ, სანთელს აანთებდნენ, საკლავს ბეწვს სანთლით შეუტრუსავდნენ, მზის ჩასვლამდე სახით აღმოსავლეთისკენ დააყენებდნენ და დაკლავდნენ. ვინც კლავდა, ისიც პირით აღმოსავლეთისკენ დგებოდა. განატეხს და სანთელს

ეკლესიაში შეიტანდნენ, ხატთან დადგებოდნენ, განატეხს მარჯვნიდან შემოატრიალებდნენ და გაჭრიდნენ. როდესაც სუფრასთან სხდებოდნენ, პირველ სადღეგრძელოდ სალოცავს ახსენებდნენ, რასაც მოჰყვებოდა სიმღერა წმ. გიორგიზე, რომელსაც მაყრულს ეძახდნენ:

„წმინდა გიორგი ცხოველო,
შენ შეგვეწიე, დაგვლოცე.
წმინდა გიორგი ცხენსა ზის
ლურჯა, ჭარმაგსა.
ხელში უჭირავს მათრახი
ოქრო უგია ტარადა“.

სუფრასთან იმართებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა.

6

ნათლისმცემლობა

24 (7. 07) ივნისს ეკლესია იოანე ნათლისმცემლის შობას აღნიშნავს. წმიდა იოანე ნათლისმცემელი იყო წინასწარმეტყველი. იგი ხალხს მესიის მოსვლას უწინასწარმეტყველებდა, ცოდვების მონანიებისაკენ მოუწოდებდა და წყლით ნათლავდა. მან მონათლა იესო ქრისტე იორდანეში (იხ. განცხადება).

<u>ლეჩხუმში</u> ამ დღეს ივანობას ეძახდნენ და ე.წ. ღომის ლოცვა იკოდნენ. აუცილებლად გამოაცხობდნენ ღომის სალოცავ ტაბლას (რიტუალურ პურს) - ერთ ნიგვზიან ან ყველიან ტაბლას, როემლსაც ღომის ყანაში წაიღებდნენ და ილოცებდნენ: „ღომის გამჩენო ძალა, შენ დეიფარე ჩვენი ღომი ჩიტის დაჩიჩქნისაგან, ჭირისაგან“. ტაბლას წაღმა შეატრიალებდნენ და იქვე ყანაში შეჭამდნენ. მამაკაცებს ღომის სალოცი არ ეჭმებოდათ. ეს წესები მას უნდა შეესრულებინა, ვისაც ღომი ეთესა, დანარჩენები კი უქმობდნენ.

<u>კახეთში</u> ამ დღეს ნათლისმცემლობას დღესასწაულობდნენ. ხალხი იოანე ნათლისმცემელს ნათლობის შემოღებას უკავშირებდა. ამასთანავე იგი ექიმად, ყოვლის მშველელად ჰყავდათ წარმოდგენილი. მიდიოდნენ ეკლესიაში, კლავდნენ საკლავს.

ნიკოლოზობა

ნიკოლოზობა წმინდა ნიკოლოზისადმი მიძღვნილი დღესასწაულია.

მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი და საკვირველმოქმედი წმინდა ნიკოლოზი IV ს-ის უდიდესი საეკლესიო მოღვაწეა. სახელი გაჭირვებულთა და განსაცდელში მყოფთა შეწევნით, ავადმყოფთა კურნებით გაითქვა. იყო გამორჩეული მმარხველი. ცნობილია, რომ იგი ნიკეის I მსოფლიო კრების აქტიური მონაწილეა, სხვა დიდ საეკლესიო მამებთან ერთად ამხილა არიოზის* მწვალებლური მოძღვრება და მის დაგმობაში მიიღო მონაწილეობა. წმ. ნიკოლოზმა ღრმა მოხუცებულობამდე დიდი პატივით იცხოვრა.

მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნიკოლოზს 6/19 დეკემბერს მოიხსენიებს.

ნიკოლოზობას <u>რაჭასა</u> და <u>ლეჩხუმში</u> ზოგან უქმობდნენ, ზოგან კი არა. ამ დღესთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ წეს-ჩვეულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

<u>აღმოსავლეთ საქართველოში, თუშეთში</u> ნიკოლოზობას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ჩასახვის დღეს (იხ. იანაშ/იანობ) 9/22 დეკემბერს, აღნიშნავდნენ. თუშები 6 და 9 დეკემბერს მზის მობრუნებას უკავშირებდნენ. მათი წარმოდგენით 6 დეკემბერს მზე ბუდეში ჩაბრძანდებოდა. თუ მას ბატკანი დახვდებოდა, სამი დღე დარჩებოდა და 9 დეკემბერს ამოვიდოდა. თუ გველი დახვდებოდა, იმდენზე გადახტებოდა, რამდენზეც სამი დღის ბატკანს შუძლია. 9/22 დეკემბერს, მზის ბუდიდან ამოსვლის დღეს, ყველა ოჯახი მზისთვის შლიდა სუფრას და მზის სადიდებელს ამბობდა.

---

* არიოზის ცრუ სწავლების მიხედვით ქრისტე მამა ღმერთისგან შობილი კი არა, არამედ შექმნილი იყო. თითქოს, იესო ქრისტე სრული ღმერთი, მამა ღმერთთან ერთი არსების მქონე, არ იყო.

ნინოობა

ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი წმ. ნინო წარმოშობით კაბადოკიელი იყო. გადმოცემის მიხედვით ასევე კაბადოკიელი წმ. გიორგი მისი ბიძაშვილი ყოფილა. წმ. ნინოს მამა – წმ. ზაბულონი იყო მეომარი და ბრანჯთა (ფრანგთა ერთ-ერთი ტომი) გამაქრისტიანებელი, დედა - სუსანა იერუსალიმის პატრიარქ იუბენალის და. წმ. ნინოს მშობლებმა გადაწყვიტეს, ღმერთისთვის მიეძღვნათ თავი და საერო ცხოვრებას გარიდებოდნენ. მათ წმ. ნინო აღსაზრდელად ბიძას, იუბენალს დაუტოვეს. პატრიარქმა დისწული დვინელ მიაფორს (ტაძრის მეთვალყურეს) მიაბარა, რომელიც წმ. ნინოს ქრისტეს რჯულს ასწავლიდა. სწორედ აქ შეიტყო წმ. ნინომ რომ უფლის კვართი ჩრდილოეთის ქვეყანაში, ანუ ქართლის სამეფოში, მცხეთაში ინახებოდა; რომ ეს ქვეყანა ჯერ არ იყო გაქრისტიანებული. ამიტომ გადაწყვიტა, კვართის ქვეყანაში ქრისტიანობა ექადაგა. მართლაც, გარკვეული ხნის შემდეგ „ჩრდილოეთის ქვეყნისკენ“ გამოემართა, შემოვიდა საქართველოში და ფეხით ჩავიდა მცხეთაში. გზაში იესო ქრისტე გამოეცხადა და მომავალი მოღვაწეობისათვის გაამხნევა, მოგვიანებით კი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი გადასცა.

მცხეთაში წმ. ნინომ ლოცვითა და ღვთის შეწევნით დაამსხვრია სამეფოს მთავარი კერპები: არმაზი, გაცი და გაიმი, განკურნა და მოაქცია ნანა დედოფალი, შემდეგ მირიან მეფე, რასაც 326 წელს მთელი ხალხის ნათლობაც მოჰყვა. მირიან მეფემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. აიგო სვეტიცხოველი. წმ. ნინო განაგრძობდა ქართლის სამეფოს მთიანეთში და კახეთში ქადაგებას. კახეთში ქადაგებისას, კერძოდ ბოდბეში იგი დასნეულდა და გარდაიცვალა. მის სახელს და საფლავს დღემდე დიდ პატივს მიაგებენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ნინოობას 14(27) იანვარს, მოციქულთა სწორის გარდაცვალების დღეს აღნიშნავენ. <u>კახეთში</u> მოსახლეობა ნინოობისთვის ერთი კვირით ადრე ემზადებოდა. მიდიოდნენ ბოდბეში ან სხვა ეკლესიაში და

წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ. ამ დღეს ეკლესიისთვის ფულის შეწირვაც სცოდნიათ.

წმ. ნინოს სახელობის ტაძარში განსაკუთრებით ქალიშვილები მიჰყავდათ. წმ. ნინო მათ მკურნალად მიაჩნდათ: თვითონაც ხომ ქალიშვილიაო, – ამბობდა ხალხი. მათივე გადმოცემით, როდესაც ეკლესიაში მისული ქალიშვილები სანთლებს ანთებდნენ და აიაზმას, ნაკურთხ წყალს სვამდნენ, ავადმყოფობისაგან იკურნებოდნენ.

როგორც ცნობილია, მცხეთის მოპირდაპირე გოლგოთის მთაზე განმარტოებულმა წმ. ნინომ პატარა ქვაბული მოძებნა, სადაც დაივანა. იქ მისი ლოცვით წყარო აღმოცენდა. ამ წყაროს ჩვენში ოდითგან ძუძუს წყაროს ეძახიან. დედებს, რომლებსაც რძე აღარ აქვთ, აქ მიდიან და იკურნებიან.

<u>ქართლში</u>, სოფელ აღაიანის მცხოვრებთა გადმოცემით თხოთის ნინოწმიდობას 20 მაისს აღნიშნავენ, ხოლო ის, ვინც ამ დღეს სალოცავში ვერ მიდის, სწორზე, 27 მაისს ადის თხოთზე. აქაურებმა მამა-პაპადან იციან, რომ მირიან მეფეს თოხეთის (ანუ თხოთის) მთაზე დაუბნელდა მზე. როდესაც მეფეს თხოთზე ეკლესიის მშენებლობა დაუწყია, ხალხი მთიდან მტკვრის ხეობამდე მწკრივში ჩაუყენებია, რომ ხელიდან ხელში გადაეცათ „საშენი ქვა-მასალა“.

სოფელ აღაიანის ერთ ადგილს „მილხინე“ ჰქვია. ხალხური გადმოცემის მიხედვით წმ. ნინოს აქ შეუსვენია და წყალი დაულევია. ვისაც თხოთის ნინოწმიდის ეკლესიაზე ასვლა არც 20 მაისს და არც მის სწორზე უხერხდება, აქ მიდის და ლოცულობს.

ქრისტიანობის ქადაგებისას მთიანეთისკენ მიმავალ წმ. ნინოს სოფელ ჩინთში უზარმაზარ ლოდთან შეუსვენია. გადმოცემის მიხედვით მოციქულთა სწორს ხალხისთვის ამ ლოდიდან უქადაგია.

წმ. ნინოს ხალხი ჭიაკოკონობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაქრისტიანებას“ უკავშირებს. გადმოცემის მიხედვით, მას ქართლში ჭიაკოკონობის სახით ცეცხლის თაყვანისცემის ზოროასტრული წესი დახვედრია. ქართლის მოქცევის შემდეგ გაქრისტიანებულ ხალხს ძველი წესი ვერ მოუშლია და დათქმულ დროს ხსენებულ წესს მაინც ასრულებდა ხოლმე. მოქცეული ხალხი „უკანვე რომ არ მიქცეულიყო“, თითქოსდა წმ. ნინოს ჭიაკოკონობის წესის „გაქრისტიანება“

განუზრახავს. საამისოდ თავად სამჯერ ჯვარედინად გადამხტარა თუ გადაუბიჯებია ცეცხლზე ამ სიტყვებით: „განვედით, ეშმაკეულნო! არურუ კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა!“ ხალხისთვის კი უთქვამს: ასე აღასრულეთ მარადის ჭიაკოკონობის წესი და ეს ჩვეულება გქონდეთ შესაქცევრადო. წმინდანმა ამ წესის შესრულება ხალხს ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების ნიშნად და მოსაგონრადაც დაუბარაო.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, რომელსაც „მთის ლეგენდა“ ჰქვია, წმ. ნინოს კავკასიონზე, კერძოდ ყაზბეგზე ჯვარი აუტანია და იქ აღუმართავს. ჯვრის აღმართვის შემდეგ ხალხს შორის არსებული დაპირისპირება შეწყვეტილა. „ჯვარი დღესაც იქიდან დაჰყურებს თავის ხალხს“, – გვეუბნება ლეგენდა.

ხევსურული გადმოცემის მიხედვით ამ კუთხის პირველი ქადაგი ქალი, სახელად ნინო, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით მთიბლუკი, ან მინანი ყოფილა. ბავშვობაში მას ერთ ბულალაურ ვაჟთან ერთად კარატის მთაზე საქონელი უმწყემსია. ერთხელაც, უეცრად ზეციდან ხატი და შიბი (ჯაჭვი) ჩამოსულა. ხატი ნინოს დარჩენია, ხოლო შიბი ბულალაურ ვაჟს. ამის შემდეგ ქალი ქადაგი გამხდარა. იგი თურმე ხატს დაჰყავდა. მიფრინავდა ხატი, ნინო კი უკან მისდევდა.

<u>თუშეთშიც</u>, <u>კახეთშიც</u> ყოფილა ნინო. იგი წმინდად ცხოვრობდა, არ ჰყოლია ქმარი. პირველი ქადაგი ხატში, სალოცავში გარდაცვლილა. მისი ცხედარი ვერ გამოუტანიათ და იქვე დაუკრძალავთ. გადმოცემის მიხედვით, მას შემდეგ ქადაგები მის საფლავზე სხდებოდნენ და ისე აყენებდნენ, ანუ ღვთის მითითებით, ირჩევდნენ დასტურებს.

დღეს საქართველოს ეკლესია კიდევ ერთ დღეს აღნიშნავს ნინოობას. ეს დღე 1 ივნისია, წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დღე. ყოველ ნინოობას, როგორც 14/27 იანვარს, ასევე 1 ივნისს, სიონის საკათედრო ტაძარში მორწმუნეებს შეუძლიათ საქართველოს დიდ სიწმინდეს, წმ. ნინოს ვაზის ჯვარს, ემთხვიონ.

პ

პეტრე–პავლობა

29 (12. 07) ივნისს ეკლესია აღნიშნავს დიდებულთა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს დღეს.

წმ. პეტრე იყო მეთევზე. ცხოვრობდა გალილეის ქალაქ ბეთსაიდაში. სანამ ქრისტეს მოწაფე გახდებოდა, მას ერქვა სიმონი (არამეულად კეფა), პეტრე კი კლდეს ნიშნავს. ერთხელ როდესაც ქრისტემ მოწაფეებს ჰკითხა: „...ვინღა გგონივართ მე?“ - პეტრემ უპასუხა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა“. „და მე გეუბნები“, - თქვა ქრისტემ, - „შენ ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას... “ (მათ. 16, 15-16; 17-18).

ამაღლების წინ იესო ქრისტემ წმ. პეტრეს მოციქულთა წინამძღვრობა ჩააბარა: „აძოვე ცხვრები“, - დაუბარა უფალმა პეტრეს. ფიქრობენ, რომ წმ. პეტრე რომში ქრისტეს შობიდან 68 წელს აწამეს. გადმოცემის მიხედვით წმ. პეტრეს დასჯა ჯვარცმით სურდათ, მაგრამ მას უთქვამს: არ ვარ ღირსი ისევე აღვესრულო, როგორც იესო ქრისტეო, და მოციქული თავდაღმა გააკრეს ჯვარზე. ფიქრობენ, რომ დაახლოებით ამავე დროს რომში წმ. პავლეს მოკვეთეს თავი.

წმ. პავლეც ებრაელი იყო. თავდაპირველად სავლე (საული) ერქვა. საული ცნობილი იყო ქრისტიანების დევნით. როდესაც იერუსა-

ლიმში ებრაელმა მღვდელმთავრებმა ქრისტიანების პირველი დევნა გამოაცხადეს და პირველმოწამე სტეფანე ქვებით ჩაქოლეს, პავლე მის ტანსაცმელს ყარაულობდა. პავლე ქრისტიანების ეკლესიებს არბევდა, მათ სახლებში უვარდებოდა და ატყვევებდა. ერთხელაც თავისი ანტიქრისტიანული საქმიანობის გასაგრძელებლად დამასკოში გაემგზავრა. როდესაც დამასკოს მიუახლოვდა, დიდმა ნათელმა მოიცვა და ზეციდან გაისმა: „საულ, საულ რად მდევნი მე?“ პავლე შიშისაგან მუხლებზე დაეცა და იკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ შენ რომ დევნი, ის იესო ვარო, - უპასუხა ხმამ. რა გავაკეთო, უფალოო, - შეეკითხა პავლე. შედი დამასკოში და იქ შეიტყობ ყველაფერსო, - უპასუხა იესომ.

დიდმა სინათლემ სავლე დააბრმავა. იგი დამასკოში შეიყვანეს, სადაც უფალმა თვალები აუხილა. სავლე მოინათლა და სახელად პავლე დაერქვა. დამასკოდან წმ. პავლე იერუსალიმში ჩავიდა, შეუერთდა მოციქულებს და ქრისტიანობის ერთ-ერთ მხურვალე და გამორჩეულ მქადაგებლად იქცა. მართალია, წმ. პავლე ქრისტეს უშუალო მოწაფე არ ყოფილა, მაგრამ იგი ქრისტეს მოციქულებთან ერთად მოიხსენიება. გადმოცემის მიხედვით, როდესაც წმ. პავლეს რომში მოკვეთეს თავი, თავისკვეთის ადგილას სამმა წყაროომ ამოხეთქა.

<u>სამეგრელოში</u> პეტრობას ანუ პეტრე-პავლობას იცოდნენ ყანის ლოცვა. აცხობდნენ ხაჭაპურს, რომელსაც მლოცველი ყანაში წაიღებდა და ილოცებდა. ლოცვაში ღმერთს, წმ. გიორგის, წმ. ელიას მოსავლის დაცვას და სიუხვეს შესთხოვდა.

<u>კახეთში</u> პეტრე-პავლობას მიცვალებულებს ტაბლას უდგამდნენ და მოიხსენიებდნენ.

<u>ხევში</u>, <u>გუდამაყარში</u>, ვისაც ეკუთვნოდა ხატში გასვლა, სალოცავში მიდიოდა.

ს

სვეტიცხოვლობა

ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ გაფანტულ ებრაელთა ერთი ნაწილი, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ქართლში მოვიდა და მცხეთელ მამასახლისს სთხოვა, მათთვის საფასურით საცხოვრებელი მიეცა. მცხეთელმა მამასახლისმა ებრაელებს სამოსახლო გამოუყო.

გავიდა დრო. ბეთლემში იესო ქრისტე დაიბადა. როდესაც მისი დაბადებიდან 30 წელი გავიდა, ერთ დღეს მცხეთაში იერუსალიმელი ებრაელებისა და მღვდელმთავარ ანას მიერ გამოგზავნილი მოციქულები მოვიდნენ და თნამემამულეებს აცნობეს, რომ ის, ვისთვისაც მოგვები ჩავიდნენ ბეთლემში, გაიზარდა და საკუთარ თავს ღვთის ძეს უწოდებდა. მოციქულები სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლე ებრაული თემის რჯულის მეცნიერებს (ებრაულ სარწმუნოებაში, იუდაიზმში განსწავლული პირები) მოუწოდებდნენ, იერუსალიმში იესოს ჯვარცმას დასწრებოდნენ. მცხეთიდან იერუსალიმში ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი გაემართნენ. ელიოზ მცხეთელს გამგზავრების წინ დედა შეევედრა, ნუ გახდებოდა იესოს ჯვარცმის თანაზიარი, ვინაიდან იგი უდანაშაულო იყო; რომ სწორედ ის იყო, ვისზედაც წინასწარმეტყველები და ბრძენი ადამიანები ოდითგან საუბრობდნენ.

ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი გაემართნენ იერუსალიმისაკენ, სადაც დაესწრნენ უფლის ჯვარცმას. და როდესაც მაცხო-

ვრის ჯვარზე მისამსჭვალად სამსჭვალს ანუ ლურსმანს ჩაქუჩი დაჰ-კრეს, დაკვრის ხმა ელიოზის დედას მცხეთაში ჩაესმა. ქალმა შეჰკივ-ლა და სული განუტევა. ჯვარცმის შემდგომ მცხეთელ ებრაელებს წი-ლად ერგოთ უფლის კვართი. წამოიღო კვართი ელიოზმა. მცხეთას-თან მას და, სიდონია, მიეგება, გამოართვა სიწმინდე, ჩაიხუტა გულში და სული განუტევა.

სიდონიას მაცხოვრის კვართი ისე ძლიერ ჰქონდა მკერდში ჩაკ-რული, ვერაფრით გამოაცალეს და ელიოზმა საკუთარი და კვართთან ერთად დამარხა.

გავიდა ხანი. კვართის დაფვლის ადგილი სარწმუნოდ არავინ იცო-და. კვართისა და ელიოზის დის საფლავის შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მის მახლობლად ლიბანიდან ჩამოტანილი და მცხე-თაში დარგული ნაძვი იდგა და ხარობდა. კვართმა და იმ ქვეყნის ქრისტიანობაზე მოქცევის სურვილმა, სადაც იგი იყო დაფლული, წმ. ნინო IV ს-ში იერუსალიმიდან მცხეთაში მოიყვანა.

ქართველთა გაქრისტიანება წმ. ნინომ მცხეთაში კერპების – არ-მაზის, გაცისა და გაიმის შემუსვრით დაიწყო. კერპების შემუსვრის შემდეგ კლდის ქიმთან ხის ქვეშ ექვსი დღე ილოცა, მეცხრე დღეს ჩამოვიდა ქალაქში და მიადგა სამეფო ბაღს. იქ მებაღე და მისი ცო-ლი მოაქცია და ცხრა თვე მათთან იცხოვრა. ამის შემდეგ ქალაქის გარეთ იპოვა მაყვლოვანი (მაყვლის ბუჩქი), სადაც დღეს სამთავროს დედათა მონასტერია, და მონაზვნური წესით ცხოვრება დაიწყო. ხში-რად მიდიოდა მცხეთაში, ურიათა უბანში. უნდოდა გაეგო, სად იყო დაფლული მაცხოვრის კვართი. წმ. ნინომ რამდენჯერმე ნახა ერთი და იგივე სიზმარი: ციდან მოფრენილი შავი ფრინველები ჩაფრინდე-ბოდნენ მდინარეში, განბანილები და გათეთრებულები შეფრინდებოდ-ნენ სამოთხეში, მაღლარ ვაზს (მაღალ ხეზე ასული ვაზი) მოკენკავდ-ნენ, „მოსძოვდნენ ყვავილთა“ და სიყვარულით, ჟივილ-ხივილით გარს ეხვეოდნენ წმ. ნინოს.

როდესაც მირიან მეფე გაქრისტიანდა, მან სამეფო ბაღში ტაძრის აგება გადაწყვიტა. მართლაც, სამეფო ბაღში მოჭრეს ნაძვი, რომლი-დანაც 7 სვეტი გამოთალეს. როდესაც ხის კედლები ამოიყვანეს, თავ-თავის ადგილზე მოათავსეს ექვსი ძელი. მეშვიდე, ყველაზე დიდი და

საკვირველი, რომელიც ეკლესიის შუა საყრდენად, დედაბოძად იყო განკუთვნილი, ვერ აღმართეს, ვერ დაძრეს ადგილიდან. ეს ამბავი ყველას უკვირდა.



სვეტიცხოველი

საღამოს მეფე მირიანი დაღონებული წავიდა სასახლეში. წმ. ნინო მოწაფეებთან ერთად სვეტთან დარჩა და ცრემლით ლოცულობდა. შუა ღამე რომ დადგა, ბოროტმა, ეშმაკმა მრავალი საშინელი ხილვა, ჩვენება მოუვლინა მლოცველებს. წმ. ნინომ ჯვარი გადასახა უკეთურ ჩვენებებს და ყველა მათგანი გაქრა. დაისადგურა სიმშვიდემ. წმინდანის მოწაფეები მადლობას უძღვნიდნენ ღმერთს. ინათა. დედებს მიეძინათ. მოწაფეთაგან მხოლოდ სიდონიას ეღვიძა, ხოლო წმ. ნინო ხელაპყრობილი განაგრძობდა ლოცვას. უეცრად მათ ნათლით მოსილი, ცეცხლში გახვეული ჭაბუკი გამოეცხადა და სამი სიტყვა თქვა. წმ. ნინო პირქვე დაემხო, ჭაბუკმა მოჰკიდა ხელი სვეტს, აღმართა და წაიღო მაღლა. ამის შემდგომ ნათლით მოსილი სვეტი ყველას თვალწინ ნელ-ნელა დაეშვა გადაჭრილ ნაძვზე.

ამ სასწაულით გამომჟღავნდა კვართის ადგილსამყოფელი.

დილით, ინათა თუ არა, შეწუხებული მეფე მშენებლობის ადგილისკენ გაემართა და დაინახა, რომ მის ბაღს ცად აწვდილი ელვის

მსგავსი ნათელი ადგა. სასწაულის ადგილზე მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი.

ამ მირონმდინარი სვეტის მადლით მრავალი სასწაული ხდებოდა და დღესაც ხდება. მირიან მეფემ მალევე დაასრულა სვეტიცხოვლის პირველი ტაძრის მშენებლობა, რომელიც ხის იყო. V ს-ში, დაახლოებით 500 წ. ვახტანგ გორგასალმა მირიანის ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის დიდი ეკლესია ააგო.

ვახტანგ გორგასლის ტაძარმა XI ს-მდე იარსება. 1010-1029 წლებში, საქართველოს მეფეების – ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის ზეობაში, მცხეთის ახალი ტაძარი აიგო (ხუროთმოძღვარი არსაკიძე). XV ს-ის I ნახევარში ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ალექსანდრე დიდმა მას შემდეგ, რაც თემურლენგმა დაანგრია. XIX ს-ში რუსთა სასულიერო მმართველობის მითითებით ტაძარს ჩრდილოეთი და სამხრეთი კარიბჭეები მოანგრიეს, ფრესკები ჩამორეცხეს, მათ შორის ვახტანგ გორგასლის ფრესკა, რომელიც, საბედნიეროდ, ჩამორეცხვამდე იქნა გადმოხატული.

ტაძარში წინანდელი საყრდენი ბურჯის ადგილას მცირე კოშკისებური ნიშია. აქ იდგა სასწაულმოქმედი სვეტი – სვეტიცხოველი და, გადმოცემით, აქვეა დაფლული ქრისტეს კვართი.

სწორედ საუფლო კვართისა და ღვთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტის სადიდებლად მცხეთის საკათედრო ტაძარში ძვ. სტილით 1 ოქტომბერს (ახ. სტილით 14 ოქტომბერს) იმართება დღესასწაული სვეტიცხოვლობა ანუ მცხეთობა.

სვეტიცხოვლობა დიდი და ხალხისთვის უსაყვარლესი დღესასწაული იყო და არის. თბილისიდან, ქართლიდან და კახეთიდან მოემართებოდნენ მლოცველები, რომელთაც ტაძრის გალავანი ძველადაც გაჭირვებით იტევდა. ხალხი წინა დღით მოდიოდა სვეტიცხოველში და ღამეს აქ ათევდა, თუმცა ზოგიერთები დილით მოდიოდნენ დღესასწაულზე.

სვეტიცხოვლობას წირვა-ლოცვასთან ერთად ბაზრობა, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და ლხინი იმართებოდა.

სტეფნობა

<u>კახეთში</u> 27 (9. 01) დეკემბერს, ტიბაანში დღემდე აღნიშნავენ სტეფნობას. ეს დღე ეძღვნება სტეფანე პირველმოწამეს და სტეფანე ხირსელს, თორმეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, რომელიც კახეთში მოღვაწეობდა.

მართლმადიდებელი ეკლესია შობიდან მესამე დღეს უფლის წმინდა სამოცდაათ მოციქულთაგან ერთ-ერთს და მთავარდიაკვანს სტეფანე პირველმოწამეს მოიხსენიებს. იგი უმთავრესი იყო იმ შვიდ დიაკვანს შორის, რომლებიც თავად მოციქულებმა აირჩიეს და დაუდგინეს ეკლესიას. წმ. სტეფანე პირველი ქრისტიანი იყო, რომელიც აწამეს.

ხალხის გადმოცემით სტეფანე იყო დიაკონი, ნასწავლი, საღმრთო საქმეზე თავდადებული, წმინდა კაცი. ამ დღეს მიდიოდნენ ეკლესიაში, მიჰყავდათ საკლავი და ქეიფობდნენ. ზოგი სახლში ღორსაც კლავდა. ოჯახი ზვარას, შესაწირს, წინასწარ ირჩევდა და ნიშანს ადებდა ანუ ყურს აჭრიდა. ხშირად საკლავი სალოცავში მკითხავის რჩევით მიჰყავდათ. აცხობდნენ ქადებს, მიჰქონდათ სანთლები და საჭმელ-სასმელი, მიჰყავდათ საკლავი.

ზოგჯერ ქალები შეთქმით ან მკითხავის რჩევით ფეხშიშველები, თავზე თეთრი თავსაბურავებით ან თეთრი კაბებით მოსილნი მიდიოდნენ ეკლესიაში. მლოცველი ზვარასთან ერთად ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა, ოთხივე კუთხეს კოცნიდა. დიაკვანი ან საგანგებოდ არჩეული მამაკაცი დგებოდა პირით აღმოსავლეთისაკენ, საკლავს ჯერ შუბლზე ჯვრის ფორმით ბალანს შეუტუსავდა, მარილს ააღოკებდა და ყელს გამოჭრიდა. პატრონს საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა და დაამწყალობნებდა. პატრონი თავ-ფეხს, ტყავს, მარჯვენა მხარს დამლოცველს აძლევდა. ქადასაც დამლოცველი ჭრიდა. ქადის ნაოთხალი, ანუ მეოთხედი მისი იყო. სუფრა რომ გაიშლებოდა, პირველ სიტყვას დამლოცველი იტყოდა: „ღმერთო, შენ შეუწირე ამ ზვარაკის მამყვანს, მიიღე და მიითვალე ფრთოსანიცა და რქიანიცა, სახლში უმყოფე დიდებიც და პატარებიც ჭკვიანები. ყველა ჭირი,

სენი მაარჩინე, შეგიწიროთ, შვილებო, თქვენი მოტანილი პურმარილი*“. იმართებოდა ლხინი და ქეიფი. ხშირად სალოცავში ღამისთევით მიდიოდნენ.

სულთაკრეფა

სულთაკრეფა მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეა. აღინიშნება დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათს. ეკლესია ამ დღეებში განსაკუთრებით ევედრება ყველა წმინდანს, რათა მათ ღვთის წინაშე გვიშუამდგომლონ, ევედრონ ღმერთს ჩვენი მიცვალებულებისთვის.

ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, გუდამაყარში სულთაკრეფას დიდმარხვის მეორე შაბათს აღნიშნავდნენ. ხევსურეთსა და გუდამაყარში საერთო სასოფლო ლუდს ადუღებდნენ. ხევსურეთში ამ დღეს ყველა ოჯახში თხელ პურს - სათოფეს - აცხობდნენ, აფარებდნენ თხელ ქსოვილს, გაიტანდნენ სადმე, ამაგრებდნენ თოვლში და თოფს ესროდნენ. ვინც რიტუალურ სამიზნეს მოარტყამდა, პურიც და მასთან დადებული ჯილდოც მისი იყო. ჯილდო შეიძლება ყოფილიყო: ფეხსაცმელი, ხელთათმანი, წინდა, თამბაქო, მარილი. მიცვალებულთა პატრონებს არაყი მიჰქონდათ, რომელსაც სროლის დროს სვამდნენ. ლუდს სროლის შემდეგ სვამდნენ, როდესაც სოფლის ჯარი სხდებოდა. მიცვალებული თუ ბავშვი იყო, ჭირისუფალს ვაცად წოდებული რიტუალური პური გაჰქონდა. ამ დროს სახლებში მზადდებოდა დოხანი. ოჯახში სუფრაზე დოხანთან ერთად ეწყო წვრილი პურები, ვაცები, მარტუოელები, ლავაშები, ხმიადები. ტაბლაზე მარილიც იდო. დიასახლისი სუფრას „სახელს დასდებდა“, ანუ მიცვალებულს შენდობას ეტყოდა. ბავშვებს ვაცები, მარტუოელები ან ლავაშები მიჰქონდათ და მთელი დღე ისრებს ესროდნენ. დოხანს სურვილისამებრ ჭამდნენ. შემდეგ ქალები ახალი მიცვალებულის ოჯახში მივიდოდნენ, შლიდნენ მიცვალებულის ტალავარს და იტირებ-

* პურმარილი ლხინის, ქეიფის რუსული კალკია, ანუ ეს სიტყვა პირდაპირაა ქართულად ნათარგმნი. მისი ქართული შესატყვისია პურღვინო.

დნენ. ტირილის დამთავრების შემდეგ სტუმრებს სამარხვო სუფრით უმასპინძლდებოდნენ. ტირილში კაცები არ მონაწილეობდნენ. მიცვალებულთა სულის საოხად ხატშიც სრულდებოდა რიტუალები. ხევსურთა რწმენით ყველაფერი, რაც მიცვალებულთათვისაა ნაკურთხნალოცი, მათ პირნათლად მიუდით. ამიტომ ხალხი ცდილობდა, გარდაცვლილებისთვის შეძლებისდაგვარად ბევრი ელოცათ.

<u>ფშავში</u> სულთაკრეფას სუფრაზე თხელ ლავაშებს, ლობიოს, მოხარშულ კარტოფილს, ჯამით თხილ-კაკალს, ვაშლს დებდნენ და ამას სალაღობოს ეძახდნენ, მიცვალებულები გაიხარებენო. ახალი მიცვალებულის ოჯახში ტირილის შემდეგ, ისევე, როგორც სხვა კუთხეებში, სამარხვო სუფრას შლიდნენ.

<u>თუშეთში</u> ამგვარადვე აღნიშნავდნენ სულთაკრეფას. ამას გარდა სულთაკრეფისთვის სოფელ დოჭუს ყველა კომლი სვეს კრებდა, რომლისგანაც ლუდი მზადდებოდა. ეს მცენარე ლუდის დულილს უწყობს ხელს. კოდის ლოცვისას მამაკაცები კოდის გარშემო ფერხისას ჩაბამდნენ და იმ ჯვარულს (სიმღერები, რომლებიც ხატ-სალოცავებში სრულდებოდა) იმღერებდნენ, ხორციელის კვირის შაბათს რომ მღეროდნენ. ხორციელის კვირაც მიცვალებულთა საიქიოდან სააქაოში სტუმრობის, მათი მიღება-გასტუმრების კვირა იყო.

იმ კვირის ბოლოს, როდესაც ხორცის აღება იყო ანუ ხორცი აღდგომამდე ბოლოჯერ უნდა ეჭამათ, თუშეთის ზოგიერთ სოფელში დღეობა იმართებოდა. მაგალითად, სოფელ დოჭუში შაბათ ღამეს ხატში სამზადისი იწყებოდა. დილით სოფლელები სხვა სოფლიდან მოსულ სტუმრებთან ერთად ხატის საჯარეში იკრიბებოდნენ. ჯარის ანუ თავყრილობის დაშლის წინ ნათე (ხატის მსახური) საწდით ლუდს აავსებდა და შუა საჯარეში დადგამდა. იქ მყოფ მამაკაცებს ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ და ერთმანეთის უკან იდგნენ. მათ წინ ხელოსანი მიუძღოდათ, რომელსაც ხელში ფანდური ეკავა და უკრავდა. ყველანი ნელი სვლით გარს უვლიდნენ საწდეს და ჯვარულს მღეროდნენ. ფერხისას ჩაბმამდე ხატიდან წასვლის უფლება არავის ჰქონდა. ფერხისას დამთავრების შემდეგ ლუდიან საწდეს ცლიდნენ და სახლებში ბრუნდებოდნენ.

დოჭუელებს კარატის ჯვარში ჰქონდათ ხატის ორი დროშა: „დედალი“ და „მამალი“. აქედან „დედალი“ მუდამ ხატში იყო, ხოლო

„მამალი“ სალაშქრო და მოგაზური დროშა იყო. სულთაკრეფას „მამალი“ დროშა დოჭუელებს სოფელ გუდაანთაში უნდა წაებრძანებინათ, მხოლოდ ისე, რომ სიწმინდის დაცვის მიზნით არც ერთ სოფელში არ შესულიყვნენ. გუდაანთაში მისულები დროშას ხატის ნიშზე ჰკიდებდნენ. დროშა გუდაანთაში აუცილებლად მზის ჩასვლამდე უნდა მისულიყო. „სტუმარი დროშის“ დასახვედრად გუდაანთელები საგანგებოდ ემზადებოდნენ. ხატში სანთელ-ზედაშე და ხმიადები მიჰქონდათ, ილოცებდნენ; გუდაანთელებთან ერთად დოჭუელებსაც დალოცავდნენ. საღამოს მათ, ვინც დროშა მოაბრძანა, სოფელში ჯარს უმართავდნენ. მეორე დღეს, როდესაც დოჭუელები შინისკენ გაემართებოდნენ, გუდაანთელი მამაკაცების ჯგუფიც გაჰყვებოდა. იმ საღამოს ჯარი დოჭუში იმართებოდა.

სულთმოფენობა

აღდგომიდან 50-ე დღეს ეკლესია აღნიშნავს სულთმოფენობას ანუ სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, როდესაც იერუსალიმში, სიონის დედა ეკლესიაში შეკრებილ მოციქულებს და ღვთისმშობელს სულიწმიდა ცეცხლის გაყოფილი ენების მსგავსი სახით დაადგა. ყველა იქ მყოფი სულიწმიდის მადლით აივსო. მოციქულებმა მათთვის უცხო ენებზე დაიწყეს ლაპარაკი. იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნიდან ამოსული ებრაელები ხმაურმა სიონის დედა ეკლესიასთან შეკრიბა. ყველა გაოცებული იყო მომხდარით. წმ. პეტრე მოციქული შეკრებილი ხალხის წინაშე გამოვიდა და ქრისტიანობის შესახებ იქადაგა. იმ დღეს 3.000 კაცამდე გაქრისტიანდა. სულთმოფენობა ქრისტიანული ეკლესიის დაარსების დღედაა მიჩნეული.

<u>სვანეთში</u>, აღდგომიდან მერვე კვირას, სულთმოფენობას ისკალდის მათვარანგელოზის სალოცავის დღესასწაული აღინიშნება. ისკალდის თარგლეზერის (მთავარანგელოზის) დღესასწაულის დაარსებაზე ხალხში ლეგენდაა შემორჩენილი. ორი ბუღასთვის რკინის უღელი დაუდგამთ და გაუშვიათ, ხოლო იქ, სადაც ეს ხარები გაჩერებულან, თარგლეზერის ანუ მთავარანგელოზის ეკლესია აუგიათ. გარკვეული

ნიშნების მიხედვით ხარების ნავალ გზაზე დღესაც მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობა.

ისკალდის მთავარანგელოზში მხოლოდ მამაკაცები ლოცულობდნენ. ისკალდობაზე/სკალდობაზე ზემო სვანეთიდან და ლეჩხუმიდანაც მიდიოდნენ.

<u>ქართლ-კახეთშიც</u> ამ დღეს სულთმოფენობას ეძახდნენ.

<u>ქართლში</u> მზის ამოსვლამდე მოკრეფდნენ ყვავილებს და საფლავებს დააყრიდნენ, თან ცივ წყალს დაასხამდნენ – მკვდარმა გული გაიგრილოსო. მიცვალებულისთვის ტაბლასაც აკეთებდნენ. სასაფლაოზე გაიტანდნენ ქათამს, პურს (ლავაშს), სანთელს, არაყს, ყველს. მღვდელს სუფრას აკურთხებინებდნენ.

<u>კახეთში</u> კლავდნენ ბატკანს, აკეთებდნენ ფლავს, აცხობდნენ პურს. დილით, გათენებისას, გადიოდნენ სასაფლაოზე. მიჰქონდათ ყვავილები (ვარდები), მუხის კინწერი (წვერი), ხილის ტოტები. წყალში დამხრჩვალს უკლავდნენ ციკნებს. საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ ზოგი აკაკიის ყვავილის გარდა აგროვებდა ყველა სახის ყვავილებს, კაკალს, ფშატს და სხვას და გარეთ ან თონეში აწყობდა. დილით ადრე ყვავილები, სანთლები, ერთი კოკა წყალი საფლავზე გაჰქონდათ. ყოველივეს, რასაც მიიტანდნენ, საფლავზე ალაგებდნენ და წყალს ასხამდნენ. ოჯახში აკეთებდნენ წანდილს და მეზობლებში არიგებდნენ. ყვავილებით ოჯახიც უნდა ყოფილიყო მორთული. ასევე რთავდნენ ეზოს და გზაჯვარედინს. სულთმოფენობის წინა შაბათს ვარდის შაბათსაც ეძახდნენ. ამ დღეს ეკლესიაში ყვავილები მიაქვთ. მათ მთელი წლის განმავლობაში ინახავენ.

ურწყის ორშაბათი

დიდმარხვის ორშაბათს ხევსურეთში ურწყის ორშაბათს ეძახდნენ. ამბობდნენ, ეს დღე ურწყთა გამოსვლის დღეაო; ღმერთმა, მიქიელ (ანუ მიქელ) მთავარანგელოზმა ეს დღე მათ დაუთმო და ამიტომ, რასაც უნდათ, იმას იზამენო.

ურწყნი მითოლოგიური ქალი პერსონაჟები არიან. მათგან ოთხს თავიანთი მორჩილი ქალები ჰყავთ. ხალხის რწმენით, ამ ოთხ ქალთაგან ერთი სოფლის თავში, ხატის ახლოს ცხოვრობდა და თითქოსდა სოფელს მეთვალყურეობდა. რასაც ზემოდან დაინახავდა, სალოცავებს, ღვთისშვილებს აცნობებდა. დანარჩენი სამი ქალი თავიანთ დამხმარეებთან ერთად, სოფელში დადიოდა. ისინი ყველას უსმენდნენ, აკვირდებოდნენ, ვინ რას აკეთებდა.

გადმოცემის მიხედვით, ადრე ეს ქალები ანგელოზები ყოფილან, არხოტის მიქიელ მთავარანგელოზს არ დამორჩილებიან და მთავარანგელოზს ისინი ურწყად გადაუქცევია, რის შემდეგაც არც ანგელოზები არიან და არც სრული ეშმაკები. მთავარანგელოზის დადგენილებით მხოლოდ დიდმარხვის ორშაბათს შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის აღსრულება. ურწყები შეუხედავები არიან, აცვიათ ტყავის ქურქები, რომლებსაც ბოლოს ბეწვი აქვს მიკერებული. ხალხური

წარმოდგენების მიხედვით, თუ მათ ვინმე აწყენინებდა, შეეძლოთ მისთვის ევნოთ, ოღონდ მხოლოდ ამ დღეს.

ურწყები კეთილ საქმესაც აკეთებდნენ. თუ გზაში ვინმე შეხვდებოდათ, ვინც ცუდს ფიქრობდა, ჩხუბობდა, სხვაზე ცუდის თქმა უყვარდა, უწყრებოდნენ. ამ დღეს გარეთ გასვლას ერიდებოდნენ. გარეთ გასვლას განსაკუთრებით ბავშვებს უშლიდნენ.

ფ

ფერისცვალება

6/19 აგვისტოს დგება ფერისცვალება. იგი 12 საუფლო დღესასწაულს შორის ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული დღესასწაულია. მოახლოებული ჯვარცმის გამო იესო ქრისტემ გადაწყვიტა, სარწმუნოებაში გაეძლიერებინა მოციქულები და მათთვის ხილულად ეჩვენებინა საკუთარი ღვთაებრივი სახე. ამით სურდა, მოციქულებისთვის ეთქვა, რომ ჯვარზე საკუთარი ნებით, სურვილით გაეკვრება და გარდაიცვლება, რომ სწორედ ის არის ისრაილის მხსნელი, ვისზედაც საუკუნეების მანძილზე საუბრობდნენ წინასწარმეტყველები.

ეკლესია გვასწავლის, რომ თაბორის* სასწაული ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის წინასწარმეტყველებაა. რომ ბოლო ჟამს იესო ქრისტე ასევე დიდებით მოვა და რომ ჩვენც ამგვარადვე ფერნაცვალები ვიქნებით მეორედ მოსვლის დროს.

უფალმა თაბორის მთაზე საკუთარი მოწაფეები: პეტრე, იაკობი და იოანე წაიყვანა. იგი ავიდა მთაზე და დაიწყო ლოცვა. მოწაფეებს ჩაეძინათ. ამასობაში, ლოცვისას იესომ ფერი იცვალა: სახე მზესავით გაუნათდა და სამოსი თოვლივით თეთრი, სპეტაკი გაუხდა. ამ დროს ერთ მხარეს მოსე, ხოლო მეორე მხარეს ელია წინასწარმეტყველი

---

* თაბორი ჰქვია იმ მთას, სადაც უფალმა ფერი იცვალა.

ედგა. მოწაფეებს გაეღვიძათ და ყოველივე დაინახეს. ცოტა ხანში ზეციდან მამაღმერთის ხმა გაისმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ!“ მოწაფეები პირქვე დაემხვნენ. იესო ქრისტემ ისინი გაამხნევა და უთხრა: ნუ გეშინიათ, ადექით. როდესაც მოწაფეებმა თვალი გაახილეს, დაინახეს იესო ქრისტე, ისეთი, როგორსაც ყოველდღე ხედავდნენ. მოსე და ელია კი იქ აღარ იყვნენ. იესო ქრისტემ მოწაფეები დაარიგა, მის აღდგომამდე არავისთვის არაფერი ეთქვათ.

ტრადიციის მიხედვით ჩვენში ფერიცვალების დადგომამდე ახალი ხილის ჭამას ერიდებოდნენ. ფერიცვალება მარიამობის სახელით ცნობილ მარხვაში აღინიშნება და არის მსგეფსი, ანუ ეკლესიის მიერ ამ დღეს ნებადართულია თევზის ჭამა.

<u>სვანეთში</u> და <u>რაჭა-ლეჩხუმში</u> ფერიცვალებას მიცვალებულებს საკურთხს უმზადებდნენ. საკურთხის სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ხილი, სიმინდი და სხვა, რაც კი ამ დროისთვის იყო შემოსული. იკოდნენ სასაფლაოზე გასვლა და ახლად შემოსული ხილის მიცვალებულების სახელზე კურთხევა.

<u>ლეჩხუმში</u> მოხუცი ქალები ფერიცვალება დღეს მაყვალს კრეფდნენ, წვენისგან შეჭამანდს აკეთებდნენ და ჭამდნენ – ამ დღეს კარგია მაყვალში პურის ჩაწობაო.

<u>სამეგრელოში</u> ხალხის რწმენით ერთი წლის მიცვალებული ამ დღეს ფერს იცვლიდა. ამბობდნენ: ფერისცვალების დღეს წყალში სახლის (ბეღელის) სისქის ყინვა ვარდებაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ აცივების პერიოდი დგებოდა და ამ დღიდან მდინარეში ტანის დაბანა აღარ იყო სასურველი. მოსახლეობას მთაში გაბარებული ცხენები და ხარები უნდა ჩამოერეკა. ამ დღეს პირველად უსინჯავდნენ გემოს ყურძნის მოსავალს.

<u>ქართლში</u> სუფრაზე თევზი უნდა ჰქონოდათ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, მას მღვდელი ზურგიელს უკურთხებდა. ანთებდნენ სანთლებს, აკმევდნენ საკმეველს, დილით მოკრეფილ ყურძენს და ატამს აკურთხებდნენ. ნაკურთხ ზურგიელს მეზობლებში არიგებდნენ. ვენახში ბალახს მოგლეჯდნენ, სახეზე წაისვამდნენ და იტყოდნენ: ფერი იცვალაო.

<u>კახეთში</u> თეთრ ყვავილს, რომელსაც შავი გული ჰქონდა, თეფშზე სრესდნენ და წყალს ასხამდნენ. წყალი წითლად რომ შეიფე-

რებოდა, ყველას შუბლზე უსვამდნენ, თან ეტყოდნენ: ფერი იცვალეო.

ფერიცვალების უქმესთან დაკავშირებით ასეთი გადმოცემა არსებობს: ამ დღეს ერთ მღვდელს კალო* ულეწია. ჩამოუვლია ქრისტეს და უკითხავს: დღეს რატომ ლეწავო. მღვდელს ქრისტე აბუჩად აუგდია. მაშინ ქრისტეს უთქვამს: შენს ადგილას ახტალა** ამოვიდესო. დღეს მღვდლის კალოს ადგილზე ახტალააო, – ამბობს ხალხი. ამ დღეს თუ ვინმეს კალო ჰქონდა გაშლილი, ჩაშლიდა – ახტალა ამოვაო.

ეს დღე ისეთი დიდი უქმე იყო, რომ მთაში ამბობდნენ: ფერიცვალება დღესაო ქარი ვერ დასძრავს ხესაო.

<u>გუდამაყარში</u> ფერიცვალებას ბალახი და ყვავილი მიჰქონდათ სახლში და სამკურნალოდ ზამთრისთვის ახმობდნენ. გიორგობის თვეში დათესილ ნიორს ფერისცვალებას ამოიღებდნენ: მარიამობის თვეს ამასწარი, გიორგობის თვეს ჩამასწარიო.

---

* კალო არის მოსუფთავებული, დატკეპნილი ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავდნენ ანუ პურეულის მარცვალს და ღეროს ერთმანეთისგან აცალკავებდნენ. კევრი სალეწი იარაღია, რომელიც სქელი ფიცრებისგანაა დამზადებული და რომელსაც ძირიდან წაწვეტებული კაჟის ნატეხები აქვს დამაგრებული. კევრში ხარებს ან ცხენებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

** ახტალა ქ. გურჯაანთან მდებარეობს და სამკურნალო ტალახით ცნობილი კურორტია. ამ გამოთქმასთან დაკავშირებით იხ. თ. სახოკიას წიგნი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

ქარის უქმე

<u>გურიაში</u> ქარს ხალხის სარჩო-საბადებელი რომ არ გაენადგურებინა, ქაიჯვრობა/ქარიჯვრობა იცოდნენ, ამ დღეს უქმობდნენ.

<u>მთიულეთში</u> ფერიცვალების მესამე დღეს ქარ-სეტყვის უქმეს იცავდნენ. ვინც ამ დღეს უქმეს დაარღვევდა, ფულადი ჯარიმით ისჯებოდა.

<u>ფშავ-ხევსურეთში</u> შემოდგომაზე ქარის უქმეს აღნიშნავდნენ. ხევსურეთში ენკენიის სწორზე მძიმე უქმე იყო, რომლის გატარებას, ხალხის რწმენით, ქარის მიერ ძნისა და თივის განადგურება მოჰყვებოდა. ცდილობდნენ, ეს დღე ხუთშაბათისთვის დაემთხვიათ. ქარის უქმეს ხევსურები სამოგზაურო დღედ იყენებდნენ.

<u>ფშავში</u> ამ უქმეს მექარეობას ეძახდნენ, რომლის შემდეგაც მკა იწყებოდა. მკის წინ კი გუთნის სამლთოს გადაიხდიდნენ.

<u>თუშეთში</u> 12 დან 18 ივლისამდე, პარასკევს, ნათიბ-ნამკალი ქარს რომ არ წაეხდინა, ქარობას უქმობდნენ.

ქაშვეთობა

(იხ. მცხეთისჯვრობა)

ყ ეენობა

ყეენობა ბუნება-ალორძინებისა და ბარაქიანობისადმი მიძღვნილი, საყველიერო სახალხო გასართობი სანახაობის დამამთავრებელი ნაწილია. ყეენობა ყველიერის კვირა დღეს ან დიდმარხვის პირველ დღეს, შავ ორშაბათს იმართებოდა. ამის მიზეზს კი გვამცნობს ერთი ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვით, ქართველებმა შავ ორშაბათს სპარსეთის შაჰი (ყეენი) დაამარცხეს, თბილისელებმა იგი დაიჭირეს, ატარეს თბილისის ქუჩებში და ბოლოს მტკვარში ჩააგდეს.

საყეენოდ ირჩევდნენ ყეენს, მის ამალას, აკეთებდნენ ნიღბებს, ამზადებდნენ ტანსაცმელს. ზოგჯერ ადრე დამზადებულ ნიღბებსა და ტანსაცმელსაც ხმარობდნენ. ყეენს ჰყავდა მხლებლები: დედოფალი – ქალი ყეენი (სამეგრელოში მოჭყუდუ), რომელსაც ახალგაზრდა ბიჭი განასახიერებდა, ლეკი, არაბი, შაჰი, ბუღა, ბერიკები, ვეზირები, ნათლია, ჩაფრები, მეტყევე, ჟანდარმი, ხაზინადარი, მოსამართლე, პოლკოვნიკი, პოლიციელები და სხვები. ყეენი ფეხბედნიერი უნდა ყოფილიყო. თუ წინა წლის ყეენს ცუდი კვალი ეჭნებოდა, მას გამოცვლიდნენ და სხვას აირჩევდნენ, თუ არა – იმავეს დატოვებდნენ.

ყეენი ენამოსწრებული, ახოვანი, ტანადი ახალგაზრდა კაცი ან ახალი სიძე უნდა ყოფილიყო – კარგი მოსავალი მოვაო. მას წვეტიანი ქუდი, ფრინველის ბუმბულით მორთული ფაფახი ან საბუდრის

მსგავსი ჩალის ქუდი ეხურა – ჩალა და თივა უხვად გვექნებაო. ყეენის ქუდზე ხშირად მრგვალი პურის – ყეენის ხმიადის დადებაც იცოდნენ. კახელ ყეენს ხშირად თავზე საბუდარი ედო, რომელშიც ცოცხალი კრუხი იჯდა. გორსა და თბილისში ყეენს ჩალმაც ეხურა.

ყეენს ხორცისფრად ან წითლად შეღებილი მუყაოს ან ქაღალდის ნილაბი ეკეთა. ზოგჯერ ნილაბი შავად იყო შეღებილი ან საერთოდ

ყეენი

შავი ნაბდისგან კეთდებოდა. ნილაბი თვალების, პირის და ცხვირის ადგილას გამოჭრილი იყო, ჰქონდა რქები და ღორის ჯაგრის ან თხის ბეწვის წვერ-ულვაში.

ყეენს ტანზე ბერიკასავით ეცვა და საქონლის ან წნელის კუდს იკეთებდა. წელზე კამეჩის ან ხარის კანჭის ძვალი ან მოკლე ჯოხი ჰქონდა ჩამოკიდებული. ყელზე ყველიერში გამომცხვარი ნაზუქის კვერი და საგანგებოდ დამზადებული მამლის თავიც ეკიდა. მამალს ნისკარტში თავისივე ბრჭყალი ჰქონდა გაყრილი. ყეენს ხშირად ხახვის გალათი (აცმა) და ფერადი მძივებით ამკობდნენ.

ყეენს მოედანზე ან სადმე თვალსაჩინო ადგილზე დასვამდნენ, ხელში დააჭერინებდნენ ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს და შამფურს, რომელზეც ხახვი ან ვაშლი იყო წამოცმული. გარს მხლებლები ერტყა. დედოფალთან ერთად სოფელში გამოსაჩენ ადგილას დააბრძანებდნენ და ხალხი მათ სანახავად იკრიბებოდა. იყო საერთო მხიარულება, ისმოდა ზურნა-დუდუკის ხმა. ყეენს იმ ქალს მოუყვანდნენ, „მიჰგვრიდნენ“, ვინც წინ ჩაუვლიდა. სანახაობაზე მოსულ ქალებს თვითონაც დაერეოდა. აქაც, როგორც ბერიკაობაში (იხ. ბერიკაობა), ქორწილს გაითამაშებდნენ. ყეენი ამალითურთ დედოფალს იტაცებდა, შემდეგ კი მხლებლებთან ერთად, სოფელს დაუვლიდა.

ყეენი ვირზე უკუღმა იყო გადამჯდარი და ვირს ჩხვლეტდა. ზოგჯერ მასთან ერთად ვირზე დედოფალიც იჯდა. მხლებლებთან ერთად ისინი ჯერ ახალდაქორწინებულ ოჯახებს ჩამოუვლიდნენ. ყეენი მოედანზე ან გამოსაჩენ ადგილზე დაჯდებოდა და მოსახლეობას ღვინით, არყით, ერბოთი, ყველით, ხაჭაპურებით, ქადით და სხვა რამით „ბეგრავდა“. ამას გარდა ყველა ოჯახი ვალდებული იყო ყეენისთვის „საციქველი“ - ხონჩაზე დაწყობილი ხილი, ჩურჩხელა, ყურძენი მიერთმია. ზოგან ყეენი ოჯახს ამის სანაცვლოდ სიმინდის მარცვალს აძლევდა, რაც ქათმის სიმრავლეს მოასწავებდა და წიწილების გამოსაჩეკად საბუდარში მჯადრ კრუხს უნდა ეჭამა.

ზოგჯერ „გადასახადს“, „ბეგარას“ ყეენის ნაცვლად მისი მხლებლები აგროვებდნენ. დღეობაზე ჭიდაობაც იმართებოდა და ყეენს ყოველთვის უნდა ეჭიდავა. ზოგჯერ ყეენიც და დედოფალიც ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ. თუ ყეენი აჯობებდა, ეს კარგი მოსავლის საწინდარი იყო, თუ არა, პირიქით.

ჭიდაობა ზოგჯერ წყლის პირას ან წყალში იმართებოდა. წყალში საჭიდაოდ ორი სოფლის ყეენების შერკინებაც, დაჭიდებაც იკოდნენ. წყალში ხანდახან ყეენის მხლებლებიც ჭიდაობდნენ. ყეენს თავის მხლებლებითურთ საგანგებოდ დაგუბებულ ტბაში ჩაყრიდნენ და ლაფში, ტალახში სვრიდნენ. შეიძლება ხალხი და დღეობის ყველა მონაწილე მდინარისკენ წასულიყვნენ და დედოფალი და ყეენი ლაფში ჩაეგდოთ. ზოგჯერ წყალში ჩასული ყეენი ღვინოს დალევდა, წელზე ჩამოკიდებულ ჯოხს მარილს მოაყრიდა, ღვინოს დაასხამდა, დალო-

ცავდა, მოიხსნიდა, წყალში ჩააგდებდა და იტყოდა: „წადი, გამრავლდი ქვეყანაზე, კარგი მოსავალი მოიყვანეო“. შემდეგ ყეენი და დედოფალი ხალხს ქუდებით წუწავდნენ, თან დაილოცებოდნენ: „გაგიმრავლდეთ ძროხა, ცხვარი, კრუხი, წიწილა, და ასე მრავალი მოგსვლოდეთ პური“.

<u>სამეგრელოში</u> ყეენს კუზსაც უკეთებდნენ. ხელში წინასწარ გამოჭრილი გრძელი დროშა ეჭირა. ამ დროშის სიგრძით განისაზღვრებოდა მომავალი წლის მოსავლის სიუხვე.

<u>კახეთში</u> ყეენს შიშველს აგდებდნენ წყალში, გვალვა აღარ იქნებაო.

<u>მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში</u> ყველიერში ბავშვები საქონლის კოჭებით თამაშობდნენ. გუდამაყარში ცხვრის კოჭებს ერთმანეთს დაადებდნენ. ამ „ნაგებობას“ ყეენს ეძახდნენ. ყეენს ძროხის ან ხარის კოჭებს ესროდნენ.

<u>ქართლის</u> ზოგიერთ სოფელში ქალებს და კაცებს ყეენები ცალცალკე ჰყავდათ. ხალხის რწმენით, ქალების გამართული ყეენობა უკეთესი იყო, უკეთესი მოსავალი მოვაო.

ყეენობაზე გვალვის საწინააღმდეგოდ გუთნით წყალსაც ხნავდნენ. გუთნის ღირღიტაზე (გუთნის ნაწილი) მსხდომი ყეენი და დედოფალი გუთანში შებმულ მამაკაცებს - „მეხრეებს“, წყალში შეჰყავდათ. ყეენი და დედოფალი ერთმანეთს ეალერსებოდნენ.

<u>თბილისში</u> ქართველების მიერ შაჰის დამარცხების ნიშნად ყეენობას არჩეულ ყეენს ქალაქის ქუჩებში ჩამოატარებდნენ და მეფესთან მიიყვანდნენ. მეფეს დიდმარხვის დადგომას და მის პირველ დღეს ყველა მიულოცავდა და მტერზე გამარჯვებას უსურვებდა. ამ წესის შესრულება თბილისელებს რუსების შემოსვლის შემდეგაც გაუგრძელებიათ. ყეენობა დღეს ყეენი მთავარმართებელთან მიჰყავდათ. ბანებიდან ყეენს და ყეენობის მონაწილეებს ფულს უყრიდნენ, რომელსაც ორი კაცი აგროვებდა. ყეენი ანჩისხატთან, წყლის პირას მიჰყავდათ, სადაც მთელი ქალაქის ხელოსნობა სადილს მართავდა.

ყეენობა ყველგან საერთო ლხინით მთავრდებოდა. სუფრასთან მთავარი ყეენის გამხიარულება იყო. ხალხის რწმენით თუ ყეენი კარგ დროს გაატარებდა, მოსავალიც კარგი მოვიდოდა.

ყველიერი

ყველიერი დიდმარხვის წინა კვირა და მძიმე მარხვისთვის მოსამზადებელი პერიოდია, როდესაც ხორცის გარდა ყველა სახსნილო პროდუქტი (რძის ნაწარმი, კვერცხი, თევზი) იჭმება. ეს საყოველთაო მხიარულებისა და ხალხური სანახაობების, სხვადასხვა სახის უქმეების კვირა იყო. სწორედ ამ კვირას იმართებოდა ბერიკაობა-ყეენობის (იხ. ბერიკაობა, ყეენობა) სახელით ცნობილი სანახაობა.

ყველიერის პირველ დღეს დასავლეთ საქართველოში თეთრი ორშაბათი ეწოდებოდა.

<u>ჟვემო სვანეთში</u> ამ დღეს დილით ადრე შეკრებილი მომღერალთა ჯგუფი სოფელში ღამე ყველა ოჯახს ჩამოივლიდა. მომღერლები სახლში არ შეჰყავდათ. მათთვის ლობიო ან ყველი გამოჰქონდათ. სიმღერის დროს ერთ-ერთ ბიჭს კანაფით ბურავდნენ ანუ კანაფის ძაფს ახვევდნენ. ბიჭს ჰქონდა ხის ხმალი. იგი სახლში უნდა შევარდნილიყო და ხმალი საქვაბისთვის დაერტყა. ბიჭს ქალები გამოეკიდებოდნენ. თუ დაეწეოდნენ, ააგლეჯდნენ კანაფს და ქათმებს უყრიდნენ, რომ ბევრი ქათამი ჰყოლოდათ. ეს წესი ყველიერში ყველა დღეს სრულდებოდა.

<u>რაჭაში</u> თეთრ ორშაბათს უფროსი ქალი ძალიან ადრე დგებოდა, აცხობდა ერთ დიდ ყველიან განატეხს, ჩამოქნიდა სანთელს და განატეხში ჩაასობდა. ღრმა თეფშს წყლით ავსებდა, ბოსელში შედიოდა და ლოცავდა საქონელს. წყალს მიასხამდა ძროხას, ანთებულ სანთელს კი იქვე ტოვებდა. განატეხს სახლში შემოიტანდა და ყველა ქალს გაუნაწილებდა. ყველიერში სადილად და ვახშმად უფრო მეტად ყველს ჭამდნენ.

<u>ლეჩხუმში</u> თეთრი ორშაბათი დიდი უქმე იყო და ვენახის კოხისგან (სეტყვისგან) დასაცავად იყო განკუთვნილი. განსაკუთრებულ დღეობას ამ დღეს ორბელის თემი იხდიდა. ცხვებოდა ყველიანები (პურები) და სამი სამშვიდობო ტაბლა. მენახევრე ღვინოსთან ერთად (15 ბოთლის ოდენობა) და რიტუალური პურები ყველა ოჯახს სოფლის წინასწარ შერჩეულ ერთ დიდ სახლში უნდა მიეტანა. აქ მიდიოდა მღვდელი. თითოეული ოჯახიდან ერთ-ერთ წევრს მასთან ერთი

ტაბლა და მენახევრე ღვინო უნდა მიეტანა. მღვდელი აიღებდა სასმისს და დაილოცებოდა: „დეიფაროს ღმერთმა ბოროტისაგან, კოხისაგან შენი ვენახი. დეიფაროს ღმერთმა შენი ოჯახი სნეებისაგან, გაჭირვებისაგან, გაამრავლოს ღმერთმა!“ შემდეგ ხმამაღლა იტყოდა: „ეს მენახევრე ღვინო შემოსწირა ამან და ამან, დალოცოს ღმერთმა“. ხალხიც იმეორებდა - დაილოცოსო. ამის შემდეგ მღვდელი ტოვებდა თავყრილობას. მას ყოველი ოჯახი თან ატანდა: 1 ყველიან ტაბლას, 2 ან 3 ლავაშს და თითო ბოთლ ღვინოს. თავყრილობაზე ყველა თავის ოჯახის წევრთან ერთად ისხდა. აირჩევდნენ „ტოლუბაშს“ ანუ თამადას. პირველი სადღეგრძელოთი ახსენებდნენ ღმერთს. შემდგომ რიგრიგობით ისმებოდა ყველა ოჯახის სადღეგრძელო.

საღამოს დიასახლისი ძროხის სალოცს გამოაცხობდა. ეს ტაბლა (რიტუალური პური), ჭიქა წყალი და სანთელი ძროხასთან გაჰქონდა, თავზე წალმა შემოავლებდა და შეულოცავდა. ძროხას ზურგზე ტაბლას გადაატარებდა. ამ ტაბლას მხოლოდ გათხოვილი ქალი ჭამდა.

<u>საამეგრელოში</u> ივლისსა და აგვისტოში, შესაბამისად პეტრეპავლობასა და მარიამობას ყველიერისთვის განკუთვნილი ყველი 10-20 კილოიანი თიხის ხალამით (დერგი ანუ ქვევრის მოყვანილობის დიდი ქილა) შენობის შიგნით, მიწაში იმარხებოდა. ხალამს ხსნიდნენ ყველიერში და საკვების დასამზადებლად იყენებდნენ.

<u>გურიაში</u> ყველიერის ორშაბათს ყვავილობას ანუ ყვავილბატონების დღეს უწოდებდნენ. მას, ვისაც ყვავილი მოხდილი არ ჰქონდა, ამ დღეს პირის დაბანა, პურის გამოცხობა, წერა-კითხვა ეკრძალებოდა. ფანჯრებზე აფარებდნენ ფარდებს და საღამოს გარეთ არ გადიოდნენ. თუ სოფელში ვინმე ყვავილ-ბატონებით იყო ავად, იკრძალებოდა სრილა, ბატონები გაბრაზდებიანო. ხალხის რწმენით, ვინც ამ დღისთვის განკუთვნილ წესებს არ შეასრულებდა, ავად გახდებოდა. რაიმე ლოცვა ან რიტუალი არ სრულდებოდა, მაგრამ არც მუშაობა იკრძალებოდა.

<u>იმერეთში</u> ამ დღეს ყეენობა იცოდნენ.

<u>მესხეთში</u> თებერვალში, სავარაუდოდ ყველიერში, ხიდრიელა იცოდნენ. იგი ხუთ დღეს გრძელდებოდა - ორშაბათიდან პარასკე-

ვამდე. ხიდრიელას წესს ასრულებდნენ 15-30 წლის დასაოჯახებელი გოგონები და ვაჟები. ეს ერთგვარი მკითხაობა იყო, თუ ვინ იქნებოდა საბედო და რა ხელობას შეისწავლიდნენ. ხიდრიელას წესის შემსრულებლები ხუთი დღე ძალიან ცოტას ჭამდნენ. მეხუთე დღეს აცხობდნენ მარილის კვერს, ჭამდნენ და ძილის წინ თავქვეშ იდებდნენ მომავალი ხელობისთვის საჭირო ნივთებს: ნემსს, ძაფს, ფერად ნაჭრებს, მაკრატელს, ან სარკეს, სავარცხელს, იდგამდნენ წყალს. მიაჩნდათ, რომ ვისაც ხელობის სწავლა უნდოდა, ძილში ეცხადებოდნენ ანგელოზები და ასწავლიდნენ სასურველ საქმეს. ვისაც საბედოს ნახვა უნდოდა, სჯეროდა, რომ ძილში მომავალი მეუღლე წყალს დაალევინებდა. მოგვიანებით ახალგაზრდებს წიგნებისა და საწერ-კალმების თავქვეშ ამოდებაც დაუწყიათ.

<u>ქართლში</u> ყველიერის ორშაბათს იცოდნენ ერთგვარი თამაში, რომელსაც ჩალიჩი ეწოდებოდა. მოთამაშეები მოხაზავდნენ წრეს. მოთამაშეთა ერთი ჯგუფი, დაახლოებით 5 კაცი, წრეში იდგა, ამდენივე კაცისგან შემდგარი მეორე ჯგუფი კი მის გარეთ. წრეში მდგომებს წინ თითო ქამარი ედოთ და დარაჯობდნენ.

გარეთ მყოფები ცდილობდნენ, ქამრები წაერთმიათ მოწინააღმდეგეებისათვის და მოერტყათ მათთვის, ან ფეხით „დაეჭრათ“. ერთი მოთამაშეც რომ „დაჭრილიყო“, წრიდან მთელი გუნდი უნდა გამოსულიყო. ახლა წრეში გარეთ მყოფი გუნდი შევიდოდა. თამაშში ზოგჯერ მოხუცებიც მონაწილეობდნენ.

ქალებისა და კაცების ჩალიჩი ცალ-ცალკე იმართებოდა. ჩალიჩისთვის ქალები სარტყელ-გულისპირიან კაბებში გამოეწყობოდნენ. ამ დღეს ახალი სიძე-პატარძლსაც სცდინენ, რა ყოჩაღები იყვნენ. პატარძალს ხუმრობით სცემდნენ, სიძეს კი დასველებულ აპეურებს ურტყამდნენ. სათამაშოდ ირჩევდნენ დიდ ბანს. ზოგჯერ ჩალიჩის თამაში აღდგომამდეც გრძელდებოდა. ეს დღე ქართლში ისევე, როგორც გურიაში, ბატონების ანუ ყვავილის დღეც იყო.

ამ დღეს ჩიტფაფობის წესიც სრულდებოდა. გააკეთებდნენ წმინდად დაფქული ფქვილის ფაფას და ბავშვს სახლის ბანზე ააგზავნიდნენ. ბანიდან ბავშვი დედას ან ბებიას გადმოსძახებდა:

– დედა, დედა რას აკეთებ?

– ჩიტა-ფაფასა.

– ჩიტები ვის ყანას ჭამენ?

– სხვის ყანასა.

ფაფას ნაფოტებზე ათავსებდნენ, შემოდებდნენ ღობეზე და იტყოდნენ: „ჩვენ ყანას ნუ შეჭამთ, ეს შეჭამეთ“.

<u>კახეთში</u> ამ დღეს ჩიტის უქმე იყო. ჩიტებს რომ ბოსტანი არ გაეკენკათ და არ გაეფუჭებინათ, სანაცვლოდ დილით ფაფას უკეთებდნენ და გარეთ ღობეებზე დებდნენ. კახეთშიც იცოდნენ იგივე დიალოგი, იგივე ტექსტით, როგორც ქართლში.

<u>ხევსურეთში</u> თაგვ-ჩიტ უქმე დიდმარხვის პირველ შაბათს იცოდნენ, ფშავში კი ორშაბათს.

<u>ფშავში</u> ყველიერის ორშაბათს ურწყნის ორშაბათს (იხ. ურწყის ორშაბათი) უქმობდნენ. საერთოდ ურწყნის ორშაბათი ფშავში ორი იყო: ერთი ხსნილით - ყველიერის ორშაბათს და მეორე მარხვით - დიდმარხვის მეორე ორშაბათს. ხალხის წარმოდგენით ქალებს და ბავშვებს პატარა ანგელოზები მფარველობდნენ, რომლებსაც მათი ურწყთაგან დაცვა არ შეეძლოთ. ამიტომ ქალებისა და ბავშვებისთვის ურწყნი უფრო საშიშნი იყვნენ, ვიდრე მამაკაცებისათვის, რომლებსაც ძლიერი მფარველი ანგელოზი ჰყავდათ. სწორედ ამის გამო ქალები და ბავშვები პირველი და მეორე ურწყის ორშაბათის შუალედში გარეთ გამოსვლას ერიდებოდნენ. ისინი სოფლის გარეთ მარტო ვერ წავიდოდნენ. მიაჩნდათ, რომ ეს ორი კვირა ღმერთმა ურწყებს დაუთმო და ამ დროის განმავლობაში იკრძალებოდა: ოთხშაბათ-პარასკევს მამაკაცებისთვის საქმის კეთება, მათთვის ტანსაცმლის მოქსოვა-შეკერვა, მათთვის ძაფის დართვა. ამ დღეებში მკითხაველები არ მკითხაობდნენ, საკლავი არ იკვლებოდა, ღვთისშვილებს (გაღვთაებრივებული ადამიანები: კოპალა, იახსარი...) არ მოიხსენიებდნენ. ურწყნი მაშინ იყვნენ საშიშნი და მავნებელნი, თუ მათ ვინმე გზაში შეხვდებოდა ან მათივე უქმეს დაარღვევდა. ხალხის რწმენით ურწყთ ღმერთისგან აკრძალული ჰქონდათ ადამიანებთან სახლებში შესვლა და თუ გზაში არ გადაეყრებოდნენ, მათი დასჯა.

<u>ხევში</u> ამ დღეს ფაფასთან ერთად 3 პატარა კვერს, ხინკალს, ხაბიძგინებს (ყველისა და კარტოფილის გულიანი ხაჭაპური)

აკეთებდნენ. საღამოს, როდესაც ცაზე ვარსკვლავები ამოვიდოდნენ, დედა ან ბებია გამზადებულ საჭმელს გარეთ გამოიტანდა და ბავშვებს გამოიყვანდა. ბავშვები ცას შეხედავდნენ და იტყოდნენ: ეს ჩემი ვარსკვლავია, ეს ჩემიო. ბავშვებს სახადი რომ იოლად მოეხადათ, ხელის მტევანზე უფროსი (ბებია ან დედა) რამდენიმე წვეთ ცხელ რძეს აწვეთებდა, თითქოს ვარსკვლავებია მოფენილიო. ვინაიდან სახადის განმგებლად ხალხი წმ. იოანე ნათლისმცემელს მიიჩნევდა, ამიტომ ეს დღე მისთვის განკუთვნილი დღეც იყო.

ბავშვებს იქვე უნდა ეჭამათ კვერები და ხაბიძგინები, რის შემდეგაც გაიმართებოდა დიალოგი ბავშვსა და უფროსს შორის:

– დედა, დედა რას აკეთებ?

– ჩიტა-ფაფასა.

– მერე მე არ მაჭმევ?

– გაჭმევ მრავალსა.

– ჩემი ჯამი სადა დგა?

– მაღლა კერასა (ან მაღლა თაროსა).

– ჩიტნი ვის ყანას ჰკეკენ? (ან ხევში იტყოდნენ თაგვნი ვის ყანას მკიან?)

– სხვისა ყანასა.

საერთოდ ყველგან, სადაც ჩიტაფაფობა იცოდნენ (მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი; ამ დღეს ჩითუქმიც ერქვა და ყვავილთუქმიც იცოდნენ), მსგავსი რიტუალი სრულდებოდა და მსგავსი ტექსტი ითქმებოდა.

<u>ხევში</u> ყველიერის ორშაბათი გრძნეულთ ღამეც იყო და მას კუმეტს ეძახდნენ.

<u>თუშეთში</u> ყველიერის ორშაბათს უქმობდნენ. ახალგაზრდები მთელი დღე პონილაობდნენ ანუ შიმშილობდნენ. საღამოს გათხოვილი ქალი მათ, ვინც იშიმშილა, „ცეფისკვერს“ გამოუცხობდა. ცხრაჯერ დაფქულ მარილს და ფქვილს ცერით აზელდა და კვერს აცხობდა. პონილა ანუ ის, ვინც შიმშილობდა, ძილის წინ შეჭამდა კვერს, რომ თავისი საბედო ენახა.

<u>ერწო-თიანეთშიც</u> იცოდნენ ამ დღეს შიმშილი. შეჭამდნენ მარილის კვერს, რომ ძილში საბედო ენახათ.

ლეჩხუმში ყველიერის სამშაბათს საკაცურობასაც ეძახდნენ. ამ დღეს კაცებს უნდა დაეჭირათ ქალები. მამაკაცები ცდილობდნენ, ახლო მეზობლობაში რაც შეიძლება მეტი მამაკაცი შეკრებილიყო, რომ მეტი ქალის დაჭერა შეძლებოდათ, რათა მათგან მეტი სანოვაგე მიეღოთ. მამაკაცები ქალებს ღვედს ან თოკს გადააცვამდნენ და შესძახებდნენ: დაჭერილი ხარო. დაჭერილი ქალი ვალდებული იყო თავისი დამჭერისათვის გამოეცხო ყველიანი ანუ ოთხკუთხა ხაჭაპური, შეეწვა ქათამი* და ღვინო მიეტანა.

კახეთში ყველიერის სამშაბათს და ხუთშაბათს არ უქმობდნენ და საქმეს აკეთებდნენ.

მთიულეთში ამ დღეს ჟამის უქმეს იცავდნენ.

თუშეთში ყველიერის სამშაბათს მჭრელთ უქმეს იცავდნენ. უქმობდნენ იმისთვის, რომ თაგვს, ჩრჩილს, კალიას მათი სარჩო-საბადებელი არ დაეზიანებინა.

ყველიერის ოთხშაბათს ჩრჩილის (ქართლი), დამწვრის (კახეთი), ჩირჩილთ (ერწო-თიანეთი), მღილთ (მთიულეთ-გუდამაყარი) უქმე იყო. თუ ამ დღეს ისაქმებდნენ, ხალხის რწმენით ჩრჩილი მათ ტანსაცმელს დაჭრიდა. დილით დიასახლისი უმძრახად დაჩეჩილ მატყლს სახლის ოთხივე კუთხეში დადებდა და იტყოდა: „აბა, რჩილო, ეს ჭამე ჩემი ტანსაცმლის მაგივრად“. ზოგან ჩირჩილის უქმე დიდმარხვის ორშაბათს იცოდნენ. ჯოხზე მატყლს ახვევდნენ და იტყოდნენ: აბა, ჩემო ჩრჩილო, მაგართვი შენი პაჭიები და ჩემს ტანსაცმელს ხელი არ ახლოო. შემდეგ ამ ჯოხებს სახლის კუთხეებში დებდნენ.

ყველიერის ხუთშაბათს ქვემო სვანური მასალების მიხედვით ლამარია ცაში ეწოდებოდა. მოსახლეობა სვანეთიდან მოწამეთასა და გელათში მიდიოდა; ძირითადად ისინი, ვისაც შვილი არ ჰყავდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველიერის ხუთშაბათს შიოობას აღნიშნავდნენ.

---

* როგორც წესი ყველიერში ხორცის ჭამა იკრძალება. ყველიერის სამშაბათს ქათმის შეწვა წესის დარღვევაა, რასაც სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

ქართლში ერბოს ზედაშისაგან, რომელიც ზოგან საგანგებოდ შიოს სახელზე იყო გადადებული, დიდ კეცეულს (რიტუალური პური) აცხობდნენ, რომელსაც ცხრაფურცელას უწოდებდნენ. ცხრაფურცელას დილით გამოაცხობდნენ და იტყოდნენ: შიო ბარაქიანო, შენი მადლის ჭირიმეო, მშვიდობიანი და ბარაქიანი წელიწადი მოგგვარეო, ბარაქა მიეციო ნაწლევს (ნაწველს), ნადღვებსაო. დაჭრიდნენ ქადას. დაჭრის დროს ილოცებდნენ, სანთელს ანთებდნენ. ხალხი ამბობდა, შიო მუშა, პატიოსანი, ჭკვიანი, ხელბარაქიანი და წმინდა კაცი იყოო. ამ დღეს მუშაობდნენ. ქართლში შიოობას ბევრი ქადა უნდა ეჭამათ.

თბილისში ყველიერის წინ ყველა ოჯახი იმარაგებდა კარგ ფქვილს და ცხიმს, რათა ყველიერის ორშაბათიდან ქადა და ნაზუქები გამოეცხოთ. მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ქადის და ნაზუქის ცხობას ყველიერის ხუთშაბათს იწყებდა, რის გამოც მათ შიოს ქადა ეწოდებოდა.

ხევში შიოს მადლიან კაცად მოიხსენიებდნენ და მას შენდობას სთხოვდნენ.

მთიულეთში დათვის უქმე ანუ დათვქადობა, ქადაობა იცოდნენ. ამ დღეს საქონლის სიმრთელისთვის უქმობდნენ და ღმერთს სთხოვდნენ, რომ მათი საქონელი მგელს და დათვს არ შეეჭამა.

დათვქადობა ყველიერში გუდამაყარშიც იცოდნენ. ყველიერის ხუთშაბათს გუდამაყარში შიოს სახელზე, რომელიც გუდამაყრელთა წარმოდგენით მშრომელი კაცი იყო, აკეთებდნენ სადილს და მის სულს შენდობას ეუბნებოდნენ (ანუ ღმერთს შესთხოვდნენ შეენდო მისთვის ცოდვები*). მშრომელ შიოს გუდამაყარში წმ. შიო მღვიმელად იხსენიებდნენ. მშრომელი შიო სხვა კუთხეებშიც წმ. შიო მღვიმელს უკავშირდება. მართლაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყველიერის ხუთშაბათს, 20 და 22 მაისს ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, წმ. შიო მღვიმელს მოიხსენიებს.

---

* თუმცა წმინდანს შენდობის თქმა არ სჭირდება, ვინაიდან მას თავისი წმინდანობით შენდობილი აქვს ცოდვები. იგი თავადაა ჩვენი შუამდგომელი ღმერთის წინაშე.

წმ. შიო ანტიოქიაში მდიდარი და ღვთისმოსავი მშობლების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. თურმე ძალიან ბევრს კითხულობდა და კარგად იცოდა სამართო სჯული. როდესაც 20 წლის გახდა, სახლიდან გაიქცა და მეუდაბნოე ბერ იოანესთან მივიდა, რომელსაც მოგვიანებით იოანე ზედაზნელი დაერქვა. მის დანახვაზე ბერი თურმე მოწაფეებს მიუბრუნდა და უთხრა: ეს ყმაწვილი მრავალი მამის ანუ ბერის მამა გახდებაო. მოძღვრის კურთხევით წმ. შიო დაბრუნდა სახლში და მონასტერში წასვლაზე მშობლებისგან კურთხევა აიღო. თავის მხრივ მისი მშობლებიც ბერ-მონაზვნური ცხოვრების გზას დაადგნენ.

მონასტერში წმ. შიომ მალე ლოცვით ავადმყოფების განკურნება დაიწყო. 20 წლის მოღვაწეობის თავზე წმ. იოანე ზედაზნელს გამოცხადებით ეუწყა რომ, 12 მამასთან ერთად საქართველოში გამგზავრებულიყო. მართლაც მოწაფეები საქართველოში წამოვიდნენ, რომელთაგან ნაწილი თავდაპირველად წმ. იოანესთან ერთად ზედაზენზე დარჩა, მოგვიანებით კი სხვადასხვა ადგილას გაიგზავნა.

წმ. შიო დღევანდელი შიომღვიმის ტერიტორიაზე დასახლდა. მან წმინდა ცხოვრებით სახელი გაითქვა, დიდი და მრავალრიცხოვანი მონასტერი დაარსა, მრავალ სასწაულს ახდენდა და მრავალს კურნავდა. როდესაც გარდაიცვალა, საკუთარ შესამოსელში გაახვიეს და თავისივე მღვიმეში დაკრძალეს. წმ. შიოს გარდაცვალებას ეკლესია 9/22 მაისს მოიხსენიებს. ყველიერის ხუთშაბათი კი მისი წმინდა ნაწილების მღვიმიდან სასწაულებრივად გამოსვლის დღეა. გადმოცემის მიხედვით ეს სასწაული შეწყდა XVIII ს-ში, როდესაც ნადირ-შაჰმა მისი ძვალთშესალაგი ააოხრა და წმინდა ნაწილები მიმოაბნია.

<u>თუშეთში</u> ამ დღეს შიოობის უქმეს იცავდნენ. ხალხის თქმით მშრომელი კაცი შიო ცეცხლში დამწვარა. მისი სული ეხში ბინადრობს. ყველიერის ხუთშაბათს მისი სული გარეთ გამოდის და მზეზე წვებაო. ამ დღეს აცხობდნენ მაჭკატებს და სუფრასთან ილოცებდნენ: „შიო მუშავო, შიო მაშვრალოვო, ძვალნიმც გეპოხებიანო, ჯვარსამც დაგვიწერავ კაცსავ და საქონსა, ხვავ-ბარაქას დაგვიდებო ერუშალეთის მადლითაო“.

<u>ქართლში</u> ყველიერის პარასკევს კვირტის უქმე იცოდნენ, მთიულეთ-გუდამაყარში, კახეთში დამწვრის, დაწვის უქმე ან ბოგანოს

უქმე, ვენახი რომ არ გაფუჭებულიყო. ქართლში დამწვრის უქმეს დიდმარხვის პირველ ოთხშაბათს ინახავდნენ.

კვირტის უქმე ვაზისთვის იყო განკუთვნილი. უქმობდნენ მამაკაცები, რომ ვაზს კვირტი არ გასცვენოდა. დამწვრის უქმეს ხანძრის თავიდან ასაცილებლად ინახავდნენ.

ყველიერის შაბათს უქმის გატეხას ხალხის რწმენით უბარაქობა მოჰყვებოდა.

<u>რაჭაში</u> ყველიერის შაბათი კილმარობის სახელით იყო ცნობილი. ზოგჯერ კილმარობას კვირიკობისთვის სამ რიცხვში იცავდნენ. უქმე არ იყო. ოჯახის უფროსი კაცი ვენახში შევიდოდა, ლერწის ძირში, ვაზს საღი მტევანი რომ მოესხა, რკინას შეინახავდა, რასაც ვენახის დარკინვა ეწოდებოდა.

<u>ლეჩხუმში</u> ყველიერის შაბათს სულთა შაბათი, გურიაში — სულთამკვდრისი ეწოდება. ლეჩხუმში ამ დღეს ქალები უქმობდნენ. ყველა ოჯახში სადილობამდე სუფრის წადგმა ანუ დადგმა იყო სავალდებულო.

<u>გურიაში</u> ყველიერის შაბათს საღამოსთვის კეთდებოდა საკურთხი, იგზავნებოდა ეკლესიაში და მღვდელი აკურთხებდა. საკურთხის ნაწილს თვითონ აიღებდა, ნაწილს კი პატრონი შეჭამდა. საღამოს კვერცხის ნაჭუჭში ცოტ-ცოტა ნამცეცებს ჩაყრიდნენ - ეს კოღოს, ეს რწყილსო და სხვა. შემდეგ ნაჭუჭს დაახურავდნენ, შემოივლებდნენ თავზე და გადააგდებდნენ.

<u>ხევსურეთშიც</u> ყველიერის შაბათი მიცვალებულთა დღე იყო. მას, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ხდიდა არაყს, პატიჟებდა სოფელში მცხოვრებ ყველა ქალს, შლიდა ტალავარს და დიდხანს დაიტირებდნენ მიცვალებულს. ტირილის ბოლოს ყველა ქალი ჩუმდებოდა. ერთი მათგანი სხვების თხოვნით ტალავარზე დადებულ მიცვალებულის ხანჯალს ან ხმალს აიღებდა და ხმამაღლა იტირებდა მიცვალებულს. ბოლოს ოჯახი სტუმრებს არყით, ხავიწით (ცეცხლზე ერბოში არეული ფქვილი) ან ფაფით უმასპინძლდებოდა.

<u>ფშავში</u> ყველიერის შაბათს ყველიერს ეძახდნენ და იცოდნენ ბერიკაობა. ამას გარდა მათურის მთავარანგელოზის ხატში ხევისბერები ანთებდნენ სანთლებს, ლუდით, რომელიც ხორციელის შაბათს

იყო დამზადებული, ადიდებდნენ სალოცავს და იხსენიებდნენ სოფლის მიცვალებულებს. სოფლიდანაც მოდიოდა მლოცველი. ხანდაზმულები დაღამებამდე რჩებოდნენ, ახალგაზრდები კი ბერიკაობისთვის ემზადებოდნენ (იხ. ბერიკაობა-ყეენობა).

<u>ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲨᲘ</u> ამ დღეს ყველის შაბათს ეძახდნენ. დილით დიასახლისი საუკეთესო სუფრას გააწყობდა. ოჯახის უფროსი ანთებული სანთლით ოჯახის ანგელოზის სახელზე ილოცებდა. ამის შემდეგ სოფლის მამაკაცები ბანზე იკრიბებოდნენ. სახლებიდან მიჰქონდათ დიასახლისის გამომცხვარი ქადები, რომლებსაც აყენებდნენ და თოფებს ესროდნენ. ამას თოფოსნობა ეწოდებოდა. ჭირისუფალ ქალებს ზოგჯერ თოფოსნობისას მიცვალებულის სახელზე მიჰქონდათ: წინდები, პაჭიჭები, ქუდი და სხვა. ვინც მიზანს მოარტყამდა, მას ჯილდოდ სამიზნეს აძლევდნენ.

<u>ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲫᲐᲠᲨᲘ</u> მიცვალებულთა დღე იყო და ზოგი თაგვის უქმესაც (იხ. თაგვის უქმე) იცავდა. ზოგი ამ უქმეს დიდმარხვაში იცავდა. ამ დღეს იცოდნენ თქმა: „ხორცის შაბათსაო, ძმანო, თქვენ მითხარით შანდობაო, ყველის შაბათს, რძალნო, თქვენ მითხარით შანდობაო“.

<u>ᲗᲣᲨᲔᲗᲨᲘ</u> ჯარი (შეკრება და ლხინი) იცოდნენ. ზოგ სოფელში ამ დღეს ქალთგორობას ანუ ქალთგორაობას და ოფოფობას მართავდნენ. ანგელოზობასაც უქმობდნენ.

ხალხის რწმენით ამ დღეს ზეციდან ყველას მფარველი ანგელოზი ჩამოდიოდა და ვისაც იფარავდა, მას აჯდებოდა მხარზე. ცდილობდნენ, მხარი ორი დღის განმავლობაში არ ემოძრავებინათ - ანგელოზი არ ჩამოვარდესო.

<u>ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ</u> კვირას ყველიერის გაცილებას აწყობდნენ, ამას ყველიერი აღაბლეთი ეწოდებოდა. სოფელი იკრიბებოდა, ქეიფობდნენ და მხიარულობდნენ.

<u>ᲠᲐᲭᲐᲨᲘ</u> ამ დღეს უქმობდნენ, ვინაიდან იყო კვირა დღე. სადილსა და ვახშამზე ყველი და ბევრი კვერცხი უნდა ყოფილიყო. იცოდნენ ყველიანების გამოცხობა. ამ დღეს განსაკუთრებულად კარგად უნდა დარეცხილიყო ჯამ-ჭურჭელი, რომ სახსნილო არ შეყოლოდა. დაკასკასება ანუ ჭურჭლის დარეცხვა დილიდანვე იწყებოდა. ვახშმო-

ბის შემდეგ ოჯახში დიასახლისი აგროვებდა ნამცეცებს, კვერცხის ღან-ჭეჭში ანუ ნაჭუჭში ჩაყრიდა და დაძინებისას თავქვეშ ამოიდებდა.

<u>ლეჩხუმში</u> ყველიერის კვირას, ანუ ყველიერის დაურწყებას უქმე იყო. ამ დღეს სავახშმოდ ადრე უნდა დამზადარიყვნენ, ვინაიდან მიაჩნ-დათ, რომ დიდმარხვა ვარსკვლავების ამოსვლის შემდეგ დგებოდა. ამიტ-ომ ვახშმის სამზადისი ადრიდანვე იწყებოდა. ამ დღეს სადილზე და ვახშამზე ბევრი ყველი უნდა ეჭამათ. გარდა იმისა, რომ ეს დიდმარხვის წინ უკანასკნელი სახსნილო დღე იყო, მიაჩნდათ, რომ ყველი კბილებს ხორცისგან კარგად ასუფთავებდა და ყველიერს კბილის საწმენდს ეძახ-დნენ. ვახშმად სუფრაზე აუცილებლად, რაც შეიძლებოდა, მეტი ყველი, ღომი და კვერცხი უნდა ჰქონოდათ. ნავახშმევს დიასახლისს ღომის, ყველის ნამცეცები და კვერცხის ღენჭეჭო უნდა შეეგროვებინა და თეფშით შეენახა. ზოგიერთ ოჯახში ვახშმის შემდეგ დარჩენილ ფინჩხებს ღენჭეჭოში ყრიდნენ და მეორე დღისთვის ინახავდნენ. ამ საღამოს პირს ირეცხავდნენ, ხელ-პირს იბანდნენ და ადრე წვებოდნენ.

<u>გურიაში</u> ამ დღეს ყველიერის დაურწყება ერქვა. სადილსა და ვახშამზე განსაკუთრებით ყველიანი და კვერცხიანი საჭმელი უნდა ყოფილიყო. ყველიანებსაც აცხობდნენ. ჯამ-ჭურჭელს განსაკუთრებით „აკასკასებდნენ“ ანუ ხეხავდნენ და ასუფთავებდნენ, რომ სახსნილო არაფერი შეყოლოდათ და მარხვა სუფთად დაეცვათ.

<u>ქართლში</u> ამ დღეს მღრღნელებისა და თაგვების საწინააღმდეგოდ გამოთაგობის წესი სრულდებოდა. ქართლში ყველიერში აცხობდნენ გულიან ქადას და ხორბლის ან ლობიოს გოდორში ჩაფლავდნენ. გახსნილების შემდეგ ბავშვებს პატარა ნაჭრებს აჭმევდნენ - აღარ გაკივდებიანო.

<u>მთიულეთში</u> ცხენის პატრონი ქადას გამოაცხობდა, ცხენს სამ-ჯერ შემოავლებდა და ხამლს (ხუნაგის მშველელი ხატი) შეეხვეწებო-და, შემინარჩუნეო. ამ დღეს ესკალაის ანუ ასკილის ტოტებით თაგ-ვების გარეკვა იცოდნენ.

საღამოს კარგ ვახშამს გააკეთებდნენ. ოჯახის უფროსი, რომელ-საც ანთებული სანთლები ეჭირა, ღმერთს და ხატს მფარველობას ეხ-ვეწებოდა. სანთლებს გარკვეულ ადგილზე მიაკრავდა და ოჯახი ვახშმობდა.

ხევში ამ დღეს აღებას ეძახდნენ. ზოგან სოფელმა ერთად რომელიმე ოჯახში შეკრება და ლხინი იცოდა. ამ შეკრების ადგილზე ყველას საჭმელ-სასმელი მიჰქონდა, ვისაც რა ექნებოდა.

ხევსურეთში ყველიერის კვირას მარხვაშამაი წუხრას ეძახდნენ. კარგ ვახშამს აკეთებდნენ და ყველა ერთმანეთს უმასპინძლდებოდა.

თუშეთში ყველა აცხობდა კოტორებს, აკეთებდა ხინკლებს.

ყველიერის კვირა ყველიერის დაურწყება იყო. სადილ-ვახშამზე განსაკუთრებით ყველი და ბევრი კვერცხი უნდა ყოფილიყო. დილიდანვე იწყებოდა ჯამ-ჭურჭლის „დაკასკასება“, რომ სახსნილო (ქონი, ხორცი, რძის ნაწარმი, კვერცხი, თევზი) არ შეჰყოლოდა.

შ

შავი ორშაბათი

დიდმარხვის პირველ ორშაბათს შავი ორშაბათი ეწოდებოდა. ხალხმა ამ დღეს სხვა სახელებიც შეარქვა. მაგალითად: დიდი ორშაბათი, დიდმარხვის ორშაბათი, წმინდა ორშაბათი, კუმეტი, ურწყის ორშაბათი, თუთაშხა ბედნიერი (ანუ ბედნიერი ორშაბათი).

ძველო სვანეთში სოფელ ჟახუნდერში შავ ორშაბათს, დიდი ცაცხვის ქვეშ მთელი ლაშხეთი იკრიბებოდა და იმართებოდა მურყვამობა. შავ ორშაბათს ბეროლობაც (გონჯაობა. იხ. დარ-ავდრის რიტუალები) იმართებოდა.

შავ ორშაბათს დილით რაჭაში დიასახლისი ადგომისთანავე აიღებდა თავქვეშ ნადებ სუფრიდან მორჩენილ ნამცეცებს, ყველა ბავშვს, ყველა უგვირგვინოს ანუ დაუოჯახებალს ტერფზე ამოუსვამდა - ფეხის გული არ ასტკივდებაო. ქალები საკერავს, საქსოვს ხელს არ ჰკიდებდნენ. თუ კაცები ამ დღეს მთაში წავიდოდნენ, ნაჯახისთვის ან წალდისთვის პირი ჩვრით უნდა შეეხვიათ, მთაზე ასვლისას კი რკინას პირს გაუხსნიდნენ. შინ ნაჯახის ხმარება არ შეიძლებოდა. ამ დღეს რკინეულს მალავდნენ. მიაჩნდათ, რომ ნადირი საქონელს ვეღარ შეჭამდა.

შავ ორშაბათს ქალები აუცილებლად ალაგებდნენ სახლ-კარს. საღამოს ზელდნენ პურის ცომს, აცხობდნენ მარილიან, საშუალო

ზომის ბეწვის განატეხს, რომ მათ მიერ მომზადებულ საჭმელს უწმინდურება და ბეწვი არ ჰქონოდა. რიტუალის დროს დიასახლისი ხმარობდა ძაფს, რომელსაც შემდეგ ოჯახის ყველა ქალი იხვევდა თითზე. ღმერთს ისინიც შესთხოვდნენ, მათი ნამზადი დაეფარა უწმინდურებისა და ბეწვისგან.

როდესაც ქალები ბეწვის განატეხთან ლოცვას მორჩებოდნენ, კაცები შევიდოდნენ იქ, სადაც ეს ლოცვა სრულდებოდა, ცოტაოდენ ღვთაება ჟივჟივას განატეხს, რომელიც ამავე დღეს ცხვებოდა, მოტეხავდნენ, აწებდნენ ღვინოში და იტყოდნენ: ჟივჟივას და მის ვაჟინას შეუნდოსო. ამ სიტყვების თქმის შემდეგ გარეთ გადიოდნენ და ლუკმას შორს აგდებდნენ. ყველა მამაკაცს სამ-სამჯერ უნდა მოეტეხა განატეხი, სამჯერ ეთქვა, ვაჟინას შეუნდოსო და მონატეხი ლუკმა გარეთ გაესროლა. ჟივჟივასთან დაკავშირებით ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში იგივე წესები სრულდებოდა.

<u>ᲯᲐᲮᲔᲗᲨᲘ</u> ამ დღეს ნამცეცობასაც ეძახდნენ და მორჩენილ საჭმელს ჭამდნენ. მეგუთნეს პერანგს ურეცხავდნენ – წმინდა მოსავალი მოვაო. ამ დღის ნაცარს თვალებახვეულები გადაყრიდნენ. ახალგაზრდები მთელი დღე შიმშილობდნენ და ბედისკვერს ისეთ ადამიანს აცხობინებდნენ, ვისაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა. ცერა თითით სამჯერ აიღებდნენ ფქვილს, მარილს აურევდნენ და კვერს აცხობდნენ. დაწოლის წინ გზაჯვარედინზე გადიოდნენ, კვერს უმძრახად ჭამდნენ. ასევე უმძრახად ბრუნდებოდნენ სახლში და იძინებდნენ, რომ სიზმარში საბედო ენახათ. ამ წესს წუმის შენახვას ეძახდნენ.

<u>ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲨᲘ</u> შავ ორშაბათს გარეგანობა ერქვა. ღვთის სახელზე უქმობდნენ და ვინც უქმეს გატეხავდა ანუ უქმეს დაარღვევდა, ღვთის გარეგანს ეძახდნენ.

შავ ორშაბათს მკითხაობის მიზნით ხევშიც ჭამდნენ მარილის კვერს და მას ქმრის მარხვას ეძახდნენ. ზოგი ამ დღეს ჩიტფაფობის, ჩირჩილთ უქმის და გამოთაგობის წესს ასრულებდა. სახსნილო საჭმლიდან რაც დარჩებოდათ, ჩიტებისთვის ჯოხზე წამოაცმევდნენ და ჯოხს მიწაში ჩაარჭობდნენ.

<u>ᲮᲔᲕᲨᲘ</u> ჟამიანობის საწინააღმდეგოდ ჟამის ანუ შავი ჭირის უქმეს იცავდნენ.

ხევსურეთში ეს დღე ურწყის ორშაბათი იყო. ამბობდნენ, ამ დღეს ურწყთ გამოსვლის დღეაო (იხ. ურწყის ორშაბათი).

ფშავში თაგვ-ჩიტ უქმეს იცავდნენ.

თუშეთში ზეწველის უქმე იცოდნენ. ამ უქმის გატეხვას ხალხის რწმენით რძის უბარაქობა მოჰყვებოდა, ძროხებს ძუძუები ატკივდებოდათ და სისხლს მოიწველიდნენ.

შავნაბადობა

(იხ. გიორგობა)

შვიდმაისობა

მართლმადიდებელი ეკლესია 7/20 მაისს იერუსალიმში 351 წ. პატიოსანი ჯვრის გამოჩინების ანუ გამოჩენის სასწაულს აღნიშნავს. ეს სასწაული არიოზის მწვალებლობის დროს მოხდა. იერუსალიმის იმდროინდელი პატრიარქის, კირილეს ეპისტოლედან (წერილიდან), რომლითაც მან ბიზანტიის იმდროინდელ იმპერატორ კონსტანცის მიმართა, ვიგებთ, რომ 7/20 მაისს, 15 საათზე იერუსალიმის ცაზე ჯვრის გამოსახულება გამოჩნდა. ჯვარი, რომელიც გოლგოთის მთიდან ელეონის მთამდე, 1. 5კმ-ზე იყო გადაჭიმული, თურმე ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავდა. კირილე იერუსალიმელი იმპერატორს ამ სასწაულით შეაგონებდა, რომ მას არიოზობაზე უარი ეთქვა და კვლავ მართლმადიდებლობას დაბრუნებოდა.

7/20 მაისს უქმე დღე იყო. ხალხის თქმით, როდესაც ამ დღეს წვიმდა, ცაში ჯვარი ჩნდებოდა, ზეციდან ნაკურთხი წყალი მოდიოდა და მოსავლის ნაყოფიერების საწინდრად მიწას ესხმებოდა. ამ დღეს შვიდჯერ უნდა ეწვიმა. ხალხის რწმენით, წვიმის წყალი სიუხვის მომტანი იყო.

ძველო ქართლში კარგი რძის ნაწარმი რომ ჰქონოდათ, 7/20 მაისის წვიმის რამდენიმე წვეთს უმატებდნენ. გემოს გასაუმჯობესე-

ბლად რამდენიმე წვეთს საჭმელსაც შეურევდნენ. ხალხის რწმენით 7/20 მასისის წვიმის წყალს ცოტაოდენ ღვინოს თუ დაუმატებდნენ, საუკეთესო ძმარი ექნებოდათ. კარგი მოსავლის მაუწყებელი იყო 7/20 მაისს ცაზე შვიდფერა ცისარტყელას გამოჩენა. თუ ცისარტყელას ფერებში ღვინისფერი ჭარბობდა, ხალხს მიაჩნდა, რომ იმ წელს ღვინო უხვად ექნებოდათ, და თუ ლურჯი – ხორბალი. ხალხის აზრით, 7/20 მაისის წვიმით ნასაზრდოები მცენარე, ამავე წყლით დაბანილი თმა ხარისხითაც გამოირჩეოდა, კარგადაც იზრდებოდა და საღიც იყო. ამასთან დაკავშირებული ხალხური ლექსი და მისი სხვადასხვა ნიმუში კარგადაა ცნობილი.

„შვიდ მაისის წვიმაო,
თმა კოჭებამდინაო“.

***

„შვიდ მაისის წვიმაო, თავზე დამედინაო,
შვიდ-შვიდი ნაწნავი თმა თავზე დამეფინაო“.

***

„შვიდ მაისის წვიმაო, თავზე დამედინაო,
შვიდმარცვალი ბეწვი მქონდა
შვიდ ათასად მექცაო“.

როდესაც გაავდარდებოდა, წვიმის წყალს აგროვებდნენ და ამ წყლით თავს იბანდნენ. თუ ამ დღეს არ გაწვიმდებოდა, თავზე ნამს მაინც წაისვამდნენ.

ხალხის რწმენით, 7 მაისის წვიმის წყალს სამკურნალო თვისებებიც ჰქონდა. ამ დღეს აუცილებლად აგროვებდნენ ბალახებს, ახმობდნენ და მთელი წლის განმავლობაში სამკურნალოდ იყენებდნენ. კარგმა დიასახლისმა 7 მაისის ბალახი მაინც უნდა შეიტანოს სახლშიო, ამბობდა ხალხი. ზოგი ამ დღეს შვიდნაირ ბალახს კრეფდა, ამაღლების დღეს კი - ყველანაირს. როდესაც ვინმე ავად გახდებოდა, ამ ბალახების ნახარშში ჩასვამდნენ, ზემოდან საბანს დააფარებდნენ,

გვამი გათბება და ავადმყოფი მორჩებაო. პროფილაქტიკის მიზნით ბალახებს სამკურნალოდ დაკრეფის დღესვე ხმარობდნენ. 7/20 მაისს მოკრეფილ ბალახებს ჩაყრიდნენ წვიმის წყალში, ცოტათი შეათბობდნენ და თავსა და ტანს დაიბანდნენ. ეს ხალხის თქმით, თმას ზრდიდა და კანს ალამაზებდა, კარგი იყო ჯანმრთელობისთვისაც. 7/20 მაისს მოკრეფილი შვიდნაირი ბალახ-ყვავილებისაგან შემზადებულ წვიმის წყლის აბაზანებს ქალური და რევმატიული დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ. ამ დღეს მოკრეფილი ღოლოს ნახარში ყელის ტკივილის, ყბაყურის და ყივანახველის სამკურნალოდ იხმარებოდა. ნახარშს ივლებდნენ ყელში, ყელის ტკივილისას საფენებად ხმარობდნენ. დასუსტებულ ავადმყოფს ამ წყალში გაბანვა ძალას მატებდა.

გაზაფხულის პირველი დიდი ჭექა-ქუხილის დროს ბავშვები სასაფლაოზე გარბოდნენ, საფლავის ქვის ჩაღრმავებებში დაგროვილ წყალს აგროვებდნენ და ამ წყლით იბანდნენ პირს, თავზე ივლებდნენ, რომ გალამაზებულიყვნენ, კარგი თმა ამოსვლოდათ და ჯანმრთელები ყოფილიყვნენ.

ხალხის დაკვირვებით 7/20 მაისის კარგი ამინდი არ იყო სანდო, ვინაიდან თოვლი შეიძლება ისევ მოსულიყო. მხოლოდ ამაღლებიდან ერთი კვირის შემდეგ დგებოდა საბოლოოდ სითბო და ზაფხული. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხალხური გამონათქვამი არსებობს: „7 მაისსაო 7 გოდორი ბზე უნდა გქონდესაო, ბარის კაცო, შენ გეუბნები, თუ არა და მთის კაცს მაინც ექნება“ (რაჭა). „7 მაისსაო 7 გოდორი ბზე უნდა მქონდესო ბარშიო და მთაში შენ იცოდეო“ (ქართლი). „7 მაისსაო 7 გოდორი ბზე მაინც უნდა გქონდესო, არა გაიგება დარ-ავდრისაო“ (ფშავი). „შვიდსა დღესა, 7 მაისს 7 ირემი მოუკლესაო, 7 ირემის გატყავებაში შუბი წაიქცაო“. „შუბი უეცრად მოსულ დიდ თოვლს წაუქცევიაო“.

7 მაისს სეტყვის საწინააღმდეგო დღეობა კოხინჯრობაც იმართებოდა და ქალები დიდებაზეც დადიოდნენ (იხ. დარ-ავდრის რიტუალები).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 7/20 მაისს იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების გარდა ასურელ მამებს - წმინდა იოანე ზედაზნელსა და მის 12 მოწაფეს მოიხსენიებს. ეს დღე ზედაზნობის სახელითაცაა ცნობილი.

VI ს-ში სპარსეთი იპყრობს კავკასიის დიდ ნაწილს და ყველა ხერხს მიმართავს საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ცდილობს, საქართველო, სომხეთი და ალბანეთი ბიზანტიისგან გათიშოს, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად სპარსეთისთვის სასურველი სარწმუნოება მონოფიზიტური მიმართულების ქრისტიანობა ხდება და ეს მწვალებლობა მან ბერძნულ ქალკედონიტობას დაუპირისპირა. გარკვეული წინააღმდეგობის შემდე სომხებმა და ალბანელებმა მონოფიზიტობა მიიღეს. ამ მიმართულებით საქართველო დიდ განსაცდელში იყო, მაგრამ იოანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის დახმარებით ეს საშიშროება თავიდან აიცილა; საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას, განამტკიცეს მართლმადიდებლობა, რითაც ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელს საშუალება მიეცა X ს-ში საჯაროდ განეცხადებია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას არ გადაუხვევია არც მარჯვნივ და არც მარცხნივ და მწვალებლობის ღვარძლი არ შერევია.

წმინდა იოანე ზედაზნელი სირიაში მონასტრის წინამძღვარი იყო. ერთხელაც მას გამოცხადება ჰქონდა, რომლის მიხედვითაც სულიერად ძლიერი 12 მამა ანუ მონაზონი უნდა შეეკრიბა და საქართველოში საქადაგებლად და ხალხის რწმენაში გასაძლიერებლად გამომგზავრებულიყო. ერთ დღესაც ცამეტივე მამა შეიკრიბა. მათ წირვა აღავლინეს, მიიღეს ზიარება და ღვთისმშობლის კურთხევით საქართველოსკენ გამოემართნენ. მოვიდნენ მცხეთაში, სადაც თაყვანი სცეს ამ წმინდა ადგილს და ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქ ევლავიოსის ლოცვა-კურთხევით გაემართნენ ზედაზენზე. აქ ორი წლის ერთად ყოფნის შემდეგ წმ. იოანემ ღვთის მითითებით მოწაფეები: იოანე ზედაზნელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოს სტეფანწმინდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში სამოღვაწეოდ გაგზავნა.

ზედაზენზე ზედაზნობას, სადაც წმინდა იოანე ზედაზნელი მოღვაწეობდა, რა თქმა უნდა, წირვა-ლოცვა აღესრულებოდა. ხალხი

სალოცავში წინა საღამოს მიდიოდა. მლოცველებს ჩადრიანი, ფეხშიშველა ქალები და თეთრ სამოსში გამოწყობილი ბავშვებიც მოჰყვებოდნენ. ესენი მძიმე ავადმყოფობისგან განკურნებული ბავშვები იყვნენ. მშობლები მათ მორჩენას იოანე ზედაზნელს შესთხოვდნენ. ბავშვებს მთელი წელი თეთრი კაბა ეცვათ და თმას არ იჭრიდნენ.

ზედაზენზე დღემდე სასწაული აღესრულება. დღესასწაულის წინა დღეს, შებინდებისას ტაძრის შიგნით ერთ-ერთ კედელზე წყალი იწყებს ჟონვას ანუ „ცრემლდენას“ და იქვე საგანგებოდ გაკეთებულ აუზში გროვდება. წყლის დენა წყდება მაშინ, როდესაც დღესასწაული მთავრდება. წყლის სიუხვე-ნაკლებობის მიხედვით ხალხი უხვ ან უბარაქო მოსავალს ელოდა. ამ წყალს მორწმუნეები აგროვებენ და ნაკურთხი წყლის მსგავსად ხმარობენ. გვალვისას გლეხს, რასაკვირველია, მოსავლისთვის წვიმა სჭირდებოდა. თურმე ზედაზნის ეკლესიაში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს „უწვიმობით გაჭირვებული ხალხის სიბრალულით“, როგორც მწერალი და გამოჩენილი ქართველი მოღვაწე თედო სახოკია წერს, 7/20 მაისს ცრემლები წამოუვიდოდა, რასაც ნანატრი წვიმა მოჰყვებოდა.

როგორც ცნობილია, 7/20 მაისს მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი დღესასწაულიც აღინიშნება (იხ. მცხეთისჯვრობა).

<u>ქართლში</u> 7/20 მაისს ნინოობას აღნიშნავენ, რაც თხოთის მთაზე აღმართული ჯვრის დღეს უკავშირდება (იხ. ნინოობა).

შობა

შობის დღესასწაული ერთ-ერთი უდიდესი დღეა საქრისტიანოში. იგი ბეთლემში იესო ქრისტეს ხორციელად შობას ეძღვნება.

შობის დღესასწაულისათვის სამზადისი და მისი აღნიშვნა უკვე წინა დღესვე, 24(6 იანვარს) დეკემბერს იწყებოდა.

ამ დღეს საქართველოში პურის მარცვლის ფაფა იხარშებოდა, რომელსაც ეწოდებოდა: ჭანტილა (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) ან კორკოტი (იმერეთი, გურია, სამეგრელო), ქრისტეს კორკოტი (ქართლი, თუშეთი), ცხრაწვენა (ქართლი, კახეთი) და სხვა.

საწანდილე/საკორკოტე პურის მარცვალი ქალებს მზის ამოსვლამდე უნდა დაერჩიათ და მოსახარშად ჩაედგათ. მას ხახვით, მარილით და ნიგვზით ან თაფლით/შაქრით და ნიგვზით კმაზავდნენ.

ჭანტილობა დღეს დიასახლისი ყველაზე ადრე დგებოდა, გობს, რომელშიც საჭანტილე (ფაფისთვის გამზადებული მარცვალი) ეყარა, შუა ცეცხლთან გამოჰქონდა და გობს ხელს სამჯერ ისე მიარტყამდა, რომ კილი ცეცხლში ჩაყრილიყო და ცეცხლი კარგად მოკიდებოდა. ამის შემდეგ საჭანტილეს გარეცხავდნენ, ჩაყრიდნენ ქვაბში და ცეცხლზე ჩამოკიდებდნენ. როდესაც კარგად მოიხარშებოდა, ყოველგვარი თესლეულის სამ-სამ მარცვალს (სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ოსპი) მოხარშულ ჭანტილში ჩაყრიდნენ. მოხარშული ჭანტილის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ, მომავალ წელს უხვი მოსავლი იქნებაო. ჭანტილის ჭამა საღამომდე, ვახშმობამდე არ შეიძლებოდა.

<u>ზემო სვანეთში</u> საღამოს ყოველ ოჯახში ლობიან პურებს აცხობდნენ და კანაფის თესლისგან მუჯორს ამზადებდნენ. მუჯორი დანაყილი და ზეთგამოცლილი კანაფის თესლი ან ნიგოზია, რომელსაც მარილით აზავებენ და საწებლად ხმარობენ. ზოგჯერ მუჯორს გამოწურულ ზეთს ისევ ასხამენ. ვახშმობის დროს ორ სუფრას შლიდნენ, ერთს ცოცხლებისთვის და მეორეს მიცვალებულებისთვის. ორივე სუფრაზე მუჯორმოსხმული თესლი (კორკოტი), ერთი სანთელი და ლობიანი პურები ეწყო. ჯამზე კოვზი და ჩოგანი იდო. ერთი სუფრა ლამარიასთვის (ღვთისმშობლისთვის) იშლებოდა და დიასახლისი მას ოჯახის წევრების კეთილდღეობას შესთხოვდა. ამ სუფრასთან ქალები სხდებოდნენ და საჭმელს შეექცეოდნენ. მეორე სუფრა მიცვალებულებისთის იყო განკუთვნილი. მასზე სამ სანთელს ანთებდნენ. ამ სუფრასთან მიცვალებულის სულებს იმავეს შესთხოვდა ოჯახის უფროსი, რასაც ღვთისმშობელს დიასახლისი. ლოცვის დასრულების შემდეგ კაცები და ბავშვები სუფრას ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგამდნენ და ივახშმებდნენ. ამ დღეს ლოცულობდნენ და იხსენიებდნენ ლამარიას და ქრისდეშს (ქრისტეს). ჩოგანს და კოვზს, რომელებსაც შობისთვის ხმარობდნენ, რიტუალის შესრულების შემდეგ კვლავ ინახავდნენ მომავალი შობისთვის. შობ ანუ შობის წინა დღე სვანეთში საოჯახო დღე იყო, თუმცა ზოგან ლასკრობები ანუ საჯარო

თავყრილობებიც იმართებოდა. კოდორის ხეობის მოსახლეობა ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე იწყებდა საშობაო ღორის ლექრისდეშის გასუქებას, რომელსაც შობის წინა დღეს კლავდნენ.

<u>რაჭაში</u> სავახშმოდ სამ განატეხს აცხობდნენ. განატეხი ნიგვზიანი უნდა ყოფილიყო. ჩამოქნიდნენ 4 სანთელს. სამს ჩაარჭობდნენ თითოთითოდ განატეხში, მეოთხეს კი დიასახლისი ან ოჯახის უფროსი ხელში დაიჭერდა. ანთებული სანთლიანი განატეხი, ჭიქა ღვინო, ჭანტილა და სხვა გობში ეწყო.

მლოცველი, ქალი ან კაცი, ამ გობს ცეცხლის ახლოს მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ შემოატრიალებდა და შეულოცავდა ანუ ილოცებდა: „ღმერთო რამდენი კაკალი ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი კოდი ხვარბალი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება მოგვეცი“. ლოცვის შემდეგ მლოცველი ამ 4 ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე კუთხეში მიაკრავდა და ხელს არ ახლებდა, სანამ თვითონ არ ჩაიწვებოდა. შემდეგ დასხდებოდნენ სავახშმოდ. ჭანტილას ჯამებში გადმოასხამდნენ, თუ ზეთი გამოხდილი ჰქონდათ, ჯამებში ზეთსაც ჩაასხამდნენ და შეექცეოდნენ. სტუმრებს ჭანტილასაც აჭმევდნენ და განატეხსაც.

<u>ლეჩხუმში</u> საღამოს, ვახშმობისათვის, უფროსი ქალი სამ პატარა კვერს, ჯვრიანს აცხობდა (კვერს ხველის ტაბლას ეძახდნენ). კვერებს გულში ნიგოზი და ხახვი უნდა ჰქონოდა. კვერებს და ჭანტილს გობში აწყობდნენ. გობის კიდეზე ნაკვერჩხალზე საკმეველს აკმევდნენ ან სანთელს ანთებდნენ, სამ კვერს, ღვინიან ჭიქას დიასახლისი კერიას ძირში მარჯვნივ სამჯერ შემოატრიალებდა და ილოცებდა: „ღმერთო, დაგვიფარე ხველისაგან, სნეებისაგან (ანუ სნეულებისაგან), მოგვეცი სიმთელე საქონლის, კაცის სულს, რაც ხარ გვიშველე და მოგვეხმარე“. ამის შემდეგ ვახშამზე შეიძლებოდა ჭანტილა და ტაბლებიც ეჭამათ. თუ ჭანტილა მორჩებოდათ, შობას ანუ მეორე დღეს არ გამოაჩენდნენ, რადგან იმ დღეს ჭანტილას ჭამა არ შეიძლებოდა. შობის შემდეგ კი მისი ჭამა ყველას შეეძლო.

<u>სამეგრელოში</u> შობას, ისევე როგორც სხვაგან, წინ უძღოდა საშობაო მარხვა. ქისე-პიჩუა, როგორც ამ მარხვას ეძახდნენ, 15/28 ნოემბერს იწყებოდა და შობამდე გრძელდებოდა. შობის წინა დღეს

საშობაო ღორს კლავდნენ. ხორცის ჭამა დილამდე, გახსნილებამდე იკრძალებოდა. შობის წინა საღამოს ღვეზელისა და მუცლის სალოცავი კვერის გამოცხობაც იცოდნენ. თითო კვერში თითო კვერცხს დებდნენ. რამდენი წევრიც იყო ოჯახში, იმდენ კვერს აცხობდნენ.

<u>გურიაში</u> მრავალწლობას ანუ 24(6 იანვარს) დეკემბერს დიდი საშობაო სამზადისი იცოდნენ. მთავარი ამ სამზადისის დროს ღვეძელის (რიტუალური პური) გამოცხობა იყო. ღვეძელს ნახევარმთვარის ფორმა ჰქონდა, აკეთებდნენ ხორბლის ფქვილისგან. მასში დებდნენ ყველს და გამომშრალ, შებოლილ კვერცხებს, მთელ-მთელს ან შუაზე გაჭრილს. ღვეძელი იმდენი ცხვებოდა, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. უფროსებისთვის უფრო დიდი ზომის ცხვებოდა, ვიდრე პატარებისთვის. ღვეძელს მიცვალებულებისთვისაც აცხობდნენ.

23 (5 იანვარი) დეკემბერს <u>ქართლში</u>, ხოლო 24 (6 იანვარს) <u>დეკემბერს კახეთში, ერწო-თიანეთში, გუდამაყარში</u> იცოდნენ წინასაშობაო რიტუალების შესრულება. ამ დღეს თხილობას, ფხოწაობას/ხოწაობას ეძახდნენ.

უფროსები თხილ-კაკალს გადაუყრიდნენ ბავშვებს, მათ კი რაც შეიძლება ბევრი უნდა „მოეფხოწათ“, შეეგროვებინათ. ერწო-თიანეთში მოხოწილი თხილ-კაკლით ბავშვები თამაშობდნენ.

<u>გუდამაყარში</u> ოჯახის უფროსი თხილ-კაკლით და ჩირით სავსე ჯამს, მას შემდეგ რაც ცეცხლზე მოატარებდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა, ბავშვებს ურიგებდა.

ოჯახში ამზადებდნენ კორკოტს და ცხრაწვენას. საითაც გადავიდოდა ხარშვისას კორკოტი, ხალხის რწმენით მომავალ წელს იმ მხარეს იქნებოდა კარგი მოსავალი. ცხრაწვენას ძირითადად აკეთებდნენ ლობიოთი, რომელსაც სხვადასხვა მარცვლეულს უმატებდნენ: ქერს, სიმინდს, ხორბალს, ფეტვს, ცერცვს, მუხუდოს. მოსავლის სიუხვის მიზნით წვენი სქელი უნდა ყოფილიყო. როდესაც ცხრაწვენა მოიხარშებოდა, დაილოცებოდნენ: „ბევრი მშვიდობის შობა-წელიწადი მოგვიბრუნეო“.

ამავე დღეს დამბალ ხორბალს ნაყავდნენ და წყალში ხარშავდნენ. ხორბალს წყალში გუთნისდედა ჩაყრიდა და მსხლის ჯოხით ურევდა. შემდეგ ამ ჯოხს სახლის კედელში ამაგრებდნენ და ერთი წლის

განმავლობაში ინახავდნენ. ზოგჯერ ხორბალს ხშირწვერიანი კაცი ნაყავდა და წყალში ყრიდა – ხშირი ყანა გვექნებაო. ზოგჯერ ფქვილს ბიჭი ხარშავდა, გარეთ გაჰქონდა და ხშირი ტყისაკენ იყურებოდა, რომ ყანა იმ წელს ხშირი ჰქონოდათ.

გარეთ გასვლის და ტყის დანახვის წესი მთიულეთში, გუდამაყარში და ერწო-თიანეთში ქართლიდან მოსულმა მოსახლეობამაც იცოდა.

<u>ქართლში</u> 24 (6. 01) დეკემბერსაც კეთდებოდა კორკოტი. მარცვლის ქერქის ანუ შედედებული ზედაპირის ნაწილს გუთნისდედა სახლის ბოძებს ან კედელს წაუსვამდა, ცოტას ხარებს აჭმევდა, ცოტას თვითონ შეჭამდა. გუთნისდედა კორკოტს ოჯახის ყველა წევრს თავისი ხელით აჭმევდა. ახალი მიცვალებულის პატრონები კორკოტს არ აკეთებდნენ.

ქართლში 24 (6. 01) დეკემბერს ქრისტეს კორკოტს ეძახდნენ. ქრისტეს სახელზე გამომცხვარი პური, თუ მის სახელზე კერძად მოხარშული ხორბალი ან სხვა მარცვლეულის ფქვილისგან გაკეთებული ფაფა, გავრცელებული და ტრადიციულია აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, ხევში ორი ყორბოული ან იგივე ქრისტეს პური ცხვებოდა, ასევე მთიულეთში, რომელიც ოჯახის უფროსს იგი გარეთ უნდა გაეტანა, ცისთვის დაენახვებინა და ლოცვა ეთქვა. შემდეგ, პურს მუხლებზე დაიდებდა, ხშირ ტყეს გახედავდა, გადატეხავდა და შინ შევიდოდა.

<u>ერწო-თიანეთში</u> 3 დაჭრელებული კვერი – ქრისტის ოხშამი ცხვებოდა და გარკვეული რიტუალი სრულდებოდა.

<u>თუშეთსა და ხევში</u> ამ დღეს ისეთივე სამზადისი იყო, როგორც ახალი წლის წინა დღეს.

<u>თუშეთში</u> ბავშვებს ავალებდნენ ქერიფქლას (მაღალი, სქელღეროიანი ყვავილი) და ფიჭვის პატარა ტოტები მოეტანათ. საღამოს თითო ტოტს კარზე ამაგრებდნენ, ავი კვალისაგან დაგვიცავსო. ყველაფერს, რაც განათხოვრებული ჰქონდათ, ამ დღეს იბრუნებდნენ „ქრისტეს და წელწადის ღამეს სახმარმა ნივთებმა, პირუტყვმაც და კაცმაც თავის ჭერქვეშ უნდა გაათენოსო“.

ასევე იქცეოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

საღამოს, მას შემდეგ, რაც დიასახლისი კეცს ცეცხლზე შემოდგამდა, დაიჭერდნენ კვალს და სახლიდან აღარავის არაფერს გაატანდ-

ნენ. დიასახლისი ადამიანებისა და შინაური ცხოველების გამოსახულების რიტუალურ პურებს აცხობდა. მათ სალოცავებს ეძახდნენ და ე. წ. ქრისტეს სუფრაზე უნდა დაედოთ.

გრძელ ცომს ადამიანის ფორმას აძლევდნენ. ეს კაცის კვერი იყო. მრგვალ კვერს 4 მხარეს უგრძელებდნენ, ძროხის ძუძუებიაო. ცხვრების კვერიც ასეთივე იყო, მხოლოდ ოთხის ნაცვლად ორი ძუძუ უკეთდებოდა. ცხენისთვის ნალისებრი კვერი ცხვებოდა. ცხვებოდა ერთი დიდი კოტორიც, რომელსაც ქრისტეს საგძალი ერქვა.

ყველა კვერს, კორკოტს, ქრისტის კორკოტის ნახევარს, კალტის (ხაჭოს) კვერს ან ყველის პატარა ნაჭერს, ცოტაოდნენ მატყლს, არყიან პატარა ჭურჭელს, 1 სანთელს ხონჩაზე აწყობდნენ. ყოველივე ამას ქრისტის სუფრა ეწოდებოდა. ქრისტის სუფრას განცხადებამდე (5/18 იანვარი) კიდობნის თავზე ან თახჩაში ინახავდნენ. ქრისტეს კორკოტის მეორე ნახევარს დიასახლისი ოჯახისათვის ინახავდა.

თითოეულ ვაჟს, ვინც იარაღს ატარებდა, ან მოზარდს ამავე საღამოს პატარა გახვრეტილ კვერებს უცხობდნენ. კვერებს კერასთან, სამამაცო (კაცების) ადგილის თავზე დამაგრებულ პატარა ჩხირებზე წამოაცმევდნენ ხოლმე. მათი ჩამოღება არ შეიძლებოდა. ან თავად უნდა ჩამოცვენილიყვნენ ან თაგვს, კატას უნდა შეეჭამა.

ცხვებოდა ერთი ლუკმის ხელა მრგვალი პური – სათავსქვეო კვერი, რომელსაც დიასახლისი ოჯახის ყველა წევრს სასთუმლის ქვეშ ამოუდებდა. ასეთივე კვერებს დებდნენ საცხოვრებლის და პირუტყვის სადგომის კარის თავზე ბუდეში ავი კვალისაგან დასაცავად.

კერის პირას ნაცარში „ჩასვამდნენ“ კვერს, რომელსაც წაწვეტებული თავი და ცერცვის მარცვლების თვალები ჰქონდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს იგი ჭერში იყურებოდა. კვერს მრავალი სახელი ჰქონდა: ღომლის დედა, ჭერჩიჭყეტია, ნაცრისდედა და სხვა. იგი კერის მფარველი ანგელოზის სიმბოლო იყო და კერასთან რჩებოდა მანამ, სანამ არ დაიწვებოდა ან კატა-თაგვი არ შეჭამდა.

<u>ხევშიც</u> შობას რიტუალური კვერების გამოცხობა ჰქონდათ წესად. ამ ღამეს, ყორბოულობა ღამეს ერთი საკვლევი, წმინდა სამების სამი პური, ორი ყორბოული ან ქრისტეს პური და თესლის პური ცხვებოდა. ყოველი პურის გამოცხობისას ცომს ჯვრის ნაჭდევს

უკეთებდნენ. მხოლოდ ყორბოულს ჰქონდა ჯვრის ფორმის საკუთარი საბეჭდავი. ბავშვებისათვის ცხვებოდა ბედისკვერები. გამოცხობისას იმას, ვისი ბედისკვერი ამოიბურცებოდა, იღბლიან წელიწადს უწინასწარმეტყველებდნენ. ყორბოულს და თევზს ამავე ღამეს ჭამდნენ. ბედისკვერებს და საკვლევს ახალწლისთვის ინახავდნენ, ხოლო თესლის პურს – საგაზაფხულო თესვამდე.

ზოგი ყორბოულს, თევზს, არაყს ცეცხლს შემოატარებდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. მათ ჭამას მკვდრის პირის დაჭერას ეძახდნენ. ამავე საღამოს უნდა გამოეცხოთ პური, რომელსაც ონჩარი, ორთქლი უნდა ჰქონოდა: მაღლა ასული ორთქლით კარგად მიუვა მიცვალებულს შენდობაო.

ჩვეულებრივ შობის წინა საღამოს (ზემო სვანეთში შობის წინ ერთი დღით ადრე) იკვლებოდა საშობაო ღორი (სვანურად ლექრისდეში, მეგრულად საქირსე ღორი). ღორის დაკვლის შემდეგ ყველა ოჯახში მიდიოდნენ მეალილოეები, მგალობლები, ე. წ. ქრისტეს მახარობლები, 3-4 კაცისაგან (ან ქალისაგან) შემდგარი ჯგუფები, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და ოჯახებს შობას ულოვცადნენ. ამას შობის შემოლოცვა ეწოდებოდა. მეალილოეები მღეროდნენ ალილოს, რომლის ტექსტის მრავალი ვარიანტი არსებობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგჯერ მეალილოეები გადაცმულები და დათხუპნულები დადიოდნენ, რომ ისინი ვერ ეცნოთ. დადიოდნენ მთელი ღამე და სადაც დაათენდებოდათ, იმ ოჯახში იქეიფებდნენ. დასავლეთ საქართველოში ალილოს ამგვარი ტექსტი ჰქონდა:

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვაჩუქეთ გროშებიო,
დაგელოცოთ ბოვშებიო“. (სამეგრელო)

ან

„ქრისტე-შობა გათენდა
ღმერთმა გაგითენოს,
ეს ძველი და სხვა ახალი,
ყოველი მხრიდან გაიხარეთ“.

***

„ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაკარ კალათასა,
ამოიღე ორი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა. (იმერეთი)

***

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ქალბატონი ლამაზია
გადმოგვიგდებს აბაზიანს“. (ქვემო სვანეთი)

***

„ალანთასა, ბალანთასა
ჩამოვკიდებ კალათასა,
ქალო, ერთი კვერცხი მომე
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.
ჩიტი ღობეზე შემოჯდა
იძახდა ქიშმიშობასა,
ღმერთმა ყველანი დაგასწროთ
აღდგომა ქრისტეს შობასა“. (მესხეთი)

აღმოსავლეთ საქართველოში ფშავ-ხევსურეთის, ხევისა და ქართლის გარდა ალილოზე სიარულის წესი ყველგან სრულდებოდა. ძველად შეღერებული კაცები, მოგვიანებით ბავშვები, მთელ სოფელში კარდაკარ დადიოდნენ. ზოგჯერ მეალილოეებს კომბლებიც (კახეთი) ეჭირათ ხელში. მიადგებოდნენ ოჯახს და უმღეროდნენ. მაგალითად ასე:

„ოცდახუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ, ქრისტე დაბადებულაო.
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს, დამხურავის მამის სული.
„აკოშკიდან“ გადვიხედე, ერბო გიდგათ ქილებითა,

თუ გამოგაქვთ გამოიტათ, თორემ წავალთ გინებითა.
ალათასა, ბალათასა კვერცხი უნდა კალათასა.
აქა ღორი დაკლულაო, ნაყელარი ჩვენიაო, ნასამედი თქვენიაო.
პატარძალო ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე, ყელი ჩაგვიმაჭრიანე“.

მეალილოეთა ხელცარიელი გაშვება არ ვარგოდა, წყევლა იცოდნენ, რაც თავისთავად ცუდის მომასწავებელი იყო. როგორც ზემოთ მოტანილი ტექსტიდანაც ჩანს, კახეთში ზოგან სადღესასწაულო ღორი – ქოსმენი ღამევე იკვლებოდა.

თუშეთში ალილოზე მოსიარულენი წინა დღეებში მოკლულ ყვავს მიაბამდნენ ჯოხზე და ჩამოვლისას ყველა ოჯახის სარკმელში შეახედებდნენ:

„ალილო და ქრისტე ღმერთო, ქრისტე მოსრულაო,
ყვავსა ფეხი დაზრობია, კარგად მოსრულაო,
ვინც კაი პურს გამოგვიცხობს, კაი ყმისა აკვანი,
ვინც მონა პურს გამოგვიცხობს, ფსია ქალის აკვანი“.

მეალილოეებს დიასახლისი შინ პატიჟებდა და წინასწარ გამოცხობილ ორ დიდ ქადას - ალილოს კოტორს გამოუტანდა. მეალილოეები ერთს იქვე ჭამდნენ, მეორე და ერთი ჩარექი არაყი თან მიჰქონდათ. შეგროვილ სანოვაგეს ინაწილებდნენ ან სადმე ერთად ილხენდნენ.

როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ოჯახის უფროსი ქალი ან კაცი მეალილოეებს შეძლებისდაგვარად აძლევდა: ფულს, კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხვარ ღვეზელს და სხვას. ამ ღვეზელს იმერეთში საციქველი ეწოდებოდა. სამეგრელოში ამბობდნენ: „შობაზე კაცი რომ მოვა, გიმღერებს, ეს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მიუტანო ოჯახს“. ამ დღეს სამეგრელოში წესად იყო, ნათლიას ნათლულისთვის ყვარილი/ყვერული (დაკოდილი მამალი), ღვეზელი და კვერი გაეტანებინა ოჯახიდან.

<u>სვანეთში</u> ზოგან დილით ადრე საშობაო მამალის დაკვლა იცოდნენ. მამალს კაცი კლავდა. მამლის თავზე შემოვლებაც იცოდნენ. მა-

მალს ხარშავდნენ, მორჩენილ ძვლებს კი ასეთი სიტყვებით ცეცხლში ყრიდნენ: „ასე დაიწვას ჩვენი ოჯახის მავნე ავადმყოფობა, ასე დაიწვას, როგორც ეს დაიწვა“. ეს მამალი ლელყაჯი იყო ანუ მისი სხვისთვის ჭმევა და ჩვენება არ შეიძლებოდა.

<u>ზემო სვანეთში</u> ხალხის რწმენით ქრისდეშს, ქრისტეშობას მზე ვერძის სამ ნახტომზე ხტებოდა. ამ დღეს დილაადრიან, ვიდრე ფრინველი გაიღვიძებდა, ოჯახის უფროსები წამოიშლებოდნენ, კერიაში ცეცხლს აჩაღებდნენ, დიასახლისი ლამარია-ტაბლაშისაგან ანუ ღვთისმშობელისთვის განკუთვნილი წმინდა ფქვილისაგან ოჯახის ყველა წევრის სახელზე თითო ყველიან კვერს – კუანჭილს აცხობდა. კუანჭილები უწონაში იყო, ანუ უცხოს არავის არ უნდა ეჭამა. ქორა მახვში (ოჯახის უფროსი) დაიჭერდა ხელში კუანჭილს და ქრისტეს ევედრებოდა: „დიდება მოგსვლოდეს ქრისტე შობისას! ქრისტე შობისას! შენი ლოცვა-დიდება დაჯვარული. გვიქენ, მადლიანო, მრავალი ქრისდეში, კარგ გულზე მოგვასწარი, მუდამ მშვიდობით გვამყოფე ჩვენ და ჩვენი ნათესავი, ოთხფეხი გაგვიმრავლე, გენუკვით, მადლიანო ქრისტე“.

ლოცვის დამთავრებისთანავე კუანჭილებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ და მაშინვე შეაჭმევდნენ. სადილის დრო რომ მოვიდოდა, დაკლავდნენ ღორს, ცხვარს ან თხას, კვლავ ლემზირებს გამოაცხობდნენ და სადილის წინ მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ. საღამოსაც, ჯერ მიცვალებულებს დაუკურთხებდნენ, შენდობას ეტყოდნენ და მერე ივახშმებდნენ. ქრისდესში სტუმრად სიარული არ იცოდნენ. იმ სოფელში, რომელშიც მთავარი სალოცავი, ეკლესია მაცხოვრის სახელობის იყო, შობას, აღდგომას და ამაღლებას მთელი სოფელი ერთად დღესასწაულობდა. სუფრასთან დასხდომის წინ ჯერ ილოცებდნენ: „დიდება მოგივიდა ჩვენ უფალ მაცხოვარს, დიდება მაცხოვარო, შენ შეგვეწიე შენი მადლითა და ძალითა, ნუ მოგვაკლებ შენ წყალობას და შეწევნას. მშვიდობიანობით და გამრავლებით გაახარე ჩვენი სოფელი, ნუ გამოგვილევ შენ შესაწირავს. სანამ შენი ვედრება და მსხვერპლის შეწირვა არ დავივიწყოთ, მანამ შენს შეწევნას და წყალობას ნუ მოგვაკლებ, დალოცე სახლი შენი შესაწირავის მოსამსახურეობისათვის“.

ამის შემდეგ, ხორცს, პურს, არაყს დღეობაში მონაწილეთა მიცვალებულების სახელზე მოვდელს აკურთხებინებდნენ. ქრისდეშ დღეს შუადღემდე ჭამა-სმასა და მხიარულებაში ატარებდნენ. ქრისდეშის მეორე დღეს ლალტეხს უწოდებდნენ. ეს სიტყვა დაბრუნებას ნიშნავს. სოფლის თავყრილობა ისევ უბრუნდებოდა შობის სუფრას და წინა დღით მორჩენილი სასმელ-საჭმლით დილიდან საღამომდე ქეიფობდა.

<u>რაჭაში</u> ჭანტილობის მეორე დღეს, ანუ შობას დიასახლისი მამლის ყივილთან ერთად უნდა ამდგარიყო და ქათმები დაეჭირა: ერთი საანგელოზო ყვინჩილა და მეორე საოჯახო ყვინჩილა ან ვარია. ამ ორ ქათამს დიასახლისი სახლში შემოიყვანდა. საანგელოზო ყვინჩილას შემოავლებდა თავზე კაცებს, ბავშვებს, შემდეგ ხარებს და იტყოდა: „ანგელოზების ბარაზე მომირთმევია ეს ყვინჩილა, თქვენ სამშვიდობოდ“ (თან ასახელებდა კაცს ან ხარს). საოჯახო ქათამს კი როდესაც ცეცხლს შემოავლებდა, იტყოდა: „ოჯახის სამშვიდობოდ მომირთმევია ეს ქათამი“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მათი დაკვლა. ამას გარდა, უნდა გამოეცხოთ ერთი განატეხი: ქონიანი და ნიგვზიანი, ან მარილიანი მაინც. ეს ქათმები უსათუოდ უნდა შეეწვათ, მხოლოდ ამის შემდეგ ილოცებდნენ. საანგელოზო ყვინჩილას მხოლოდ კაცები და პატარა ბიჭები ჭამდნენ. საოჯახო ქათმის ჭამა ყველას შეეძლო, მისი შიგნეული და განატეხი კი მხოლოდ იმ ქალს ეჭმებოდა, ვინც საოჯახო ქათამს ცოცხლად შემოავლებდა კაცებს. ეს ყველაფერი ძალიან ადრე, გათენებამდე უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ სადილის სამზადისს შეუდგებოდნენ. სადილზე არც განატეხის გამოცხობა და არც ლოცვა წესად არ ყოფილა.

<u>ლეჩხუმშიც</u> მსგავის წესები იცოდნენ. აქაც დილით ადრე ორ მამალს კლავდნენ: საანგელოზო ყვინჩილას და ხარების სალოცს. ორივეს დილით ადრე კლავდნენ, მხოლოდ საანგელოზო ყვინჩილა ოჯახის კეთილდღეობისთვის იკვლებოდა, დილით უნდა შეჭმულიყო და ოჯახის წევრების გარდა მას ვერავინ შეჭამდა. ხარებისთვის განკუთვნილ ყვინჩილას ოჯახი სადილზე ჭამდა. თუ ოჯახში ერთი ან ორი წლის მიცვალებული იყო, ამ დღეს მას სუფრას წაუდგამდნენ, ანუ მოიხსენიებდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, გამოაცხობდნენ ხაჭაპურს, პურს, გამოიტანდნენ ღვინოს, აანთებდნენ სანთლებს. დიასახლისი

ღვინიან ჭიქას პურზე თავს წაუქცევდა და იტყოდა: „ღმერთო, გამინათე ჩემი ახალი მკვდარი“. ამის შემდეგ საღილობას შეუდგებოდნენ. სტუმრების მიპატიჟება ამ დღეს არ იცოდნენ.

<u>სამეგრელოში</u> ძველად შობა დღეს სისხლი უნდა ჩაესხათ ანუ ღორი ან ტახი დაეკლათ. შობის დილას იხარშებოდა ღორის თავი. ზოგან ღორი შობის წინა საღამოს იკვლებოდა. ამ დღეს დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ და ეჭამათ საგანგებო დილის საუზმე, რომელსაც დილის ხაციცი – ოჭუმარეშ ხაციცი ერქვა. იგივე ჩვეულება იცოდნენ იმერეთში.

<u>იმერეთში</u> შობის წინა საღამოს ოჯახის თითოეული წევრისთვის კლავდნენ ქათმებს და კუჭმაჭის მაგიერ ურთავდნენ ჭყინტ ყველს და მოხარშულ ბრინჯს. ადრე შობის გათენებამდე ყველანი სუფრას მიუსხდებოდნენ და ლოცვის შემდეგ საუზმობდნენ. ამ საუზმეს ხაციცი ეწოდებოდა.

<u>გურიაში</u> „ძღვენი“ ჩვეულებრივ რძლის მშობლებს ეგზავნებოდათ. ძღვენი შეძლების მიხედვით შეიძლება ყოფილიყო: ხარი ან ძროხა, ცხვარი, ინდაური, ღვინო, საპალნე ღომი, გამომცხვარი პურები, ხაჭაპური. საშობაო ღვეზელი უმთავრესი იყო და აუცილებლად უნდა გაეგზავნათ.

შობა დილით აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იკვლებოდა ღორი, რომელსაც ნოემბრიდან ასუქებდნენ. ქართლში მას სააღებო ღორს ეძახდნენ, კახეთში – ქოსმენს. ზოგს ამ დღისთვის საკლავიც ჰქონდა შეთქმული. კლავდნენ ცხვარს, კახეთში მამალიც შეიძლებოდა, იტყოდნენ, თითქოს ცხვარი დავკალითო. ამ დღისთვის გადადებული საუკეთესო ფქვილისაგან ანუ ზედაშისაგან ცხვებოდა ქადა, როემლსაც იმდენ ნაწილად ჭრიდნენ, რამდენი ოჯახის წევრიც იყო. ანთებდნენ სანთლებს, საშობაო სუფრაზე უნდა ყოფილიყო პური, ყველი, ქათამი, ინდაური, საკლავის ხორცი, თხილ-კაკალი, ღვინო და სხვა, რაც ოჯახს ექნებოდა. სუფრასთან რომ დასხდებოდნენ, ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „ღმერთო მშვიდობის ზაფხული მოგვეცი, ბარაქიანი წელიწადი მოგვეცი. ღმერთო უშველე ჩენ შვილებს, შვილიშვილებს...“

აღმოსავლეთ საქართველოში ეს დღე მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე იყო. ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, თუ შეთქმული

ჰქონდათ, სალოცავშიც გადიოდნენ. ლხინი კახეთში სამი დღეც კი გრძელდებოდა.

<u>კახეთში</u>, სოფელ შილდაში, ამ დღეს ნეკრესის სალოცავში მიდიოდნენ და ღორებს კლავდნენ. ამ სამსხვერპლო ღორს ლომტახს ეძახიან. ლეგენდის მიხედვით ლეკები მორიგი დარბევის შემდეგ ნადავლით შინ ბრუნდებოდნენ და გზად ნეკრესისკენ გამოუვლიათ. ქართველებს მათთვის მამალი ღორები მიუსევიათ და ლეკები ხელცარიელი გაუშვიათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადი საწესჩვეულებო რიტუალები ხატში სრულდებოდა. სახლში ყოველივე ისე კეთდებოდა, როგორც ბარში, მხოლოდ კერძები მთისთვის დამახასიათებელი იცოდნენ: ხინკალი, შეთქმული საკლავის ხორცი, ფაფა, მოხარშული ბრინჯი და სხვა. ზოგჯერ ჭირისუფალი ახალი მიცვალებულის სახელზე საკლავს კლავდა, განსაკუთრებით <u>ხევში</u>, სადაც მიცვალებულისთვის წლამდე შვიდი სუფრა უნდა გაშლილიყო, ერთ-ერთი - შობას. შობას ხევში საფლავზეც გადიოდნენ.

<u>თუშეთში</u>, დილით, ოჯახის ერთ-ერთ წევრს უმძრახად მოჰქონდა წყალი, რომლითაც საშობაო სუფრისთვის განკუთვნილი კერძები უნდა დამზადებულიყო. დღისით საგვარეულო სტუმრად დადიოდა ერთმანეთთან, საღამოს კი შიყარაში (სოფლის თავყრილობა, ჯარი) გროვდებოდა. დღისით საშიყარო სანოვაგეს ახალგაზრდები კომლობრივ აგროვებდნენ. ზოგან შიყარაზე ალილოზე შეგროვებულ საჭმელს მიირთმევდნენ. ქრისტის შიყარას ღამეს ნათე (ხატის მსახური) ირჩევდა მაქალათეებს: ორ ვაჟს და ორ ან სამ ქალს, რომლებიც ნათეს წელწდობის (ახალი წლის) ჯარობაზე მოეხმარებოდნენ ხალხის გამასპინძლებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახურები ხატში შობის ან ახალი წლის ღამეს მიდიოდნენ. ისინი გარკვეული ხნით ადრე იწყებდნენ წმინდობას. ცხოვრობდნენ „სუფთა“ ადგილზე (მაგალითად, ხევსურეთში ჭერხოში), წყვეტდნენ ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, არ დადიოდნენ უწმინდურ ადგილებში. ხატში სადღეობო ლუდის მოდუღება ძირითადად ერთი კვირით ადრე იწყებოდა.

<u>ხევსურეთში</u> ხატში ქრისტეს წუხრას ანუ საღამოს მეგანძურს მიჰქონდა თასები, რეცხავდა, გადასცემდა დასტურებს და ისინი თავის

ადგილზე დგამდნენ. როგორც წესი ხატის თას-განძი სამალავებში ინახებოდა. დასტურები მიტანილ ღამის სამთელოს (რიტუალური კვერი) და ლუდიან თასებს აწყობდნენ, ახსენებდნენ „ჯვართ“ ანუ სალოცავებს. ყველა იქ მყოფი დგებოდა პირით აღმოსავლეთისაკენ და ხუცესი იწყებდა ხუცობას. ამ დროს ხელოსანი მიდიოდა საზარესთან და ზარს სამჯერ ნელ-ნელა შემოჰკრავდა, მერე ააჩქარებდა და, როდესაც ხუცესი ჯერ კიდევ ხუცობდა, უკან შებრუნდებოდა. ხუცობის დამთავრებისთანავე იქვე დაამწყალობნებდა ხატის ყმებს, შემდეგ უკვე დანარჩენები ეტყოდნენ ერთმანეთს წყალობას ანუ დალოცავდნენ. ბოლოს იწყებოდა სადიდებლები.

ხატში ერთ-ერთი მთავარი საკულტო ნივთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რიტუალების შესრულების დროს, არის დროშა. იგი მედროშავე ხელოსანს ებარა. სანამ მედროშავე დროშას შეეხებოდა, აუცილებლად უნდა განათლულიყო ანუ საკლავი დაეკლა და მისი სისხლი წაესვა ხელ-მხარზე. დროშა ხის ტარია, რომელსაც თავზე ჯვარი და ზარი აქვს. დროშის ტარზე შებმულია ხალხის მიერ შეწირული საკადრისები – სხვადასხვა ფერის ბაღდადები და ხელსახოცები. დროშა ფაქტობრივად ყველა სახატო რიტუალში მონაწილეობს.

შობა ღამეს მხოლოდ ჯვარიონი იყო ხატში, თუმცა შეიძლებოდა თითო-ოროლა მეთემეც, სოფლის მკვიდრი ყოფილიყო. იდგმებოდა ხელოსანთა ტაბლა, სადაც საკუთვრივ ხელოსანთა მოდუღებული ლუდი, შასამავლო და საკლავის ხორცი იყო. იწყებოდა სმა, სიმღერა, ძველ ამბებზე, ანდრეზებზე საუბარი და მხიარულება. სანამ ხატში სმა დაიწყებოდა, მანამ მარხვას ყველა ფაფით „გატეხდა“. ფაფიან ჯამს ტაბლაზე ცეცხლის ახლოს დგამდნენ. ხუცესი სამჯერ ჩაასხამდა ცეცხლში ერბოს. თუ ცეცხლი ძალიან აბრიალდებოდა, კარგი წლის დადგომას იმედოვნებდნენ. შემდეგ შეექცეოდნენ ფაფას. ზედამდეგები იქ მყოფებს ლუდს მიართმევდნენ. ღამეს ყველანი იქვე ათენებდნენ.

დილით ღამენათევ ხუცეს-ხელოსანს დასტურები სოფლიდან გამოგზავნილ არაყს ასმევდნენ. ამის შემდე დასტურებს მიჰქონდათ წყალი და ხუცეს-ხელოსნებს პირს აბანინებდნენ. ამას მოსდევდა ჟამისწირვა. ჟამისწირვის დასრულების შემდეგ მოდიოდნენ მლოცვე-

ლები. ჯერ მეზღვნეები (მათ, ვისაც საკლავი მოჰყავდა დასაკლავად), შემდეგ კი დანარჩენი სოფელი. კლავდნენ: სასოფლო საკლავს და მეზღვნეების მიერ მოყვანილს. ამ დროს საკლავი ძნელად იშოვებოდა. ის, ვინც იშოვიდა, წელწდისთვის ინახავდა, რადგან დიდ დღესასწაულად მიაჩნდათ. ხუცესი სამსხვერპლო ცხოველის რქაზე სანთელს აკრავდა და იხუცებდა, ახვეწებდა ღმერთს საკლავის პატრონს, შემდეგ კი ყველა იქ მყოფს ამწყალობნებდა. თუ საკლავი ხარი იყო, ხუცესი ხუცობის დამთავრების შემდეგ ყურს მოაჭრიდა და იქვე გადააგდებდა. ჭრილობიდან გამოსულ სისხლს ხუცესი ჯვრისებურად საკლავის პატრონს შუბლზე წაუსვამდა. ხუცესს ბეჭი და თავი რჩებოდა.

ამ წესის შესრულების შემდეგ სხდებოდა ჯარი (თავყრილობა), რომელსაც დასტურები მოხარშული ხორცითა და ლუდით უმასპინძლდებოდნენ. იწყებოდა სმა, საგმირო სიმღერების შემღერნება. ქალებს ლუდს არ ასმევდნენ. ისინი ძალიან მალე ბრუნდებოდნენ სახლში. თუ ვინმეს სტუმარი ჰყავდა, ხატში მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. წასვლის წინ ჯვარიონი დალოცავდა მლოცველებს: „წყალობა წაიღეთ, მაგალითად, სანების ჯვრის, მეწაღმართე ანგელოზი გამოგაყოლასთ. ჯვარ გეწერასთ, ჯვარსაც, კაცსაც“...

ასეთივე წესები სრულდებოდა ფშავშიც. ამ დღეს მიცვალებულების მოხსენიებაც იცოდნენ. თუ ხევსურეთში მარხვას ფაფით გაიხსნილებდნენ, ფშავში ყველით, პურით და ერთი სასოფლო საკლავის ხორცით.

იმ ხატებში, სადაც ღამისთევა არ იცოდნენ, ყველა წესი დილით სრულდებოდა.

<u>გუდამაყარშიც</u> შობას მარხვა ხსნილდებოდა. იყო უქმე. ოჯახი ქადებს, ხინკალს და სხვა რაც ექნებოდათ, აკეთებდნენ. ზოგი მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. იცოდნენ ერთმანეთის მიპატიჟება.

<u>მთიულეთში</u> დილით დიასახლისი ხინკალს, ფაფას ან ანტრიას აკეთებდა. სუფრასთან რომ სხდებოდნენ, ოჯახის უფროსი, რომელსაც ხელში ორი-სამი ანთებული სანთელი ეჭირა, ქრისტეშობის მადლის ძალას ეხვეწებოდა შეწევნას. შემდეგ სანთლებს მათთვის განკუთვნილ ადგილზე მიაკრავდნენ და სადილად სხდებოდნენ.

ზოგან ხატში მზარეულები (ხატის მსახურები) იცვლებოდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ ხატში 3 თოხლი მიეყვანათ, რომელთაც დეკანოზი კლავდა. ერთი-ორი ახალი მზარეული 1 ჩარექა არყის შესაგროვებლად დაივლიდა სოფელს. ხატში სალოცავად ხალხიც მიდიოდა.

შობის ბებია

<u>რაჭაში</u> შობის მესამე დღეს შობის ბებიას ეძახდნენ და უქმობდ-ნენ. ეს დღე ღვთისმშობლის პატივსაცემად იყო დადგენილი. შობის ბებიაში ღვთისმშობლის დედა, მართალი ანა იგულისხმება.

შობის დედა

შობის მეორე დღეს <u>რაჭა-ლეჩხუმში</u> შობის დედა ეწოდებოდა. ეკლესია ამ დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კრებას აღნიშნავს. შობის დედას ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ფეხმძიმე ქალებისათვის ჰქონდა, რომლებიც ადვილი მშობიარობისთვის ამ დღეს უქმობდნენ. შობის დედა ადგილობრივ მოსახლეობას სამართლიანად ღვთისმშობლის დღედ მიაჩნდა, რომლის უქმობას მომავალი დედები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

<u>კახეთში</u> ეს დღე ღვთისმშობლის სახელით არის ცნობილი.

<u>თუშეთში</u> ამ დღეს ქრისტეს კუბატს ეძახდნენ და უქმობდნენ.

ჩიტფაფობა

(იხ. ყველიერი)

ცხრა მარტი

დღესასწაული, რომელიც ცხრა მარტის სახელითაა ცნობილი და რომელიც, რა თქმა უნდა, 9 მარტს აღინიშნებოდა, მხოლოდ <u>რაჟაშია</u> შემორჩენილი.

9/22 მარტს მართლმადიდებელი ეკლესია სებასტიის ტბაში წამებულ წმინდა ორმოც მოწამეს მოიხსენიებს. ისინი 320 წელს აწამეს. ძალით და სიმამაცით გამორჩეული ორმოცივე მოწამე სამხედრო იყო. როდესაც მათ უარი თქვეს, ქრისტიანობა დაეგმოთ და წარმართობას დაბრუნებოდნენ, ორმოცივე საპყრობილეში ჩააგდეს და სასტიკად აწამეს. ერთ დღეს გაყინულ ტბაში შიშვლები ჩააყენეს. ეს წამება კიდევ იმით იყო დამძიმებული, რომ ნაპირზე მწვალებლებმა მათ დასანახად აბანო გამართეს. ორმოც მოწამეთაგან ერთ-ერთი ცდუნდა. ამოვარდა წყლიდან და თბილი აბანოსაკენ გაიქცა, მაგრამ შესასვლელთანვე უსულოდ დაეცა. ღამის 3 საათზე ზეციურმა ნათელმა გაანათა წმინდა მოწამეები და გაათბო ტბა. იმავდროულად 39 გვირგვინი დაეშვა ზეციდან და სებასტიელ მოწამეებს დაადგა თავზე. ერთ-ერთმა მცველმა, სახელად აგლაიოსმა, სასწაული რომ დაინახა, აღიარა ქრისტე და წმინდა მოწამეებს შეუერთდა. მეორე დღეს წმინდა მოწამეებს ფეხები მუხლებში გადაუმტვრიეს. ორმოცივემ ტანჯვა

დაითმინა და ლოცვით აღესრულა. მათი სხეულები დაწვეს, დარჩენილი ძვლები კი ტბაში ჩაყარეს. სამი დღის შემდეგ სებასტიის იმდროინდელმა ეპისკოპოსმა სამღვდელოებასთან ერთად შეაგროვა მოწამეთა წმინდა ნაწილები და შესაფერის განსასვენებელში დააბრძანა. მოგვიანებით მოწამეთა წმინდა ნაწილები სხვადასხვა მხარეში წააბრძანეს, რათა ყველა ეკლესიას რგებოდა წმინდა ორმოცი სებასტიელისაგან მინიჭებული მადლი.

9 მარტობას რაჭაში სწორედ ამ ორმოცი მოწამის დღე აღინიშნებოდა. ეს დღე არ იყო უქმე. საღამოს კაცები ვენახში უნდა გასულიყვნენ და ცხრა ლერწი გადაეწვინათ. ამის შემდეგ ბრუნდებოდნენ სახლში, სადაც მათ ღვინო, ერთი ნიგვზიანი განატეხი და ნაკვერჩხალში ჩაკმეული სანთელი ელოდათ. კაცები აიღებდნენ განატეხს და დაილოცებოდნენ: „ღმერთო, გაახარე ჩვენი ნაწვენი ლერწი, არ მოგიშალოთ განატეხი და ცხრა კულა ღვინო“. ამის შემდეგ ივახშმებდნენ, შეჭამდნენ განატეხს და დალევდნენ ღვინოს. ამ დღეს ხალხი ვენახის ნაყოფიერებაზე ზრუნავდა.

წითელი პარასკევი

წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა მთელი წლის საეკლესიო კალენდარში. იგი იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეა. ნაწამები უფალი გოლგოთის მთაზე, ორ ავაზაკს შორის, როგორც ბოროტმოქმედი, ისე გააკრეს ჯვარზე. სასტიკი ტანჯვის შედეგად ჯვარცმული იესო ქრისტე აღესრულა. ამ დღეს მაცხოვრის დაღვრილი სისხლის გამო ეწოდა წითელი პარასკევი.

წითელ პარასკევს დასავლეთ საქართველოში მიწის დამუშავება იკრძალებოდა.

<u>ლეჩხუმში</u> მიწის დამუშავების გარდა სხვა საქმიანობა არ იკრძალებოდა. ამ დღეს ოჯახში უფროს ქალს სამხრობამდე არაფერი არ უნდა ეჭამა და არ უნდა გაეკეთებინა. სამხრობისას ჭიისაგან მარცვლის დასაცავად მარილის კვერს აცხობდა. კვერი კერის მარჯვენა მხარეს ცხვებოდა. ქალი ილოცებდა: „ღმერთო, დეიფარე ჩემი სიმინდები, ჩემი ყანები ჭრისაგან, მახრისაგან, თაგვისაგან, მჭრელისაგან და ყველა მავნესაგან“. ამ ტაბლას ყველა ინაწილებდა. თავად ქალი კი მარხვას „ოუშობდა“ და საჭმელს ჭამდა. ამ დღეს ღვინის დალევა არ შეიძლებოდა.

<u>რაჭაში</u> წითელ პარასკევს არ უქმობდნენ. მხოლოდ კაცებს ეკრძალებოდათ სარის დარჭობა. ამ დღეს აუცილებლად უნდა გადაეღოთ ღვინო სხვა ჭურჭელში.

<u>სამეგრელოს</u> ყველა დაბა-სოფელში წითელ პარასკევს (ჭითა ობიშხა) ბაზრობა იმართებოდა, სადაც იყიდებოდა სააღდგომოდ საჭირო სურსათ-სანოვაგე და ნივთები: წითელი საღებავი, რომელსაც მანანა ეწოდებოდა, შესაწირავი ბატკნები, გობები, პასკა. კვერცხები წითლად ამ დღეს იღებებოდა. ღვინის დალევა იკრძალებოდა. მორწმუნეებისთვის ეკლესიები სულ ღია იყო. სოფელში სააღდგომოდ ემზადებოდნენ. იკერავდნენ ახალ ტანსაცმელს. ჯერ კიდევ დიდმარხვის პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდობა კერკეტ კვერცხებს ამზადებდა: კვერცხის ნაჭუჭს ფრთხილად გახვრეტდნენ, გამოადენდნენ შიგთავსს და მის მაგივრად ჩაასხამდნენ: გამდნარ სანთელს, რომელსაც ღომის მარცვალს ურევდნენ, შემდეგ ნაჭუჭის ნახვრეტს გადაგლისავდნენ. ასეთ კვერცხს „მარკინეს“ ეძახდნენ. ამას გარდა ბაზარში ყიდულობდნენ ციცრის კვერცხს, რომელსაც ნაცრით ათეთრებდნენ და ღებავდნენ. უფროსები ბავშვებს თითის წვერებს საღებავში აყოფინებდნენ, რის გამოც ბავშვებს თითები წითელი ჰქონდათ.

<u>იმერეთში</u> მღვდელს მარანში ღვინის დასაჭაშნიკებლად იწვევდნენ. ღვინოს მხოლოდ მღვდელი და ოჯახის წევრები სვამდნენ, ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლის მოსაგონებლად. ისმებოდა მხოლოდ წითელი ღვინო. ქუთაისის რაიონში ამ წესს სააღდგომო ლოცვის შემდეგ ასრულებდნენ.

<u>მესხეთ-ჯავახეთში</u> წითელ პარასკევს ჭიაკოკონობა იკოდნენ. მოგროვილ ფიჩხს ანთებდნენ, კოკონს გოგო-ბიჭები ახტებოდნენ, თან იძახდნენ: ალული კუდიანებსაო, ჭია-ჭუა გავყაროთო, ვარდი კონა გადმოვყაროთო, ალული ეშმაკებსაო. შაბათ დილით დიასახლისი უმძრახად დგებოდა, მოხვეტავდა ჭიაკოკონას ნაცარს, ცოტას საქონელს მიაყრიდა, რომ მკბენარს და ბუზს არ შეეწუხებინა, ნაწილს კი ადამიანებს, რომ მათაც მკბენარი არ გასჩენოდათ. დარჩენილ ნაცარს ბოსტანში ხეხილს დაუყრიდა, ჭია აღარ გაუჩნდებაო. ასევე ჭიების საწინააღმდეგოდ მესხეთში გაზაფხულის დადგომისას, როდესაც პირველი წვიმა მოვიდოდა, ავიდოდნენ ბანზე და სამჯერ წინ და

უკან მოგვიდნენ, ერდოდან სველ მიწას ჩამოყრიდნენ და იტყოდნენ: „ჭია-ჭუა გადავყარე, ვარდის კონა ჩამოვყარე“.

ჯავახეთში შეღებილი კვერცხები რომ გამაგრებულიყო, მარილიან ჯამში დებდნენ, ზემოდან მეორე ჯამს ახურავდნენ, ცომით ჯამისპირებს ულესავდნენ და ნელთბილ თონეში ან ფურნეში დგამდნენ

ქართლში წითელ პარასკევს გადიოდნენ საფლავზე და გაჰქონდათ საჭმელი, ამ დღეს ხარშავდენ კოლიოს. ქალებს, რომლებსაც ახალი მიცვალებული ჰყავდათ, უნდა ეუქმათ. მათთვის არ შეიძლებოდა რეცხვა, არც ჭვარტლის გაწმენდა, ვინაიდან ხალხის თქმით ებრაელებს ჭვარტლით და ძმრით ქრისტიანები უწვალებიათ. წითელ პარასკევს კვერცხებს ენდროთი და ხახვის ფურცლებით ღებავდნენ.

კახეთში წითელ პარასკევს აცხობდნენ პასკას, ხარშავდნენ ჭარხალს, ჭინჭარს. დასამწნილებლად ჩადებულ ჭარხალს ქინძმარში დებდნენ და მეზობლებს ურიგებდნენ. ამ დღეს ღვინო არ დაილეოდა, ნემსი არ იხმარებოდა. დაწყებულ საქმეს შაბათს აღარ აგრძელებდნენ. კახელები ამბობდნენ: წითელ პარასკევს მიწა არასგზით არ „იძვრება“, ანუ არ დამუშავდება, ირემი ხეს არ გაეხახუნებაო. ხალხმა იცოდა, რომ ამ დღეს ქრისტე აწამეს და უქმეც ამის გამო იყო.

საინგილოში წითელ პარასკევს კაცებს წითელი კვერცხები და სამარხვო საჭმელ-სასმელი სასაფლაოზე მიჰქონდათ და ახალგარდაცვლილთა საფლავებს ასწორებდნენ; ყველა იხსენებდა გარდაცვლილთა სულებს. შეღებილ კვერცხებს აღდგომამდე ინახავდნენ და კვირამდე არ ჭამდნენ.

მთიულეთში იტყოდნენ, ღვთისმშობელს ქრისტეს შესანდობრად ამ დღეს შეუღებავს წითლად კვერცხებიო. ამიტომ ზოგი სწორედ წითელ პარასკევს ღებავდა კვერცხებს. ბავშვები ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

„დღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი თენდებაო.
ზეგ დილა რო გათენდება,
მარხვა გაჯანჯალდებაო“.

ხატის დეკანოზი ამ დღეს გაიბანებოდა, სუფთა ტანსაცმელს ჩაიცვამდა და ცეცხლის დასანთებად იქ გაემართებოდა, სადაც ბავშვებს შეშა ჰქონდათ შეგროვებული. დეკანოზი უსანთლოდ ილოცებდა, თას-განძს სამალავიდან ამოაბრძანებდა და ალაგებდა, სადაც სადღესასწაულო რიტუალები უნდა შეესრულებინათ. ამის შემდეგ დეკანოზი შინ ბრუნდებოდა. იგი არავის არ უნდა ენახა.

<u>გუდამაჟარში</u> წითელ პარასკევს ტყიდან შეშა მოჰქონდათ. იყო უქმე. ზოგი კვერცხებს ამ დღეს ღებავდა.

<u>ხევში</u> „მარხვას " უკანასკნელ ფრთას გამოაცლიდნენ:

„დღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი თენდებაო.
ხვალზე რო კვირა მოვა,
მარხვა გაჩანჩალდება".

ამ დღეს სასმელის დალევა იკრძალებოდა. კვერცხებს ხახვის „ჩარქვით", ფურცლით, წითლად ღებავდნენ. ხელსაქმისგან თავს იკავებდნენ.

ჭაბუკობა

ალდგომის მომდევნო ოთხშაბათს დგებოდა ჭაბუკობა, რომელიც გაზაფხულის მარად ახალგაზრდა, ნაყოფიერების, სიუხვის მიმნიჭებელი, ზეცასთან და მიწასთან, ამინდთან დაკავშირებული ღვთაების - ტარ-ჭაბუკის დღე იყო.

<u>სვანეთში</u> ჭაბუკობისთვის, ჭაბუკის „სტუმრობისთვის“, მთელი ოჯახი საგანგებოდ ემზადებოდა. უფროსი დიასახლისი მას ახალ, სუფთა საწოლს უშლიდა. ოჯახში ჭაბუკის „მოსვლამდე“ ერთი დღით ადრე ქალები, ვისაც ოჯახში დედათა წესი ჰქონდათ, წისქვილში მიდიოდნენ და ღამეს იქ ათევდნენ. ჭაბუკისათვის რიტუალური სუფრა სვანური საცხოვრებელი სახლის პირველ და მეორე სართულებზე იშლებოდა. პირველ სართულზე იყვნენ ქალები, მეორეზე კი კაცები. მიცვალებულთა სულებს პირველ სართულზე გაშლილ სუფრასთან იხსენიებდნენ. ზოგან სვანეთში ქალებისთვის ცხვებოდა რიტუალური კვერი, რომელსაც უფროსი ქალები ცალკე ჩუმად ჭამდნენ.

ჭაბუკობა განსაკუთრებულად დიდი უქმე იყო. ვინც ამ უქმეს დაარღვევდა, ხალხის რწმენით ჭაბუკი მას წლის განმავლობაში საქონელს დაუხოცავდა. ჭაბუკს მისთვის გაშლილ სუფრასთან „მარტო ტოვებდნენ“. ოჯახის უფროსი იღებდა რიტუალურ პურს და ლოცვით გარეთ გადიოდა. იგი ჭაბუკს ოჯახის, მოსავლის, საქონლის სიუხვე-

ნაყოფიერებას შესთხოვდა, ევედრებოდა, მათთვის ფეხბედნიერი ყოფილიყო. შემდეგ გარედან კარზე აკაკუნებდა, რათა შიგნით მყოფი ჭაბუკისათვის „ეცნობებინა“ სახლში შემოვდივარო. სახლში შესვლისას პირველად მარჯვენა ფეხს შედგამდა და სამჯერ ამბობდა: „ჯანმრთელი იყოს ჭაბუკ ბედნიერი!“ ამ დღეს სასტიკად იკრძალებოდა სტუმრად წასვლა, რადგან ოჯახის სტუმარი თავად ჰყავდა.

<u>ლეჩხუმშიც</u> ეს დღე უქმე იყო. იგი პურის ყანის გამარგვლას უკავშირდებოდა. დილით დიასახლისი ყველიან ან ლობიან ტაბლას აცხობდა, მიჰქონდა პურის ყანაში, წალმა ატრიალებდა და ილოცებდა: „ღმერთო გაგვიკეთე ნათეს-ნამუშევარი“, რის შემდეგაც ხორბლის მარგვლას დაიწყებდა. რიტუალურ პურს, ტაბლას თავად შეჭამდა. პირველად ყანის გამარგვლა აუცილებლად ჭაბუკობა დღეს უნდა დაწყებულიყო.

პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათს მახიკრეფის ჭაბუკობა დგებოდა და მახის კრეფა იწყებოდა. ამ დღეს არ უქმობდნენ. ქალები დილიდანვე გადიოდნენ მახის მოსაკრეფად, თუმცა შინ ჩვეულებრივზე უფრო ადრე ბრუნდებოდნენ. დიასახლისი აცხობდა ერთ ნიგვზიან ან მარილიან ტაბლას. აუცილებლად დაკლავდნენ მამალს. ტაბლას და მოხარშული მამლის ხორცს დიასახლისი შეატრიალებდა და ილოცებდა: „ღმერთო გაგვიკეთე ჩვენი ნათესი, მოგვაწევინე მახა პური; ნუ დაგვიბნევ და ბედნიერებაში მოგვახმარე“. შემდეგ ტაბლასაც და მამლის ხორცსაც ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა.

<u>რაჭაში</u> სამი ჭაბუკობა აღინიშნებოდა: პირველი ივლისის პირველ ორშაბათს, მეორე მის სწორზე, მესამე კი - სწორის სწორზე. არც ერთი მადგანის დროს არ უქმობდნენ. პირველ ჭაბუკობაზე აცხობდნენ სართვიანებს და განატეხს, კლავდნენ მამალს. ილოცებდნენ, სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. ოჯახის უფროსი კალოზე მიდიოდა, თან მამლის შიგნეული და თავ-ფეხი მიჰქონდა. ეს დღე ხვავისა და კალოს ბარაქისთვის იყო დადგენილი. მეორე ჭაბუკობაზე მხოლოდ ცერცვის გულიანებს აცხობდნენ და ქათამს კლავდნენ. მესამე ჭაბუკობაზე მამლის დაკვლა, განატეხის გამოცხობა და კალოზე ლოცვა მაშინ იყო სავალდებულო, თუ პირველ ჭაბუკობაზე ამ წესის შესრულება ვერ ხერხდებოდა.

ჭვენიერობა

ჭვენიერობის დღესასწაული ძირითადად იმართებოდა სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი) და გადმოცემა მის დაარსებას ამ სოფელს უკავშირებს. გადმოცემის მიხედვით, აქ ძველთაგან ორი გვარი სახლობდა: კეკელიები და გაბუნიები, რომლებიც ქრისტიანობის გავრცელებამდე ძელქვის ხესთან ლოცულობდნენ.

გადმოცემის მიხედვით მარტვილში ჭყონდიდთან (დიდი საკულტო მუხა) ბოროტი სული კაპუ/კაპუნია სახლობდა. მეგრელებს იგი არწივის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. კაპუნიასთვის ყოველ წელს ერთი ადამიანი უნდა შეეწირათ. წმინდა ანდრიამ მოჭრა დიდი ჭყონი, დაამარცხა ბოროტი სული – კაპუნია, დაიხსნა ხალხი მსხვერპლად შეწირვისაგან და ეს დღე გამარჯვების დღედ გამოაცხადა. ასევე გადმოცემის მიხედვით წმ. ანდრიამ ბანძაში ძელქვის საკულტო ხე მოჭრა, ბანძელები მოაქცია, წაიყვანა მარტვილში, სადაც მათ წმინდანთან ერთად მუხის ნორჩი ხეები ფესვიანად ამოიღეს, რათა ჭყონდიდივით აღარ ეცათ მათთვის თაყვანი. ბანძაში დაბრუნებულმა ქრისტიანებმა ეს მოვლენა ახლად დაარსებულ დღესასწაულს დაუდეს საფუძვლად.

ჭვე მეგრულად ნორჩი მუხის ნერგს ნიშნავს. მთას, რომელზეც მარტვილის ტაძარი დგას, ჭვენიერს ეძახიან. ბანძელებმა ახლად დარსებულ დღესასწაულს ჭვენია დაარქვეს. დღეს იგი ჭვენიერობის სახელითაა ცნობილი. ეს დღესასწაული საბჭოთა მთავრობამ 1920-იან წლებში გააუქმა.

ჭვენიერობა აღდგომიდან მერვე დღეს ანუ კვირაცხოვლობის ორშაბათს იმართებოდა. ამ სახელით დღეობა სოფელ კვაუთშიც სცოდნიათ (ლეძაძამის თემი), მხოლოდ ამაღლების მომდევნო ორშაბათს. ვინც კი ბანძიდან გათხოვილი კეკელია და გაბუნია იყო, ყველა დღესასწაულზე დასასწრებად ბანძაში ჩადიოდა. კეკელიები და გაბუნიები დილით ჯერ შაორკარის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვას ესწრებოდნენ, შემდეგ სოფლის სასაფლაოზე კაცები მუხის ნორჩ ხეს აირჩევდნენ. ზედ მოხუცი კაცი ადიოდა, არხევდა ტოტებს და მღეროდა „ეისადე კირიე“. ეკლესიის ეზოში მამაკაცები საშუალო სიდიდის ხეზე ადიოდნენ. ხეზე ტევა არ იყო. მამაკაცები ხეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ანჯღრევდნენ, სანამ არ ამოგლეჯდნენ. კაცები ამოგლეჯილ

ხეს გაიდებდნენ მხარზე და ამავე სიმღერით ჯერ სასაფლაოს შემოუვლიდნენ სამჯერ, შემდეგ კი ბანძის ცენტრში მდგარ შაორკარის წმ. გიორგის ეკლესიას. ამის შემდეგ ამოთხრილ ხეს ეკლესიის კედელთან თავდაყირა მიაყუდებდნენ. მის ტოტებს პატარა-პატარა ნატეხებად ამტვრევდნენ და სახლებში მიჰქონდათ, საგანგებოდ შეკერილ ტყავის პარკში დებდნენ და ინახავდნენ, რომ ოჯახს მომავალ წლამდე ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდა. რიტუალის დამთავრების შემდეგ ეკლესიიდან ლელო ბურთი გამოჰქონდათ და ორი გუნდი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. იმართებოდა ლხინი, ჯარობა. ზოგიც კლავდა საქონელს და უსასყიდლოდ ურიგებდა ხალხს.

სოფელ ნაჯახაოში, ვედიდკარში ხის ამოგლეჯის წესს სოფიობასაც ეძახდნენ და მის სახელს მეგრულ სიტყვას სოფუას – მოთხრას უკავშირებენ. ვედიდკარი დღეს დიდი სოფელია, მაგრამ ადრე ბანძაში შედიოდა. ხის ამოთხრის წესი თანაფას ანუ აღდგომასაც იცოდნენ. კვირა დღეს მუხის ამოგლეჯის წესი სამეგრელოში XX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი.

მამაკაცს ძალა და სიძლიერე რომ შემატებოდა, აღდგომის წინა დღეს მუხას ან ცაცხვს რგავდნენ. ამრიგად, ხის ამოძირკვას, ხის დარგვის ტრადიციაც ახლდა თან.

ჭიაპოკონობა

(იხ. ვნების კვირა)

ჭონა

ჭონაზე სააღდგომოდ ქართლის ყველა კუთხეში, იმერეთში, მესხეთში, რაჭაში, მთიულეთ-გუდამაყარში და კახეთში დადიოდნენ. ჭონაზე სიარული წესით წითელ პარასკევს იწყებოდა, ზოგან ვნების კვირის ორშაბათს და აღდგომამდე გრძელდებოდა. დაახლოებით 7-8 მამაკაცი, ტყავის ჯუბებში გამოწყობილები, ზოგჯერ ქალებიც და ბავ-

შვებიც, კარდაკარ დადიოდნენ, ოჯახს ულოცავდნენ და უმღეროდნენ, მაგალითად, ასე:

„სახლო, სალხინოდ ნაშენო,
ვინ დაგიდო მუხის გული,
ამშენებლის მამა ცხონდა,
შიგა მდგომის დედის სული.
ალათასა, ბალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა,
დედი, კვერცხი გამოგვიტა,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.
ტყიდან ხარი გამოვარდა,
თხა შემიჭამა ნისლა,
მასპინძელო, გამოგვხედე,
სხვაგანაც გვინდა მისვლა“.

მეჭონეებს ოჯახი სურსათით ასაჩუქრებდა. ისინი ძირითადად კვერცხს ითხოვდნენ. ზოგან მეჭონეებს ღამე გოდრები დაჰქონდათ, მასპინძელს მომავალ აღდგომას ულოცავდნენ და უმღეროდნენ, რის დროსაც ოჯახს ისეთ სიუხვეს უსურვებდნენ, როგორიც შიოს მარანში იყო, რომ სახლში ყველა ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყო. სიმღერა მთავრდებოდა მისამღერით „ჭონაა, ჭონაა!“ ზოგჯერ მეჭონეებს სიმღერის შემდეგ, შესაძლოა, ფერხულიც შეესრულებინათ, დაეკრათ სალამურზე, გაემართათ ჭიდაობა, ცეკვა-თამაში და სხვა. თუ ოჯახი მეჭონეებს ხელცარიელს გაუშვებდა, ისინი დაიწყევლებოდნენ, რაც ცუდის ნიშანი იყო. ბანზეც იცოდნენ ასვლა, რომლის ერდოდან სახლში ჩაუშვებდნენ კალათას, რომ დიასხლისს მასში სანოვაგე, ძირითადად კვერცხი ჩაედო. როგორც წესი, მეჭონეები ერთის ნაცვლად ორ კვერცხს ითხოვდნენ და იძახდნენ: „ოროლობაა, ოროლობაა!“ ზოგჯერ მათ იმდენი კვერცხი უგროვდებოდათ, ბაზარშიც ჰყიდდნენ და აღებული ფულით სურსათს, ღვინოს ყიდულობდნენ, შემდეგ კი ქეიფობდნენ. რაფიელ ერისთავის თქმით, მეჭონეების მიზანი ქრისტეს დიდება და მომავალი აღდგომის მილოცვა იყო.

ხ

ხალარჯობა

ამაღლების მეათე, ანუ სულთმოფენობის წინა დღეს, შაბათს, საეკლესიო კალენდრის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები სულთაობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. ამ დღეს ქართლის სოფელ ხიდისთავში და იმერეთში, სოფელ ვერტყვიჭალაში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ქართლს, ხალარჯობას უწოდებდნენ.

სულთაობას (ხალარჯობას) ეკლესია ყველა კეთილმორწმუნე ქრისტიანს მოიხსენიებს, ვინაიდან სულთმოფენობის დღესასწაულის თანამონაწილეები ცოცხლებთან ერთად მიცვალებულებიც არიან.

ხალარჯობა მიცვალებულთა მოსახსენებელი მნიშვნელოვანი დღე იყო.

ამ დღისთვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ყველა ოჯახი ემზადებოდა. ხდიდნენ არაყს, დილით სახელსადებებს (მიცვალებულთათვის განკუთვნილი რიტუალური პურები) აცხობდნენ. ნაწილს სახლში შესასრულებელი რიტუალისთვის ტოვებდნენ, ნაწილი არაყთან და ერბოიან ადუღებულ რძესთან ერთად სასაფლაოზე მიჰქონდათ. სასაფლაოზე ყველა ტაბლას (მიცვალებულისთვის განკუთვნილი სუფრა) დადგამდა და სულის ხუცესი შენდობას ეტყოდა. სულის ხუცესი იყო პიროვნება, რომელიც მიცვალებულთან დაკავშირებულ წესებს ასრულებდა.

ფშავში ძირითადად ახალი (ზოგჯერ ძველი) მიცვალებულის საფლავზე საკლავი მიჰყავდათ. ამ საკლავს სულის ხუცესი სანთლით ყურს შეუტრუსავდა და ილოცებდა. საკლავი საფლავზე იკვლებოდა, ხორცი სახლში მიჰქონდათ და ხარშავდნენ. სახლში ამავე დღისთვის განკუთვნილ ორ ჭედილას კლავდნენ. შენდობის თქმის შემდეგ მიცვალებულის ოჯახი საკლავით მეზობლებს უმასპინძლდებოდა.

ხევსურეთში ხალარჯვებას, როგორც მას აქ უწოდებდნენ, ქალები ტალავარზე ტიროდნენ. როდესაც ტირილი მორჩებოდა, დიასახლისი მათ კარგად გაუმასპინძლდებოდა. ამ დღეს ახალი მიცვალებულის პატრონები სოფლის გასამასპინძლებლად ლუდს ამზადებდნენ. სასაფლაოზე მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ. თან მიჰქონდათ სურსათი, შლიდნენ სუფრებს, რომლებსაც სულის ხუცესი დალოცავდა. მიცვალებულთათვის ამ დღეს დოღვნი (დოღი) იკოდნენ.

ვინაიდან ხალარჯობა სულის ანუ მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეობაა, ამ დღეს მესულეთეებს ხშირად ასულეთებდნენ ანუ ალაპარაკებდნენ. მესულეთე/მესულთანე არის ქალი, რომელიც საქაოს მყოფებს თითქოსდა სულების შესახებ უამბობს. ამ დღეს ხალხმა ხატში გასვლა არ იკოდა.

მთიულეთში ხალარჯობას ხატში ღამით მიდიოდნენ. მიჰქონდათ ღამის სათევი (რიტუალური პური) და სანთელი. სანთელს მისვლისთანავე დეკანოზს აძლევდნენ. იგი შეგროვილ ხალხს ღამის სათევებითურთ მოიხმობდა, შეეხვეწებოდა ხატს, რის შემდეგაც იწყებოდა ლხინი. სუფრასთან ისინი უნდა მოეხსენიებინათ, ვინც რაიმე შესწირა ხატს: ირმის რქები, ზარები, თასები. მსურველებს ხატში ხალარჯობას საკლავიც მიჰყავდათ. დეკანოზს სამწყალობნო (რიტუალური პური), სანთელი და ტვილი – ახლად ამოყვანილი უმარილო ყველი – ეჭირა და ყოველივეს ამწყალობნებდა. სამწყალობნოს და ყველს, როგორც ღამის სათევს, გაჭრიდნენ და შუიდან ცოტას ამოიღებდნენ. სანთელს და სამწყალობნოს დეკანოზი იტოვებდა, ყველს კი პატრონს უბრუნებდა. იკვლებოდა საკლავი. ტყავს, თავს, შიგნეულს დეკანოზს უგზავნიდნენ სახლში. საკლავის წინა მხარს და ნახევარ ხორცს პატრონი დეკანოზს აძლევდა, ღვიძლს მაშინვე წვავდნენ და ხალხს ურიგებდნენ. ამ დღეს ხატში ბავშვებიც გაჰყავდათ. მათ სანთელ-სამ-

წყალობნოებს და ფულს მიაყოლებდნენ, რაც რიტუალის შესრულების შემდეგ დეკანოზს ეკუთვნოდა. ზოგიერთ მლოცველს ხატში მიჰქონდა ქადა-პურიც, რომელსაც დეკანოზი სამწყალობნოების მსგავსად დალოცავდა.

პურობის დამთავრების შემდეგ ხატს ხალხი რისუ დარალეს სიმღერით აცილებდა. ხატის წაბრძანების შემდეგ ფერხისას აბამდნენ. როდესაც ხალხი წავიდოდა, ხატის მსახურები თას-განძს ძველ სამალავში შეაბრძანებდნენ, ანუ დააბინავებდნენ. მეორე დღეს, სულთმოფენობას, ხალხი სოფლის რომელიმე ბანზე იკრიბებოდა და მოლხენას აგრძელებდა. არაყი რომ გაუთავდებოდათ, მასპინძლობის მსურველები ხალხს სახლში ეპატიჟებოდნენ. ხატში დარჩენილ სანოვაგეს ხატის მსახურები ინაწილებდნენ.

<u>ხევში</u> ხალარჯობას ახალი მიცვალებულის პატრონი საკლავს კლავდა. ხალარჯობა იმ შვიდი აუცილებელი სუფრიდან ერთ-ერთი იყო, რომელსაც ხევში მიცვალებულს წლის განმავლობაში უხდიდნენ. ამ დღეს ჭირის სუფრასთან სტუმრებსაც იწვევდნენ.

ხარება

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ხარება 25 (7.04) მარტს იდღესასწაულება და არის 12 საუფლო ანუ დიდ საეკლესიო დღესასწაულს შორის ერთ-ერთი. ხარების დღეს ეკლესია და მორწმუნეები იგონებენ იმ დღეს, როდესაც მთავარანგელოზი გაბრიელი წმ. მარიამს გამოეცხადა და აუწყა, რომ იგი იესოს გააჩენდა, რომ ეს სულიწმინდის მადლით მოხდებოდა და მისი ვაჟი უფლის შვილი იქნებოდა. „.. შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“ (ლუკ. 1. 35)

<u>რაჭაში</u> ამ დღეს უქმე იყო. ზოგიერთ ოჯახში განატეხს აცხობდნენ.

<u>ლეჩხუმში</u> ხარებასთან დაკავშირებით ერთი ლეგენდაა შემორჩენილი. თურმე ამ დღეს ერთ ოჯახში რძალი ქსოვდა. დედამთილი ეხვეწებოდა, ნუ ქსოვ, დედა, დღეს ხარებააო. რძალს უპასუხია: ხარე-

ბა და ხარხარება, ჩემ ქმარ-შვილს გახარებაო. მოვუქსოვ ქსელს და ჩემ ქმარ-შვილს გავახარებო. დედამთილს რძალი სამჯერ გაუფრთხილებია და მასაც სამჯერ არ დაუგდია დედამთილისთვის ყური. უეცრად რძალს მაჯა გაჩერებია და იძულებული გამხდარა, ქსოვა შეეწყვიტა. დედას სცოდნია, რომ ამ დღეს ქსოვა არ შეიძლება, მე კი არ დავუჯერეო, – უთქვამს რძალს. ამის შემდეგ ეს ჩვენთვის ძლიერი უქმეაო, – ამბობდა ხალხი. ლოცვა და რიტუალური კვერების გამოცხობა ამ დღეს არ სცოდნიათ.

<u>ქართლში</u>, ვისაც მიცვალებული ჰყავდა, ამზადებდა კოლიოს, თევზის ზურგიელს და მღვდელს აკურთხებინებდა.

<u>თუშეთში</u> ხარებობას ოცობასაც ეძახდნენ, რადგანაც გიორგობიდან ანუ საქონლის ბაგაზე დადგომიდან ოცი კვირა იყო გასული. მთელი წლის იღბალი ან უიღბლობა ოცობაზე იყო დამოკიდებული. იგი ბედობის დღე იყო. ოცობა ზამთრიდან ზაფხულისაკენ შემობრუნების დღედ მიაჩნდათ და ნებისმიერ ამინდში, სიმბოლურად მაინც, ხარები მინდორში უნდა გაეყვანათ. გაყვანის წინ, ავი თვალისა და ავი სულებისაგან უნდა დაეცვათ. ხარებობის მეორე დღიდან იწყებოდა საზაფხულო სამუშაოები.

<u>ხევში</u> ხარებობას უქმობდნენ. ზოგან სოფლის ცენტრში რკინის სახნისიანი გუთნით ჯვრისებურ კვალს გაავლებდნენ. კისერზე ხარებს და გუთნის დედას ამ დღისთვის გამოხდილ კაპარს (სასმელი) გადაასხამდნენ. ეს წესი ხვნის დაწყებისთვის სრულდებოდა და როდესაც მაისში გადიოდნენ სახნავად, რიტუალის ჩატარება აღარ იყო საჭირო.

ძროხებს ამავე დღეს კუდზე ბალანს აჭრიდნენ, ბავშვებს შუბლზე – თმას და იტყოდნენ: „ოცდადხუთსა ხარებასა დღე-ღამენის სწორებასა“.

<u>გუდამაყარში</u> ხარს ბალანს, ბავშვს თმას, ხეხილს უვარგის ტოტებს შეაჭრიდნენ და იტყოდნენ: იხარონო. ბავშვებს ეუბნებოდნენ: გაიხარე შენი და-ძმითო.

მცირე ცნობარი

- ა -

აბრამიანი – 1. მეკვლისთვის გამზადებული სანოვაგე ქართლში. 2. შაქრითა და თაფლით შეზავებულ ღვინოში ჩაფშვნილი პური, რომელსაც ახალ წელს აკეთებდნენ და ნათლისღების წინა დღეს ჭამდნენ.

აიაზმა - ნაკურთხი წყალი.

ამბა – მამა (ბერძნულად)

ამპარია – ნათლისღების წინა დღეს ნაკელზე დანთებული კოცონი მთიულეთში.

ანდრეზი – ძველი, ხალხში დაცული გადმოცემა.

ანტრია - მოხარშული ცომი.

აპეური – ტაბიკების გადასაბმელი თოკი. ტაბიკები კი წყვილი თავმსხვილი ჯოხია, რომლებიც უღელზე წყვილადაა ჩამოცმული საქონლის შესაბმელად.

- ბ -

ბაია – ერთგვარი ბალახია, აქვს ყვითელი პრიალა ფოთლები

ბანი – სახლის თუ სხვა ნაგებობის დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი.

ბასილა – საახალწლო რიტუალური პური, რომელიც ღვთაების ბემბღა/ბემბღუ/ბომბღა/ბოსლა/ბასილის სახელზე ცხვებოდა. ამ ღვთაებაში შერწყმული იყო წინაქრისტიანულ დიდ ღმერთთან

და ქრისტიან წმინდან, დიდ საეკლესიო მამა – წმ. ბასილთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ბემბერა – საახალწლო მორი.

ბაციკა, ბაცუკა – რიტუალური პური.

ბემბერა - საახალწლო მორი.

ბედისკვერი – საახალწლო რიტუალური პური, რომელიც ადამიანებისთვის, საქონლისთვის, ფრინველისთვის, წყლისთვის, მეკვლისთვის, მიწისთვის ცხვებოდა.

ბერარი – კავის ნაწილი, რომელზეც რკინის სახნისს აცმევდნენ

ბეჭკერი - ცომის მოსაზელი ჭურჭელი.

ბივრიტი - ცისფერი ქვა.

ბიჭონი – ბატიბუტი.

ბოჭოლა - რიტუალური პური.

ბუდე ხევსურეთი – პირაქეთა ხევსურეთი, დათვისჯვრის ულელტეხილს აქეთ მდებარე ხევსურეთი.

ბულა - დაუკოდავი ხარი/კამეჩი, რომელსაც სანაშენედ ინახავენ (კურო).

ბუჯირი/ბუჯერი – ბელელში ჭურჭლისა და პროდუქტის დასაწყობად გაკეთებული თაროები.

- გ -

გამარგვლა – ნათესების, ნარგავების გაწმენდა სარეველა მცენარეებისაგან.

განატეხი – რიტუალური პური რაჭაში.

განძი – ძვირფასი ნივთები, სიმდიდრე, ქონება.

გვერგვი – 1. ვაზის ექვსი დაგრეხილი ლერწისგან დამზადებული რგოლი, რომელიც დაქსელილია ტირიფის წნელებით და შუაში გაკეთებული აქვს თხილის ტოტების მომსხო ჯვარი. 2. კასრზე ჩამოსაცმელი რკინის ან ხის სალტე. 3. ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად. 4. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩიჩილაკის ნაცვლად ხმარობდნენ.

გოგა – მეკვლეობისთვის განკუთვნილი რიტუალური პური.

გურჯინა – გოდორი.

- დ -

დადიანური — სარიტუალო ჯაჭვი, რომელსაც კისერზე იდებდნენ.

დალაი - სამგლოვიარო სიმღერა, რომელიც იმავე სახელწოდების სამგლოვიარო რიტუალის დროს სრულდება თუშეთში.

დალი — ნადირობის ქალღვთაება.

დამახვილება — ეკლიანი მცენარეების ტოტების სახლში, სამეურნეო ნაგებობებში დაწყობა ბოროტი ძალებისაგან თავდაცვის მიზნით.

დამწყალობნება — დალოცვა.

დარბაზი — სალოცავის მთავარი ოთახი, სადაც ხატის მსახურები ძირითად რიტუალებს ასრულებდნენ.

დასტური — ხუცესის თანაშემწე ხატის მსახური.

დეკეული - ფური (ძროხა) ერთიდან ორ-სამ წლამდე, რომელსაც პირველი ხბო ჯერ არ მოუგია.

დიდმარხვა — იხ. ტექსტში. გვ. 13.

დოხანი - ლობიოგარეული სიმინდის ან წმინდა პურის მარცვლის წანდილის მსგავსი კერძი.

დროშის აბმა — დროშის ტარზე სხვადასხვა საკადრისის — ბაღდადების, ხელსახოცების — შებმა.

- ე -

ელეგია (იგივე ევლოგია, რაც ბერძნულად კურთხევას ნიშნავს) — ევლოგია აქ არის სააღდგომო კრავი, ბატკანი, რომელსაც ეკლესიაში აკურთხებინებდნენ მიცვალებულთა მოსახსენებლად. ნაკურთხი ბატკნის ხორცი მარხვის გასახსნელად იქ მყოფებს ურიგდებოდათ.

ელეგიაც მიცვალებულისთვის განკუთვნილი სააღდგომო სუფრაა (პასკა, წითელი კვერცხები, ცხვრის, საქონლის და ფრინველის ხორცი) სამეგრელოში, რომელიც აღდგომის ღამეს ეკლესიის ეზოში იკურთხებოდა და იქ მყოფებს ურიგდებოდა.

ერდო — ბანში, სახლის სახურავში, შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი, რომელსაც საკვამურის ან სარკმლის დანიშნულება ჰქონდა.

ეხი — ბუნებრივი გამოქვაბული კლდეში.

- ვ -

ვარია — ზრდადაუმთავრებელი ქათამი, დედალი, რომელსაც ჯერ კვერცხები არ დაუდევს.

ვაცი — მამალი თხა.

ვერძი - მამალი ცხვარი.

ვნების კვირა — აღდგომის წინა კვირა.

- ზ -

ზედაშე — საუკეთესო ღვინო, ფქვილი, ერბო, რომლებსაც საგანგებოდ დღესასწაულებისთვის ინახავდნენ.

ზვარა - ზვარაკი, მსხვერპლად შესაწირი საკლავი.

ზურგიელი — ზუთხის, ორაგულის და რიგი სხვა თევზის დამარილებული და მზეზე გამომშრალი ზურგის ანაჭერი.

- თ -

თაბორი — მთა, სადაც იესო ქრისტემ ფერი იცვალა.

თოხლი — ცხვარი ერთი თვის ასაკიდან ერთ წლამდე.

- ი -

იავნანა — 1. აკვნის სიმღერა. 2. საწესო, რელიგიური ხასიათის სიმღერა, რომელსაც ქალები სალოცავებში დღემდე ასრულებენ.

- კ -

კალანდა — ახალი წელი.

კალო — მოსუფთავებული, დატკეპნილი ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავდნენ ანუ პურეულის მარცვალს და ღეროს ერთმანეთისგან აცალკევებდნენ.

კალტი — გუნდებად გამხმარი ხაჭო.

კანაფი — 1. ბოჭკოვანი მცენარე. მისგან ამზადებდნენ სართავ ბოჭკოს — ქერელს, იყენებდნენ საკვებად, ხდიდნენ ზეთს. 2. ამ მცენარის ღეროს კანისგან დამზადებული წვრილი თოკი. 3. ამ მცენარის ქერქი.

კაპი – 1. მოჭრილი ხის განტოტება, რომელსაც ქმნის მასზე ამოზრდილი რტოს შერჩენილი ნაწილი. 2. ჩამოსაკიდი (კავი).

კატეხიზმო – ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

კაჭაჭი – მსხვილღეროიანი ბალახის (მზესუმზირას და მისი მსგავსი მცენარის) გამხმარი ღერო.

კევრი – სალეწი იარაღი, რომელიც სქელი ფიცრებისგანაა დამზადებული და რომელსაც ძირიდან წაწვეტებული კაჟის ნატეხები აქვს დამაგრებული. კევრში ხარებს ან ცხენებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

კერატი – დაუკოდავი ღორი.

კეცეული – რიტუალური პური.

კლოვიარე – მეკვლე.

კოდი – გულამოღებული მორისაგან დამზადებული დიდი კასრი, რომელიც მარცვლეულის, ფქვილის, რძის ნაწარმის შესანახად და ლუდის ჩასასხმელად იხმარება.

კოლიო – მიცვალებულთა მოსახსენებლად განკუთვნილი კერძი. მზადდება მოხარშული ხორბლისგან, რომელსაც ურევენ თაფლს (ან შაქარს), ნიგოზს (ან ნუშს) და ქიშმიშს.

კორკოტი – ნაყვით კანგაცლილი, რძეში ან წყალში მოხარშული ერბოთი ან ნიგვზით შეზავებული კერძი.

კოროლი/ნამჯა – პურის ღეროები, რომელსაც შენობის სახურავადაც ხმარობდნენ.

კოტორი – კვერი.

კოჭობი – ხუცობისთვის განკუთვნილი თასი.

კუბდარი – ხორცის გულიანი დიდი ქადა.

კუბდიანი – რიტუალური პური.

კულა – ღვინის ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი.

კულუხი – ღვინის საბატონო გადასახადი.

კუმეტი – ახალწლის მეორე დღე.

კურატი – დაუკოდავი ხარი.

კუტაბი – ერბოში მომწვარი გულიანი კვერი.

- ლ -

ლარტახი — კაკლის ტოტი.

ლასტი — წნელის ბრტყელი წნული, იგივე ჩელტი.

ლახტი — გრძელი უტარო მათრახი.

ლემზირი — რიტუალური პური.

- მ -

მარხვა — ერქვა ნაცრიან პარკსაც, რომელსაც 7 ფრთა უკეთ-დებოდა და დიდმარხვის დაწყებისთანავე ჰკიდებდნენ ხოლმე ოჯა-ხებში.

მაძალათე — თუშეთში ხატის მსახურის დამხმარე, წესრიგის დამცველი. მას მორიგე ხატის მსახურის სანათესაოდან ირჩევდნენ.

მაჭკატი — ერბოში ან ცხვრის ქონში მომწვარი პატარა ლავაში.

მახა — ხორბლის უძველესი ჯიში, რომელიც მხოლოდ საქარ-თველოში, რაჭა-ლეჩხუმშია შემორჩენილი. აქვს ფხიანი, მკვრივი და ადვილად მტვრევადი თავთავი.

მახვში — სვანეთში უფროსი, ხელმძღვანელი.

მეზღვნე — ვისაც სალოცავში საკლავი მიჰყავდა შესაწირად.

მეკულუხე — ხატის მსახური, რომესაც კახეთიდან, ხატის კუთვნილი მამულებიდან, მთაში ხატობისთვის ღვინო მიჰქონდა.

მესმინაე — ის, ვინც კუდიან წუხრაზე ვითომდა კუდიანებს უსმენდა.

მკლოვიარე — მეკვლე.

მონაგარი - 1. ტანჯვით ნაშოვნი (ქონება, ფული...). 2. შვილები, შთამომავლობა.

მონა ქალი — ხალხის რწმენით ღმერთის, წმინდანების, ღვთაებებისგან რჩეული და მათი ნების აღმსრულებელი, მათი მსახური ქალი. ითვლებოდა, რომ ამგვარი ქალები წინასწარხედ-ვის უნარით იყვნენ დაჯილდოებულები.

მოსანთო — რიტუალური პური.

მუჯორი - დანაყილი და ზეთგამოცლილი კანაფის თესლი ან ნიგოზი, რომელსაც მარილით აზავებენ და საწებლად ხმარობენ.

მფერხავი — მეფეხური, მეკვლე.

- ნ -

ნათე — ხატის მსახური.

ნეზვი — დედალი ღორი, თხა ან ცხვარი.

ნერბი — დედალი ცხვარი.

- ო -

ოკი — ფრთა, რომელსაც ბავშვები ისარივით დამზადებულ ეკალს უკეთებდნენ.

- პ -

<u>პატრუქი</u> — სანთელში ჩატანებული ან კანდელში ჩადებული ბამბისგან დაგრეხილი ძაფი, რომელიც წვისთვის გამოიყენება. ასევე საგანგებოდ დამზადებული ქსოვილი, რომელიც იმავე მიზნით იდება ლამპაში, ჭრაქში და სხვა.

- რ -

რიყე — მდინარის ქვიანი ნაპირი.

რჩხა — კაპებიანი ჯოხი.

- ს -

საბუდარი — შინაური ფრინველის ბუდე.

საბძელი — ბზის, თივის, ფუჩეჩის შესანახი ნაგებობა, ჩვეულებრივ წნული ან ფიცრული.

საზეპელი — მიწის დასატკეპნი ტარიანი კუნძი ან ფიცარი.

სათბილო — დაკლული ხარის ან ძროხის თეძოსა და შუა წელს შორის არსებულ ნაწილი.

საკადრისები — დროშის ტარზე შებმული, ხალხის მიერ შეწირული სხვადასხვა ფერის ბაღდადები და ხელსახოცები.

საკერპე — 1. კერპისთვის განკუთვნილი. 2. კერპის ტაძარი.

საკვლევი — ხატის მსახურებისთვის სოფლიდან მიტანილი სურსათ-სანოვაგე: ხინკალი, კეცეულები (რიტუალური პურები), ხორცი და სხვა.

სალოცავი – ლოცვისათვის განკუთვნილი ნაგებობა.

სამკლოვიარო – სამეკვლეო.

საპალნე – 1. სახედრის, ცხენისა და მისთანათა ასაკიდი ტვირთი. 2. ღვინის საწყაო, ჩადის 30 ჩაფი. ჩაფიც საწყაოა და დაახლოებით 16 ლიტრი ჩადის.

საფუარი – დამჟავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად, ამოსაწევად. საფუარი შეიძლება იყოს ლუდის. ამ შემთხვევაში საფუარი მოდუღებული ლუდის გამხმარი ზედნადებია. თავად დედო, ანუ თავდაპირველი საფუარი სვადასხვა მცენარისაგან მზადდება.

საყმინო – ლუდის დიდი თასი, რომლიდანაც ფშავში სახატო დღესასწაულის ბოლოს სვამენ ლუდს.

საციძველი – ხონჩაზე დაწყობილი ყეენისთვის მისართმევი ხილი, ჩურჩხელა, ყურძენი. მეალილეებისთვის გამომცხვარი ღვეზელი იმერეთში.

საცრის კვერი – მეკვლისთვის გამომცხვარი პური.

საწულო – საკლავი, რომელიც ხატში მიჰყავდა მას, ვისაც ახალშეძენილი ვაჟი ჰყავდა.

საწდე – ღვინის ან ლუდის ჭურჭელი.

სახადი – ბავშვთა ინფექციური დაავადებები, რომლებიც ერთხელ მოხდის შემდეგ ჩვეულებრივ აღარ ემართება ადამიანს.

სახუცო კოჭობი – ხუცობისთვის განკუთვნილი თასი.

საჯარე – ნაგებობა ხატში, სადაც ინახება ხატის ჭურჭელი და სხვა ნივთები (ქვაბები, დროშები...)

სვე/სვია – მცენარე, რომელსაც ლუდის, ცომის ასაფუებლად იყენებენ.

სმინაობა – კუდიანების „მოსმენის“ რიტუალი.

სულის ხუცესი – კულტის მსახური, რომელიც მიცვალებულთან დაკავშირებულ წესებს ასრულებდა.

- ტ -

ტაბაკი – ხის მოზრდილი, სინის მაგვარი თეფში.

ტაბიკი – ურმის თავმსხვილი ჯოხი.

ტაბლა – 1. დაბალი მაგიდა. 2. საკურთხი, მიცვალებულისთვის განკუთვნილი სუფრა. 3. საჭმელ-სასმელი, რომელიც მეკვლეს ოჯახში მიჰქონდა. 4. რიტუალური პური.

ტალავარი – მიცვალებულის ტანსაცმელი, რომელსაც შლიდნენ და დატირების რიტუალს ასრულებდნენ. ძველ ქართულად ტანსაცმელს ნიშნავს.

ტვილი – ახალად ამოყვანილი უმარილო ყველი.

- უ -

უმძრახად/უბრად – ვისმესთან დაულაპარაკებლად.

ურწყი – მითოლოგიური პერსონაჟი.

- ფ -

ფერხისა – ერთგვარი ძველებური ჯგუფური ცეკვა სიმღერითურთ.

ფილონი – სამღვდელო შესამოსელი.

ფუთი – წონის რუსული საზომი ერთეულია. 1 ფუთი=16, 3კგ. იგი მეტრული სისტემის შემოღებამდე იხმარებოდა.

- ქ -

<u>ქიტი</u> – ქაფქირი. ქაფის მოსახდელი და წვნიანიდან რაიმეს ამოსაღებად განკუთვნილი დიდი დაჩვრეტილი კოვზი.

<u>ქორა მახვში</u> – ოჯახის უფროსი.

<u>ქორბელელა</u> – ორსართულიანი ფერხული.

<u>ქოსმენი</u> – ნასუქი ღორი ან ცხვარი.

<u>ქ. შ.</u> - ქრისტეს შემდეგ ანუ ის, რაც ქრისტეს შობის შემდეგ მოხდა.

- ღ -

ღირღიტა – გუთნის ნაწილი.

ღოლო – მრავალწლოვანი მცენარე. იზრდება ნათესებში, ვენახებსა და ბაღებში; იჭმება. მის ნახარშს სამკურნალოდ ხმარობენ.

ღომი – 1. პურეული მცენარე მარცვლოვანთა ოჯახიდან. 2. ამ მცენარის მარცვლებისაგან, ან სიმინდის ფქვილისა და ღერღილისაგან დამზადებული კერძი.

ღული – ხერხის მსგავსი ნამგალი.

- ყ -

ყვავილი – მძიმე გადამდები დაავადება, რომლის დროს გაჩენილი ჩირქოვანი მუწუკები კვალს ტოვებენ სახეზე.

ყვერული – დაკოდილი მამალი (ქათამი).

ყვინჩილა – ზრდადაუმთავრებელი მამალი, მამლაყინწა.

ყორბოული – საშობაო რიტუალური პური ხევში.

- შ -

შანა – რაიმე ნივთი (უპირატესად ლითონის), რომელსაც შეულოცავდნენ, გულზე და ყელზე (ან მაჯაზე) აბამდნენ ადამიანს თითქოსდა ავი თვალისაგან, ავი სულისაგან დასაცავად.

შიოს მარანი – გამოთქმაა, რომელიც ულევ სიმდიდრეს, სიუხვეს ნიშნავს. გამოთქმის ამგვარი მნიშვნელობა წმ. შიო მღვიმელს, 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, შიო მღვიმის მონასტრის დამაარსებელს უკავშირდება. გადმოცემის მიხედვით წმ. შიოს მონასტერში მარანიც ჰქონია, სადაც მისულ სტუმრებს უმასპინძლდებოდა ხოლმე, ასმევდა ღვინოს. დაცარიელებული ქვევრები კი კვლავ ღვინით ივსებოდა.

შულტა – ხატის მსახური თუშეთში.

- ჩ -

ჩარეჟა — საწყაო ან საზომი ერთეულის მეოთხედი.

ჩელტი — იხ. ლასტი.

ჩიტის აზვრა - ჩიტის გაღვიძება.

ჩხერგი — წვრილი, ერთმანეთზე შეყრილი ტოტები ნაყოფისა და ფოთლების გარეშე.

- ცხ -

ცხრეული — პურის ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა თხელი პური.

- წ -

წანდილი — თაფლით ან შაქრით შეზავებული მოხარშული ხორბლის კერძი, რომელიც მიცვალებულის სულის მოსახსენებლად კეთდება.

წივი — წვივი.

წინწანაძარი — გამოხდისას პირველად გადმოსული არაყი, თავი არაყი.

- ჭ -

ჭანტილი/ჭანტი — პურის მარცვლისგან დამზადებული ფაფა, რომელიც საშობაოდ კეთდებოდა.

ჭედილა — დაკოდილი მამალი ცხვარი.

ჭერხო — სახლის ზედა, ყველაზე სუფთა სართული აღმოსავლეთ საქართველოს მთაში.

ჭიჭი — ლუდის ზედნადები.

- ხ -

ხაბიზგინა — ოსური ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ნიგოზი, ყველიანი ხაჭო ან კარტოფილი ან ორივე ერთად.

ხარჯი — ადამიანთა გარკვეული რაოდენობისთვის საჭირო სასმელ-საჭმელი.

ხავიწი — ქადის გული, რიმელიც ერბოში მოშუშული ფქვილისგან კეთდება.

ხალი — მოხალული დაღერღილი ხორბალი, რომლისგანაც ფაფა მზადდება.

ხამლი — ფეხსაცმელი, წაღი.

ხატ/ჯვარი — აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ეწოდება სალოცავს, როგორც შენობას და მასთან არსებულ სხვა ნაგებობებს, სადაც ლოცულობდნენ და რიტუალებს ასრულებდნენ, ასევე ღვთაებას, რომლის საბრძანისიცაა ეს ნაგებობა.

ხატიონი/ჯვარიონი — ჯვარ-ხატის მსახურების კრებითი სახელი ხევსურეთში: ქადაგი, ხუცესი, მედროშე, მეგანძური, მეზარე, მესანთლე, მეკოდე და სხვ.

ხატის დროშა - ხის ტარი, რომელსაც თავზე დამაგრებული აქვს ჯვარი და ზარი (ან ზანზალაკი) და რომელზეც შებმულია ხალხის მიერ შეწირული საკადრისები - სხვადასხვა ფერის ბაღდადები და ხელსახოცები, ქსოვილის ნაჭრები.

ხაში — პურის ცომი, რომელსაც საფუარად იყენებენ.

ხაციცი — საახალწლო საუზმე.

ხელკავი - სიმინდის საფშვნელი ან ღომის სარეცხი მოხრილთავიანი მსხვილი ჯოხი.

ხელოსანი — ხატის მსახური.

ხიფხოლი — მიწის ვაშლის მზგავსი ტკბილი ძირებია, რომლებსაც გაზაფხულზე თხრიდნენ ბავშვები.

ხმიადი — უსაფუვროდ გამომცხვარი პური.

ხუნაგი — ხახის მძიმე ინფექციური დაავადება.

ხუცესი - 1. იგივეა, რაც მღვდელი. 2. ხევისბერი (ხევსურეთში, ფშავში).

ხუცობა — ერთგვარი ლოცვაა, რომელსაც ხატის მსახური, ხუცესი ჯვარ-ხატში ასრულებს.

ხული — არყის ან მსხლის საახალწლო მორი.

ხუნდი — ნახვრეტებიანი, გრძელი, მსხვილი ძელისგან დამზადებული ფეხის ბორკილი.

- ჯ -

ჯარი — თავყრილობა, დღეობაში ან ხატობაში შეგროვილი ხალხი.

ჯარიანობა - შეკრებილი ხალხის დროსტარება (ხატობაში და სხვ.)

ჯვარი — იხ. ხატი.

ჯვარიონი — ჯვარ-ხატის მსახურები ფშავში: მედროშე, მეზარე, მეგანძური, მესანთლე, მეკურატე და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაკელია ნინო, ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმ. გიორგი), მაცნე, № 3, 1985.

აბაკელია ნინო, ქრისტიანულ წმინდანთა კულტი დასავლეთ საქართველოში, ან კიდევ ერთხელ იან დეცეშის შესახებ, კრებ. „დიდგორი", თბ., 1991.

აბაკელია ნინო, ალავერდაშვილი ქეთევან, ღამბაშიძე ნინო, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გამ. „კრიალოსანი", თბ., 1991.

ალავერდაშვილი ქეთევან, საკრალური გეომეტრია, გამ. "უნივერსალი", თბ., 2007.

ანთელავა ნუგზარ, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. ენციკლოპედია (გამომცემლობა არ არის მითითებული), თბ., 2006.

ანონიმი ავტორი, სააღდგომო, გაზ. ივერია, 1894, №82.

ახალი ამბები, გაზ. ივერია, 1886, № 212. სტატია ხელმოუწერელია.

ახალი აღთქუმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქო, გამ. „ალილო" და „ბაკმი", თბ., 2005.

ბარდაველიძე ვერა, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1939.

ბარდაველიძე ვერა, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV (იან დეცეში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 5, თბ., 1951.

ბარდაველიძე ვერა, ივრის ფშავლები, დღიური, გამ. „კვირიონი“, თბ., 1941 – 2003.

ბარდაველიძე ვერა, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ/ბაბარ), გამ., „კავკასიური სახლი“, თბ., 2006.

ბარნაბიშვილი მ., ერთი წარმართული დღესასწაული სამეგრელოში – ჭვენიერობა, გაზ. დროება, 1870.

ბედიაშვილი მალხაზ, სვეტიცხოველი, სამეცნიერო ტექნიკური კვლევის შედეგები (გამომცემლობა მითითებული არა არის) თბ., 2003.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართული მწერლობა, გამ. „ნაკადული“, თბ., 1989.

ბრეგაძე ნელი, ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

ბუბულაშვილი ელდარ, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, გამ. „ახალი ივირონი“, თბ., 2007.

გარდაფხაძე-ძიძოძე ფაფალა, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), გამ. „მეცნიერება“, თბ., 1995.

გვასალია ჯონდო, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის კრებული, V, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975.

გიორგაძე დალი, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1987.

გიორგაძე დალი, საზაფხულო დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხალარჯობა), ჟურ. ანალები, №2, 2002.

გოცირიძე გიორგი, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2007.

გუჯეჯიანი როზეტა, კიდევ ერთხელ კალის წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტეს სახელობის მონასტერში დაცული „შალიანი „ ხატის შესახებ (ეთნოგრაიული მასალის მიხედვით), ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები VII, თბ., 2003.

ერისთავი რაფიელ, ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული წერილები, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1986.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებები, ტ. IX, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.

თაყაიშვილი ეკვთიმე, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963.

თვენი III, სრულიად საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1983.

ინგოროყვა პავლე, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 6, 7, 1929-30.

იობაი მეთვალყურე (არსენ ორმოცაძე), მცხეთობა (სვეტიცხოვლის დღესასწაული), ჟურ. კვალი, 1896, №42.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული კალენდარი, თსუ შრომები, ტ. 18. თბ., 1941.

კეკელიძე კორნელი, იოანე ქართველის კალენდარი (IX ს.), ეტიუდები V, თბ., 1957.

კვაშილავა ირმა, გერისთობის დღესასწაულის თარიღის რაობისათვის, „ტბელობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, სხალთა, 2009. კიკნაძე ზურაბ, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, გამ. „ნეკერი,,, ქუთაისი, 1996.

კოსტა იანეთელი, სოფელი იანეთი, მოგზაური, აგვისტო და სექტემბერი, №№ 8 და 9, 1091.

მაკალათია მზია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გამ. „მეცნიერება“, 1985.

მაკალათია სერგი, მთიულეთი, გამ. „სახელგამი“, თბ., 1930.

მაკალათია სერგი, მესხეთ-ჯავახეთი, გამ. „ფედერაცია“, თბ., 1938.

მაკალათია სერგი, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938.

მაკალათია სერგი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

მაკალათია სერგი, ძამის ხეობა, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.

მაკალათია სერგი, ლიახვის ხეობა, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971.

მაკალათია სერგი, თუშეთი, გამ. „ნაკადული“, თბ., 1983.

მაკალათია სერგი, ხევსურეთი, გამ. „ნაკადული“, თბ., 1984.

მაკალათია სერგი, ფშავი, გამ. „ნაკადული“, თბ., 1985.

მგელაძე ვლასა, მცხეთის (სვეტიცხოვლის) დღესასწაულის გამო, ჟურ. კვალი, №43, 1895.

მგოსანნი გლოვისანი, ტექსტები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნანული აზიკურმა, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1986.

მელვინეთხუცესოვი დიმიტრი, ჭიაკოკონობა, გაზ. „დროება“, №3, 1872.

მინდაძე ნინო, ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), გამ. „მეცნიერება“, თბ., 1981.

მინდაძე ნინო, რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001.

მიხეილ-გობრონ საბინინი, საქართველოს სამოთხე, სანქტ-პეტერბურგი, 1884.

მოთხრობები ბიბლიიდან ყმაწვილთათვის, ავტორ-შემდგენელი (დოდო) მარიამ ღლონტი, გამ. „დედაენა“, თბ., 2007.

მოქცევაჲ ქართლისაჲ, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2007.

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი (ძვ. სტილით) ედიშერ ჭელიძის რედაქტორობით (გამომცემლობა არ არის მითითებული), თბ., 2001.

ოსი ჩ-შვილი (გიორგი ჩოჩიშვილი), 10 აპრილი, ჟურ. დროება, № 177, 1883.

ოჩიაური ალეძსი, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), გამ. „მეცნიერება“, თბ., 1991.

ოჩიაური ალეძსი, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), გამ. „მეცნიერება“, თბ., 1988.

ოჩიაური თინათინ, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954.

პატარიძე ლელა, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები), გამ. „მეცნიერება“, თბ., 1993.

პ. ჯალელი (კარბელაშვილი), შვიდმაისობა საქართველოში, გაზ. დროება, 1875, №59.

რაჯული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1987.

რუხაძე ჯულიეტა, ძველი აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟები ბერი-ბერა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის., ტ. 9, თბ., 1957.

რუხაძე ჯულიეტა, ქართული ხალხური დღესასწაული, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

რუხაძე ჯულიეტა, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, გამ. „ინტელექტი“, თბ., 1999.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელნი: ენრიკო გაბიძაშვილი, მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ., 2007.

საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1976 წლისათვის, საქართველოს საკათოლიკოსო გამოცემა.

სიხარულიძე ქეთევან, ქართული ჰიგიენა აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ – კახეთის ეთნოგრაფიული მასლების მიხედვით), 1990, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი.

ს–ლი, დაბა და სოფელი, „ივერია“, № 109, 1897.

ს. მცხეთა. სვეტიცხოვლობა, გაზ. ცნობის ფურცელი, №329, 1897.

სურგულაძე ირაკლი, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, „მეცნიერება“, თბ., 1986.

სურგულაძე ირაკლი, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.

ტროპარ-კონდაკთა კრებული, რუსთავის ეპარქია, გამ. „გორგასალი“, 2008.

უთურგაიძე თედო, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, გამ „მეცნიერება“, თბ., 1966.

უცნობი ავტორი, ნინოს ცხოვრება, ქართული პროზა, ტ. I, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.

ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1973.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986.

ქენქაძე ვიტალი, ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი (გამომცემლობა არ არის მითითებული), თბ., 2008.

ღამბაშიძე ნინო, ლომისობის დღესასწაულის თარიღის რაობისათვის, ჟურ. საქართველოს საპატრიარქო, № 1, 1998.

ღამბაშიძე ნინო, 7 მაისის დღესასწაული საქართველოში, ჟურ. ანალები, №2, 1999.

ღამბაშიძე ნინო, ხალარჯობა, ჟურნ. რელიგია, № 7-8-9, თბ., 2000.

ღამბაშიძე ნინო, ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), გამ. „მემატიანე“, თბ., 2004.

ღამბაშიძე ნინო, ჭონას ტრადიცია და მისი გენეზისის ზოგიერთი საკითხი, ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმი, მოხსენებები, თბ., 2005.

ღამბაშიძე ნინო, ქრისტიანობის წარმართობასთან ბრძოლის ამსახველი ქართული ხალხური დღესასწაულები სამეგრელოში, **Bulletin of the AGIBAS, American- Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies, Tbilisi State University & Cornell University, 7, 2009.**

ღამბაშიძე ნინო, წმიდა ანდრია მოციქულთან და მცხეთის ჯვართან დაკავშირებული ქართული ხალხური დღესასწაული, ჟურ. საქართველოს სიძველენი, № 13, 2009.

ღამისთევის ლოცვა და ლიტურგია კომენტარებით, წიგნი თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ლონდა ჯიქიამ, ნეკრესის ეპარქია, 2000.

ყმენობის ორშაბათი, გაზ. ცნობის ფურცელი, 1897, №125.

ჩუბინაშვილი ნიკო, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.

ცინცაძე კალისტრატე, ქაშვეთის წმიდის ეკლესია ტფილისში, გამ. „კანდელი“, თბ., 1994.

ცოცანიძე გიორგი, გოირგობიდან გიორგობამდე, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987.

წესიერების მსურველი, ზედაზნის მონასტერი და მისი ღლეობა, გაზ. ცნობის ფურცელი, 1899, № 81.

წვინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, გამ. „არმაზი - 89“, თბ., 1991.

ჯანჯალეიშვილი ლალი, მრავლძალის ეკლესია (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, გამ. „მემატიანე“, თბ., 2004.

ჯელიძე ედიშერ, მცხეთის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულის შესახებ. მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაული და მსახურება (სულთმოფენობის შემდგომი ოთხშაბათი), საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2002.

ხაზარაძე ნანა, მინდაძე ნინო, ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბ., 2008.

ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979.

ჯანაშვილი დიმიტრი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2000.

ჯანაშვილი მოსე, საინგილო, გამ. „ნაკადული“, თბ., 1996.

ჯაფარიძე გ., რაჭველთა ხალხური დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები და რწმენა - წარმოდგენები, СМОМПК вып. 21, 1896.

Абакелия Нино, Образ св. Георгия в Западногрузинских верованиях, Советская Этнография, № 5, 1988.

Абакелия Нино, Миф и Ритуал в Западной Грузии, изд. "Мецниереба", Тб., 1991.

Аноним, Местные народные торжества, "Чона", №81, 1882.

Бардавелидзе Вера, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, изд. "Caucasian House", Тб., 2007.

Брегадзе Нели, Очерки по агроэтнографии Грузии, изд. "Мецниереба", Тб., 1982.

Блаженный Феофилакт Болгарский, Благовестник или толкование Блаженного Феофилакта архиепископа Болгарского на святое Евангелие в четырех книгах. Евангелие от Матфея, "Афон", Москва, 2000.

Булгаков С. В., Настольная книга для священно-церковнослужителей, Издательский отдел Московского Патриархата, Москва, 1993.

Вердеревски Е., Красная пятница, "Кавказ", №4, 1855.

Вердеревски Е., О народных прздниках, "Кавказ", №5, 1855.

Грузинские народные праздники, "Кавказ", № 229 - 230, 1878.

Джанашиа Нико, Статьи по этнографии Абхазии, изд. "Абгосиздат", Сухуми, 1960.

Иоселиани Платон, Древние Памятники Тифлиса, Тф., 1866.

К. Р. Э., Замечание на статью Т. Бердзенова помещённую на фельетон 24 № "Кавказа", Кавказ, №50, 1854.

Натроев А., Мцхета и его собор Свети-Цховели, Тифлис, типография К. П. Козловского, 1900.

Мамаладзе Тамар, Народные обычаи и поверья гуриицев, Сборник материалов для описния местностей и племен Кавказва, СМОМПК, вып. 17, Тифлис, 1893.

"Новое обозрение", "Чиа-Коконоба", №2519, 1891.

Н. Л-ский, Горская легенда, "Кавказ", №99, 1905.

П. Се-нов, Пасха у туземцев Кавказа, Кавказ, №95,1900.

Радуйся благая Вратарница, рассказы об Иверской иконе Божией Матери, состовитель Александр Трофимов, изд, "Русский Хронограф", Москва, 1997.

Сургуладзе Иракли, Св. Георгий в грузинских религиозных верованиях (Материалы IV Международного Симпозиума по грузинскому искусству), Тб., 1983.

Читанава Кетеван, Музыкальная культура равнинного населения Западной Грузии, диссертация на соискания ученой степени кандидата исторических наук, рукопись, 1987.

Преподобный отец наш Шио Мгвимский и его монастырь, типографиа журнала "Мцкемси" и "Пастырь", 1902.

სარჩევი

ფინათჟმა – ნინო ლამბაშიძე 3

ა

აგუნა/ანგურას გადაძახება 7
ათენგენობა 8
ალავერდობა 14
ამაღლება 17
ამპარიობა - იხ. განცხადება, ლამპრობა 78,163
არბოობა - იხ. გერისთობა 87
არმაზობა 24
ატოცობა 25
ალდგომა 26
ალდგომის მესამე კვირა 37
ალება 39
ახალი წელი 40

ბ

ბარბარობა 64
ბერიკაობა 67
ბზობა 71
ბოსლობა 75

გ

განცხადება 78
გერისთობა 87
გიორგობა 88
გორიჯვრობა 101

დ

დავითობა 102
დათვქადობა – იხ. ყველიერი 221
დარ-ავდრის რიტუალები 105
დიდგორობა 108
დიდი შაბათი 108
დიდმარხვა 113

ე

ელიაობა 115
ენკენია 116

ვ

ვარდის შაბათი 118
ვნების კვირა 118

ზ

ზედაზენობა – იხ. შვიდმაისობა 235

თ

თაგვის უქმე 132
თარანგელოზობა/მთავარანგელოზობა 134
თევდორობა 134
თელეთობა 139

ი

იანაშ/იანობ 140
იანეთობა (იხ. მცხეთისჯვრობა) 190
იარუნესგა 141
იახსრობა – იხ. კოპალობა 158
იერუმსალეთობა/ერუმსალეთობა 142
ივანობა 143
ილორობა – იხ. გიორგობა 88
იხინჭობა – იხ. კოპალობა 158

კ

კაი პარასკევი 146
კაპუნობა 147
კდინი 148
კვირაცხოვლობა 149
კვირიკობა/კვირკობა 156
კვირტობა 157
კოპალობა 158
კოხინჯრობა/კოხიჯვრობა 162

ლ

ლაზარეს შაბათი 163
ლამპრობა 164
ლაშარობა 165
ლიფანალი 170
ლომისობა 173

მ

მარიამობა 177
მარხვა 182
მგლის უქმე 185
მეისარობა/მეისარობ/მეისარიბ/მირსობა 186
მირქმა 187
მცხეთისჯვრობა 190
მცხეთობა – იხ. სვეტიცხოვლობა 202

ნ

ნათლისმცემლობა 195
ნათლისღება – იხ. განცხადება 78
ნიკოლოზობა 196
ნინოობა 197

პ

პეტრე-პავლობა 200

ს

სვეტიცხოვლობა 202
სტეფნობა 206
სულთაკრეფა 207
სულთმოფენობა 209

უ

ურწყის ორშაბათი 211

ფ

ფერისცვალება 213

ქ

ქარის უქმე 216
ქაშვეთობა – იხ. მცხეთისჯვრობა 190
ქურმუხობა – იხ. გიორგობა 88

ყ

ყენობა 217
ყველიერი 221

შ

შავი ორშაბათი 233
შავნაბადობა – იხ. გიორგობა 88
შვიდმაისობა 235
შიოობა – იხ. ყველიერი 221
შობა 239
შობის ბებია 254
შობის დედა 254

ჩ
ჩიტფათფობა – იხ. ყველიერი 221

ცხ
ცხრა მარტი 256

წ
წითელი პარასკევი 258
წუნკალობა – იხ. განცხადება 78

ჭ
ჭაბუკობა 262
ჭვენიერობა 264
ჭიაკოკონობა – იხ. ვნების კვირა, ნინოობა 118,197
ჭონა 265

ხ
ხალარჯობა 267
ხარება 269

მცირე ცნობარი 271
გამოყენებული ლიტერატურა 283

„ციცინათელამ“ სერიით „საკითხავნი უმაწვილთათვის“ გამოსცა:

1. „კიდევაც დაიზრდებიან“

კრებულში დაიბეჭდა ქართული ხალხური ზღაპრები, თქმულებები, ლექსები სამშობლოზე, მამულიშვილობაზე, ზნეობაზე. დაიბეჭდა აგრეთვე გამოცანები, ანდაზები და ენის გასატეხები.

2. „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“

კრებულში მოთავსებულია ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები ასევე სამშობლოზე, მამულიშვილობაზე, ზნეობაზე.

3. ჰარმენ ზაქარაია

„ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები“.

4. მსოფლიოს ზღაპრები „ოქროს მიწა“

კრებულში დაიბეჭდა მსოფლიოს 29 ქვეყნის 45 საუკეთესო ზღაპარი სამშობლოს სიყვარულზე, ერთგულებაზე, დაგმობილია მტრობა, შური, სიხარბე, უსამართლობა, უზნეობა.

5. „სიცოცხლეო, მამულო!“

კრებულში დაიბეჭდა XX საუკუნის აწ განსვენებული ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები სამშობლოს სიყვარულზე, მამულიშვილობაზე, ზნეობაზე.

6. „საქართველოსთვის“

კრებული ეძღვნება ქართველ მამულიშვილებს, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს, ან მთელი სიცოცხლე მისთვის იღვაწეს.

7. „სამეფოს მედროშე“

კრებულში დაბეჭდილია XX საუკუნის აწ განსვენებულ ქართველ მწერალთა ისტორიული მოთხრობები.

8. „საქართველო არის ესე“

წიგნი ეხება ჩვენი ისტორიის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან მონაკვეთს: ქართველ ტომთა განსახლებას, ჩვენს მითოლოგიას, ქრისტიანობას, დამწერლობას, ენის ისტორიას, საქართველოში დასახლებულ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, საქართველოს ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოლოგიურ მხარეებსა და კუთხეებს და ა.შ.

9. „არა ოდენ ხმლით!“

წიგნში იბეჭდება ქართველ სახელმწიფო, საეკლესიო მოღვაწეთა, მწერალთა და მეცნიერთა სიტყვები, გამოსვლები, წერილები, რომლებიც არა ოდენ ხმლით, არამედ კალმითა და სიტყვით იცავდნენ საშობლოს გარეშე მტერთაგან, ცილისმწამებელთაგან, ქვეგამხედვართაგან, ერს აძხნევებდნენ, წარმოაჩენდნენ მის ღირსებებსა და დიდ სულიერებას...

10. „მსოფლიოს ხალხთა რელიგიები და სარწმუნოებრივი წარმოდგენები“

კრებულში საუბარია მსოფლიოს ხალხთა ზოგ ალმსარებლობასა და სარწმუნოებრივ წარმოდგენაზე.

11. „სამშობლო უმთავრესია!“

კრებულში დაიბეჭდა თანამედროვე ქართველი მწერლების მოთხრობები და პიესები სამშობლოს სიყვარულზე, ზნეობაზე, მამულიშვილობაზე.

12. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს დედაეკლესია“

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში მოგვითხრობს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას დასაბამიდან დღემდე. წიგნში საუბარია არა მარტო ეკლესიის, საერთოდ ჩვენი ქვეყნის წარსულის კარდინალურ საკითხებზე. მეუფე ანანია გამოწვლილვით მიმოიხილავს ყველა შესაბამის საისტორიო წყაროს და მათი ურთიერთშეჯერებითა და ანალიზით ასკვნის, რომ თითქმის ყოველთვის მართლდება ძველ მემატიანეთა და ეკლესიის ისტორიკოსთა თვალსაზრისი.

13. ჟღერს ქვის ჰარმონია

კრებულში იბეჭდება წერილები ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე (ეკლესია-მონასტრებზე, სამოქალაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობებზე) ანბანთრიგით (ა-დ).

ნაკვეთი პირველი

14. ჟღერს ქვის ჰარმონია

კრებულში იბეჭდება წერილები ქართულ ხუროთ-მოძღვრულ ძეგლებზე (ეკლესია-მონასტრებზე, სამოქ-ლაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობებზე) ანბანთრი-გით (ე-ს).

ნაკვეთი მეორე

15. ჟღერს ქვის ჰარმონია

კრებულში იბეჭდება წერილები ქართულ ხუროთ-მოძღვრულ ძეგლებზე (ეკლესია-მონასტ-რებზე, სამოქ-ლაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობებზე) ანბანთ-რიგით (ს-ჯ).

ნაკვეთი მესამე

16. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრე-ბის ეპიზოდები

კრებულში იბეჭდება გამოჩენილ ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც სასიკეთოდ წაადგე-ბა ახალგაზრდობის სულის ზრდას.

17. დასურათებული ლექსიკონი

წიგნში აღწერილია და დასურათებული ჩვენი ეთნოგრაფიული ყოფის აწ დავიწყებული ან დღემდე შემორჩენილი ზოგი ნივთი. ასევე განმარტებულია მათთან დაკავშირებული ზოგი ტერმინი.

18. საქართველოს ცხოველთა სამყარო

წიგნში აღწერილია საქართველოში გავრცელებული ცხოველთა სამყარო. დამატების სახით ერთვის ცნობები საქართველოს დაცული ტერიტორიების - ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების შესახებ.

19. საქართველოს მცენარეთა სამყარო

წიგნი მოგვითხრობს საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სამყაროზე. დამატების სახით ერთვის ცნობები თბილისის, ბათუმის, სოხუმის ბოტანიკური ბაღების შესახებ.

20. „ცხოვრება საქართველოს მეფეთა და ერისმთავართა“

(I ნაკვეთი)

I ნაკვეთში მკითხველი გაეცნობა უძველესი დროიდან თამარ მეფემდე მოღვაწე საქართველოს მეფეთა ცხოვრებას, წიგნს ერთვის ილუსტრაციები, ქრონოლოგიური და ანბანური საძიებლები, ავტორთა და მხატვართა საძიებლები, მცირე ცნობარი.

21. „ცხოვრება საქართველოს მეფეთა და ერისმთავართა“

(II ნაკვეთი)

მეორე ნაკვეთში მკითხველი გაეცნობა თამარ მეფის დროიდან მოღვაწე მეფეებს, აგრეთვე ადრინდელ და შემდეგდროინდელ ერისმთავრებს, მთავრებს, ერისთავთერისთავებს, ერისთავებს. ცალკე წერილები მიეძღვნება იმას, თუ რას ნიშნავს მეფე, ერისმთავარი, მთავარი და ა.შ. რატომაა დანომრილი მეფეთა და სხვა მოღვაწეთა სახელები, საუბარია ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა დინასტიებზე. წიგნს ერთვის ილუსტრაციები და საძიებლები.

22. „ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა“

(ნაკვეთი პირველი)

გამოცემა ორ ნაკვეთადაა მოაზრებული და მკითხველს შესაძლებლობისამებრ აცნობს განსვენებულ ქართველ მწერალთა ცხოვრების გზას. გამოცემამ ყველას ბიოგრაფია ვერ დაიტია. ბიოგრაფიები განლაგებულია ანბანთრიგით, მაგრამ არა გვარების, არამედ სახელების მიხედვით, რადგან მწერლები ყველგან სახელ-გვარებით იხსენიებიან და მათი მოძებნა წიგნში, ჩვენი აზრით, ასე უფრო გაადვილდება.

პირველ ნაკვეთი მოიცავს ბიოგრაფიებს „ა“-დან „ი“-ს ჩათვლით.

23. „ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა“

(ნაკვეთი მეორე)

„ქართველ მწერალთა ცხოვრების გზის“ მეორე ნაკვეთი მოიცავს ბიოგრაფიებს „კ“-დან „ჰ“-ს ჩათვლით.